

მნათობი

5

მ ა ნ ო ბ ი



1953

მნათობი



6699

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

სამართველოს საბოტა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეათე



5

★

მ ა ი ს ი

19

სახელგამი
თბილისი

53

ორი ლექსი



ბრიგოლ ორბელიანს

„ღაბებრდი, ზედს ვერ მოვესწარ,
დაეშხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩაედევარ სიმწარით...“

გ. ორბელიანი.

გრძნობას უმწეავესს ვერ მოვიგონებ
და მე არ ვიცი კიდევ სხვა ლექსი,
როგორც ეს ოთხი მწარე სტრიქონი,
გულის სიღრმიდან ამოხაკუნესი.

ძაბით მოხილი დგას თითქოს დედა
შვილის საფლავზე ცრემლის მფრქვეველი,
გარს ახვევია უსაზღვრო სევდა,
როგორც წყვედიადი გაურღვეველი.

ნეტავ შეგეძლოს იმ საფლავიდან
ნახო ჩვენი დრო, სინათლის მფენი,
თუ რა დიდების თხემზე ავიდა
აყვავებული სამშობლო შენი!

2. IV-53 ♀

— • —

მირზა ფატალი ახუნდოვის ხსოვნას



საქართველოში დიარწა
მისი ოცნების აკვანი,
აენთო და არ დაიწვა,
დარჩა ნათელი გზა-კვალი.

ქართლის სიმღერით ტკბებოდა,
იქნებ ქართულიც იცოდა,
„მერანის“ ავტორს ზედებოდა,
ორბელიანსაც იცნობდა.

მათი პირველი მიზანი
ზომ აასრულეს შეილებმა:
რუსთველისა და ნიზამის
ქვეყნების დამშობილება!

არ სწამდა და არ სჯეროდა
გზა ვიწროდ შემოღობილი,
ხალხთა ძმობაზე მღეროდა,
ძმად და მეგობრად შობილი.

როცა პუშკინი გასწირეს
შველულებმა, მოჭიშპეებმა
იგი ბნელეთის აჩრდილებს
მედგარი ლექსით შეება.

ლერმონტოვს გაჰყვა მმასავით,
მგლოვარი, გულდაბუგული,
და დაიტირა მასავით
დიდი რუსეთის ბულბული.

მოდმეთა ნაღველს იცნობდა,
და მათთან ხმაშეწყობილი,
ხალხთა მშობისთვის იბრძოდა,
ხალხთა მეგობრად შობილი.

ხავსი არ მოეციდება
მისს ხსოვნას გაუქრობელსა,
აზერბაიჯანს დიდება,
მირზა ფატალის მშობელსა!



გაზაფხულის ღილა

პიქისა 4 მოქმედებად და 7 სურათად



მოქმედნი პირნი:

ლონგინოზი — სოფლის ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი.

შალვა — ინჟინერი.

დავითი — შთავარი ბუღალტერი.

სანდალა — ბუღალტრის თანაშემწე.

ლილი — მონგარიში.

ზურაბი

აბესალომი

რევიზორები.

ტიტიკო — სამწეო ნაწილის გამგე.

ელიოზი — მანქანის მძღოლი.

თინათინი — ლონგინოზის მეუღლე.

დარო — დამლაგებელი ქალი.

პირველი მოქმედება

ერთ-ერთი პატარა წარმოების ბუღალტერიის ოთახი. სამუშაო მაგიდებს უსხედან: დავითი, სანდალა, ლილი, შალვა. კარებზე გაკრულია წარწერა: „დირექტორი“. კარებთან ზის დარო. განიერი ფანჯრებიდან მოჩანს ხევი. ფარდის ახლისას ოთახში სრული მყუდროება სუფევს. სიჩუმეს უფერად წამოსული წვიმა დაარღვევს. წვიმა თანდათან ძლიერდება.

ლილი — (მოწყენილობას თითქოს თავი დააღწიაო, ფანჯარას მიუჯდება, აღტაცებულია) რა ლამაზად წვიმს! ჩვენი ფრონე უკვე აღიდებულა!

დავითი — (წამოდგება. სანახაობით გაოცებულია) მთებიდან ლეღები მოქუხან, ნამდვილი ლეღები! (გარდა შალვასი და სანდალასი სხვებიც უახლოვდებიან ფანჯარას) კალოშები მაინც წამომელო.

ლილი — (ბავშვურად იწყენს) კალოშები რა გასასხენებელია, ბატონო დავით, თქვენ ამას შეხედეთ, რა ლამაზი სურათია.

დავითი — (ყვითლად ეღიმება) ჩემსავით მოხუც კაცს ასეთ ამინდში აბა სხვა რა მოაგონდება?!

ლილი — როგორ? ეს სანახაობა არ მოგწონთ?

დავითი — (გულწრფელად) მომწონს. (გაფაციცებით აკვირდება) ნამდვილად მომწონს, ლამაზი სურათია. (სხვებთან ერთად ფანჯარას შორდება, მაგიდას მიუჯდება).

ლილი — რა ლამაზად სრიალებენ წვიმის წვეთები ფანჯარის მინაზე. გულს მიღლევენ. (გადახედავს თავჩაქინდრულ შალვასა და სანდალას; რაჟი

- ისინი ყურადღებას არ აქცევენ, კვლავ დავითს მიუბრუნდება) წვიმის დროს მე ტროლებს უსწია ც მიყვარს ჯდომა. ეშხეფებთან წვიმის წვერებში წყან-ჯარას; კალთაზე გიდევს ხელი და არც ერთი წვეთი არ დაგეცემა.
- დავითი — ისევე თბილისი გაიხსენე?
- ლილი — მიყვარს თბილისი, მაგრამ ბევრი წყენა მომაგონდება... შეხედეთ, რა ლამაზად ზრიან ხეები თავებს!
- დარო — მასწავლებლები ხშირად მეტყვიან ლილიზე — მსახიობი არისო. რომ ვაკვირდები, მართალი უნდა იყოს (სხვებიც სურს ჩააბას საუბარში) გესმით, რა ლამაზად ლაპარაკობს?
- დავითი — მოგწონს? კარგი ქალიშვილია?
- დარო — ასეთი ლამაზი ჩიტი ჩვენს სოფელში ჯერ არ შემოფრენილა, მომწონს, მაშ არა?
- დავითი — მერე? ყურადღებით უნდა მოეპყრა... სტუმარია.
- დარო — ყურადღება არა აკლია, აბა ჰკითხე.
- ლილი — მართალია. გუშინ დარომ ერთი კალათა კორბჩხილა მომიძღვნა, მესიამოვნა...
- დავითი — ხაბიზგინები გვითხარი, დარო, თორემ კორბჩხილა რა სათქმელია.
- დარო — ეგეც იქნება, ჩვენ აღამიანის დაფასება ვიცით.
- დავითი — (ჯიბის საათს დახედდა) მუშაობა მალე დამთავრდება, მაგრამ გარეთ არ გინდა გასვლა? (დაროს) მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ ლილი მსახიობია?
- დარო — ჩემმა მამამაც ასე თქვა, — თქმა რად გინდა, ხედვე არ ეტყობა?
- დავითი — (ლილის უახლოვდება) ნიჭიერი რომ ხარ, ამას კარგად გამჩნევთ. ჩემო კარგო, მაგრამ მსახიობობისა რა მოგახსენო.
- ლილი — (ნაწყენი, გულუბრყვილოდ) როგორ არა, ბატონო დავით... განა პატარა, დიდ როლებშიაც გამოვსულვარ... მე ელეონორას როლი შემისრულებია.
- დავითი — ელეონორასი? ყაზბეგის ელეონორასი?!
- ლილი — დიახ.
- დავითი — (სახეზე ღიმილი უთამაშებს) სად?
- ლილი — ქარელში. (სიჩუმე ჩამოვარდება), თუმცა უნდა გითხრათ: შესაძლებელია მე მსახიობი არ ვიყო, მაგრამ რა ვქნა, სცენა მიყვარს.
- დავითი — (უკვე თანაგრძნობით) არავის არ მიმართეთ?
- ლილი — როგორ არა... სწორედ ამ მიზნით ჩავედი თბილისში, რუსთაველის თეატრში დიდხანს მპირდებოდნენ, მიგიღებთო...
- დავითი — მერე?
- ლილი — მერე-და თბილისის ნაცვლად სოფელში აღმოვჩნდი, თეატრის ნაცვლად — ბულალტერიაში.
- დავითი — (მეგობრულად) მერე რა ვუყოთ, ჩვენ ხომ ცუდი ხალხი არ ვართ.
- ლილი — პირიქით, კმაყოფილი ვარ, თქვენს წრეში თავს კარგად ვგრძნობ.
- დავითი — როგორც ჩანს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს პატარა კოლექტივში მსახიობიც გვირეგია.
- ლილი — არა, ბატონო დავით, ეგ არსად წამოგცდეთ, თორემ ძლიერ მეწყინება.

- და ვითი — რატომაც არა, კიდევაც უნდა დაგაფასოთ. ხელოვანი რომ ხარ, იქედანაც ჩანს, რომ წვიმას ამდენი სიყვარული გამოუტყვადე. მართლაც რომ ლამაზად წვიმს. რას იტყვი, სანდალავ?
- სანდალა — (უცმეხად) „ლამაზად წვიმსო“, ამას თავის დღეში ვერ მათქმე- ვინებს კაცი.
- და ვითი — (გაკვირვებით) რატომ?
- სანდალა — წვიმა რომ კარგი იყოს, ბათუმიდან წამოვიდოდი? ბათუმი წვიმის გამო მივატოვე.
- და ვითი — ბუნების მოვლენაა. როგორ შეიძლება წვიმას სილამაზე არ ახლდეს?
- სანდალა — ბუნების მოვლენაო?! იცით რა გითხრათ: ბათუმელი კაცი ვარ, მაგრამ არასოდეს ზღვისპირას იმ მიზნით არ მივსულვარ, რომ მზის ჩასე- ლისათვის მეყურებინა. ან კიდევ, ბაკურიანში რომ იციან: ცხრაწყაროზე მივდივართ, მზის ამოსვლას უნდა ვუყუროთო (მალვას ეღიმიება, მაგრამ ლაპარაკში მაინც არ ებმება, მუშაობას განაგრძობს).
- და ვითი — არა, იცით, რა გითხრათ? მზის ჩასვლა...
- სანდალა — ჯამაგირების დარიგება დაგვივიანდა, შენ იმაზე იფიქრე, თუ კაცი ხარ, მზის ჩასვლას თავი დაანებე.
- და ვითი — (ეღიმიება) ახირებული კაცი ხარ, სანდალავ, მე და ჩემმა ღმერთმა.
- ლილი — (სანდალას) თუ არ შეხედავ, ყური მაინც დაუგდე, რა სასიამოვნო ხმა აქვს.
- სანდალა — შენ რა გენაღვლედა, დროს გასატარებლად გადახვალ დირექტო- რის ოჯახში, მე კი ქათამივით მობუზული უნდა შევიდე სახლში.
- და ვითი — (მეგობრულად) შეხვალ ოთახში და არავინ არ დაგხედება...
- სანდალა — ჭიქა, ბატონო, ჩაის ჭიქა, ვერცხლის კოვზით.
- და ვითი — ისიც წიგნებს შორის ჩადგმული! საშინელი სურათია, როგორ უძლებ?
- სანდალა — შემდეგ, როდესაც იმ ჭიქაში ცხელ ჩაის ჩავსხამ, კომპის ჯემს გვერდით მოვედებ, როდესაც რადიოს დეკატრიალებ, შემდეგ არა უშავს.
- და ვითი — ცოლი უნდა შეირთო, ამხანაგო, ცოლი. (შენიშნავს, რომ ლილი უკმაყოფილოა) კი მაგრამ, ლილის რატომ აწყენინე?
- სანდალა — აბა, ისეთ უმნიშვნელო რამეზე, როგორიც წვიმაა, ასეთი ვაბ- მული საუბარი როგორ შეიძლება?
- ლილი — მნიშვნელოვან რამეზედაც გვექონია საუბარი, მაგრამ თქვენ თავი აგირიდებიათ.
- სანდალა — მაშასადამე, არ ყოფილა საინტერესო.
- და ვითი — ლილიმ საუბრის გაჩაღება ისე იცის, როგორც ცეცხლისა, — მიგრიდავს, გაგათბობს, ამაში ვერ დაგეთანხმები.
- ლილი — თქვენზე კი მითხრეს, ბატონო დავით, რომ მწერლობა უყვარსო, კი- დევაც წერსო.
- და ვითი — სიყვარულით, რა თქმა უნდა, მიყვარს, მაგრამ წერსო, რომ უთქ- ვამთ, ეს არ არის მართალი.
- ლილი — როგორ არა, მისი ნაწარმოებები ყურნალებშიაც იბეჭდებოდაო.
- და ვითი — ნაწარმოებებიო? — ჩემი მხოლოდ ორი რეგუსია დაბეჭდილი, ისიც, ძველად „ნაკადულში“ (კარები იღება. შემოდის ლონგინოზი, ეტყო-



- ბაკულ გუნებაზეა, რის გამოც თანამშრომლებიც თავს უხერხულად გრძნობენ).
- ლონგინოზი — (პაპიროსს ეწევა) რაშია საქმე? რაზე კამათობდით?
- დავითი — (ცდილობს, უფროსიც ჩააბას სასიამოვნო საუბარში) ლონგინოზ ისონოვიჩი, აი ამ წვიმაზე გვეონდა საუბარი. მე და ლილი ვამტკიცებთ, რომ წვიმასაც ახლავს თავისებური სილამაზე.
- ლონგინოზი — (სიტყვას შეაწყვეტინებს, უკმეზად) რა დროს წვიმაა, რევიზია თავზე მადგას. ბალანსი გაამზადეთ?
- დავითი — ზეალ დალით მოგართმევთ.
- ლონგინოზი — (გულმოსული) კიდევ ზეალ! საერთოდ უნდა ვთქვა, რომ ასე არ შეიძლება... (ოთახში დადის) კიდევ იტყვიან: ადამიანმა ადამიანს სიკეთე უნდა გაუკეთოსო. (თანამშრომლები გაოცებით შეჰყურებენ, არ იციან, რას ნიშნავს მისი სიტყვები) ჩემდენი სიკეთე ადამიანისათვის ვის გაუკეთებია? ვადაყოლილი ვარ თანამშრომლებზე, ამხანაგებზე, მაგრამ სამაგიეროს გადახდა ასე იციან.
- დავითი — (გაუბედავად) თუ არ ვცდები, „რევიზიაო“ სთქვით, ლონგინოზ ისონოვიჩი, ვერ გავიგე, რატომ ბრძანეთ?
- ლონგინოზი — რატომ და ჩამოდიან. უკვე მანქანა გვაგზავნენ აგარაში, ოთხი საათის მატარებელზე დაგვახვედრეთო. (საათს დახედავს) სადაცაა, მოგვადგებიან. ვასაგებია?
- დავითი — რევიზია ხომ ახლახან ჩატარეს, იანვარში.
- ლონგინოზი — ნოემბერშიაც ხომ თავზე გვადგნენ. ნოემბერშიაც არ შეგვაშინებდა?
- დავითი — მეც ამას მოგახსენებთ.
- ლონგინოზი — რა თქვეს მერე? როგორი აზრით წავიდნენ?
- დავითი — უკანასკნელად საჯაროდ ხელი ჩამოგართვეს, კმაყოფილები ვართო.
- ლონგინოზი — ვინ დაინახა მერე ეს? ვინ დაიჯერა? ვის გაეხარდა? — არავის!
- დავითი — რატომ გგონიათ?
- ლონგინოზი — რატომ-და, ხომ იცი, რომ წერენ და წერენ ანონიმურ ბარათებს, შეაქვთ საჩივრები. რატომო, კიდევ მეკითხები? (ხმამალა) საქმე, საქმე აკეთეთ, ამხანაგებო! საქმეს გეთხოვენ ჩვენ და არა ხელის შეშლას.
- დავითი — ვიზე ლაპარაკობთ, ლონგინოზ ისონოვიჩი?
- ლონგინოზი — ვიზე და ყველაზე, ყველა ჩემს თანამშრომელზე.
- შალვა — (თავშეკავებული მღელვარება ემჩნევა) არა, თქვენ ყველაზე არ გითქვამთ, თქვენ ერთ ადამიანს გულისხმობთ, მაგრამ ყველანი შეურაცხევით. ამით მაინც რას ერჩოდით, ესენი ხომ თქვენი ერთგულები არიან?
- ლონგინოზი — თქვენ კი რატომ არ უნდა იყოთ ჩემი ერთგული? უადგილოდ იყავით, წამოგიყვანეთ. საუკეთესო პირობები შეგიქმენით, კიდევ უფრო უკეთესი პირობების შექმნას დაგპირდით.
- შალვა — თქვენ ეს სხვა დროსაც გითქვამთ, ამგვარად უთუოდ სხვებსაც შესჩივლებთ...
- ლონგინოზი — რა თქმა უნდა, ვიტყვი.
- შალვა — (კატეგორიულად) უფლება არა გაქვთ.
- ლონგინოზი — (გაოცებული) რატომ?



შალვა — ამ პირობებს მე თქვენ კი არ მიქმნით, არამედ ჩემი ქვეყანა. თქვენ ისეთი კილოთი მელაპარაკებით, თითქოს თქვენს მამულში მომიყვანეთ, მე ეს მწყინს.

ლონგინოზი — (პასუხი გააოცებს, დაიბნევა. სანდალასა და დავითს) ერთი ამას აუხსენით: ის მაინც ხომ შემეძლო, რომ ამის მაგიერ სხვა წამომეყვანა?

შალვა — იმ სხვასაც თქვენთან ისეთივე დამოკიდებულება ექნებოდა, როგორც მე მაქვს.

ლონგინოზი — მაშ მე ვინ ვყოფილვარ?

შალვა — იმგვარი ინსტინქტების ადამიანი, რომელსაც არ შემიძლია პატივისცემით მოვებყრა.

ლონგინოზი — რაო? (აღელვებული, ყვირილით) მაშ მე ვისთვის ვიბრძოლე? ეს ფეხი ვის შეეწირე? (დავითს და სანდალას) გესმით, რა შეურაცხყოფას მაყენებს?

დავითი — ეს კი მეტისმეტია, პატივცემულო შალვა, დაუშვებელია ასე თავისუფლად ლაპარაკი.

სანდალა — (უხერხულ მდგომარეობაშია, სიტყვებს ვერ პოულობს). თავისუფალი ლაპარაკი როგორ არ შეიძლება, შეიძლება, მაგრამ გააჩნია, რას იტყვი. (გაისმის საყვირის ხმა. ლილი პალტოს იცვამს, წასასვლელად ემზადება. დარო მეზობელ ოთახში ფუსფუსებს).

ლილი — (კარებთან შედგება. თავისთვის) რა კარგ რამეებზე გვქონდა საუბარი! წვიმაზე... რებუსებზე!.. (გულდაწყვეტილი გადის).

შალვა — (დავითსა და სანდალას ყურადღებას არ აქცევს, თითქოს მათ არაფერი არ უთქვამთ) არც ეგ არის სწორი.

ლონგინოზი — რა არ არის სწორი?

შალვა — თქვენ ამით გასაგონად ხშირად წამოიძახებთ, რომ ფრონტზე იყავით, რომ თითქოს ფეხი დაგიშავდათ... არც სხვები ყოფილან გულზელდაკრეფილნი. თქვენ ხშირად გავახსენებთ თქვენს ფეხს, მაგრამ ჩემი გულიც იკითხეთ.

ლონგინოზი — (ხმადაბლა) ვიცი, რომ დაკრილი ხართ.

შალვა — ჩვენს დღეში სხვებიც არიან, მაგრამ ამის გამო ესენი (თანამშრომლებზე მიუთითებს) არავის არ შეუშფოთებია.

ლონგინოზი — რაც ადამიანს აწუხებს, იმაზე რომ ილაპარაკოს, ვითომ ამაში რა არის დასაძრახი?

სანდალა — მე ის მაწუხებს, დაკრილი რომ არ ვარ, თორემ დაკრილი რომ ვიყო, წელში გამართული კაცი ვიქნებოდი. თქვენ რა გაქვთ სალაპარაკო?

ლონგინოზი — (შალვას) მე ორჯერ გამოგიცხადეთ მადლობა, როგორც კარგ ინჟინერს, პრემიითაც დაგაჯილდოვეთ.

შალვა — ეს ჩემს ღირსებას შეადგენს და არა თქვენსას, რად მამადლით?

ლონგინოზი — (შემპარავად) მაშ თქვენ ჩემს მიმართ არაფერში არ ცოდავთ?

შალვა — (მტკიცედ) ექვის მიტანას ანონიმურ ბარათების ავტორობაზე ვერ მაკადრებთ.

დავითი — (აღელდება) ეგ, რა თქმა უნდა, პატივცემულო შალვა, ასეთ რამეს თქვენზე ვინ გაიფიქრებს. (ცდილობს საუბარი შალვას სასარგებლოდ წარმართოს) თქვენ რას იტყვით, სანდალა?

ს ა ნ დ ა ლ ა — (შეშფოთებულია უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნის გამო) მე ასეთ ლაპარაკში ჩარევა არ მიყვარს. როგორც კი ასეთ ლაპარაკში გავერევი, მგონია, რომ ეკლებში ვვარდები.

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — (შალვას) სხვა მხრივ? (თვალეში მიაჩერდება. შალვას ოდნავი შეშფოთება შეეტყობა, თვალებს მოაჩრდებს) ვაჟკაცობისაკენ მიგაწევს გული, — თავი არ შეირცხენო! (მოულოდნელად გაიღება კარები, შემოვარდება თავიდან ფეხებამდე დასველებული ტიტეკო, შემოჰყვებიან აბესალომი და ზურაბი. ლონგინოზი სწრაფად შეიცვლება, გახარებული ადამიანის სახეს მიიღებს) მადლობა ღმერთს! ცოტა კიდევ რომ დაგვევიანებოდათ, მე თვით უნდა გადმოვევარდნილიყავი თქვენსკენ.

ტ ი ტ ი კ ო — ამას რას მოვესწარი, ეს რა ვნახე! წარღვნა იყო, ბატონო, ნამდვილი წარღვნა! კიდევ კარგი, რომ წვიმა აბისში წამოგვეწია, თორემ ცოტა რომ დაგვევიანებოდა, მერე მშვიდობით!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — ამ მხარეში პირველად ვარ, ცუდი გზები ყოფილა.

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — ძალიან ცუდ პირობებში გვიხდება, ამხანაგო აბესალომი, მუშაობა. ხანდახან რომ დაეფიჭრდები, მე თვითონ მიკვირს, გეგმებს როგორ ვასრულებ.

ზ უ რ ა ბ ი — პირველი კვარტალის გეგმა შესრულებული გაქვთ?

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — (კმაყოფილი კილოთი) როგორ არა. ახლა კიდევ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. დღეს, მაგალითად, ოცდაერთი აპრილია და მეორე კვარტალის გეგმა სანახევროდ შესრულებული გვაქვს. მაგრამ ამაზე შემდეგ (ტიტიკოს) აბა, ახლა სტუმრებს მივხედოთ.

და ვ ი თ ი — (ტიტიკოს ტანისამოსს უსინჯავს) ხედავთ, რა მოსვლია ამ საცოდავს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — ჩვენც ბევრს ვწუხდით, მაგრამ ვერაფერს გავხდით: „კაბინკაში“ ჩვენ ორნი ძლივს მოვთავსდით, ამხანაგი ტიტეკო ზემოთ დაგვრჩია.

ტ ი ტ ი კ ო — (კმაყოფილია აბესალომის ყურადღებით) ზემოდან რას ვშვრებოდი, იმას თუ ხედავდით ბატონო?

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — რაო, ვითომ რა უნდა გექნა?

ტ ი ტ ი კ ო — ეს პალტოც გახდილი მქონდა, წვიმამ არ მოუშხაპუნოს სტუმრებს-მეთქი, და ხან ერთი მხრიდან მოვაფარებდი კაბინას და ხან მეორე მხრიდან.

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — რაც მართალი-მართალია, ძლიერ დასველებულხარ. (სტუმრებს) სხვათაშორის, ხშირად მაწყენინებს, გაჯიუტება იცის ხანდახან, მაგრამ მუშაობაში მაგარია. აქ, ჩვენთან, სამნეო ნაწილის უფროსად მუშაობს, მაგრამ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — ვიცნობ ამხანაგ ტიტეკოს. თქვენ ხომ წინათ სარეწოო კოოპერაციაში მუშაობდით?

ტ ი ტ ი კ ო — (ჯერ უარის ნიშნად თავს გაიქნევს, მაგრამ შემდეგ სწრაფად უდასტურებს) დიახ, ბატონო...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — კარგად ვიცნობ. (ლონგინოზის კაბინეტიდან გამოდის დარო, რომელსაც კაბინეტი საგანგებოდ დაულაგებია).

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — ცოტა ხნით ჩემს კაბინეტში შემობრძანდით (სტუმრები შედიან კაბინეტში).

ტიტიკო — (ლონგინოზს კარებში შეაჩერებს, საჩვენებელ თითებს ერთმანეთს მიადებს, გადაუჩურჩულებს) ასე ვართ ერთმანეთში, ასე ვართ ერთმანეთში, ასე ვართ ერთმანეთში, იმას შეკითხვობოდა, აქეთ რამ გადმოგაგდო, მეც ეუთხარია: **ლონგინოზი** — სონოვიჩმა მთხოვა და ხათრი ვერ გაეუტეხე-მეთქი. (ლონგინოზს სახეზე კმაყოფილება აღებუქდა. კაბინეტში შედიან. შალვა ფიქრებს მიეცემა).

დავითი — (შალვას) ნუ გეწყინება, თუკი ახლაც ერთ რამეს გეტყვი: შენ ცხოვრებაში ჯერ ღრმად ჩახედული კაცი არა ხარ, ეს როგორც ვატყობ, საშიში კაცია, დიდი მტრობა შეუძლია, გაანებე მაგ კაცს თავი.

შალვა — ჩვენ რომ ახლა ვინმე ყურს გვიგდებდეს, გაიფიქრებს, რომ მე მაგ კაცს მართლა ცუდ საქმეებს ვუკეთებ.

დავითი — შენ რომ მას საქმეებს უკეთებ, იმგვარი საქმეები ნეტავ ყველგან კეთდებოდეს. გეგმები ვადაზე ადრე სრულდება, პროდუქცია მაღალხარისხოვანია, უკვე ერთი წელია, ქარხანაში მუშაობა არც ერთი წუთით არ შეფერხებულა, მუშები ხალისიანად შრომობენ, ყველაფერი ეს ხომ შენი ხელიდან გამოდის?

შალვა — თუ ეს ნაწილობრივ მაინც მართალია, ჩემთან რა გაქვს სასაყვედურო?

დავითი — რაკი სიკეთეს შერები, მარილიც მოაყარე.

შალვა — მაინც რაო, რა უნდა ვქნა?

დავითი — თავი ისე აჩვენე, რომ აფასებ, პატივს სცემ.

შალვა — ამას ვერ ვიზამ, არ შემიძლია.

დავითი — მთავრობა აფასებს, შენ რატომ უნდა აწყენინო?

შალვა — მაგ ჯიშის ადამიანებს მე კარგად ვიცნობ, მათ ეხერხებათ, ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ მოგაჩვენონ.

დავითი — ისე კი ხანდახან წამოცდება: ხალხის ლაპარაკს მე ყურს არ ვუგდებ, „ზემოთ“ მადასებნო.

შალვა — ვინც ხალხს არ უყვარს, დარწმუნებული იყავი, რომ მას „ზემოთ“ არაფერს არ შეიყვარებს. (კაბინეტიდან გამოდის ტიტკო. მხიარულ გუნებაზე).

ტიტიკო — მაინც რა უქნია ამ ხალხს, გაიგეთ? (შალვა ყურადღებას არ აქცევს).

დავითი — არ ვიცი, არა. არაფერი არ მესმის, ჩემო ტიტკო.

ტიტიკო — ჩივიან თურმე, ჩივიან. მთელი თბილისი შეუძრაო.

დავითი — ვიზე ჩივიან?

ტიტიკო — ჩემზე, ლონგინოზ იასონოვიჩზე. წერენ თურმე: ვაკეში სახლები აიგესო. ცოლ-შვილი კისლოვოდსკში ჰყავდაო, ტიტკო ბუმბულეებში წევსო... (შალვას) რაღაც ხასიათზე ვერ ხარ, რაშია საქმე? ერთმანეთში კიდევ გაქვთ უსიამოვნება? (შალვა შეკითხვას უყურადღებოდ ტოვებს).

დავითი — არაფერი, ცოტა შეკამათდნენ.

ტიტიკო — თუ მაინცა და მაინც კამათი უნდა ამ ხალხს, კარგ რამეებზე რომ იკამათონ, ის არ სჯობს? იკამათონ: ცოცხალი ვირუსების გაჩენა თუ შეიძლება, კომუნისტების დროს რა იქნება... აბა სახლის ასაშენებელი მასალა ვინ საიდან იშოვავო, დღეობაში პიანინო ვინ ვის მიუღოცავო, ასეთ წვრილმან რამეებზე ლაპარაკი ჩვენს დროში სირცხვილი არ არის? (წასვლას დააპირებს) გუშინ ამ დროს ერთი ქათმის ფრთა რომ შეეკვამე. იმის შერე პირში ლუქმა არ ჩამიდევს.

დავითი — საკმელი კიდევ არაფერი, ტანისამოსი გამოიცვალე, ტიტუკო, თორემ საშიშია, შეიძლება ანთება შეიძინო. (ტიტუკო მიდის, კარგე ჩემოვარდება).

შალვა — (თითქოს ახლა გამოერკვია) წავიდა?

დავითი — მალე დაბრუნდება.

შალვა — (სიცილით) ესენი, ორივენი, იცით, როდის შემძულდა?

დავითი — ვინ?

შალვა — ეგ ტიტუკო და ჩვენი უფროსი... ეგ შარშან იყო, ზაფხულში... საშინისტროდან იყვნენ ჩამოსულნი (სიცილს განაგრძობს) წნელისიდან ზევით ავეყვეთ ფრონეს, ბზისზევისაკენ.

დავითი — რა ლამაზი ადგილებია!

შალვა — ზე-ტყის დამზადების პირობებს ვეცნობოდით.

დავითი — (მოუთმენლობას იჩენს) რა ლამაზი ტყეა! შემდეგ?

შალვა — შემდეგ ჩრდილში, ღელეში, ლოდზე სუფრა გაშალეს. ამათ, ორთავეს, აბრეშუმის კოხტად დაუთავებელი კიტელები ეცვათ, ქვევიდან მდინარე გვიშხაბუნებდა, ზევიდან წითელი ლვინო.

დავითი — მერე?

შალვა — მერე-და, როცა შინ დავბრუნდით, შევნიშნე, რომ ჩემს თეთრ ხალათზე იქ ნახული და განცილილი სულ მთლიანად აღბეჭდილიყო, ყველაფერი ზედ აჩნდა: ღვინის წვეთები, ხავსისა და ფოთლების სიმწვანე, ეკლების ნაკაწრი; იმათ კიტელებს კი ღვინის არც ერთი წვეთი არ აჩნდა.

დავითი — (ელიმება) მერე ამითი რისი თქმა გსურს?

შალვა — იმისი, რომ იმ დროს, როდესაც ისინი სტუმრებს ეფიცებოდნენ, — თქვენთვის სიცოცხლეს არ დავზოგავთო, თურმე თავიანთ კილეტებს უფროსილდებოდნენ.

დავითი — (სიცილი აუტყდება) არა, ძმაო, შენ ცხოვრებაში თურმე ჩემზე ღრმად ყოფილხარ ჩახედული. ახლა ერთ რამეს გკითხავ და ნურც იმაზე დამემდურები.

შალვა — გისმენ.

დავითი — შენზე ზომ არ ეკვიანობს?

შალვა — კარგი, თუ კაცი ხარ, სხვა რამე მკითხე.

დავითი — (თითქოს დანაშაულში გამოტეხაო) უთუოდ რალაც იგრძნო, ალბათ ამის გამო უფრო გემტერება. (ჩაფიქრდება) ისე, ლამაზი ცოლი კი ჰყავს.

შალვა — (ღიმილით) ჩემზე ამბობდი, შენ, თურმე, გულში ასეთ რამეებს გაივლებ?

დავითი — გულში ვფიქრობო კი არა, საჯაროდ ბევრჯერ მითქვამს, მთელ ქვეყანას ვეუბნები, რომ მასეთი ლამაზი ქმნილება ამ ქვეყნად მეორე არ დაიარება. მხოლოდ ის მიკვირს, ამ ადამიანს როგორ გაჰყვა.

შალვა — ე-ე! მოხუცო, ახალგაზრდული გული გქონია... (შემოდის თინათინი, საშაფხულო პალტო აცვია, გარეგნულად ძლიერ ლამაზად გამოიყურება, ხელში იების კონას ათამაშებს).

დავითი — (სახეზე, დიდი კმაყოფილება აღბეჭდვბა) მობრძანდით, ქალბატონო თინათინ, მობრძანდით!

თინათინი — (ტკბილი ხმით) აქ არიან?

დავითი — დიახ. ზომ არ შებრძანდებით?



თინათინი — არა.

დავითი — მაშ აქ დაბრძანდით. (სკამს მიაწოდებს, თინათინე ჩამოჯდება) ამ ნახევარი საათის წინათ ცა ლამის ჩამოიქცა, ახლა შეხედეთ, იქნებაც გამოაჭყიტა.

თინათინი — გაზაფხულის დღეები შემოგვებარა, ბატონო დავით.

დავითი — ძლიერ მიყვარს ეს დრო.

თინათინი — ბევრი სიხარული მოაქვს.

დავითი — (იებს შენიშნავს) ხელში იები გაქვთ, ნამდვილი იები?

თინათინი — დიახ! წელს ძლიერ ადრე გამოჩნდნენ, ციხის ნანგრევებთან შეუნიშნავთ მეზობლის ბავშვებს, მომირბენინეს. ერთი შემთხვევა თქვენ მოგიძღვნათ, ბატონო დავით (აწვდის).

დავითი — (შეშფოთდება) პირიქით, ჩვენ უნდა გთავაზობდეთ, არ მივიღებ.

თინათინი — (მაგღიღე ჩამოდებს. შალვას ნიშნის მოგებით) მეორე კონას კი ვერ გავიმეტებ.

დავითი — ამასაც არ უნდა იმეტებდეთ, ქალბატონო თინათინ. მაგრამ რა გაეწყობა (იებს აიღებს, ყნოსავს, იქვე ქალაღებზე დადებს. ამჩნევს, რომ თინათინი თავს უხერხულად გრძნობს). თუ გნებავთ, ვაცნობებ, რომ თქვენ აქ ბრძანდებით.

თინათინი — არ არის საჭირო. იცით, რის გამო გეახელით, პატივცემულო დავით?

დავითი — ბრძანეთ.

თინათინი — (გალიმებული) შალვა უნდა დატუქსოთ, ძლიერ დატუქსოთ.

დავითი — რისთვის?

თინათინი — ჩვენზე ხელი აიღო, აღარ გვეკარება. ამას წინათაც გვევანდნენ სტუმრები... შეიღს გეფიცებით, თვალები სულ კარებისაკენ მქონდა, ველოდი, არ მოვიდა. დღეს უთუოდ უნდა გვესტუმროთ (წამოდგება, წასვლას აპირებს).

დავითი — უტყველად (კაბინეტიდან ჩოჩქოლი მოისმის, თინათინი გრძნობს, რომ მათ ვერ გაასწრებს, ამიტომ კვლავ ჩამოჯდება, იმგვარ სახეს მიიღებს, თითქოს მათ მოლოდინშია. გამოდიან სტუმრები. ლონგინოსს ემჩნევა, რომ თინათინის აქ მოსვლით უკმაყოფილოა).

ლონგინოზი — (სტუმრებს) გაიცანით, ჩემი მეუღლე გახლავთ. (სტუმრები ხალისით ეცნობიან).

აბესალომი — სასიამოვნოა.

ზურაბი — (თინათინს) ჩვენ, ვგონებ, ერთად ვიმგზავრეთ.

თინათინი — დიახ, დიახ, შარშან ბაქურიანიდან. წამობრძანდით, ბატონებო, წამობრძანდით (შემორბის ტიტკო, ტანისამოსი გამოუცვლია).

ლონგინოზი — (დავითს მიუბრუნდება) სახერხი ქარხნის ანგარიშებიც გაამზადეთ.

დავითი — ყველაფერი, ყველაფერი წესრიგში მაქვს. (სტუმრები უკვე ოთახიდან გავიდნენ, თინათინი მათ მიუძღვება, ტიტკო ლონგინოსს კარებში შეაჩერებს).

ტიტკო — ჩემზე გეტყოდა რამეს, ცოლ-შვილს გაფიცებ, მითხარი, რა გითხრა.

ლონგინოზი — (ცივად) დიდი სალაზანა არისო. (ტიტკო საბტად რჩება. ლონგინოზი მიღის, ტიტკო უხალისოდ აედევნება).

დავითი — (შალვას) ჩვენც წავიდეთ.

შალვა — წავიდეთ. (დავითი სალაროს ალებს, თავის დავთრებს, ქაღალდებს სათუთად შეაღაგებს, სალაროს კვლავ კეტავს, შალვა ფიქრებიდან ქრკვევია) ბოდში, ბოდში, ეს ქაღალდებიც შევიწახოთ.

დავითი — კი, ბატონო! (სალაროს ალებს, ზემოუჯრიდან გადმოაქვს ქაღალდები, წინ დაუღაგებს) აი თქვენი საბუთები, მე ამათ არ ვეხები.

შალვა — ჩაუკერო?

დავითი — ძველებურად გადმოკარი? რა ვქნა, ჩაუკერებელ, დაუნორიავ საბუთებს მე ისევე ვერ ვიტან, როგორც ოჯახში უადგილო ადგილას დადებულ ნივთს. ეს ჩვენი, ბულალტრების, დამახასიათებელი თვისებაა, ამის გამო ნუ იცი ჩანისკარტება.

შალვა — (საბუთებს ქაღალდებში აკერებს, სალაროში მისთვის განკუთვნილ ადგილას დებს) საქმიან ქაღალდებისადმი ამგვარ დამოკიდებულებას მე უკვე შეეჩვიე, პატივცემულო დავით, ამას ნაკლად არ გითვლით.

დავითი — (თბილ ჯელსახვევს მოიხვევს, პალტოს იცვამს, თანაც საუბარს განაგრძობს) ზამთარში თქვენ ხომ ხშირად შეგიმჩნევიათ, რომ მე ჩიტებს საკენეს ვუყრი, სხვათაშორის (თითქოს დიდად მნიშვნელოვან რამეს ჰყვება) ამ სოფლის ყველა ჩიტი მიცნობს. რატომ ხდება ეს? განა მარტო იმის გამო, რომ, ვთქვათ, მე გულკეთილი ვარ? არა, მარტო ამის გამო არა! ეს ხდება იმიტომ, რომ მე ნერვები დამშვიდებული მაქვს. ნერვები დამშვიდებული მაქვს, რადგან ყველა საბუთი ყოველთვის წესრიგში მაქვს, სუფთად და ლამაზად შენახული. ბულალტრად ორმოცდაათი წელია, ვმუშაობ, ხუმრობა ხომ არ არის!

შალვა — (სიყვარულით აკვირდება) მხნედ გამოიყურებით, მომხიბვლელად, თოვლივით თეთრი თმა და ასე სქელი, ასე აქონრილი?

დავითი — (კედელზე მაყუდებულ ჯოხს აილებს) ამ ჯოხის ტარებას, იცი, რატომ დავეჩვიე? ზამთარში კალოშები სრიალებენ, ჩემი კალოშები, თორემ ისე, არ მპირდება (ესმით ძახილი).

შალვა — (ფანჯარას ალებს, გადასძახებს) მოვდივართ, მოვდივართ! (შალვაც ემზადება წასასვლელად).

დავითი — (ფანჯრიდან იხედება) ლილი ყოფილა! (ჩაფიქრდება) ამ ქალიშვილზე როცა ვიტყვი, მებრალეება-მეთქი, უკვრით, ჩემში კი მაინც სიბრაღელს იწვევს.

შალვა — რატომ?

დავითი — იმის გამო კი არა, რომ უცნაურად გადაკეთებული პალტო აცვია... იმის გამო, რომ უფრო უკეთესისაყენ აქვს სწრაფვა, თავის მდგომარეობით არასოდეს უკმაყოფილო არ არის, მაგრამ რაღაც სხვა სურს, კიდევ უკეთესი. (ოთახიდან გადიან. დარო ოთახის დაღაგებას განაგრძობს. შემოდის ელიოზი).

დარო — (ელიოზის დანახვა გააზარებს) სად ხარ, ბიჭო? სამი დღეა, თვალი ვერ მოგკარი.

ელიოზი — ხან რისთვის მგზავნიან, ხან რისთვის. ვეუბნები: მანქანა სარემონტო-მეთქი, საქმე არა გაქვს! ახლა კიდევ ამათ მოსაყვანად გამგზავნეს. რომ გამგზავნეს, ეგ არაფერი, გზაზე ისეთი ნიაღვრები იყო, რომ, როგორ გამოვტოპე, მე თვით არ ვიცი. რაც ეს წელი დადგა, სულ მაგ დღეში ვარ. დაიჯერებ თუ არა, სამი დღეა, თვალი არ მომიხუჭავს.



- დ ა რ ო — შენც ახლა მანქანა დააყენე და ფეხი არ მოიცვალო.
- ე ლ ი ო ზ ი — საქმეც ეს არის, რომ მეუბნებიან: მანქანა დააყენე, ფეხი არსად გადადგაო!
- დ ა რ ო — მერე და შენც ეგ არ გინდა?
- ე ლ ი ო ზ ი — ეგ რად მინდა! ერთი ჩემს კეკუაზე არ უნდა გავიარო? რამდენი ხანია, ბრეძაში მელოდებიან, ჩემიანებს არ უნდა მივაკითხო?
- დ ა რ ო — ბრეძა რა შორს არის, ადექი და ფეხით ჩაირბინე, ბიჭო.
- ე ლ ი ო ზ ი — შოფერი კაცი რომ სოფელში უმანქანოდ შევიდეს, არ უხდება. შენ ის მითხარი, აქეთ რა ამბებია, დარო.
- დ ა რ ო — (ჩაფიქრების შემდეგ) გადაეწყვიტე, რომ სიმათლე გითხრა, თორემ შენთვის არ ივარგებს, ცოდო ხარ.
- ე ლ ი ო ზ ი — სთქვი.
- დ ა რ ო — ყველაფერი გამოვარკვიე: ლილი შენ არ წამოგყვება. (ელიოზს გუნება შეეცვლება, ჩამოჯდება) ლამაზი ბიჭი ხარ, შენი სახლის შუშაბანდის სინათლე ბრეძიდან წაღვლამდე წვდება, ის კი ვერ ხედავს, თვალუბიე დაუდგეს! თვალი მასზე ისეთ ბიჭს უჭირავს, რომ შენ ვერაფერს გახდები.
- ე ლ ი ო ზ ი — ვის?
- დ ა რ ო — შალვას.
- ე ლ ი ო ზ ი — ექვი მქონდა, არ მჯეროდა. ნამდვილია?
- დ ა რ ო — ნამდვილია! თავს ნუ დაიხაგრავ! (შემოდის ლონგინოზი).
- ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — (დაროს) ინეინერი სად არის?
- დ ა რ ო — (ფანჯრიდან იხედება) ახლა აქ იყო, მგონი; ჭარხნისაკენ წავიდა.
- ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — დაუძახე! (დარო სწრაფად მიდის, ლონგინოზი ჩამოჯდება ელიოზს თვალებს არ აშორებს) შენ მაინც რას მერჩოდ?
- ე ლ ი ო ზ ი — მე?! მე მეუბნებით?
- ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — დიახ, შენ გეუბნები. წუხელ რომ კრებას დასწრებოდი, ვითომ რა დაგიშავებოდა?
- ე ლ ი ო ზ ი — რანაირად დავესწრებოდი, როცა აქ არ ვიყავი.
- ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — ქორივით დამაფრინდა; არავეინ ხმა არ ამოიღო, წიწილებით გაინაბნენ... რისი ეშინიათ?? — მართლა ქორი ხომ არ ჰკონიათ? მე თუ არ გამომესარჩლებოდი, შენ სახლს მაინც დაიცავდი.
- ე ლ ი ო ზ ი — ჩემი სახლიო?
- ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — შენს სახლსაც დაუშინეს ტალახი, — აქედან გაზიდული მასალით ააგოო.
- ე ლ ი ო ზ ი — (გაუბედავად) აქედან გაეზიდეთ, მაგრამ მასალის ღირებულება თქვენ მიერ მოგზავნილ კაცს მამაჩემმა ხომ მთლიანად გადაუხადა?
- ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — (ნაწყენი) კიდეც კარგი, რომ წუხელ არ მოხველი! კრებაზედაც ამას იტყვი? მადლობელი ვარ!
- ე ლ ი ო ზ ი — (დამნაშავესავით) მე თქვენ გეუბნებით... თქვენთან ხომ შემიძლია ის ვთქვა, რაც ნამდვილად იყო?
- ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — ესე იგი, ღმერთმა ნუ ქნას და, მე რომ გამიჭირდეს, შენი იმედი არ უნდა ვიქონიო.
- ე ლ ი ო ზ ი — (გულუბრყვილოდ) რატომ ამბობთ? გაჭირებაში მე თქვენ არ გამოგვიცდივართ.

- ლონგინოზი — (შეშვარავად) ისეთებმა მილატეს, მფარველად რომ არ გამოეჩინოდი, დღეს მათი ძვლებიც არ იქნებოდა, შენი ფეხდუქთუგორ უნდა მქონდეს?
- ელიოზი — ჩემზე ამას ნუ იტყვი! ჯერ გამომცადეთ, მერე ილაპარაკეთ. (ჩაფიქრდება) კვლავ ის იაგორა იქნებოდა.
- ლონგინოზი — აი, იაგორამაც რომ შეატყო, კაცის წაქცევა უნდათო, — ვაჟკაცურად მოიქცა, იჯდა და ხმა არ ამოუღია.
- ელიოზი — ის იქნებოდა, სახელი რა ჰქვია, რაიკომიდან რომ არის მომავრებული, მაღალ-მაღალი.
- ლონგინოზი — არა!
- ელიოზი — მამ, ვინ?
- ლონგინოზი — შენი მეგობარი.
- ელიოზი — ჩემი მეგობარი?
- ლონგინოზი — დიახ! აი, ის (სახელის თქმა უძნელდება) შალვა!
- ელიოზი — (გულმოკლული) ჩემი მეგობარი საიდან არის? ვინ თქვა, ჩემი მეგობარი არისო? მართალი არ არის!
- ლონგინოზი — რატომ?
- ელიოზი — ნუ მკითხავთ! თქვენ არ იცით, ჩემს გულში რა ცუცხლი ტრიპლებს (შემოდის შალვა. ელიოზი წასვლას აპირებს).
- ლონგინოზი — (ეტყობა, რომ რაღაც მოსაზრებას ჩაეკიდა) მე შენთან საქმე მაქვს.
- ელიოზი — აქ ვარ, არსად არ მივდივარ. (გადის).
- ლონგინოზი — (შალვას არ შეხედავს) შინ მისვლისთანავე რაიკომიდან დამელაპარაკენ (იმგვარად ამბობს, რომ ცდილობს ნათქვამს განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცეს) გუშინდელი კრების მასალების სასწრაფოდ გადაგზავნას მოითხოვენ.
- შალვა — ყოველივე ამას, მე ვგონებ, პარტორგანიზაციის მდივანი მოაგვარებს.
- ლონგინოზი — (ახლა უკვე თვალბში მიაჩერდება) ნუთუ ჩემს ნათქვამს ვერ მიხვდით?
- შალვა — მე ვფიქრობ, სრულიად მარტივი რამ მითხარით. — პასუხიც ამგვარივე მოგეცით.
- ლონგინოზი — არა! ჩემი ნათქვამი ვერ გაგიგია!
- შალვა — გასაგებად სთქვით.
- ლონგინოზი — ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდები.
- შალვა — უფრო გასაგებად, თქვით.
- ლონგინოზი — დიდი სასჯელი მოგელით!
- შალვა — (აუღელვებლად) ჰეშმარითად პარტიული ადამიანი სასჯელს თავს არ უნდა არიდებდეს.
- ლონგინოზი — რატომ?
- შალვა — სასჯელი ადამიანს დანაშაულს უმსუბუქებს.
- ლონგინოზი — (შეურაცხყოფილი) თქვენ ასეთი ვინთ ვის ელაპარაკებით?
- შალვა — მე გულწრფელად ვამბობ: თქვენ წინააღმდეგ ისეთი ბრალდებებით გამოვედი, რომ, თუ ისინი მოგონილია, მე უსათუოდ უნდა დავისაჯო.
- ლონგინოზი — მე მსურს სასჯელი აგაცდინოთ.
- შალვა — მე ვერაფერითარ შემთხვევაში ვერ ავიცდენ!



ლონგინოზი — მე უკვე გაგაფრთხილეთ... სხვა შე არაფერი არ შემოქმედია, ამის შემდეგ რაც მოგივია, შენს თავს დააბრალე; მასალებზე და რაღაცეებზე და სახით გადაიგზავნება, რა სახითაც ამეამად გვაქვს.

შალვა — როგორ? თქვენ შესწორებას აპირებდით?

ლონგინოზი — თქვენს სასარგებლოდ.

შალვა — კეთილშობილ ადამიანს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე კი არა, ორლობაში ნათქვამის გაყალბების უფლება არა აქვს.

ლონგინოზი — გინდა მოთმინებიდან გამომიყვანო? — კეთილი (მუქარით) იცოდეთ, რომ ხვალ ან ზეგ გამოგვიძახებენ და თქვენს სიტყვებზე პასუხისმგებელი ხართ!

შალვა — წინააღმდეგ შემთხვევაში მე შეურაცხყოფილი ვიქნებოდი.

ლონგინოზი — (გაოცებულია) რატომ?

შალვა — როგორ? ვთქვა და ანგარიში არ გამიწიონ? მაშინ მე ვინ ვყოფილვარ!

ლონგინოზი — (რაკი ვერაფერს გახდა, სხვა მხრივ მიუღდება) თქვენ მე გუშინ ისეთი ბრალდებები წამომიყენეთ, რომ მიწასთან გამასწორეთ; საინტერესოა, ვიცოდეთ, ამ ბრალდებების დასამტკიცებლად რაიმე საბუთი გავქვთ?

შალვა — მე ეს არც მაინტერესებს.

ლონგინოზი — რას ამბობთ! უსაბუთოდ შეიძლება ადამიანს თავს დაესხან?

შალვა — საბუთებს იმ შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც ადამიანს რომელიმე კონკრეტულ დანაშაულზე მიუთითებენ, მე კი საერთოდ არ მომწონს... (სიტყვებს ეძებს).

ლონგინოზი — (მოთმინებას კარგავს) რა არ მოგწონს?


შალვა — თქვენი ცხოვრება! თქვენი ზრახვები! თქვენი მისწრაფებები!

ლონგინოზი — (შეძრწუნებული და, თანაც, გაოცებული) ვინ ხარ შენ? რა აღმირანი ხარ? გამაგებინე!

(ფარდა)

— . —

მეორე მოქმედება



დიდი, ღვინავილი მორთული ოთახი ლონგინოზის ბინაში. გაშლილ სუფრას უსხედან: ლონგინოზი, თინათინი, აბესალომი, ზურაბი, დავითი, ლილი, ტიტოკო. ვმჩნევთ, მოუღებნიათ.

აბესალომი — (ფეხზე დგას, სიტყვას განაგრძობს)... აქ ისეთი აზრი გამოითქვა, რომ ჩვენ, სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელნი, თითქოს ყოველთვის, ყოველგვარ ვითარებაში ოფიციალური პირნი ვართ.

ზურაბი — მე ეს არ მითქვამს.

ტიტოკო — (თავს გამოიდებს) ამნაირი ლაპარაკი აქ არ ყოფილა, ბატონო, არა.

ზურაბი — მე ვთქვი, რომ საჭიროა ხანდახან გამოგვითიშონ ოფიციალური მდგომარეობიდან-მეთქი.

აბესალომი — დიახ, დიახ, დიახ, მეც ამას მოგახსენებთ (ტიტოკო, რაკი შეამჩნევს, რომ საუბარი მშვიდობიან ხასიათებს იღებს, დაცხრება) როგორც ყოველ საბჭოთა მოქალაქეს, ჩვენი მოვალეობა მუდამ უნდა გვახ-

10303

სოედეს, მაგრამ საკუთარი ცხოვრებაც გვაქვს, საკუთარი სურვილებიც ჩვენც თქვენებრ ზოგი რამით მოვიხიბლებით, თავდავიწყებაც შეგვეცქმით. ზოგჯერ ჩვენც შეგვიძლია ანგარიშმიუცემლად შეეტროპოთ ნახარტულში.

ტიტიკო — საესებით გეთანხმებით, სწორი ხართ, ამხანაგო აბესალომ!

ლონგინოზი — (ტიტიკოს) ხელს ნუ უშლი.

ტიტიკო — თამადას შენიშენას არ აძლევენ, ამხანაგო ლონგინოზ.

აბესალომი — გულახდილად უნდა მოგახსენოთ: მე უმეტეს შემთხვევაში სარწმუნოდ მიმაჩნდა ის ბრალდებები, რომლებიც სხვადასხვა გზით ჩვენამდე აღწევდა და რომელთაც ამხანაგ ლონგინოზს უყენებდნენ. მართალია, საქმეს ჯერ საფუძვლიანად არ გავცნობივართ, მაგრამ გავეცანით მის ოჯახს და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ იმ ადამიანს, რომელსაც გვერდს ქალბატონი თინათინი უმშვენებს, შეუძლებელია მრავალი ღირსებები არ ახასიათებდეს; შეუძლებელია, დიდ მორალურ სიმაღლეზე არ იდგეს ის ოჯახი, რომელსაც ქალბატონი თინათინის ფაქიზი, მზრუნველი ხელი დასტრიალებს, მისი ღიმილი დასციმციმებს (საერთო აღტაცება).
თინათინი — (თავს უხერხულ მდგომარეობაში გრძნობს) მადლობას გწირავთ.

ზურაბი — (თინათინს) თქვენს სადღეგრძელოსთან დაკავშირებით მე მაგონდება ნათქვამი ერთი ჩენი თანამგზავრისა; ჩვენ გვეგონა, რომ თქვენ ჩვენთან ერთად თბილისამდე მგზავრობდით, მაგრამ როდესაც, მოულოდნელად, აგარის სადგურზე ჩამობრძანდით, ერთ-ერთმა იმ ყმაწვილკაცების წრიდან, რომელთაც ის-ის იყო სუფრა უნდა გავშალათ, თქვა: ასე მგონია, მთელი მატარებელი დაცარიელდაო!

დავითი — (აღტაცებულია) აჰა, აჰა-ჰა, იმდენად კარგი ღირსების ადამიანი ჩამოვიდაო! ახლა მივხვდი, კარგად უთქვამს!

ზურაბი — (სიცილით) ერთმა კიდევ იცით, რა თქვა? ასეთ ცუდ სადგურზე ასე კარგი მგზავრის ჩასვლა როგორ შეიძლებაო.

თინათინი — უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ. მეტიმეტად უხერხულ მდგომარეობაში.

დავითი — (ცვლავ აღტაცებით) იმ მეორესაც კარგად უთქვამს. თქვენ რას იტყვით, ტიტკო?

ტიტიკო — ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო; მეცხრე წელია, თინათინი ლონგინოზს გვერდში უდგას და მისგან ბევრი რამე ისწავლა.

დავითი — ნეტავ, ეს არ გეთქვათ.

აბესალომი — (თინათინს) შეილი, ვგონებ, ერთი გყავთ?

თინათინი — დიახ.

აბესალომი — სკოლაში დაიარება?

თინათინი — მეორე კლასში გახლავთ.

ლონგინოზი — ვეუბნები: ბავშვთან იყავი, აქეთ ნუ მოდიხარ, ბავშვს მოვლა და ყურადღება უნდა-მეთქი, მაგრამ მაინც აქეთ გამოიბრის.

აბესალომი — ესე იგი უთქვენოდ ვერ ძლებს.

ლონგინოზი — ასე გამოდის.

თინათინი — (მორცხვად) ბავშვი თბილისში ჩემს დასთან არის. მოვლა და ყურადღება არ აკლია.

აბესალომი — და ამიტომაც აქეთ ეშურებით, რომ ქმარს ხელი შეუწყვით, რომ მას მოუაროთ? მომწონს, ასე უნდა!



ზ უ რ ა ბ ი — (თინათინს) ქმარ-შვილის კარგად ყოფნას, დღევარძელობას გი-
სურვებთ, ქალბატონო თინათინ.

თ ი ნ ა თ ი ნ ი — მადლობას მოგახსენებთ. (ყველა სვამს თინათინის სხედვე-
გრძელოს).

დ ა ვ ი თ ი — (თინათინს) ლილი რატომ არის მოწყენილი?

თ ი ნ ა თ ი ნ ი — (ლილის ხელს გადახვევს) წუხელ მესმარებოდა, დაიღალა.
განუწყვეტლივ ჩემი ქება ისმის, ნამდვილად კი ამ სუფრაზე რასაც ხედავთ,
მეტწილად ლილის ნახელავია.

დ ა ვ ი თ ი — დაღლილია თუ მოწყენილი, ამას არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენი
თხოვნა მაინც უნდა შეასრულოს.

თ ი ნ ა თ ი ნ ი — უმჯველად, უმჯველად. სხვებიც მალე მოვლენ და ლილის ყვე-
ლანი მოვუსმენთ.

ლ ი ლ ი — უხერხულ მდგომარეობაში ნუ მაყენებთ, მე რა უნდა ვთქვა? ვერა-
ფერს ვერ ვიტყვი.

ა ბ ე ს ა ლ ო შ ი — (თინათინს) შალვა რატომ არ გამოჩნდა?

თ ი ნ ა თ ი ნ ი — კაცი გავგზავნეთ, ალბათ მოიყვანს.

ლ ო ნ გ ი ნ ო შ ი — (აბესალომს გააგონებს) ეხ! თუმცა კაცმა კაცზე ცუდი არ
უნდა თქვას, მაგრამ...

ა ბ ე ს ა ლ ო შ ი — რა სთქვით?

ლ ო ნ გ ი ნ ო შ ი — არაფერი, არაფერი. (პაუზა) როგორ ფიქრობთ, ლამაზია
მისი საქციელი? თქვენდამი ასეთი დამოკიდებულება მოსაწონია?

ა ბ ე ს ა ლ ო შ ი — ჩვენდამი დამოკიდებულებისა რა მოგახსენოთ, მისი საქ-
მისადმი დამოკიდებულებით კი მოხიბლულები ვართ. (ყველა ყურადღებას
მიაქცევს) ეტყობა, მუშებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მაღალი
მაჩვენებლები აქვს.

დ ა ვ ი თ ი — (გაუბედავად) ხალხს უყვარს, ეს ნამდვილია. (ლონგინოში უკმა-
ყოფილოდ გადახედავს).

ტ ი ტ ი კ ო — ზოგს ეხერხება თავის გამოჩენა, ბატონო, ზოგს არა.

დ ა ვ ი თ ი — ესეც მართალია.

ტ ი ტ ი კ ო — ზოგიერთი კაცის პატარა საქმე დიდად ჩანს, ზოგიერთი კაცის
დიდი საქმე შეუმჩნეველი რჩება.

ზ უ რ ა ბ ი — ამაში ვერ დაგეთანხმებით, მაგრამ...

ტ ი ტ ი კ ო — ვერ დამეთანხმები? ზოგიერთ კაცს რომ ცოდნა და გამოცდილება
აქვს, იმდენი შე ქვითარები მაქვს აქეთ-იქით ჯიბეებში ჩაკუჭული, მაგრამ
თავი იმას დიდად მოაქვს, მე კი ვითომ არაფერი. მაგრამ ამას ახლა თავი
დავანებოთ. თქვენ, როგორც ჩანს, არც ერთი არ გამომადგებით. ისევ და-
ვითს უნდა მივმართო, პატივცემულ დავითს უნდა ვთხოვო, იმღეროს.

დ ა ვ ი თ ი — შე რატომ? აქ ახალგაზრდები არიან. ახალგაზრდებს სთხოვეთ.

ტ ი ტ ი კ ო — არა, თქვენი სიმღერა სჯობს, ძველი ღვინის გემო აქვს. მაგრამ
ჯერ ერთ სადღევარძელოს ვიტყვი და შემდეგ, ბატონო დავით.

დ ა ვ ი თ ი — ბრძანეთ.

ტ ი ტ ი კ ო — ამ ჭიკით მშრომელ კაცს გაუმარჯოს, საქმეს რომ აკეთებს, იმ
კაცს გაუმარჯოს! მე საქმე მიყვარს, ოღონდ საქმე ვაკეთო და ჩემზე ვინ
რას იტყვის, ეს ჩემი საქმე არ არის; ამ ცხოვრებაში სულ თავჩაღუნული
ხომ არ იქნები, იქით-აქეთ თუ მიიხედ-მოიხედე, რამდენ რამეს დაინახავ:
შინაური და გარეული, დიდი თუ პატარა, ქორწილები, ქელეხები, მტერი

და მოყვარე, — ყველგან უნდა გამოჩნდეს, ყველას პასუხი უნდა გაცემას წინათ ჩემი სიდედრის ქელებში აქედან-იქიდან მეკითხებოდნენ: შენ თის ხილი საიდან იშოვეთ, ვიშოვე, ბატონო, ვიშოვე და გაჩაგრეს (ცქერნიან) მთავრობას არ ვაზარალებ, შენ არ მოგპარავ და მე თუ ვიშოვი, შენ რა გინდა?

ზ უ რ ა ბ ი — საიდან უნდა იშოვოთ?

ტ ი ტ ი კ ო — ფულუროდან, ხის ფულუროდან. იქნებ ხის ფულუროდან ვიღებ, შენ რატომ უნდა გითხრა მაინცდამაინც? რა სავალდებულოა, ვერ გამოგია (აბესალომი ლონგინოზს გადაუჩურჩულებს. ტიტუკო შენიშნავს, მიხედება, რა შეეკითხა) არა, მე უპარტიო კაცი ვარ, მაგრამ ცოტა რამე გამოგება. ისეთ კაცს გაუმარჯოს, საქმეში კამეჩივით რომ არის ჩაფლული სხვებმა უტლაშუნონ შოლტები, ის აიტანს, მაგარია. (ლონგინოზი ამჩნევს, რომ აბესალომი და ზურაბი სადღეგრძელოთი აღფრთოვანებული არ არიან).

ლონგინოზი — (წამოდგება, ტიტუკოს სიტყვას ართმევს) ამ სადღეგრძელოში ცოტა სინათლის შეტანაა საჭირო! ესე იგი, იმ კაცს გაუმარჯოს, რომელსაც დაბრკოლებები ვერ შეაშინებს, გადალაზავს მათ, რომელიც მთელ თავის ცოდნასა და ძალას გამოიყენებს იმისათვის, რომ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულოს!

ტიტუკო — ეს ვთქვი მე, სხვა კი არაფერი.

ლონგინოზი — (ტიტუკოს უურადლებას არ აქცევს, ზურაბს მიმართავს) ამ სადღეგრძელომ გამახსენა: სხვათაშორის, ჩემზე ეს იმას არ უნდა ეთქვა!

ზ უ რ ა ბ ი — (სიცილით) მე ეს სხვათაშორის გითხარი, შენ კიდევ გულში ჩაგრჩენია.

ლონგინოზი — არ უნდა ეთქვა.

ზ უ რ ა ბ ი — ხელმძღვანელი ამხანაგია, კოლეგიის წევრია; თავისი შეხედულებება, თავისი მოსაზრება აქვს.

ლონგინოზი — მე ვიცი, რაზედაც არის ნაწყენი. სხვას რა ესია მოვინება, მე იმას არ ვუყურებ. მე იმას ვაკეთებ, რასაც საქმე მოხოვს... (ხმამალა და კატეგორიულად აცხადებს) კაცის კაცი მე არასოდეს არ ვყოფილვარ!

ტიტუკო — ეგ თუ ნაკლია ადამიანისათვის, მაშინ რა ექნა, ეს ნაკლი მაქვს, ამისათვის მომკალით, თუ გინდათ, — მე ლონგინოზის კაცი ვარ! რაც მართალი მართალია, ეს სისუსტე მაქვს, ლონგინოზი რომ წყალში გადავარდეს, მეც უნდა გადავხტე, ასეა და რა ექნა! რას იტყვით, პატივცემულო დავით.

დავითი — (უხერხულ მდგომარეობაშია) თუ სიყვარულით გამოწვეულია, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რამეც შეიძლება ჩაიდინოს ადამიანმა.

ტიტუკო — ეგ საინტერესო საკითხია, მაგრამ მე ახლა ვწყვეტ ლაპარაკს... ჩვენ ახლა სხვა რამე გვჭირდება... ერთ რამეს ვთხოვ პატივცემულ დავითს და, მე მგონია, ხათრს არ გამიტებს.

თინათინი — (სტუმრებს) პატივცემული დავითი მეტად სასიამოვნოდ მღერის (ყველა დავითს მიაქცევს უურადლებას, სავრთო მზიარულებას).

დავითი — გარწმუნებთ, რომ არ არის მართალი.

თინათინი — მერწმუნეთ, რომ ტკბილი, სასიამოვნო ხმა აქვს. (მომოდის ელიოზი, შეუმჩნეველად ჩამოჯდება. თინათინი დავითს გიტარას მიაწოდებს, დავითის გარშემო ფუსფუსი გრძელდება).



- ლონგინოზი — (ელიოზს ცალკე გაიხმობს) რა ჰქენი?
- ელიოზი — (შემკრთალი) მეოთხე გასაღებიც დავამზადე.
- ლონგინოზი — მერე?
- ელიოზი — მოერგო, გვაღე.
- ლონგინოზი — გამოიტანი?
- ელიოზი — გულმა უარი მითხრა, ვერ გაებედე, იქნებ...
- ლონგინოზი — მაშინ ჩემთან რას მოდიოდი, ჩემო ძმაო, რას მეხევეუბოდი, მიშველეო.
- ელიოზი — იქნებ სხვა გამოსავალი იყოს, იქნებ საჭირო არ იქნეს.
- ლონგინოზი — ჩემთვის იქნება საჭირო არ იყოს, მაგრამ შენთვის ხომ აუცილებელია? ამ გზით, თორემ სხვაგვარად შენი საქმე წაგებულა! (ჩაფიქრდება) იქნებ უკვე აღარ გადარდებს ის ამბავი (ხმას შეიცვლის) მაშინ სხვა საქმეა, მაშინ როგორც გნებავს, ძალას კი არ გატან.
- ელიოზი — (მტკიცედ) ყველაფერს დაეთმობ, მაგ ქალის სიყვარულს კი ვერაოთხი წელია მას შევეყურებ... აქ მე ჩამოვიყვანე... ჩვენი ამბავი ცა და ქვეყანამ იცის, მის გამო კაციც რომ მოვეკლა, არავინ არ გამიძეყუნებს.
- ლონგინოზი — მაშინ ნულარ იგვიანებ, შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებ. ბროლის კოშკში შესაყვანი ქალი ერთი საბარგო მანქანის პატრონს შეგყვარებია და თავი არ გინდა შეიწყუხო? ჰკეაზე მოდი! (დიდხანს აკვირდება) ერთ რამესაც გეტყვი, მაგრამ გამოგებ? ვინც ბედნიერებას ეპოტინება, მან სხვის უბედურებაზე არ უნდა ინალვლოს.
- ელიოზი — კი მაგრამ...
- ლონგინოზი — არავითარი „მაგრამ“. მას როცა მოიშორებ, მერე უკვე (შემპარავად) საშფოთებელი არაფერი გექნება, ის ქალიშვილი თვითონ შემოგხედავს, თვითონ გაგიღიმებს! (ამჩნევს, რომ ელიოზი ყოყმანობს) ვერ გადაწყვიტე? როგორც გნებავს, კარგად დაუფიქრდი შენს საქმეს (თითქოს თვით არ არის დაინტერესებული), როგორც შენთვის სჯობდეს, ისე მოიქციე! თუმცა ახლა, იცი, რა გითხრა, ერთ რჩევას მოგცემ, მე ვფიქრობ, შენთვის ეს აჯობებს: მიაფურთხე ეშმაკს! ამოიღე მაგ ქალის სიყვარული გულიდან... მერე სადარღებელი არაფერი გექნება, შენც დამშვიდდები და შენი მანქანაც.
- ელიოზი — (ამგვარი რჩევისაგან ცეცხლმოკიდებული) ამ გზას თუ დავადექი, მაშინ, იცი, რას ვიზამ? ამ ჩემს მანქანას კლდიდან პირდაპირ უფსკრულში გადავაფრენ!
- ლონგინოზი — მაშინ რაკი ასეა, როგორც გითხარი, ნულარ იგვიანებ! შენ სხვა გამოსავალი არა გაქვს! (ელიოზს აკვირდება, ამჩნევს, რომ ის მტკიცე გადაწყვეტილებას დაადგა. ელიოზი წასვლას აპირებს) მხოლოდ გახსოვდეს: მოსპე კვალი, არ დატოვო! (ელიოზი მიდის. ლონგინოზი სტუმრებს მიუბრუნდება) აქეთ რა ამბავია? სტუმრები არ მომიწყინოთ! კვირა დღეა, კარგად მოვილხინოთ! (შემოდინ შალვა და სანდალა) ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! (მათი მოსვლა საერთო სიხარულს იწვევს) კარგად თქვა ამხანაგმა აბესალომმა, ხანდახან კაცმა სიხარულში ისე უნდა შეტკობოს, როგორც მორევი. ჯარიმა მაგათ, ჯარიმა!
- ტიტიკო — (დიდ სასმისს ღვინით ავსებს, შალვას მიაწოდებს) ამას მოკიდე ხელი, ყმაწვილო.
- დავითი — (ტიტიკოს) ამას ვერ დაცლის, შალვას ამბავი ხომ მოგხსენებათ.

ტიტიკო — გულში ტყვია აქვსო, ხომ? დიდი რამე! ესენი ერთხელ გაუკაწრავს ტყვიას და მორჩა! იმ ტყვიებისნაირი, ესენი რომ დაუჭრიან, შეხუთი ქვა მაქვს მუცელში, ზღაპარს კი არ ვამბობ, რენტგენის შიგრ-ბრის დასახული: თირკმელში ხუთი ქვა მიზის, ღვინო აჩენსო, მაგრამ მაინც ესვამ! (შალვა სასმისის ცლის, გადასცემს ტიტკოს. ტიტკო სასმისის აკვირდება) ორი ბოთლი თავისუფლად ჩავა! (შალვას) გაამოს! გაამოს! (სანდალას) შენ ღვინოს თუ არ დალეე, პალტო მაინც გაიხადე, ჩამოგექე.

სანდალა — (მოუხრიდებლად) არც პალტოს გავიხდი და არც ჩამოგექდები.

ტიტიკო — რატომ?

სანდალა — ხომ იცი ჩემი ხასიათი.

ტიტიკო — ყველას ხასიათი მე უნდა ვიცოდე, ერთხელ ჩემს ხასიათსაც გაუწიეთ ანგარიში. (მოულოდნელად გიტარის სიმებს მომართავს ლილი, მღერის, დავითი ბანს აძლევს).

ტიტიკო — (სანდალას) არც ახლა ჩამოგექდები?

სანდალა — ახლა პალტოსაც გავიხდი (იხდის, ჩამოგდება).

დავითი — პირველად გამიკვირდა: ლილი კომკავშირელი ქალია და „შემოდგომა“, „ყვითელი ფოთლები“ და ამგვარი რამეები უცებ არ მომეწონა, მაგრამ შემდეგ რა კარგად არის, როგორ ვთქვა (თავს ძალას ატანს) თანამედროვეობა ჩაქსოვილი! ადამიანს გული გაგინათლება!

აბესალომი — მართალია, სიმღერაში უსათუოდ ჯანსაღი, ოპტიმისტური განწყობილებაა არის.

დავითი — თქვენ რას იტყვით, ამხანაგო ტიტკო?

ტიტიკო — დიდი არაფერი, უფრო მეტი, მეტი ძალით უნდა ჩანდეს თანამედროვეობა, ჩვენი მიღწევები; ასეთი რამეები უფრო გვჭირდება ჩვენ.

დავითი — (მოულოდნელად წამოდგება ტიქით ხელში) ლილის სიმღერამ მეც აღმიძრა სურვილი, რომ ერთი მისი სიმღერის მაგვარი მეც გიმღეროთ; ჩვენს დროში ადამიანები კი არა, ხეებიც სიყვითლე ოცნებობენ... (გიტარას მომართავს) უფლის-ციხეში რომ ჩამომდგარა მატარებელი, ხომ მიგიქცევიათ ყურადღება, ვერხვები რომ დგანან, მალღები და ლამაზები. ჰოდა, მომისმინეთ... ეს სიმღერა ერთხელ გორში მოვისმინე მოწაფეთა საღამოზე, მას შემდეგ არსად არ გამიგონია, მე მომწონს და ნუთუ ვცდები? (ამღერებს).

ერთადა ვართ, მალღები ვართ,
ჩვენ მთვარესაც შევხებივართ,
გზაზე ვდგავართ და ვშრილებთ —
უფლისციხის ვერხვები ვართ!
ჩვენმა რხევამ და შრიალმა
აღმათ ბევრჯერ გაგაოცათ.
მაგრამ უქმად კი არ ვშფოთავთ.
კეთილ მგზავრებს გზას გილოცავთ!

აბესალომი — (შალვას) თუ ამდენი შეგეძლო, ყმაწვილო, რატომ დაიგვიანე?

შალვა — ვერ გავიგე, რა ბრძანეთ?

აბესალომი — თქვენი მოსვლის შემდეგ სუფრა გამხიარულდა, არა, ქალბატონო თინათინ?

თინათინი — დიახ, დიახ. (შალვას) რამდენი ხანია პატივცემული სანდალა გამოვგზავნე, სად იყავით?

შალვა — (თინათინის ნაცვლად პასუხისთვის აბესალომს მიუბრუნდება) მალაროში, ერთ ადგილას გაიბზარა, ხვალისათვის რომ მუშაობა არ შეფერხებულყო, გადავწყვიტე, რომ დღეს შემეყენებინა სპეციალური ბიგები. კომკავშირლებს გავუყეთე მობილიზაცია, სწრაფად გამომყვინენ და ყველაფერი რიგზეა.

ლონგინოზი — კვირა დღეს?

შალვა — დიახ.

ლონგინოზი — ეს კი მეტიჩრობაა!

შალვა — (აღელდება, პასუხის გაცემა უძნელდება) ოჯახში ვართ და, რა გქნა, დაუკვირებლად ნათქვამ სიტყვაზე პასუხს ვერ მოგცემთ.

ლონგინოზი — რა სთქვი? „დაუკვირებელიო“?

ტიტიკო — შალვა, პატივცემულო შალვა! (შალვა ყურადღებას არ აქცევს).

ლონგინოზი — (შალვას) წუხელ, მაგალითად, რაც მოეწყო, იმაზე რას იტყვით? ის ხომ ნამდვილი მეტიჩრობაა?

შალვა — მე, მაგალითად, მხურვალე მონაწილეობა მივიღე. კამათის გაგრძელება შემდეგი შაბათისთვის გადადეს. ცოცხლად ჩატარდა, ბევრი საინტერესო აზრი გამოითქვა.

ლონგინოზი — რა უფლება აქვთ კომკავშირლებს, ასეთ თემაზე კამათი მომიწყონ წარმოებაში? (მუქარით) ამ საკითხს შესწავლა უნდა, რაიკომის ბიუროზე გავიტან მაგ საკითხს.

შალვა — მე ვგონებ, მოიწონებენ ჩვენი ახალგაზრდების ინიციატივას.

ტიტიკო — ნუ ცხარობთ, ამხანაგებო, აქ იმისთვის შევიყარეთ, რომ დრო ტკბილად გავატაროთ.

ლონგინოზი — (წამოდგება) მე არ ვცხარობ. (ტიტიკოს) ერთი წუთით მადროვე, მე გული არ მომდის, ამას ნუ იფიქრებთ; მართალია, სუფრას ვუხივართ, მაგრამ ხომ შეიძლება სერიოზულ საკითხზე აქაც ვიმსჯელოთ, ამხანაგო აბესალომ?

აბესალომი — რატომ არა, ჩემი აზრით, სუფრაზე სერიოზულ საკითხებზე მსჯელობა საინტერესოა.

ლონგინოზი — (შალვას) რა საკითხზე გქონდათ კამათი?

შალვა — (აბესალომს) ახალგაზრდებმა დისკუსია მოაწყვეს კლუბში თემაზე: „საბჭოთა ადამიანის მორალური სახე“, — თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ კარგად ერკვეოდნენ საკითხებში, როგორ საღად მსჯელობდნენ.

ლონგინოზი — აბა ეს რა საკითხია, ან რა სერიოზული მსჯელობა შეიძლება გაიმართოს მის გარშემო, ან რად გეკვირდება ჩვენ ასეთ საკითხებზე მსჯელობა? რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის? არავითარი!

შალვა — რაკი ასე ფიქრობთ, ნება მიბოძეთ, გაგიმართოთ.

ლონგინოზი — (სიტყვას შეაწყვეტინებს) მერე კიდევ აქედან, იქიდან რომ წამოუტყარეთ ჩემთვის... ვილაციეებს უცინიათ კიდევ და სხვა ამისთანები, არ ვარგა! არ ვარგა! (მუქარით) კარგად დაუკვირდით, ვის წისქვილზე ასხამთ წყალს. თუ ეს უბრალო საკითხი არ არის, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, ა, ბატონო, აგერ ვართ და გავგიმართე.

შალვა — მე ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას ვაძლევ, იმდენად დიდ მნიშვნელობას, რომ ზოგჯერ მოთმინებას ვკარგავ და ვგრძნობ, რომ მეტად

უხერხულ მდგომარეობაში ვეარდები; საბჭოთა ადამიანზე მე მეტად ფიქიზი წარმოდგენა მაქვს; საბჭოთა საზოგადოებისათვის შეუფერებელ ადამიანს მე ისევე ვერ ვეგუები, როგორც საყვარელ ბაღში მოსულ ვთქვათ, მყარ ხეს; თავაშვებული ადამიანის ქცევას არ შემძლია დამშვიდებით ვუცქირო, ისევე როგორც არ შემძლია გულგრილად ვუცქირო კალაპოტიდან გადმოხეთქილი მდინარის უთავბოლო დინებას.

ლონგინოზი — მაგალითად?

შალვა — მაგალითისათვის მე იმგვარ დანაშაულებებს კი არ აღწუნხავ, როგორსაც სახელმწიფო კანონიც ითვალისწინებს, არამედ სრულიად უმნიშვნელოს, მაგრამ რომელთა საშუალებითაც მკლავდება, რომ მათი ჩამდენი ჩვენი დროისათვის შესაფერი ადამიანი არ არის. მაგალითად: ის ადამიანი, რომელიც ღამე შინ დაბრუნდა და ესმის, რომ წყალსადენიდან წყალი უქმად იღვრება, ყურადღებას არ მიაქცევს და არხეინად იძინებს, მე საბჭოთა ადამიანად არ მიმაჩნია; (ლონგინოზი გაოცებულია, ცდილობს, რომ აბესალოში და ზურაბი ამხედროს შალვას წინააღმდეგ. მაგრამ ვერ ახერხებს) ის ადამიანი, რომელიც მანქანაში ზის და ტრამვაის მოლოდინში მდგომ მოქალაქეს ამაყად გადახედავს, მე საბჭოთა ადამიანად არ მიმაჩნია; იმ ადამიანის ოჯახის წევრები, რომლებიც აგარაკზე, ტყეში, ქეიფის დროს, ხეებზე ძვირფას თევზებსა და შამპანურის ბოთლებს ამსხვრევენ, გარშემო მდიდრული პაპიროსის კოლოფებსა და შოკოლადის ნაფტქვენებს ყრიან, ხოლო მეორე დღეს ბაზარზე მწვანის გამყიდველ ქვრივ ღედაკაცს ქინძისა და მაკიდოს ფასში კაპიკებზე ევაზრებიან — ჩვენი დროისათვის შეუფერებელ ადამიანებად მიმაჩნია.

აბესალოში — (ელიმება. თითქოს ნათქვამში კარგად ვერ გარკვეულა) უთუოდ რაღაც საინტერესო სთქვით, საინტერესო მოსაზრება გაგიზიარეთ.

ზურაბი — ადამიანის უღირს ქცევას, რა თქმა უნდა, დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, ეგ მართალია.

ლონგინოზი — (სიტყვას ბანზე აგდებს, მაგრამ ნაწყენი რომ არის, ემჩნევა. შალვას) შენ, როგორც ეტყობა, ღვინო გალაპარაკებს.

შალვა — მგონი ერთხელ გამოცვადეთ ერთმანეთი, როგორც მახსოვს, ღვინომ ჩემზე აღრე თქვენ აგლაპარაკათ.

ტიტიკო — ღვინოში მაინც ნუ გვეჯიბრები, ეს მაინც დაგვითმე.

შალვა — დათმობით არ დაგითმობთ, ამის უფლებაც უნდა მოიპოვოთ.

ტიტიკო — მაშ ესვათ!

შალვა — ესვათ! (ისევე გამზიარულდებიან. ტიტიკო კვლავ დიდ სასმისს აესებს. შემოდის დარო).

დარო — ბოდიშს ვიხდი (შალვას), პატივცემულო შალვა, ტელეფონზე გეძახიან.

შალვა — ვინ მეძახის?

დარო — რაიკომიდან არიან.

შალვა — ახლავე დაებრუნდები. (მიდის).

ლონგინოზი — (თვალს გააჯოლებს) ვერ გავიგე, რა კაცია.

ზურაბი — კარგი ყმაწვილია.

აბესალოში — შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ლონგინოზი — კი მაგრამ, ერთი ეს მითხარით, თქვენი ჭირიშე, რას გვიმტკიცებდა ახლა ის? რა პაპიროსის კოლოფიო, რისი შაკიდფო, ყველაფერს საკითხებზე ასე მსჯელობა შეიძლება?

აბესალომი — არა, მისი აზრი ორიგინალურად იყო გამოთქმული, თქვენ მხოლოდ ამის გამო გეჩითირათ, თორემ ისე ის იმასვე ამბობს, რასაც ჩვენ, თქვენთან ერთად, ვფიქრობთ.

ლონგინოზი — (გულმოსული) „ეტო ბრედ სუმასშედშევეო“.

აბესალომი — არ გეთანხმებით.

ლონგინოზი — კარგი, ბატონო, ამაშიაც დაგეთანხმებით.

ტიტიკო — მე გეტყვით, ეგ რა კაცია. ერთი ბიძა მყავდა, სხვათაშორის, დაკვირვებული კაცი იყო, მაგვარ ახალგაზრდებს „ანარქისტებს“ ეძახდა. ხო, ხო.. აბა დაუკვირდით. (ხიზხითებს) ჩვენ რომ ახლა მომჭირნეობა და ეკონომია გვეირდება, ეგ გვასწავლის? (სიმთვრალე ემჩნევა) მე ამ საკითხზე იმდენი მიფიქრია, და ისე შორს წავსულვარ, რომ მას სინამარშიაც არ მოეღანდება...

ზურაბი — რა გიფიქრია, ტიტკო, და სად წასულხარ?

ტიტიკო — გვაცალეთ, ბატონო, საკუთარი აზრის გამოთქმა (სიჩუმე ჩამოვარდება) რა მიფიქრია? პურის უდანაკარგოდ აღებაზე ჩვენში ხომ ამდენი ლაბარაკია? ახლა ვიკითხოთ, რამდენ პურის მარცვალს ჭამს მწყერი? ისინი ხომ ჩვენში მილიონობით იჩეკებიან, სუქდებიან და მიფრინავენ უცხოეთში; მე თქვენ გეკითხებით: რა უნდათ საბჭოთა მწყერებს ეგვიპტეში? (თავშეუკავებლად იცინიან, ტიტკო გამოსავალს ეძებს, უცებ დაროს მიუბრუნდება) დარო აქეთ! აქ მოდი, გვერდში მომიდექი!

დარო — (მორცხვად) ვერ შეგაწუხებთ.

ტიტიკო — აქეთ მოდი, ხელი ჩამოართვი სტუმრებს.

დარო — ხომ მხედაეთ, როგორ ვარ (კაბას, თავსაფარს ისწორებს) ბოსტანში ვიყავი, ხელიც კი არ დამიბანია (ჭიქას მიაწოდებენ). კარგი სუფრა გაქვთ, კარგ ოჯახში ხართ, ისიამოვნეთ, იცოცხლეთ, ილღვრძელეთ! (ჭიქას ცლის).

ტიტიკო — (დაროს ხელს გადახვევს) დარო, იცო, რას გვიმტკიცებენ? კაცმა ბევრი არ უნდა ჭამო, ბევრი არ უნდა სვამო, ბევრი ქონება არ უნდა გქონდესო, ბევრი არ უნდა ხარჯოო.

დარო — აბა წვეთწვეთობით ცხოვრება ვინ გაიგონა. (ყველა იცინიან).

ტიტიკო — იცით, ეგ რა ქალია? ხუთი შვილის ღედაა, ქმარი სამამულო ომში დაედღება მაგრამ ჩვენთან მუშაობს და კოლმეურნეობაშიც ასწრებს შრომადღებებს გამოუმუშავებს; მერე-და რა ბავშვები ჰყავს! ლამაზები, ერთმანეთზე უკეთესები, თმაბუჭუჭები... შენ და შენი ღმერთი, დარო, ხელი ხომ ბევრჯერ მომიმართავს შენთვის?

დარო — (მინცაღამიანც ხალისით ვერ უდასტურებს) კი, ბატონო.

ტიტიკო — (სტუმრების წინაშე გაამაყებულ) მაგნიარებისათვის საწყობიდან უფასოდ რამდენი რამე მიმიცია, იმდენი დღე, თქვენზე არ ვიტყვი და, ტიტკოს შეემატოს. დარო, იცოცხლე! (დაროს სადღევრძელოს სვამენ).

ტიტიკო — (აქეთ-იქით იხედება, სასმისებს აკვირდება) დაროს სადღევრძელო ყველამ მიირთვით, თუ არა? დაროს სადღევრძელო შესვით, ამხანაგებო! (საერთო ჩოჩქოლში დაროს სიამოვნების ღმილი ერევა).

დ ა რ ო — (დარწმუნებული, რომ მის თხოვნას დააკმაყოფილებს, ტიტოკოს ყურში მორიდებით ჩასაჩურჩულებს) ჯონჯოლი მინდა გავატარო მანქანას თბილისში გასაყიდად, კარგი ფასი აქვსო.

ტ ი ტ ი კ ო — (ცივად უპასუხებს) ამ რეისზე არა! ამ რეისზე არა!

დ ა რ ო — (გულდაწყვეტილი უკან დაიხევს) მაღლობას მოგახსენებთ! მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (მას ყურადღებას აღარ აქცევენ, შეუძინველად მიდის).

ტ ი ტ ი კ ო — ჭიქები შეავსეთ, ამხანაგებო, ჭიქები! (წამოდგება) მე თავიდან განვაცხადე, რომ შიგადაშიგ გავუტრევე სხვადასხვა სადღეგრძელოს-მეთქი (მისდამი უყურადღებობას იჩენენ) ამხანაგებო, მოუესმინოთ ერთმანეთს! (წამით გაინაბებინან) ამ სასამისით მე ვსვამ ჩვენი ცხოვრების შესაბამე პერიოდის სადღეგრძელოს! (კვლავ ჩონჩოლი ატყდება).

ზ უ რ ა ბ ი — ამგვარი სადღეგრძელოები არაა საჭირო! უფრო ბუნებრივად მოვიქცეთ, თავს ძალას რატომ ვატანთ.

ტ ი ტ ი კ ო — (ნაწყენია) რატომ არ არის საჭირო?

ზ უ რ ა ბ ი — ჯერ-ერთი, არც კი მესმის, ეს რა სადღეგრძელოა.

ტ ი ტ ი კ ო — თუ არ მაცლით, ბატონო, რანაირად უნდა გაიგოთ?

ზ მ ე ბ ი — სთქვით! სთქვით! გისმენთ!

ტ ი ტ ი კ ო — პირველი პერიოდი ხომ სამოქალაქო ომი გვქონდა, მეორე იყო ინდუსტრიალიზაცია, ახლა კაპიტალისტურ გარემოცვაში ვართ... უნდა დაიმსხვრეს ეს გარემოცვა! (იქით-აქით იხედება, მაგრამ თანამგრძობთ ვერ პოულობს, ყველა იცინის) ის რომ დაისხვრევა, მერე უფრო გავშლით ფრთებს! (გამხნევედება) ძალიან კარგ სადღეგრძელოს ვამბობ მე! მარტო ის რად ღირს, რომ ამდენი გულშემაწუხებელი კითხვები, ახლა რომ არის, მაშინ აღარ იქნება: ეს რანაირად? ის როგორ? ეს როდის? ის საიდან? — ეს კითხვები ისე მძულს, როგორც ცოლის შეკითხვა, ჩემს ტანისამოსზე რომ ქალის თმას შენიშნავს: „ეს თმა ვისიაო?“ რა ვიცი მე, ვისია! მაგისთვის მცალია! (ამჩნევს, რომ — როგორც თამადა — აითვალისწინებს, ნაწყენია) მე არ ვიცი, ახლა თქვენ რა გაცინებთ? ასეთი შემთხვევა წინათაც მქონდა მე... სხვათაშორის, ეს სულ იმ ადამიანებს მოსდით, რომლებიც თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენისა არიან! თითქოს-და თვითონ სიბრძნეებს ამბობენ, სხვები კი ბეუტურობენ; უმჯობესია, დაუფიქრდნენ, თორემ, როცა იქნება, კისერს მოიტეხენ; იცინეთ! იცინეთ! ასე ყველაფრის აგდება შეიძლება! მე ვიცი, ეს რატომ ხდება! ეს იმიტომ ხდება, რომ თავი სხვებზე დაბლა მიჭირავს! ერთხელ გავჩუმდი, არაფერი ვთქვი, მეორეჯერ გავჩერდი, არაფერი ვთქვი, შეეჩვიენენ და, ახლა, თუ რამე ვიცი, კი არ სჯერათ. (სიცილი არ ცხრება. გულმოსული შეუტევს) მე იმდენი რამე ვიცი, ისეთ ადგილას ვყოფილვარ, რომ არც ერთ თქვენთაგანს სიზმარშიაც არ მოგვლანდებათ!

დ ა ვ ი თ ი — (სიცილისაგან ცრემლმორეული) სად ყოფილხარ, ტიტოკო?

ტ ი ტ ი კ ო — თქვენც აგიყოლიეს, პატივცემულო დავით? ვაი ჩვენი ცოდვა!

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — (ტიტოკოზე ნაწყენია) მაინც სად ყოფილხარ? უთხარი ამ ხალხს.

ტ ი ტ ი კ ო — სად ვყოფილვარ და... ტუშინოს აეროდრომზე! (ყველა ხარხარებს) ყოფილხართ? არც ერთი თქვენგანი იქ არ ყოფილა! იცინეთ, იცინეთ! თქვენ რომ აქ ბრუცელოზაზე კამათობდით, მე იმ დროს რეაქტიული

ეროვნული
ხელმოწერა

თვითმფრინავები თავზე კალიებივით მახტებოდნენ. (რაკი ვერაფერი გააწყო, მთელი ხმით სიმღერას წამოაწყებს):

არც არავის უმა ვუფილვარ,
არც არაინ უმად მუოლაი...
შავი ღვინო, თეთრი პური
წლიდან წლამდე გამყოლა!

რა მოგივიდათ, სიმღერა მაინც მაკალეთ.

ლონგინოზი — (წყრომით) ტიტკო! (ტიტკო მორჩილების ნიშნად თავს უბრის. სიჩუმე ჩამოვარდება. სუფრის წვერები თანდათან უსხდებიან სუფრას) ასე ვქნათ, ამხანაგებო, თამაღობას მე განვაგრძობ! (მოელის, რომ ამ განცხადებას სუფრის წვერები სიხარულით შეხვდებიან, თვით იღიმება, მაგრამ სხვების სახეები სიხარულს არ ამჟღავნებენ) აი, წვიმა ისე დაიწყო! ისე წვრილად წვიმს, რომ არც კი ჩანს, მაგრამ თავის თავი მაინც გამოამჟღავნა, ვინაიდან სახლების სველი სახურავები ელავენ. (გადახედავს ტიტკოს, რომელსაც თავი სუფრაზე დაუდვია, ჩატუღლემია სიმთვრალის გამო. ლონგინოზს განსაკუთრებით ის ანერვიულებს, რომ თინათინის ყურადღება ვერ მიიპყრო. უცებ იფეთქებს) ამხანაგო აბესალომ, ახლა მე ვარ თამადა!

აბესალომი — ძალიან კარგი! მე ყურს გივადებთ.

ლონგინოზი — მოდი, ამხანაგებო, ამ წვიმამ გამახსენა, თბილისის სადღეგრძელო შევსვათ.

ზურაბი — (გამხნეების მიზნით) კარგია! თანახმა ვარ!

ლონგინოზი — წვიმამ გამახსენა-მეთქი, რომ მოგახსენეთ, აი რატომ: მსიაამოვნებს, როდესაც ფუნქცილორიდან დაეყურებ თბილისს... ერთ ზაფხულის დღეს, როდესაც იქ სუფრას ვუსხედით, მოულოდნელად წვიმა დაიწყო, ისე ააპრილა, ისე გააბრწყინა, ისე ააღვარა სახლების სახურავები, რომ უკეთესი სანახავი ძნელი წარმოსადგენია. მე აეწიე ჭიქა, ბროლის ჭიქა: შევტყორცნე ჰაერში, წვიმას შევეშვირე; ჰო, რა ლამაზი იყო ის, ჰაერში შეტყორცნილი, — ამ თვალუწვდენ სივრცეში, ამ სითეთრეში მარტო ჩემს ჭიქაში იყო მომწყვდეული სიწითლე, ლალისფერი, გარშემო მზის სხივები ოქროს ბუღესავით შემოხვეოდა, შიგ წვიმის წვეთები ეშხეფებოდნენ და მე თბილისის სადღეგრძელოს ვსვამდი.

აბესალომი — თქვენ ღვინო უფრო შეაქეთ, ვიდრე თბილისი.

ლონგინოზი — როგორ? ეს სადღეგრძელო არ მოგწონთ?

ზურაბი — ღვინის, ლხინისა და საერთოდ, ღვინის სმის გაიდვალების მომხრე არა ვარ. ჩვენ სხვა რამ მოგვეთხოვება, მე ამგვარი რამეების სასტიკი წინააღმდეგი ვარ. (მოულოდნელად ალაპარაკდება ტიტკო).

ტიტკო — (თავი კვლავ მაგიდაზე უდევს, თვალებს არ ახელს, მაგრამ დამშვიდებით და დამარცვლით წარმოთქვამს) მამ რატომ ხატია სურათში ლამაზი ქალი, რატომ უქირავს ხელში თეთრი ჭიქა და რატომ აქვს ქვემოთ წარწერა: „Пейте Советское шампанское!“? (სუფრა კვლავ ახმაურდა. ლონგინოზი თინათინს მწყარადად ადევნებს თვალს. თინათინს დიდი ვაზით მოაქვს ხილი) ვინ გითხრა, ხილი მოიტანე? (თინათინი შეკრთება, ვაზა ხელში შერჩება, არ იცის, როგორ მოიქცეს.)

ზურაბი — ხილი მოვიდეს, სუფრას დაგვიმშვენებს.

ლონგინ. — ხილი სუფრის დასასრულია. არაერთარი დასასრული! ახლა მე ვარ თამადა! (თინათინს) შალვას დაუძახე, შალვას! ჩანს, რომ უღმისოდ ლხინი არ გამოდის... მოვიდეს! აქ ვარ!

ზინჯირთყვა

მეორე სურათი

იგივე სურათი, რაც პირველ მოქმედებაში, მხოლოდ ოთახში არაიან ჩანს. საღამოვდება. კარები ფრთხილად იღება, შემოდის ელიოზი.

ელიოზი — (მღელვარება ემჩნევა, საღაროს ფეხაყრფით მიუახლოვდება) აქ ყოველთვის სტენით შემოვდიოდი, ახლა რა მემართება! (ჩაფიქრდება) არასდროს არ შემიმჩნევია: რამდენი სამელნე, კალმისტარი, სკამი ყოფილა! (გასაღებებს ამოიღებს, საღაროს ქურდულად აღებს, ზემო უჯრიდან საბუთებს გადმოიღებს, კარგახანს ფურცლავს, აკვირდება) სწორედ ეს ჭაღალდებია! ჩემი რეზოლუცია ადევსო, ლურჯი ფანქრით დაწერილიათ. (შეამოწმებს) ესეც მეორე საბუთი! (საღაროს კეტავს, სწრაფად გადის. ელიოზის წასვლის შემდეგ შემოდის ლილი. ოთახს გაანათებს, შემდეგ ფანჯრებს გააღებს, მაგიდას მიუჯდება).

ლილი — აქეთ მოდიოდა, აქ კი არ არის... ნუთუ შეეცდი? (წამოადგება, დირექტორის ოთახში შეიხედავს, ისევ ჩამოჯდება) აქ მოვა, სხვაგან სად უნდა წავიდეს? (ფანჯარაში იხედება) რა მთვარიანი ღამეა! (მაგიდაზე ჩამოდებულ ელნათურასთან შენიშნავს პეპლებს, ერთ მათგანს აიღებს, ფანჯრიდან გადაისვრის) მას ასეთი თვისება შეენიშნე: როდესაც ამ ელნათურას პეპლები ეხვევიან და მის ჭაღალდებზე ენარცხებიან, ის არასოდეს ხელს ან გაზეთს არ დაჰკრავს და არ მოკლავს, ფეხით ხომ (შეაყრეოლებს) არასოდეს არ გასარესს, ზოგიერთებმა რომ იციან, ის აიღებს და ფანჯრიდან გადაისვრის; (ჩაფიქრდება) მტრებს კი, ალბათ, როგორ უღმობლად ეპყრობოდა! (პალტოს გაიხდის, თეთრ კედელზე, რომელზედაც ფერადი ჭაღალდია აფარებული, პალტოს ჩამოკიდებს, ერთ ადგილას მტვერს ხელით ჩამოფერთხავს, შემდეგ კვლავ მწყრალად დაუწყებს ცქერას კედელზე ჩამოკიდებულ პალტოს) ჩემი პალტო თურმე არ მოსწონთ; ასეთი სახელოები იმიტომ გავუკეთე, რომ შთაბეჭდილების მომხდენი ყოფილიყო, თურმე პირიქით (ჩაფიქრდება) ეპ, რამდენ რამეს არ მივმართავ, ის კი მაინც ყურადღებას არ მაქცევს (შემოდის შალვა, შენიშნავს ლილის, გაიოცებს).

შალვა — სამუშაოდ მოხვედი?

ლილი — (დაიბნევა) დიახ!

შალვა — (მაგიდას დახედავს) მერე, აქ რომ არაფერი ეტყობა.

ლილი — (გულუბრყვილოდ) ახლავე, ახლავე დავალაგებ. (უჯრებიდან ამოაქვს „საქმეები“, მაგიდაზე დაალაგებს, მაგრამ მათი დანახვა არ სიამოვნებს, გამოტყდება) არა, მე სამუშაოდ არ მოვსულვარ...

შალვა — მაშ რისთვის?

ლილი — თქვენ რაღაც უნდა გითხრათ.

შალვა — ახლა ერთად არ ვიყავით!

ლილი — იქ ვერ მოვახერხებ.



შ ა ლ ვ ა — აბა, მითხარი, რისი თქმა გსურს.

ლილი — თქვენთვის ღვინო მანებელია.

შ ა ლ ვ ა — ეს მე კარგად ვიცი... კიდეც მეტს გიტყვით. მე ღვინო არ მიყვარს, მაგრამ რა მექნა, იძულებული გავხდი.

ლილი — როცა თქვენ დიდ სასმისებს ცლიდით, იმათ უხაროდათ, მოსწონდათ, ხარხარებდნენ... მე კი გული მეკუშებოდა, მიკვდებოდა... (გულდაწყვეტილი) მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ მე ვინ მომცა უფლება, რომ თქვენ შენიშვნა მოგეთ. (ჩაფიქრდება) კიდეც იცით, რა უნდა გითხრათ? მე ხშირად ვცდილობ, რომ თქვენ მხიარულ საუბარში ჩაგაბათ, მაგრამ თქვენ თავს გვარიდებთ; მეტწილად მოღუშული და, არ ვიცი როგორ ვთქვა, საქმით ხართ გართული.

შ ა ლ ვ ა — (სიცილით) არ არის მართალი ვინ თქვა, რომ მე მხიარულება არ მიყვარს?

ლილი — გუშინწინ გზაზე თინათინმა რომ შეგაჩერათ, და რალაცეებს გეკითხებოდათ, იცით, რა ვუთხარი? მე ვუთხარი, რომ შალვას ასეთი ლაპარაკი არ უყვარს-მეთქი და ცივად წამოვიყვანე... ხომ სწორად მოვქეულებარ?

შ ა ლ ვ ა — რა თქმა უნდა, არა! საუბარი, თუკი ის ბუნებრივად აღმოცენდება, ისეთივე მოვლენაა, როგორც საქმის კეთება; ის ხელოვნურად არ უნდა შეზღუდო, არ უნდა ჩააქრო.

ლილი — (გულდაწყვეტილი) მე კი მეგონა, სწორად მოვიქეცი.

შ ა ლ ვ ა — მეც მინდოდა დღეს თქვენთვის სუფრაზე რაღაც მეთქვა, გამოგლაპარაკებოდით, მაგრამ...

ლილი — (განსაკუთრებული ინტერესით) რა უნდა გეთქვათ?

შ ა ლ ვ ა — ისეთი არაფერი, ჩვეულებრივი რამე.

ლილი — (გულდაწყვეტილი) მე კი მეგონა, ისეთი რამ უნდა გეთქვათ, რაც იქ არ ითქმებოდა (ჩაფიქრდება). მე კი გეტყვით: როდესაც თქვენ მათ უპასუხებდით, მათ სახეებზე ხან სიწითლე, ხან სიყვითლე გადაუვლიდათ; თქვენ ისე კარგად დახატეთ თანამედროვე ადამიანი... აი, კომუნისტის ბუნებას რომ გვიხატავდით, იმ დროს იმდენად კარგი იყავით, რომ უნდა წამომდგარიყვნენ და გადაეკოცნეთ, ნაცვლად ამისა, ვამჩნევდი, რომ სიბრაზე აღრჩობდათ, რატომ იყო ასე, ვერ გამიგია.

შ ა ლ ვ ა — (სიცილით) იმიტომ, რომ მათ სხვა სურვილები აქვთ, სხვა მისწრაფებები ის, რაც ჩვენ გვზიზღავს, მათთვის უცხოა. ამიტომაც ვერ დამიმყარებია მე მათთან სულიერი კავშირი, სხვა არაფერი!.. კომუნისტი... საზოგადოების კეთილდღეობისათვის მზრუნველია, ადამიანის ბედნიერი აწმყოში და მომავლისათვის მებრძოლია; კომუნისტის პირადი საზრუნავი ის არის, რომ სხვებისთვის იზრუნოს და მით თავის თავიც გაახაროს. ესენი კი...

ლილი — სიყვარული თუ იცის კომუნისტმა?

შ ა ლ ვ ა — (ხარხარებს) ისეთი, რომლის მაგვარი არც ერთ ძველ მოთხრობაში და ლეგენდაში არ თქმულა!..

ლილი — (ბავშვური გულუბრყვილობით) მერე სად ჩანს? (შალვა სიცილს განაგრძობს. ლილი გრძნობს, რომ შალვა პასუხის გაცემას თავს არიდებს, მიუხედავად ამისა, მაინც განაგრძობს) ამის შესახებ მე თქვენ ერთხელაც შეგეკითხეთ.

შ ა ლ ვ ა — მერე რა პასუხი მოგეცით?

- ლილი — თქვენ ცისკენ ხელი გაიშვირეთ და მითხარით: წეროვბი მიფორნავე-
ნო... (რაკი შენიშნავს, რომ შალვა მის ნათქვამს ახლაც უყურადღებოდ
ტოვებს, განაგრძობს) თქვენ აღამიანები გიყვართ, მათზე მეტლუბტყურვე
აზრისა ხართ; მაგრამ იცით, თვით ისინი რანაირები არიან? ისინი თურმე
ლაპარაკობენ, რომ (თქმა უძნელდება) ჩვენ შორის... რომ თქვენ (სათქ-
მელს უკეთესი ფორმა მოუნახა, ამის გამო ახლა უფრო თამამად იტყვის)
რომ, თითქოს, მე თქვენ მიმართ სხვაგვარ დამოკიდებულებას ვიჩენ, რომ
თითქოს მე თქვენ სხვაგვარად გიცქერით... მართალია?
- შალვა — რა თქმა უნდა, მართალი არ არის! ვინ თქვა ეს? (ტელეფონის ზარი.
შალვა დირექტორის კაბინეტში შედის. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოდის)
საბჭოში მეძახიან. (ყოყმანის შემდეგ მიდის).
- ლილი — (ემჩნევა, რომ უსიამოვნო ფიქრებმა შეიპყრეს, პალტოს შეხედავს,
გაბრაზებით იტყვის) ახლა ამ პალტოს სულ დავაგლეჯ „ლიბებს“. (სი-
ნათლეს ჩააქრობს. მოწყენილი მიდის. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოდინ
დავითი და სანდალა. სინათლეს აანთებენ. ორივე კარგ ხასიათზეა. ხალი-
სიანად საუბრობენ).
- სანდალა — ყოველ საღამოს რომ აქეთ მოვჩანჩალებთ, კვირა საღამოს მაინც
მოვისვენოთ.
- დავითი — იმ საღამოს, როდესაც აქეთ არ მოვდივარ, მგონია, რალაცას ვა-
შაგებ.
- სანდალა — (სწრაფად ეთანხმება) მეც, მეც ასე მგონია. (ჩაფიქრდება) ხომ
მოტეხა ორივეს კისერი.
- დავითი — (სახეგაბრწყინებულად) ამდენ ღვინის სმას თუ შესძლებდა, თავის
დღეში ვერ ვიფიქრებდი. (სიცილით) ორივე დათვებივით ააბურტყუნა.
თვითონ კი ენა ერთხელაც არ შეშლია.
- სანდალა — ასე უნდა მაგათ, აბა რა ეგონათ.
- დავითი — იქ ხომ ვისიამოვნე. მაგრამ სახლშიაც სასიხარულო წერილი
დამხვდა, გულით გავიხარე.
- სანდალა — რას გწერენ?
- დავითი — უმკროს შეილიშვილს, მე რომ გეუბნებოდი, დისერტაცია დაუ-
ცავს, კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია (უბიდან წერილს ამოიღებს.
აკვირდება, კვლავ დაკეცავს და უბის წიგნაკში ჩაიდებს), დიდია ჩვენი
ოჯახი, ყველა მთხოვს, ჩამოდიო, არაფერს არ გაგაკეთებინებთო, მაგრამ
მე უქმად ყოფნა შემიძლია?
- სანდალა — (ფიქრებს მიეცემა) მე კი ჩხართვივით ვარ.
- დავითი — (უკვე მორიდებით ეკითხება) ეს კი რას ნიშნავს, ვითომ რაო?
- სანდალა — ჩხართვი ტყეში მარტო და ჩუმად დაფრინავს.
- დავითი — შენ ამგვარი რამეები კი არ უნდა თქვა, შენ გული უნდა გაიმხი-
რულო... სხვაგვარად მოიქეცი აი, ისე, როგორაც სხვები იქცევიან, შენ-
თვის ეს უკეთესია, სანდალა! გაიგე?
- სანდალა — რომ არ შემიძლია.
- დავითი — შეგიძლია! ვინ თქვა, არ შეგიძლიაო? ხალხში უფრო თამამად
უნდა გეკვიროს თავი.
- სანდალა — არ შემიძლია! რომ არ შემიძლია, ამიტომ ბათუმში ზღვაში სა-
ბანაოდ, იცით, როდის ჩავდიოდი? მაშინ კი არა, როდესაც ხალხი ზღვის-
პირზე ბუზებივით ირეოდა, არამედ მაშინ, როდესაც შებინდებოდა,

დაბნელებოდა და ნაბირზე არაეინ ჩანდა... შევიდოდი და წყალში გულამდე ჩამჯდარი ჩემთვის ვმღეროდი. (მისთვის შეუმჩნეველად მღერის წამოიწყებს)

სიხარულით

ყველა ხეი ავევილა,
შენ რას შერები, წიფლაო? —
ყველამ ქალი მოყვანა
შენ რას შერები, მიქლაო?

(თვალეში აუტრემლდება, გული აუჩუყდება. დავითს სახეზე კმაყოფილება აღებეჭდება, თანაც წყრომით მიმართავს).

დავითი — რა ტკბილი ხმა გქონია, სანდალა! შენ კი ისე იქცევი, თითქოს არაეითარი ღირსება არ გაგაჩნია, ასე როგორ შეიძლება? დღეს რომ იქ სუფრაზე გემღერა, ჩვენც გაგვახარებდი და შენც კმაყოფილი იქნებოდი.

სანდალა — (ტრემლს იწყებს. გუნება გამოუყეთდება, უკვე მხნედ და ხალისიანად წარმოთქვამს) მართალი ხართ, მართალი! ამ ორ დღეში ცოტა რომ მიეტრიალდ-მოეტრიალდი, ორი ჭიქა ღვინოც რომ დაეყოლე, იცით, როგორ გავხდი? თავის ტკივილი რომ ვიცოდი, სულ გამიარა, ქვალეზმაც მიკლეს.

დავითი — კალცექსი არ დამანახო, იცოდე, კალცექსი!

სანდალა — (გულის ჯიბეს ვადმოატრიალებს) კალცექსიო? სულ ამოფერტხე... როგორც ვატყობ, ხასიათს სულ ისინი მიფუტქებდნენ: გამოეწევი მაგიდის უჯრას და ამ თეთრ ქალაღებში, სურათებში, მოწმობებში ფისტონებივით ეყარა... იქიდანაც ამოფერტხე... (ჩაფიქრდება) ისე, ეს ჩვენი ლილი, იცით, რა კარგი ქალიშვილია?

დავითი — (შეკრთება, ვაითუ ლილი მოსწონსო) შენ...

სანდალა — (დავითის ნაფიქრს მიხედება, გამამხნეველები ხმით) არა! ასეთ რამეებს არ გავიფიქრებ! სანდალას მხოლოდ ახარებს ლილის დანახვა.

დავითი — ასე! სულ ხალისიანი და მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი უნდა იყო, სევდიანი ფიქრებო და რაღაც ამის მაგვარები რომ არის, ახლოს არ გაიკარო.

სანდალა — სევდიანი ფიქრებო?! სევდიანი ფიქრები კი არა, ამ საღამოს, იცით, რა ვქენი?

დავითი — ჰო!

სანდალა — სასაფლაოზე ავედი, ხეებს შორის ვაშალე ხელები და ვიყვირე: ადექით, თქვე საწყლებო, აქ სანამდე უნდა იწვეთ-მეთქი. (დავითს გულიანად ეცინება) მერე ეს უბრალოდ კი არ მითქვამს, ისე ვიყვირე, რომ მთვარე კინალამ ჩამოვარდა ციდან. (სანდალა მუშაობას განაგრძობს, საანგარიშოს აჩხაკუნებს, თანაც მღერის: „ყველა ხეი ავევილა“... (დავითი ბანს აძლევს. კარებს ლილი შემოაღებს, მათ სიმღერას შეუმჩნეველად ყურს უგდებს).

დავითი — (სიამოვნებს მისი დანახვა, მაგრამ შენიშნას მაინც აძლევს) ხომ ვითხარი, რომ საღამოს სამუშაოებიდან თავისუფალი ხარ.

ლილი — არა, მეც უნდა ვიმუშავო.

დავითი — როცა საჭირო ხარ, მაშინ კიდევაც გამუშავებთ.

სანდალა — სხვათაშორის, თქვენ წინაშე მე ბოდიში უნდა მოვიხადო.

ლილი — (გაოცებული) რისთვის?

ს ა ნ დ ა ლ ა — გუშინ გაწყენინეთ. აი იმ წვიმასთან დაკავშირებით, ბოღში კი არა, უფრო სწორად რომ ვთქვა, მინდა გითხრათ, რომ თქვენ წვიმაზე მეტად ლამაზად, მოზღენილად თქვით, ძლიერ გავეოცდიე. შემწივარ ბევრ ვიფიქრე, წიგნებში დიდხანს ვიხედებოდი... ერთ რუსულ ლექსში სწორედ ისე არის ნათქვამი, როგორც თქვენ გამოხატეთ:

«На город, как сквозь слёзы счастья,
Гляжу сквозь капли на стекле».

მ ე ს ა მ ე ს უ რ ა თ ი

ლონგინოზის ბინა. დაღამებულა. ოთახში მხოლოდ ცოლ-ქმარი დარჩენილა. სუფრა აულა-გებელია. თინათინი ფანჯარასთან დგას, ლონგინოზი ტახტზე გაწოლილა, ეტყობა, უსამოვნო ლასარაკი ჰქონიათ.

ლონგინოზი — (ცოლს თვალებს არ აშორებს) თვალთმაქცობაც დაიწყე? თინათინი — (ნალღლიანი ხმით) არავის, არასოდეს ჩემს თვალებში ის არ ამოუქიბხავს, რაც გულში არ მქონია.

ლონგინოზი — აქ ახლა, ამ სუფრაზე, ქმრის ერთგულ, მორჩილ ქალად გასახედნენ.

თინათინი — მერე ეს განა მოსწონდათ? ამის გამო გუნებაში მგმობდნენ, მე ეს კარგად ვიგრძენი.

ლონგინოზი — (აღშფოთებული) ქმრის ერთგულება ქალისთვის რომ დავგმოთ, პირველად მესმის.

თინათინი — (აუღელვებლად) როგორც ხედავ, ასე არის, ეს ჩემთვის წინათაც ბევრჯერ უგრძნობინებიათ.

ლონგინოზი — მერე რითი ხსნი? (თვალეში მიაჩერდება) ნუ გერიდება, ყველაფერი სთქვი!

თინათინი — (მტკიცედ) იმით, რომ შეუფერებელი ქმარი მყავს.

ლონგინოზი — (გესლიანად ხარხარებს) როდის შემდეგ გავხდი შეუფერებელი?

თინათინი — ყოველთვის, მუდამ ასეთი იყავი. არც დამიმაღავს, წინათ მე უფრო მეტად გამომიმღლავნებია უკმაყოფილება, მაგრამ არაფრად არ მიგიჩნევია, ყურადღება არ მიგიქცევია.

ლონგინოზი — სტყუი! ეს რომ სიმართლე იყოს, მაშინ არც ახლა მივაქცევდი ამ ამბავს ყურადღებას.

თინათინი — (გესლიანად ეღიმება) ახლა სხვა მდგომარეობაა, ახლა შენ იმ ადამიანში მეტოქეს ხედავ და მხოლოდ ეს გაღელვებს, თორემ ჩემს წუხილს, ჩემს უკმაყოფილებას, იმ გარემოებას, რომ მე გაუხარებელი ვარ ამ ოჯახში — სხვა მდგომარეობაში შენ არაფრად არ მიიჩნევდი.

ლონგინოზი — მაშ ჩემი ეჭვი უსაფუძვლოა?

თინათინი — შენ იცი, რომ მე ის ადამიანი მიტაცებს, მე იმ ადამიანით მოხიბლული ვარ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მე მისკენ მივი-სწრაფვი.

ლონგინოზი — (გესლიანად) მხოლოდ იმის გამო, რომ ამის საშუალებას თვით არ გაძლევს, ჩემი შიში აქვს, თორემ ვიცი, რასაც ზეპირად ვიცი, გულში რაც უდევს.

თინათინი — გულში უთუოდ პატივს მცემს, უთუოდ ვებრალები.

ლონგინოზი — თანაგრძნობა კი ვერ მოუხერხებია, ხომ?

თინათინი — იმგვარად, როგორც შენ წარმოგიდგენია, არც შეეცდება.

ლონგინოზი — რატომ?

თინათინი — ის სხვის ოჯახს არ შეურაცხყოფს, ეგ შენ გჩვევია.

ლონგინოზი — (მუქარით) ხმა გაიკმინდე!

თინათინი — (წარბს არ შეიხრის) აბა, მოიგონე, რამდენი თანამშრომელი გააუბედურე, რამდენი ოჯახი დაანგრიე.

ლონგინოზი — ჰოდა, ასეთ კაცს ვინმე რამეს გაუბედავს? ვინმე რამეს აკადრებს?

თინათინი — ვაი, რომ მე თვით არ ვაკადრებ.

ლონგინოზი — ვითომ რატომ?

თინათინი — ოჯახის ქალი ვარ, დედა ვარ, ბედის მორჩილი ვარ.

ლონგინოზი — ტყუილია! თქვენ ჩემი გეშინიათ (აკვირდება) თვალები ახლა იმიტომ კი არ ავიცრემლდა, რომ ბედის მორჩილი ხარ, არამედ იმის გამო, რომ ბედს ვერ ეურჩები, გამოსავალი ვერ გიპოვია. (თინათინი რალაცის თქმას აპირებს, ვერ ახერხებს) ვერა, ვერაფერს ვერ შეტყუი. რა უნდა მითხრა? ჩემი რევოლვერის ხმა ხომ შემოგესმიათ იმ ღამეს? ჩემმა ცეცხლმა ხომ გაანათა თქვენ შორის?

თინათინი — (ზიზღით) ახლა იკვებნი, მაშინ კი ყველას უმტკიცებდი, შემთხვევით გამივიარდაო.

ლონგინოზი — თქვენ ხომ მიხვდით, რასაც ნიშნავდა. (ტახტზე გაიშხლართება, ღვინო ერევა) მე ისიც შეყოფა, აქეთ რომ გადმომავდეს, თქვენი აბუჩად ასავლები ვარ? (მარცხენა ფეხს გაუშვერს, ბრძანებით) ფეხზე გამხადე!

თინათინი — (შეურაცხყოფილი) მომერიე? ჩემი დანაგვრა აღვილია.

ლონგინოზი — ამ ფეხს მაინც ეცა პატივი, ხომ იცი, რომ პატივისცემის ღირსია.

თინათინი — (უკვე შემერთალია, მაგრამ მაინც გაუბედავს) ტყუილია!

ლონგინოზი — (თითქოს თავზე კეტი დაკრესო) რა არის ტყუილი?

თინათინი — ფრონტზე არ დაკრილხარ.

ლონგინოზი — მაშ სად?

თინათინი — ნაჭეფარს კოჯრის გზაზე მანქანა გადაგიბრუნდა, ფეხი მაშინ დაგიზიანდა (თინათინი შედის თავის ოთახში).

ლონგინოზი — (სახტად რჩება) ასეთ რამეებსაც ლაპარაკობთ? სრულიად არ მზოგავთ? მთლად მიმეტებთ? (მწარედ ეღიმება) სწორად მოვქცეულვარ, ვერაფერს ვერ დამძრახავს! (შემოდის ელიოზი, ლონგინოზის გვერდით ჩამოჯდება, ელიოზს აკვირდება) გამოიტანე?

ელიოზი — კარგა ხანია.

ლონგინოზი — (გამოცოცხლდება) ხომ არ შეგეშალა?

ელიოზი — არა. დაკვირვებით შევამოწმე.

ლონგინოზი — რა უყავი?

ელიოზი — დავწვი, ქარმა აიტაცა, ატოცისკენ წაიღო.

ლონგინოზი — (მხარზე ხელს დაჰკრავს) ყოჩაღ, ელიოზ! (თითქოს საესე-
ბით გამოფხიზლდომ, კარგ გუნებაზე დგება) სხვათაშორის, არ შემოძლია
სიმართლე არ გითხრა. მეც დიდი სამსახური გამოიწიე, ჩემი დახვეწის
დაიფარა. არ დაგივიწყებ.

ელიოზი — (კარგ გუნებაზე ვერ არის) ახლა ესეც ვთქვათ...

ლონგინოზი — (სიტყვას შეაწყვეტინებს) არ იფიქრო, რომ მართალ აღ-
მიანს ვლუბავთ, სინდისმა ქეჯნა არ დაგიწყოს, დამშვიდებული იყავი,
ჩვენ თვით გვიპირებდა დალუბვას.

მისამი მოქმედება

ბულატერიის ოთახი. ნათელი, მზიანი დღეა. სამუშაო მაგიდებს უსხედან: დავითი, სანდა-
ლა, ლალი. ვმჩნევთ, რომ უკმაყოფილონი არიან, უხალისოდ შემოაბენ. განცალკევებით და-
გმულ მაგიდას უსხედან აბესალომი და ზურაბი.

აბესალომი — (მაგიდაზე მიყრილი-მოყრილი ქაღალდები წესრიგში მოყავს)
ესეც წამოიღე (ზურაბს ქაღალდებს გადასცემს), იქნებ დაგვკვირდეს.

ზურაბი — (გამოართმევს, პორთფელში ჩაალაგებს) მე მგონია, დღეს ზედ-
მეტად დავრჩით.

აბესალომი — საჭირო იყო. ესე იგი ხვალ თორმეტი საათის მატარებლით
მივემგზავრებით?

ზურაბი — სამ საათზე თბილისში ვიქნებით. (თბილისის ხსენებაზე ორივე
გამოცოცხლდება, გახალისდება).

აბესალომი — მივლინებაში ჩვენ თერამეტიდან ვართ თუ ცხრამეტიდან?

ზურაბი — არა, ოციდან. ოცდაერთს დილით არ გამოვემგზავრეთ თბილისი-
დან? ქეთო რომ გვეხვეწებოდა, ჩემი დღეობაა დღეს და დარჩითო, არ
გახსოვს?

აბესალომი — მართალია, მართალი! შინაც რამდენი დღე დავრჩით აქ?
(თითებზე ჩამოთვლის) ოცდაერთი, ოცდაორი, ოცდასამი... (უცებ შე-
შფოთდება) პირველი მაისი ზეგაა! ერთ დღეში რას მოვასწრებთ?

ზურაბი — ყველაფერს მოვასწრებთ. მატარებლიდან პირდაპირ ბაზარში გა-
ვიდეთ (ლილის ემჩნევა, რომ მათი საუბარი ეკალივით ჩხვლვტს).

აბესალომი — ეს კარგი აზრია, თორემ ბავშვებთან ხელცარიელი როგორ
მივიდეთ? კი მაგრამ, დღესასაწულის წინაღღეს, ისიც დღის ბოლოს, ვი-
თომ ვიშოვით რამეს?

ზურაბი — სწორედ მაშინ არის ყველაფერი მოყრილი. თანაც შიშობენ, იქ-
ნებ არ გაგვეყიდოსო. და იაფადაც იშოვი.

აბესალომი — ბავშვებს დავპირდი, დემონსტრაციაზე გაგიყვანთ-მეთქი,
მელიან, როგორ მელიან.

ზურაბი — ჩემმა გულიკომ კი შარშან შემარცხვინა: სწორედ ტრიბუნის წინ
რომ უნდა ჩაგვევლო, იმ დროს ხელიდან წითელი ბუშტი გაექცა, მართო
ლრიალი, მაგრამ როგორი? მე კიდევ არაფერი, დღემისი უნდა გენახა,
საით გაქცეულიყო, არ იცოდა. სხვათაშორის, სიცხიანი დავტოვე და მე-
შინია, ცუდად არ იყოს.



ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — ბავშვს ხან მისცემს სიცხეს, ხან არა, ეგ არაფერი, რომ რამე ყოფილიყო, ნუ გეშინია, სახლში მოიფიქრებდნენ, ტელეფონით დაგელაპარაკებოდნენ.

ზ უ რ ა ბ ი — მო, ახლა ჩვენ აქ კიდევ რამე გვაქვს გასაკეთებელი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — არაფერი, სრულიად არაფერი, აქტზე ხელს მოგვიწერენ და მორჩა.

ზ უ რ ა ბ ი — თვითონ სად არის? არ გამოჩნდა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — ახლა ყველაფერი ჩემი გასაკეთებელიაო, და ხან აქეთ გარბის, ხან იქით. ისე ბოდინში მოიხადა, ყურადღება რომ ვერ მოგაქციოთ, არ გეუყინოთო.

ზ უ რ ა ბ ი — სიმართლე რომ ვთქვა, სამსახურიდან ჯერ კიდევ არ უნდა მოეხსნა, აჩქარდა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — რატომ ამბობ! განა ყველაფერში უნდა გავამტყუნოთ! რა უფლება აქვს, პასუხისგებაში მისაცემი კაცი სამსახურში გააჩეროს? არა, ამასი ვერ გავამტყუნებ, დღეს თუ ხვალ პროკურორის განკარგულებას მიიღებს, აბა რა აზრი აქვს.

ზ უ რ ა ბ ი — შალვა ამ დილითაც შემხვდა, სალაში არ მომცა, ვითომ და პროტესტის ნიშნად?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — არა მგონია, რომ ჩვენზე ნაწყენი იყოს, ჩვენ ვერ დაგვემდურება. ჩვენზე ვერაფერს ვერ იტყვის, რომ უკანონოდ ვიქცევით, ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ: საბუთები დაიკარგა, — შეგვაქვს ოქმში, მორჩა და გათავდა! (ნერვიულობს) რატომ დაიკარგა? ვინ დაიკარგა? ამას სასამართლო გაარჩევს; (უკვე შენიშვნის სახით) ხელის დაფარების უფლება ჩვენ არ გვაქვს, ამას ნუ მეტყვი!

ზ უ რ ა ბ ი — მართალი ხართ, მართალი! ჩვენ სხვაგვარად ვერ მოვიქცევით, გეთანახებით! (სიცილით) ეს კი როგორ გამოცოცხლდა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — ლონგინოზი? არა, ყოჩალი კაცი რომ ყოფილა, ცხადია.

ზ უ რ ა ბ ი — არავის დახმარება არ მჭირდება, ყველაფერს თავს გავართმევო.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — ვითომ სადილობო შრომა არ მაქვს ჩაბარებული, თორემ სააღმშენებლო ინსტიტუტში ვსწავლობდი, მეხუთე კურსიდან ვარო, მართალია?

ზ უ რ ა ბ ი — აბა რა ვიცი, მაგისას ვერაფერს გაიგებ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — (ლილის აკვირდება) ლილი დღეს ცუდ ხასიათზეა, თითქოს გვებუტებაო.

ლ ი ლ ი — (ნიშნის მოგებით) მერე ამას რა მნიშვნელობა აქვს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — რატომ გგონიათ?

ლ ი ლ ი — სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო, ხომ გაგიგონიათ?

ზ უ რ ა ბ ი — ჩვენ გადმოგვკარი? (დავითი და სანდალა ყურებს ცქვეტენ).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — (კეთილი ღიმილით) ჩვენ რა უნდა გვექნა, ჩემო კარგო, ჩვენ რა შეგვეძლო? აბა წარმოიდგინე საბუთები იმ საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა, რომელზედაც ორი მილიონი მანეთი დაიხარჯა, მთლიანად დაიკარგა.

ლ ი ლ ი — (გულუბრყვილოდ) სახლი ხომ აქ არის, შეაფასონ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — (სიცილს განაგრძობს) არა, გენაცვალე, ეგ შეუძლებელია, ამგვარად დიდი თანხის ხარჯვის დროს ბოროტმოქმედს ყოველთვის შეუძლია ხელი მოითხოს; ამის გარდა, ზუსტი გამოანგარიშება ყოველად შეუძ-

ლებელია. ეს შესაძლებელიც რომ გახდეს, გამოანგარიშების სხვაგვარ წესს სახელმწიფო კანონი გვიკრძალავს. ჩვენ ვალდებული ვართ, თვით საბუთები შევამოწმოთ, თორემ უსაბუთო ხარჯების დადასტურების უფლება ვინ მოგვცა.

ლილი — მაშასადამე, რაიმე უბედურება, კატასტროფა რომ შეემთხვეს დაწესებულებას, შესაძლებელია, სწორად ვერ გამოვთქვა, რასაც ეფიქრობ, მაგრამ, ვგონებ, მიმიხვდით, და საბუთები დაიკარგა — აღამიანებიც უნდა დაიღუპნენ?

აბესალომი — სამწუხაროდ, ამგვარი სახის ბოროტმოქმედებებიც გვხვდება, არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ შენობას, საწყობს დაწვევენ იმ მიზნით, თითქოს საბუთები დაიწვათ, ამგვარი საქმეების ჩამდენი აღამიანები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან, მათ საზოგადოებისათვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ.

ლილი — (ბუზღუნით) ყოველშემთხვევაში, როდესაც ასეთ შემთხვევებს წააწყდებით თქვენ, ეს გახარებთ.

აბესალომი — რა გვახარებს?

ლილი — როდესაც რაიმე ბოროტმოქმედება აღმოაჩენთ.

აბესალომი — ჩვენ?

ლილი — (მოუტირებლად) დიახ თქვენ, რევიზორებს. მე ეს შეენიშნე, ვიგრძენი. თქვენ თქვენს ბავშვებზე საუბრობთ, აქ კი აღამიანი იღუპება.

აბესალომი — (ლიმპით) გასაგებია თქვენი გულისწყრომა, ჩემო კარგო, არ გძრახავთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართ.

ლილი — ისიც როდის? პირველი მაისის წინ (თვალები აუცრემლდება) შარშან აქ, იცით, როგორი პირველი მაისი გქონდა? თქვენზე უკეთესი! (დავითი და სანდალა მოუსვენრობას იჩენენ).

აბესალომი — დამშვიდდით, ლილი, გენაცვალე.

ლილი — მერე, იცით, ის გულშია დაქრილი, მისმა გულმა არასდროს არ უნდა გაიხაროს? (ცრემლებს ველარ იკავეს. ატირდება, გარეთ გადის. სანდალა მოულოდნელად ხელს კრავს ფანჯრებს და აღებს).

დავითი — (სანდალას დაბალი ხმით) ჯერ კიდევ ცივი დღეებია, სანდალა, ფანჯრები მოხურე.

სანდალა — ბოლი დადგა, ბოლი, გავიდეს!

აბესალომი — (ლიმპით) ესე იგი ჩვენ გავიდეთ?

დავითი — თქვენ რატომ?

აბესალომი — პაპიროსს ჩვენ ვეწვეით, ბოლს ჩვენ ვაყენებთ. მაგრამ ეგ არაფერი, ყურადღებას არ ვაქცევთ (ქალაღებს გადმოიღებს, დავითს გაუწოდებს) სარევიზიო აქტს მხოლოდ თქვენი ხელმოწერა აკლია, პატივცემულო დავით.

დავითი — (ცეკად) რა გაეწყობა, იძულებული ვარ... თუმცა ჩემი აზრი თქვენ მოგეხსენებათ.

აბესალომი — ჩვენც პატივისცემით მოვეპყარით თქვენს განცხადებას: სამი დღე გვთხოვეთ, ჩვენ ერთ კვირაზე მეტია, ხელს გიწყობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ. სინამდვილეს ველარ გავეძევეით.

დავითი — სამწუხაროდ ასეა. (შემოდის ელიოზი, გრძობს საერთო განწყობილებას, ამის გამო ჩუმად ჩამოჯდება სანდალას მაგიდასთან, კალმისტარს აიღებს, სანდალას მაგიდაზე დაფენილ ქალაღზე ჩხაპნის).

- ზ უ რ ა ბ ი — (ლილის ტყბილი ხმით) ერთი წუთით ყურადღება მომაქციეთ, ლილი. უზარმაზარი სახლის აშენება-კი არა, აი, შოღერი კაცყადაყვიფო-ხოთ, მანქანა რომ გზაზე გაუჩერდეს, მისი რომელიმე ნაწილში მშობნის და შეაკეთოს, თუ ანგარიში არ წარმოადგინა, ხარჯებში გაუტარებენ? ვინმე აღნაზღაურებს?
- ე ლ ი ო ზ ი — თავის დღეში! შორს რად მივდივართ, პატივცემულ დავეითთა-ნაც ბევრჯერ მომიტანია, მაგრამ არ მიუღია, უკან დაუბრუნებია.
- ზ უ რ ა ბ ი — აი, ხომ ხედავთ! (ლილის სახე მაინც უკმაყოფილებას ამჟღავ-ნებს).
- ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — პატივცემულო დავეით...
- და ვ ი თ ი — (სწრაფად წამოდგება, ქალაღს გამოართმევს) ხელს ვაწერ, მაგ-რამ მსურს ვითხრათ: დღეის შემდეგ ველარ დაეკეხნი, რომ მე უპა-ტიოსნო საქმეზე ხელი არ მომიწერია (ლილი მიდის).
- ს ა ნ დ ა ლ ა — (სკამიდან მოულოდნელად წამოხტება, ყვირის) რას ჰგავს ეს? როგორ შეიძლება? (მოულოდნელი ყვირილი გაოცებას იწვევს, შეშფოთ-დებიან, სკამიდან ელიოზი წამოვარდება) რამდენჯერ ავიკრძალე!
- ე ლ ი ო ზ ი — მე მეუბნები? რა ამიკრძალე?
- ს ა ნ დ ა ლ ა — აქ ნუ ჩხაბნი-მეთქი, ამ დღით გადავაკარი (მაგიდაზე დაფე-ნილ ქალაღებს აიღებს, დაკუქავს, გადააგდებს), მერე სულ თავის სა-ხელსა და გვარს აწერს: ელიოზ შუბითიძე, ელიოზ შუბითიძე. მერე რაო, ვითომ რა მოხდა?
- ე ლ ი ო ზ ი — (მორიდებით) შენ, ჩემო ძმაო, სხვა რამეზე იყო გულმოსული, მე რა შუაში ვარ?
- და ვ ი თ ი — (სანდალას, რომელიც უკვე კარებთან მისულა) რა იყო, რა მოხდა?
- ს ა ნ დ ა ლ ა — აგარის სადგურში იმიტომ მძულს შესვლა, რომ სულ ამათი სახელი და გვარებია მიწერილი (გარეთ გვარდება).
- და ვ ი თ ი — (სანდალას მიმართ მზრუნველობას იჩენს) ასეთი აჩქარებული პასუხები იცის ხანდახან, მაგრამ არ იფიქროთ, რომ დაუცვირებელი აღამიანია.
- ე ლ ი ო ზ ი — მოულოდნელად რომ იყვირა, ერთბაშად წამოვხტი, ხელი ისე მწარედ მივარტყი ამ სალაროს, რომ აი, ველარ ვხრი.
- და ვ ი თ ი — რა კაცია, როგორ უცებ იფეთქა? (ელიოზს) არ იფიქროთ, რომ თქვენი წყენა უნდოდა. ასე გამოუვიდა.
- ე ლ ი ო ზ ი — მე რატომ მეუბნებით, ბატონო დავეით, მე ხომ კარგად ვიცნობ. (აბესალომს და ზურაბს) სხვათაშორის, უცებ იცის გულის მოსვლა, მაგ-რამ უნდა მოგახსენოთ, რომ წვიმის წვეთივით სუფთა აღამიანია.
- და ვ ი თ ი — (ელიოზის ნათქვამი გააკვირვებს) ყოჩაღ, ელიოზ! კარგად სთქვი, მომეწონა.
- ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — სხვათაშორის, დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ აღამიანი, რომელსაც იშვიათად მოდის გული, რომელსაც აღელვებას ვერ შეამჩნევ, საეჭვო აღამიანია. (ელიოზი მიდის, რამდენიმე ხნის შემდეგ შემოდის ლილი, თავის მაგიდას მიუჯდება).
- ლ ი ლ ი — (აბესალომს) ტრტიკოს მაინც რა მოუვიდა?
- ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — (ხალისით უპასუხებს, თითქოს მით ლილის ნუგეშს ცემს). ასეა, მაშ როგორ გეგონათ? დააშავა — უნდა დაისაჯოს.

- ლილი — კი, მაგრამ გამოცდილი კაცია, მოხერხებული კაციაო, რომ ამბობდნენ?
- აბესალომი — არ გედავებით, არ გედავებით, უთუოდ მოხერხებული კაცია, მაგრამ კანონის მიმართ რას გახდება, კანონი ხომ ყველასათვის შეუვალია, მის წინაშე ყველანი თანაბარი ძალისა ვართ (შემოდის ლონგინოზი).
- ლონგინოზი — (ქშენს, უმთავრესად არა დაღლილობის, არამედ სიმსუქნის გამო, ძვირფასი ცხვირსახოციოთ ოფლს იწმენდს) ბოდიში, ბოდიში, ამხანაგებო, ყურადღებას ვერ გაქცევთ, მაგრამ...
- ზურაბი — როგორ გეკადრებათ! ეგ რა სათქმელია?
- ლონგინოზი — (სიცილით) ჩემზე თბილისში საყვედური რომ თქვათ, ვერ გაგამტყუნებთ.
- ზურაბი — პირიქით, როგორ გეკადრებათ, სასაყვედურო რა გვაქვს.
- ლონგინოზი — თბილისში (აბესალომსაც სურს გააგონოს, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს) ჩვენთან, სამინისტროში ზოგიერთები, თურმე ჩემზე ამბობენ, რომ ყურადღებას არ გვაქცევსო.
- ზურაბი — ყველას რომ ყურადღება მიაქციოთ, საქმე ვინ აკეთოს?
- ლონგინოზი — ავაშენოს ღმერთმა! ამას რომ ვიტყვი, სწყინო, ყველას ხომ ვერ ეტყვი პირში, რომ თქვენ სხვა ხართ, ისინი სხვანი არიან. ესაა და ეს, სხვა კი არაფერი. მთელი გაუგებრობა სულ ამაზეა აშენებული, ამის გამო გესმით ჩემზე საყვედურები.
- ზურაბი — ყურადღებას ნუ მიაქცევთ.
- ლონგინოზი — სხვათაშორის, მართლა არ ვაქცევ ყურადღებას. (დავითს) დავით გარსევანოვიჩ, როგორაა საქმეები!
- დავითი — (ცივად) ყველაფერი შზად არის.
- ლონგინოზი — (თითქოს დავითს წყენას ვერ ამჩნევს) ძალიან კარგი, ძალიან კარგი. (სარევიზიო აქტის ქალაქებს გამოართმევს, ათვალეობებს) მე მგონია სრული სურათია.
- აბესალომი — დიახ! დიახ!
- ლონგინოზი — ... და ჩემი ხელმოწერა აკლია, ახლავე! (ხელს აწერს რამდენიმე ცალს) მგონია ორი ცალი ასლისა ჩვენ გვრჩება. (დავითს გადასცემს ქალაქებს, გუნება კიდევ უფრო გამოუკეთდება) ახლა, ჩვენს შორის დარჩეს და, აქ ცოტა მიდგომას ჰქონდა ადგილი. (შემოდის სანდალა, თავის მაგიდას მიუჯდება, ეტყობა, რომ სიბრაზეს გაუვლია).
- აბესალომი — რატომ სთქვით, ამხანაგო ლონგინოზ, მიდგომა რაში შენიშნეთ?
- ლონგინოზი — (ლამილით) ცოტა მე მომიდევით, კი, კი, როგორ არა! (დავითსა და სანდალაზე მიუთითებს), ესენიც დამეხმარნენ, ესენიც მე მიპყრდნენ მხარს.
- აბესალომი — როდის, რა საქმეში?
- ლონგინოზი — აი იმ კიროსა და აგურების თაობაზე რომ იყო.
- აბესალომი — მასალის ურთიერთგაცვლის წესით დაგითმიათ კოლმეურნეობისათვის, კერძო პირისათვის რომ მიგეცათ, სხვა საქმე იყო.
- ლონგინოზი — სიმართლე რომ ვთქვათ, ამის უფლება არ გქონდა. აქტში რომ შეგეტანათ, იმის გამო დიდ საწყენს არ შემახვედრებდნენ, მაგრამ მაინც არ მესიამოვნებოდა, და ამიტომ მადლობელი ვარ.



ზ უ რ ა ბ ი — ასეთ ამბებს რომ მივდიოთ, შორს წაგვიყვანს.

ლონგინოზი — ზოგჯერ პატარა დარღვევები აუცილებელია, ისე საქმე არ გაკეთდება. ხანდახან თუ არ მოვეუწოდებთ კოლმეურელებს, ჩვენი ძნელია, საქმე არ გაკეთდება. განსაკუთრებით ამ პერიოდში მიჭირს მე, აპრილი რომ იწყება, მერე არა უშავს. ტიტციოს საქმეზე რას იტყვი?

აბესალომი — როგორ გითხრათ, საქმეები ისე აწეწილ-დაწეწილი აქვს, რომ ძნელია აღამიანი გაერკვეს, მე ვფიქრობ, თბილისში ჩასვლისთანავე მისი საქმეების შესასწავლად სპეციალურად გამოვგზავნოთ კაცი.

ლონგინოზი — მანამდე რომ სამსახურიდან გავათავისუფლე, ხომ სწორად მოვიქცევი?

აბესალომი — რა თქმა უნდა.

ლონგინოზი — (დავითსა და სანდალას) თქვენ უნდა გისაყვედუროთ, ერთ რამეში ვერ გაგამართლებთ.

სანდალა — (უხალისოდ) მე მეუბნებით?

ლონგინოზი — ორთავეს გასაგონად ვამბობ: ის თურმე ამბობს, რომ ეს ამბავი ვითომ მე მოვუწყვე, იმუქრება და სხვა ასეთები, მაგრამ მე მაინც არ ვაქცევ ყურადღებას, წინათ თუ არ ვუთმობდი — გასაგებია, ახლა წაქცეულ კაცს რას ეტყვი? ვერაფერს. თქვენ კი არ გეპატიებათ, რატომ ყურადღებას არ აქცევთ? ცოდვაა, ხშირ-ხშირად უნდა ინახულოთ, ერთბაშად კი არ უნდა ჰკრათ ხელი.

დავითი — (გულნატყენი) ვითომ ჩვენზე მეტად გეწვიოთ გული?

ლონგინოზი — ასეა თუ ისე, მეტ ყურადღებას რომ მიაქცევდეთ, სჯობს. (კაბინეტიდან ისმის ტელეფონის ზარი. ლონგინოზი კაბინეტში შედის. აბესალომი და ზურაბი შეჰყვებიან. შემოდის ტიტციო, ფანჯარასთან ჩამოჯდება, იქვე ჩამოდებულ გაზეთებს ზედიზედ შლის, თავი ამაყად უჭირავს. კაბინეტიდან ისმის ლონგინოზის ლაპარაკი) დიახ, დიახ, მე ვახლავართ, ამხანაგო გერკესი, გისმენთ. მზად ვართ, ყველაფრით მზად ვართ! დიახ, როგორც შარშან, ქარხანა გირლიანდებით იქნება მორთული, ლოზუნგები სამ ადგილას იქნება გზაზე, ბოძებს შორის, გაბმული. მართალია, შარშან კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ წელსაც იმედი გქონდეთ. (საუბარი შეწყდება. აბესალომი და ზურაბი კვლავ გამოჩნდებიან).

აბესალომი — (ტიტციოს შენიშნავს) ტიტციოს გაუმარჯოს! როგორა ხართ?

ტიტციო — (მათ მიმართ ყურადღებას უკვე აღარ იჩენს, მაგრამ მაინც ჩაილაპარაკებს) რა ვიცი, როდესაც მთელ ქვეყანაზე მშვიდობის მტრელები ააფრინეს, მე მაინცდამაინც მაშინ დამკორტნეს. ალბათ ასეა საჭირო. (შემოდის ლონგინოზი, ტიტციო დემონსტრატულად გადის).

ლონგინოზი — მამსალაძე, აქ ჩვენ საქმე უკვე არ გვაქვს. მე თითქმის ყველაფერი მოვისტუმრე. ახლა ჩვენ ფეხით ავყვებით ამ ღელეს და ერთ ადგილას მივალთ.

აბესალომი — სად?

ლონგინოზი — აქვე, სულ ორ კილომეტრზე, არის სოფელი გვირგვინა, ლამაზი სოფელია, მოგეწონებათ.

აბესალომი — მე მგონია დასვენება სჯობს. რას იტყვი, ზურაბ?

ლონგინოზი — იქ პატარა ვანშამს მიირთმევთ, საუკეთესოდაც მოგასვენებენ. დილის თერთმეტ საათამდე ნურაფერზე იფიქრებთ. მანქანა თავის დროზე მოგაკითხავთ, სადგურშიაც თავის დროზე იქნებით.

ზ უ რ ა ბ ი — გავლა სჯობს.

ლო ნ გ ი ნ ო ზ ი — გზაზე იმ ადგილსაც განახებთ, სადაც — უფროდ გაზექ
თებში გექნებათ წაკითხული — კაცმა ვეფხვი ხელებით დაახრწა.

ზ უ რ ა ბ ი — მართლა?

ლო ნ გ ი ნ ო ზ ი — იმ კაცსაც გაგაცნობთ, სამსონი ჰქვია, კარგი ვაჟაკია.
(წასვლას აპირებენ).

და ვ ი თ ი — (ცდილობს, რომ თავის უკმაყოფილება უფრო მკაფიოდ გამო-
ხატოს, მაგრამ ვერ ახერხებს, ამიტომაც ნერვიულობს, უცებ წამოიძახებს)
ეს საქმე მაქალო ვაშლი არ არის!

ლო ნ გ ი ნ ო ზ ი — რა სიტყვი?

და ვ ი თ ი — (უფრო ხმაილად) მაქალო ვაშლი, ნასეტყვი ვაშლი არ გეგონოთ.

ლო ნ გ ი ნ ო ზ ი — რას ამბობს, ვერ გავიგე.

და ვ ი თ ი — მაქალო ვაშლი არ არის, რომ წყალმა ხიდექვეშ გაატაროს და
ამით გათავდეს ყველაფერი! (ლონგინოზი აბესალომს და ზურაბს გაღა-
ხედავს).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — სამწუხაროდ, ვერაფერი გავიგე.

ლო ნ გ ი ნ ო ზ ი — ჩვენ „გლავცეცემტრაზვედის“ სისტემასთან ვართ და-
კავშირებული, მაქალო ვაშლი რა შუაშია?! (აბესალომს და ზურაბს) ხომ
ხედავთ, რანაირი ხალხი მახვევია? (კატეგორიულად) ყველა უნდა მოეხსნა
სამსახურიდან, დღესასწაულების შემდეგ არც ერთ ამთვანს აქ არ გა-
ვაჩერებ. (უცებ დავითს მიუბრუნდება) თქვენ, დავით, ის თუ იცით, რომ
მადლობელი უნდა იყოთ?

და ვ ი თ ი — რის გამო?

ლო ნ გ ი ნ ო ზ ი — (უტიფრად) იმის გამო, რომ ეს საქმე თქვენც არ შეგეხოთ.

და ვ ი თ ი — გარკვევით მითხარით!

ლო ნ გ ი ნ ო ზ ი — მე თქვენზედაც მაქვს ეშვი.

და ვ ი თ ი — (უსაზღვროდ აღელვებული) რაო? რა სიტყვით? მე თქვენ ვინ
გგონივართ?! თქვენ იცით, მე პირველად სად დავიწყე მუშაობა? ქართ-
ველთა შორის წერა-კითხვას გამაერცვლებელ საზოგადოებაში! (ლონგი-
ნოზი ამჯობინებს, რომ გაეცალოს. სანდალას და დავითის გარდა, ყველა
მიდის. დავითი პალტოს იცვამს, შუაოთახში შედგება, ჯოხს იატაკზე უკა-
კუნებს) ხედავთ რა მაკადრეს? შენ გული არაფერზე არ გაგიტყდეს, სან-
დალა, ჯერ მე მივაკითხავ, მერე შენ გამოიარე. (მიდის, სანდალა მარტო
რჩება, ფიქრებს მიეცემა. რამდენიმე წნის შემდეგ შემოდის ტიტოკო-
ეტყობა, რომ აღელვებულა).

ტ ი ტ ი კ ო — ალბათ გიკვირს, ჩემო სანდალა, იქით-აქით რომ ვაწყდები, წა-
რამაზა რომ ვალებ კარებს.

ს ა ნ დ ა ლ ა — როგორ გეკადრებათ, ეს სრულებით არ შემიმჩნევია.

ტ ი ტ ი კ ო — (თავისთვის) თვალში რომ ჩავეარდნოდი, თითს არ ამოისობდა,
მეგონა, ეს რა მიყო, ა? კაცმა რომ კაცი გაიქნო, მასთან ექვსი ფუთი
მარილი უნდა შევამოო, ექვსი ფუთი კი არა, ექვსი ტონა მე და ამან
მარტო ახალციხეში გაეასაღეთ და შევვამეთ, მაგრამ (ხელს ჩაიჭნევს)
არც ეს ყოფილა მართალი! (ჩაფიქრდება) კიდევ ირყვიან: ასე და ისეო,
ქართველები ერთმანეთს ხელს აფარებენო... რუსეთში არ მიმუშავია თუ?!
სამხედრო ნაწილის სასადილო ჩემს ხელში არ იყო? აჰა, რომ შემქამეს,
თორემ იქ, სერჟანტებიდან მოყოლებული — გენერლამდე, ყველა „ზა-

ლატოი ტიტოკოს“ მქაზდა (ამოიხრებს, კვლავ ჩაფიქრდება) ფიქრში როცა დამინახავს, რომ რიონს ხის მორი მიაქვს ზღვაში შესაგდებად, დასაღუპავად, ის შემცოდებია, ამით ადამიანი არ ეცოდებათ, ეს ჩვეულებაა?
ს ა ნ დ ა ლ ა — (ყურადღებას აქცევს ჩაფიქრებულ ტიტოკოს) თქვენი საქმე როგორ არის, ტიტოკო?

ტ ი ტ ი კ ო — (მხნელ) არც ისეა, მაგათ რომ ჰგონიათ. თუმცა, იცი, რა გითხრა? ჩემი ამბით რომ ვინმე დაინტერესდეს, ჩემი ამბავი რომ ვინმემ შეიტყოს. იცი, რა უნდა გაიფიქროს?

ს ა ნ დ ა ლ ა — რა უნდა გაიფიქროს?

ტ ი ტ ი კ ო — აი, რა: ის მუხა რა მუხაა, ერთხელ მაინც რომ არ დაჰკრავს მეხი? ის ვენახი რა ვენახია, ერთხელ მაინც რომ არ დაისეტყვება? ის ნადირი რა ნადირია, ერთხელ მაინც რომ არ მოხვდება საფანტი ბარძაყებში? (სანდალას მიაჩერდება, ჩაფიქრდება) ამაშია საქმე, მეტი არაფერი.

(გ ა რ დ ა)

მეოთხე მოქმედება

პირველი სურათი

ღამეა. ლონგინოზის ბინაში ზნელა. სიჩუმეს მანქანის ხმაური დაარღვევს, ოთახში მანქანის სინათლის შუქი ღვება, ხმაური მალე შეწყდება, სინათლეც ჩაქრება. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ისმის ზარის რეკვა, საწოლი ოთახიდან გამოდის თავმალმოხვეული თინათონი, კარებს აღებს. შემოდის ლონგინოზი, იქვე, კარებთან შედგება, თინათონი სინათლეს აანთებს, ლონგინოზს უაზროდ ელიძება, ეტყობა, რომ ნასვამია. თინათონი შემოფანტულ თმებს ისწორებს.

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — (ლულულუღით) როდესაც თმების შესწორების დროს ქალს პირით საეარცხელი უჭირავს, მე ეს მომწონს... (თინათონი წასვლას აპირებს; ხელებს ჩააეღებს) რატომ შეიკმუნხე, არ მოგეწონა? მე კარგი რამეც რომ ვთქვა, სულ ერთია, შენ მაინც არ მომიწონებ. აქ ჩამოჯექი, უნდა გელაპარაკო (თინათონი ვერ ეურჩება, ვინაიდან ამჩნევს, რომ ძალზე ნასვამია, ღიღინებს).

ქვენატყოცა, ზენატყოცა,
პირველად შენ ვინ გაყოცა?..

(თინათონი შემკრთალი აკვირდება) ნურაფრის შიში ნუ გაქვს, მე ჩხუბის გუნებაზე არა ვარ, მაგიდაზე მოულოდნელად მუშტს არ დავკრავ, ამიტომ ვილაპარაკოთ.

თ ი ნ ა თ ი ნ ი — (იძულებულია პასუხი გასცეს) შეუღამე გადასულა, საცაა გათენდება, შემდეგ იყოს, ახლა რა დროსია.

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი — არა, ახლა, ახლა მსურს ლაპარაკი. ჩემი საქმე დამთავრდა, მორჩა! იმდენი მყოცნეს, იმდენი რომ... იქვე დავბინავე, ხვალ კი გზას გაუდგებიან. მარტო ჩვენ კი არ ვიყავით, სუფრას ოცდაათ კაცამდე ვუსხედით, ის ადამიანები, რომლებიც მე მუღამ მამაგებდნენ — წუხელ მაკებდნენ, მაღიდებდნენ. გუნებაში ისინი, როგორც შენ, ფიქრობენ რომ მე

ცული კაცი ვარ, მაგრამ მაინც სიყვარულს მიცხადებდნენ. რატომ? იმიტომ, რომ მე ძლიერი ვარ! (დიდხანს აკვირდება) ისინი ეტყობოდნენ უკვე სხვაგვარად მეპყრობი: გაინაბე. (ხითხითებს) ჩემი ფეხებს მისი უკვე ყურს უგლებ, გრძნობ, რომ კიბეზე ამოვლივარ, ანგარიშს მიწეე! არც შენ ყოფილხარ სპეტაკი ადამიანი.

თინათინი — (შეკრთება) რატომ?

ლონგინოზი — შეშფოთდი? გეწყინა? ხომ გითხარი, სალაპარაკო მაქვს-მეთქი. რატომ? ახლავე გეტყვი: როცა მე მლანძღავდნენ, შენ იმათ მხარეზე იყავი; შენ ეს გამშვენებდა, იმათ თვალში უფრო ლამაზს გხდიდა, ახლა კი შენ მათ თავს არიდებ, ახლა შენ უკვე ჩემს მხარეზე ხარ.

თინათინი — (მოულოდნელი პასუხით გაოცებული) ვერაფერი გავიგე, რისი თქმა გსურს?

ლონგინოზი — ყველაფერი კარგად გესმის, ნუ მაწვეტილებ, მე კიდევ მეტს გეტყვი: მე ვიცი, თუ რა გაიფიქრეს ჩემ ირგვლივ ადამიანებმა. ისინი ფიქრობენ, რომ ყველაფერი ის, რაც აქ მოხდა, მე მოვაწყვე, შენც ასე ფიქრობ, ამას შენც გრძნობ, დე ასე იყოს. მაგრამ მას შემდეგ უფრო დასცხრით, უფრო მერიდებით, მალე მოფერებასაც დამიწყებთ.

თინათინი — მე რა უნდა გქნა, რა შემიძლია?

ლონგინოზი — შენ უკვე არც ისურვებ, რომ იმათ ჩემდა საზიანოდ რამე გააკეთონ. უფრო მეტს გეტყვი: შენ ახლა მე მიჭერ მხარს.

თინათინი — რატომ გგონია?

ლონგინოზი — იმიტომ, რომ გრძნობ, მე მათგან განვსხვავდები, მე სხვა ადამიანი ვარ; მე ისე ვერ ვიცხოვრებ, როგორც ისინი ცხოვრობენ; ჩემს ბუნგთან საქონლის ძელები ყრია, იმათ სოროებთან კი — ნამცეცები და კურკები; რაც იმათი, ყველასი ერთად, ამქვეყნად ცხოვრება დაჯდება, იმის ღირებული მე შენს ქულზე ქინძისთავი მიბნევი.

თინათინი — ნუ მეუბნები, საქირთა არ არის, მოისვენე, მოისვენე.

ლონგინოზი — გულზე მწარედ გხედება? მე მეტს არაფერს ვიტყვი, მხოლოდ ის კი მივირის, რომ სხვის ღირსებებს ამჩნევ, ჩემსას კი ვერა. სხვამ რომ თვალები ლამაზად დაახამხამოს, იმასაც კი აღნიშნავ, ჩემს ღირსებებს რატომ ვერ ხედავ? თუ სხვაზე შეგიძლია თქვა, რომ სიარული უხდებაო, ჩემზე რატომ არ იტყვი, რომ მე ისეთი ღირსებები გამაჩნია, რაც სხვებისთვის სანატრელია: მე არ ვიცი რა არის ავადმყოფობა, მე შემიძლია შუაზამთარში, შუაზინდორზე ალიონამდე გულგაღვლილი ვიჯდე და ღვინოს შევექცეოდე. ვინ არიან ისინი? (ზიზლით) ჭიები. ყველამ იცის რომ ჩემს ოჯახს გულუხვობა შეჭფერის, ყველამ იცის, რომ მე გამოსაჩენი კაცი ვარ, ყველამ იცის, რომ მე ლამაზი ცოლი მყავს... მათი საქმე სხვაა, ჩემი სხვა.

თინათინი — მოისვენე, ხომ გრძნობ, რომ ღვინო გერევა.

ლონგინოზი — ასეთი ტკბილი ხმით მელაპარაკე, დაგემორჩილები. ისიც მინდა გითხრა, რომ ამ ბოლო დროს მე შენი მაღლიერი ვარ იმის გამო, რომ გულის ხმას ბოლომდე არ აძყევი... ასე სჯობს, დამიჯერე. შენ იმაზე იფიქრე, რომ ჩვენს ოთახებში ფარდები ლამაზად იყოს დაშვებული, სტუმრებს ზამთარშიაც ვარდის ბუჩქივით გაუღიმო, სუფრის გაშლის დროს ბროლის ვაზები ერთმანეთს დააჯიბრო. სხვა ამბებს შენ ნუ კითხულობ, ცხოვრების ავ-კარგის გაგებას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

დამიჯერე (წამოდგება. ბარბაცით ლიღინებს) შოფერს დაუძახე, აქ მოასვენე, დილით ადრე უნდა გავიდეთ. (ეძახის) ელიოზ! ელიოზ! (ვისმოსვლას არ უცდის, შედის საწოლ ოთახში. თინათინი კარებს აუღებს, შემოდის ელიოზი, თავს უხერხულად გრძნობს).

თინათინი — როგორ წარმოვიდგენდი, რომ გარეთ იყავით მიტოვებული, ღმერთო მომკალი! კარგად მოგასვენებთ.

ელიოზი — ნუ სწუხდებით. (თინათინს სწრაფად შემოაქვს ლოგინი, იქვე ტახტზე გაშლის).

თინათინი — (წასვლას აპირებს, მაგრამ უცებ რაღაც მოაგონდება) ეს კი ნაქვიფარი მოვიდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ თქვენ იქაც გარეთ გალოდინეს. თქვენისთანა ადამიანების დაეწეება ამათ სჩვევიათ. (სუფრას სწრაფად გაუშლის. დოქით ლეინოს გადმოუღებს)

ელიოზი — მართალი გითხრათ, ასე მირჩევნია, რადგან (ლოგინზე მიუთითა) აქ ვერ ჩაეწეები.

თინათინი — რატომ?

ელიოზი — მერიდება. ლეინო კი თავს შემაქცევიანებს.

თინათინი — (ღიმილით) როგორც გნებავთ, როგორც გნებავთ. (მოდის. ელიოზი სუფრას მიუჯდება, ფიქრებს მიეცემა, დროდადრო ლეინოს ისხამს, სვამს).

ელიოზი — (ფანჯარაში იხედება) ინათა, თუ ჯერ კიდევ ბნელა? (კვლავ ფიქრებს მიეცემა) სალამს მაძლევენ, როცა ჩაივლიან, მერე მესმის; ლეინოს მაწვდიან, სადღეგრძელო რას ეხება, არ ვიცი; გუშინ კარგ გზაზე მივდიოდი მეგონა, თურმე ძეძვებში შევსულვარ! რა მომდის? (ჩაფიქრების შემდეგ)

ვო. მეო, ბიჟო დემიტრო,
წმინდა გიორგის საყდარი
რატომ ვატეხო?

(მამლები ყვირის იწყებენ. ელიოზი შეურხველად ზის, ძილი ვერ სძლევს. საწოლი ოთახის მოპირდაპირე ოთახიდან შეუშინველად გამოდის ლილი, ელიოზს უახლოვდება. ელიოზი უცებ შენიშნავს, გაოცდება, გაუგებარი სიხარული და ეჭვები შეიპყრობს) საიდან? აქ როგორ გაჩნდი?!

ლილი — თინათინმა მთხოვა, მარტო ველარ ვრჩები, ჩემთან იყავით.

ელიოზი — (მორიდებით) ჯერ არ გათენებულა.

ლილი — განა ვერ ვამჩნევ, მაგრამ მაინც წამოვდექი.

ელიოზი — საქმე გაქვთ გასაკეთებელი?

ლილი — არა, შენთან მოვედი. (მის გვერდით ჩამოჯდება) კარგ დროს შეგხვდი.

ელიოზი — რატომ?

ლილი — შენთან ლაპარაკი მსურს.

ელიოზი — (კმაყოფილია, გამოცოცხლდება) ეგ სურვილი მე დიდხანია მაქვს.

ლილი — ვგრძნობდი, მაგრამ საშუალებას არ გაძლევდი, თავს გარიდებდი. ვიცი, რომ ჩემთვის ყოველთვის კარგი გსურდა, რას გემართლებოდი?

ე ლ ი ო ზ ი — ამის გამო მე არასოდეს საყვედური არ მოთქვამს.

ლ ი ლ ი — ვიცი. ამის გამოც გათასებ. მე თქვენ ბევრჯერ გაწყენინებდით გამახსენდება, გული მწყდება.

ე ლ ი ო ზ ი — ზოგჯერ გამახარებდით.

ლ ი ლ ი — როდის?

ე ლ ი ო ზ ი — როდესაც ჩემს ბაღში დაკრეფილ, ჩემ მიერ მოძღვნილ ალიბუხარს მიირთმევდით.

ლ ი ლ ი — მე კი აღმაცერად გეპყრობოდი, მამატივთ.

ე ლ ი ო ზ ი — გული ბევრჯერ მეტყინა, მაგრამ რა უნდა მექნა.

ლ ი ლ ი — ვიცი, ყველაფერი ვიცი.

ე ლ ი ო ზ ი — აბა ის საიდან გეცოდინება, რომ მე ამ გზაზე მგზავრებს უფასოდ ვატარებდი? სხვადასხვა ადგილიდან მეუბნებოდნენ: ჩვენთან გადმოდიო, კარგ პირობებს შეგთქმნითო, მაგ ცუდ გზაზე სანამდე უნდა იაროო, მანდ რა გეგულებო? აბა ხომ არ ვეტყვოდი. გზა მართლაც ცუდია, ორმოებიათი, მაგრამ ამაზე უკეთესი გზა მე სხვაგან არსად არ მეგულება. გზაო, რომ ეთქვი, გზას ახლა კიდეც არა უშავს: ეს გზა თქვენ ზამთარში ნახეთ, აი, თებერვალში, როცა ყველაფერი მკვდარია და გაყინული... ერთადერთი ბოლი ამოდის ბუხრიდან და იმასაც ქარი ამოსვლისთანავე აქრობს, ნებას არ აძლევს, რომ ერთი ამოვიდეს, წელში გაიმართოს და კაცმა შეხედოს... ამ დროს ბევრჯერ ყოფილა, რომ ჩემს მანქანას ზევიდან ყვავები ადევნებია, ქვევიდან — ძაღლები, მაგრამ მე გულმოსულად არც ყვავებისთვის შემიხედავს, არც ძაღლებისთვის, იმიტომ რომ თქვენთან მოვდიოდი. (რალაცის თქმას კიდეც აპირებს, ვერ ბედავს) ერთ რამესაც ვიტყვი, მაგრამ ნუ დამძრახავთ.

ლ ი ლ ი — არა! არა! პირიქით!

ე ლ ი ო ზ ი — ...თქვენ რომ „ელეონორას“ თამაშობდით, ფარდა რომ დაუშევს... დარბაზში ერთი კაცი რომ ტაშს სცემდა, ხალხი რომ ეჩხუბებოდა, „დაჩუმიდი“, „ტაშს ნუ ურტყამო“, ის კი მაინც რომ არ ცხრებოდა და „ბის“! გაიძახოდა, მერე დარბაზიდან ძალით რომ გაიყვანეს, ის კაცი მე ვიყავი...

ლ ი ლ ი — (მიხვდება, თუ რისი გამხელაც სურს ელიოზს, ამიტომ სიტყვას მოუჭრის) ამის გამო არ შემიძლია, რომ არ გამოგეთხოვოთ, უქანასკნელად მაინც არ გითხრათ მადლობა.

ე ლ ი ო ზ ი — უქანასკნელად? ეს რას ნიშნავს?

ლ ი ლ ი — მე ხვალ საღამოს ვტოვებ სოფელს, აქედან მიედივარ.

ე ლ ი ო ზ ი — (მიხვდება, რასაც ნიშნავს მისი ნათქვამი) რატომ?

ლ ი ლ ი — მაღუა ხომ აქ არ იქნება, უიმიოდ კი მე აქ ვერც ერთ დღეს ვერ გავძლებ. მსურს, როგორც ძმას, ისე გამოგეთხოვო, მადლობა გითხრა.

ე ლ ი ო ზ ი — (ბედს შეურიდება, მოლბება) მას ციხე არ აცდებო, შორს გზას გაუყენებენო, რომ ამბობენ?

ლ ი ლ ი — ქვეყნის კიდეზე რომ ატარონ, ყველგან გავსდევ, ყველგან მის გვერდით ვივლი...

ე ლ ი ო ზ ი — (ფიქრებიდან ერკვევა, უცებ წამოდგება, მთელი ხმით წამოიძახებს) ლამეა, მაგრამ ხომ ხედავ (ფანჯრებისკენ მიუთითებს) წყალს სინათლე როგორ ციმციმებს, როგორ ელავს? — სინდისსაც თურმე ასეთი თვისება ჰქონია.

ლილი — (შემკრთალი) ჩემგან რა გეწყინათ? მე თქვენ მუდამ კეთილშობილადამიანად გთვლიდით, სწორედ ამის გამო გამეხარდა თქვენთვის, თქვენთან კეთილად გამოთხოვება მსურდა, თქვენ კი... გინჯლინოთქვა

ელიოზი — არა, აქ უნდა დარჩეთ! აქ უნდა იყოთ! (სწრაფად მოწყდება ადგილიდან, გარეთ გაეარდება).

ლილი — (შემკრთალი დგას) რაო? რა თქვა? რას ნიშნავს? (ფიქრები გაიტაცებს, თანაც, თითქოს ვიღაცას პასუხობს) სანამ კარგად იყო, მანამ მაინც გამემელავენებინა მისთვის ჩემი გულის ნადები... თუმცა ვთქვი, როგორ არა! ბევრჯერ გამოვხატე, გარეშე ადამიანებმაც კი შენიშნეს, — სირცხვილით დავიწვი... თუ ჩემს ქცევას, ჩემს სიტყვებს ვერ ხედებოდა, იმას მაინც ხომ დაინახავდა, სახეზე სიწიფით ცეცხლივით რომ გადამივლიდა? (გული აღჩუყდება) როგორ არა! ჩემს ფიქრებს ბევრჯერ მიხვდა, მაგრამ არ შეიმჩნია, არ შეიმჩნია იმიტომ, რომ არ ისურვა, სანამ აქ იყო, იქელი არ დამიკარგავს, ახლა კი რა ვქნა?! თითქოს მდინარის მეორე ნაპირზე დავრჩი! (შემოდის თინათინი, მისი სასოწარკვეთილი გამომეტყველება ლილის უფრო შეაერთობს).

თინათინი — (კარებთან შედგება, ლილის აკვირდება) შენც შეგაშფოთეს? ლილი — (მისდამი თანაგრძობის გამომხატველი ხმით) ჩემზე ნუ წუხხართ! თქვენი სახე კი...

თინათინი — ჩემს განწყობილებას ამკლავებს? ძნელია ძნელი მის გვერდით ყოფნა! შეუძლებელია (ტახტზე ჩამოჯდება) წყალი! (ლილი ჰიქით წყალს მიუბრუნებს თინათინი მოსვამს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს) ახლახან ჩაეძინა, გამოვებარე. ო, რა ძნელია მის გვერდით ყოფნა? (წყალს მოსვამს) მისი ზერინვა გულზე ისე მაწეა, თითქოს ნანგრევების ქვეშ ვიყავი მოქცეული! (უცებ სახე გაუბრწყინდება, წამოდგება, წამოიძახებს) ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა!

ლილი — (მორიდებით) რა გადაწყვიტეთ? თინათინი — მივდივარ! სამუდამოდ ვშორდები! (ტანისამოსის ძებნას დაიწყებს) უნდა ვიჩქარო! სანამ გათენდებოდეს!..

ლილი — (სიტყვებს ვერ პოულობს) ასე მოჰლოდნელად? თინათინი — არა! ეს წლების განმავლობაში ნაფიქრის შედეგია (ტანისამოსს გადაიცვამს, მზადებას განაგრძობს).

ლილი — იქნებ ჯერ კიდევ მოთმინება სჯობია... თუ არა-და, სხვა დროს შეეარჩევდი.

თინათინი — სწორედ ახლა, ახლა მსურს წასვლა! ლილი — სტუმრები აქ არიან. ჯერ არ გათენებულა. თინათინი — გათენდება და ყველა გაგიგებს, რომ იმ ადამიანს, რომელიც არავის არ უყვარს, ცოლი გაქცა! (მწარედ გადაიხარხარებს) ჩემი ნაცნობების თვალში ერთხელ მაინც მსურს ავმალდე! გაოცებით რატომ მიცქერი? მე ვარ! მე! ჩემგან თუ გიკვირს!

ლილი — თქვენ მუდამ აუღელვებელი, თავდაპირილი ადამიანი ბრძანდებით. თინათინი — გეგონა, რომ არაფერი არ მალეღვებდა, არაფერი არ მაფიქრებდა? (ლილის უცებ ხელებს მოხვევს) შენ კი რამ დაგაღონა? შენ ხომ ბედნიერი ხარ! შენ საფიქრალი არაფერი გაქვს!

ლილი — მაქვს! მაქვს! თქვენ არ იცით.

თინათინი — (სწრაფად შეეცვლება ხასიათი, დაცხრება, ლილის გვერდით მიუჯდება) ვიცი! მე ყველაფერი ვიცი! (ჩაფიქრდება) რატომღაც მოთულოდნელად სურვილი დამებადა, რომ რაც გულში მაქვს ყველაფერი გითხრა, მომისმენ?

ლილი — მე კი ნუ დამბრაზავთ! მეც მსურს, რაღაც გითხრათ, მაგრამ ვერ ვახერხებ.

თინათინი — შენ მე მუდამ ისე მეპყრობოდი, როგორც ქალბატონს, — მე კი ახლა ისე მსურს გესაუბრო, როგორც ტოლს, როგორც მეგობარს... აი, ახლავე ცოტა მაკალე! (ჩაფიქრდება. სიტყვებისთვის თავი ვერ მოუყრია) პო, კარგი, ასე დავიწყებ! თუმცა... (შეყოყმანდება) ვიტყვი! ვიტყვი! გული მთხოვს: მე ადრე გავთხოვდი, სრულიად ახალგაზრდა; დიასახლისობაში, სიღარბაისლეში ისე შევდგი ფეხი, რომ ქალიშვილობა არ განმიცდია; სადაც არ გვიცხოვრია, ყველგან მდიდრულად მორთული იყო ჩვენი ბინა, მაგრამ მე ყველგან ჩემთვის, მშვიდად და უხალისოდ ვცხოვრობდი. პირველად გული იცი, როდის ამიჩქროლდა? როდესაც ჩვენს კუბეში შალვა შემოვიდა! (მოულოდნელი ამბავი ლილის წამით შეაერთობს, მაგრამ კვლავ სშენად იქცევა) ეს იმის გამო კი არ მოხდა, რომ ის ლამაზია, არა! გარეგნობით მას იქნებ ჩემი ქმარი სჯობდეს... მე შემდეგ ამაზე ბევრი ვიფიქრე, ეს მოხდა იმიტომ, რომ ის სხვა ადამიანია, იმგვარი სულსკვეთებით გამსჭვალული, რომელიც მე მიტაცებს. საუბრობდა მატარებელში და ჩვენი კუბე ერთბაშად აივსო მანქანების, მდინარეების და რა ვიცი, ალბათ, ველებზე მომუშავე ადამიანების ხმებით; მას შემდეგ შეიცვალა ჩემი ცხოვრება, ყველას სიყვარულითა და ხალისით ვეგებებოდი, ქმრის მიმართაც ყურადღებიანი გავხდი, მაგრამ მოულოდნელად მომიკვდა გული.

ლილი — რატომ?

თინათინი — როდესაც ვიგრძენი, რომ მას შენ მოსწონხარ.

ლილი — (ელდანაკრავივით შეირხვევა) მე?! დამცინით?

თინათინი — ნამდვილია! ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი! ამასაც გაგიხეღ: მე მასთან მქონდა საუბარი, მე ის გულში ვინახულე (თავზე ხელებს გადაუსვამს, მიუალერსებს) დამნაშავესავით რატომ მიცქერი? დამიჯერე, რომ მე ამ ამბავმა გამახარა! გამახარა იმის გამო, რომ შენც მომწონხარ! შენც იმნაირივე ადამიანი ხარ, როგორიც თვით ის არის.

ლილი — (ვახარებულა, თანაც სურს, რომ თანაგრძნობა გამოუცხადოს, რასაც ვერ ახერხებს, რის გამოც დაბნეულია) ნეტავ ასე იყოს! (ტუჩზე იკბენს) ბოდიში! ასე კი არ უნდა მეთქვა! მე მინდა გითხრათ, რომ... (შორიდან მამლები ყვირილი ისმის).

თინათინი — ახლა კი დროა! მამლებმა იყილეს. შეუშინველად მსურს გავიდე სოფლიდან (პალტოს ჩაიცვამს, თავშალს შემოიხვევს, მოულოდნელად შეჩერდება, ჩაფიქრდება) ერთი რამეც მსურს გითხრა მაგრამ, ვაი თუ არ დამიჯერო...

ლილი — მითხარი! გეხვეწები!

თინათინი — (აღზნებულა, ფიქრებს მიჰყვება) ჩვენ ხომ ორნი ვართ, ჩვენ ხომ არავინ არ გვისმენს, ამიტომ ვთხოვ, დამიჯერო. ბევრჯერ შევუპოვართ, ჩემი სიღამაზე ბევრჯერ აღუნიშნავთ, ერთხელ კი მეტისმიტად შემაქეს (ჩაფიქრდება) ეს ღიღი ხნის წინათ იყო, მაგრამ, რას ნიშნავს, რომ

ქალი ვარ, დღემდე მახსოვს. — გაზაფხულის საღამო იყო, ხის ქვეშ მოღ-
ზე ვეჯექი, კალთაში ჩეალი ბავშვი მესვა, გაძვლებმა ჩემზე შემესრ-
მადონას გაესო... მივდივარ, მაგრამ გულწრფელად ვამბობ: მე უკვე დღეს
ვერ ვიცხოვრებ, როგორც მიცხოვრია! მე სულ სხვაგვარ ცხოვრებას შე-
ვუძღვები! თუ ჩემი სახე ლამაზია, დე ის ქარხნის ქერქვეშ ან კიდევ
ვეღზე, პურის მკაში ელავდეს! შეილო, თამაზ, მოვდივარ! (ჩემოდანს ხელს
წააველებს, სცენა ბნელდება).

მეორე სურათი

შალვას ოთახი. ოღნე ინათა. შალვას სინავს.

შალვა — (იღვიძებს, სწრაფად წამოდგება, ფანჯრებს აღებს, მერცხლების
ფრთხილს ყურადღებას მიაქცევს) მერცხლები დავაფრთხე, თუ უკვე გა-
ღვიძებიან? (გარეთ იხედება) ეტყობა, ლამაზი დილა თენდება! (ჩამო-
ჯდება) ბევრჯერ უთქვამთ და მართლა რომ მაკოცებელია დილის ნიავი!
(ჩაფიქრდება. დღის სინათლე მატულობს, მაგრამ სივრცე ჯერ კიდევ არ
ჩანს) „ზამბახსაც გაღვიძებოდა და თავს უხრიდა ნიავსა“ — იმ მადლიანს
ბავშვობაში დაუწერია და მაინც რამდენი ძალა აქვს! ლექსი იმას ჰქვია,
ადამიანთან თავისით რომ მივა, გაუღიმებს, მოეფერება. (წამოდგება)
ერთი წყაროსთანაც მივირბინო! (პირსახოცს მხარზე მოიგდება, ოთახიდან
გაღის. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ შემოდის, სახის შემშრალებას გა-
ნაგრძობს) ტყუილია! მთის წყაროსავით საყვარელი ბევრი რამ არ არის
ამ ქვეყნად! რა ბატარაა და რა დიდგულა! იმიტომ რომ სპეტიკია და ანკა-
რა, თავი მოსწონს იმის გამო, რომ მიწის წიაღიდან ქვეყნის გასახარებ-
ლად ამოდის. (საწოლზე წამოწეება, ფიქრებს მიეცემა. კარები იღება,
თავს შემოაყოფს დაკითი, რაქი შენიშნავს გაღვიძებულ შაოვას, უსიტყ-
ვოდ შემოდის, სკამზე ჩამოჯდება. შალვა ჯერ გაიოცებს, შემდეგ წყენა
შეემჩნევა. შალვა წამოდგება, დავითს თავზე დაადგება) ძალაუნებურად
უნდა მაფიქრებინოთ, რომ ჩემი ხათრი არა გაქვთ.

დავითი — (იმავე მდგომარეობაშია) რატომ?

შალვა — (აღვლევებს ვერ მალავს) სულ ერთი საათი თუ იქნება, რაც ერთმა-
ნეთს დავშორდით; ამ სულფრას ხომ ტკბილად შევექცეოდით? რაც სათქ-
მელი გვექონდა, ხომ ვთქვით? ხომ გადავუშალეთ გული ერთმანეთს?

დავითი — დიახ, ასე იყო!

შალვა — მერე? კვლავ რატომ მომაკითხეთ? რომ წაბრძანდით, უნდა მო-
გვსვენათ! სხვა რომ არა იყოს, მეზობლების თვალშია უხერხული.

დავითი — ეს საყვილური, მე მგონია, თქვენც გეხებათ.

შალვა — მე რატომ?

დავითი — თქვენც ფეხზე დამხვდით, არც თქვენ მოგისვენიათ.

შალვა — ამით რისი თქმა გსურთ?

დავითი — თქვენი საქმე ვერ არის კარგად.

შალვა — (უკვე ყვირილით) თქვენ ხომ არ გინდათ, რომ მოთმინებიდან გა-
მომიყვანოთ? ხომ განაგმარტოთ, რომ ჩემი საქმე არ შეიძლება ცუდად
იყოს-მეთქი! ხომ გითხარით, რომ ხვალ თბილისში მივდივარ...



დავითი — რისი იმედით?

შალვა — (თავს შეიკავებს, მაგრამ გულმოსულობა ემჩნევა) *ფქქქქ*
 თუ არა, რომ მე უღანაშაულო ვარ? *გმგმგმგმგმ*

დავითი — (ჯოხზე დაყრდნობილი აუღელვებლად წარმოთქვამს) მართალი ადამიანი ხარ! სპეტაკი ადამიანი ხარ! ეს კიდევ არაფერი! ყველასთვის მზრუნველი ხარ! ქვეყნის ერთგული ხარ!

შალვა — (ცლავ აენტება) ამის შემდეგ მე თქვენზე უფრო მომდის გული.

დავითი — (უკვე შეშფოთებული) რატომ?

შალვა — ნუთუ არ იცი, რომ ამგვარ ადამიანს ჩვენს ქვეყანაში ვერაფერს და-
 ჩაგრავს!? მე ჩემი თავის ანაბარა ხომ არ გგონივარ ამქვეყნად?

დავითი — (გახარებული წამოდგება) რამდენი ძალა გაქვს! როგორი გაღი-
 მება იცი! ნუთუ არავითარ გარემოებას არ შეუძლია, რომ რწმენა შეგი-
 რყოს? საკვირველია! ადამიანისათვის რამდენი სიხარულის მინიჭება შე-
 გძლია! მომწონს! მიხარია და თანაც გული მწყდება. (ჩამოჯდება).

შალვა — რაზე?

დავითი — მე კარგ ადამიანს მეძახიან, მაგრამ მერე რა? კეთილი საქმეების
 გასაკეთებლად ჩემი ძალა მცირეა; მე იმ წყაროს ვგაეზარ, რომელიც
 კლდის ნაპირზე წვეთ-წვეთობით მოჟონავს, წყურვილს ძლივს-ღა მოგი-
 კლავს, სარწყავად ხომ არ ვარგა და არ ვარგა... ერთხელ ვერ გადმოვიჩუხ-
 ჩუხდი, ერთხელ ვერ ვიქეცი შადრევანად!

შალვა — (აღფრთოვანებული) კარგი ადამიანი ხარ! ტკბილი მოხუცი ხარ!
 შენ ჩემი ჯავრი ნუ გაქვს. შენ ხომ არ გგონია, რომ მე გულხელდაკრე-
 ფილი ვხივარ (მაგიდის უჯრიდან სწრაფად ამოაქვს თეთრი ქალაღებში)
 აი, ჩემი მოხსენებითი ბარათი! (დავითი ქალაღებში გაფაციცებით
 იქცირება).

დავითი — (კითხულობს) საქართველოს... (სიტყვები გარკვევით არ ისმის)...
 მდივანს...

შალვა — (ქალაღებს გამოართმევს) ეს კიდევ არაფერი! შენ შემდეგ ნახე!
 შემდეგ!

დავითი — კი, მაგრამ...

შალვა — შენ მე დამიჯერე, წადი, მოისვენე (დავითი კარებისაკენ მიდის,
 შალვა მიადანებებს) შენ ჯავრი ნუ გაქვს! შენს თავს არავის არ დაეაჩაგრი-
 ნები! (დავითი გადის, შალვა საწოლზე წამოწეება, ფიქრში წასულს ელი-
 მება) მეორემ კი ვერ მოხედა ჩემთან მოსვლა, მაგრამ, ალბათ, ამას ელო-
 დება; ჩემთან გულგატეხილი იჯდა, მას კი უთუოდ იმედიან ამბებს მოუ-
 ყვება. (კარებზე უკაკუნებენ) მობრძანდით! (კარები არ იღება) ვინ უნდა
 იყოს?! ნუთუ უკან დაბრუნდა?! ეს კი მეტისმეტია! (კარებს გაბრაზებუ-
 ლი ალებს, სახტად რჩება, რადგანაც კარებში ელიოზი დგას, მისი მოსვლა
 სიამოვნებს) ელაოზ, შენა? გამოიგონია კარებში ხელის ჩამორთმევა არ
 ვარგაო (ოთახში შემოყავს, ხელს ხელზე დაჰკრავს) გამარჯობა, ბიჭო!
 ისეთი ადამიანი არ დარჩენილა, რომ არ ეენახე, ბზისხვევიდანაც კი ჩა-
 მოვიდნენ, შენ რა მოგივიდა, ბიჭო? ამ დღით რომ არ მოსულყავ, შემ-
 დეგ, შესაძლებელია, ერთმანეთს ველარც შევხვედროდით.

ელოზი — რატომ?

- შ ა ლ ვ ა — დღეს მივდივარ თბილისში, ჩემს საქმეს უნდა მივხედო, თორემ, ხომ ხედავ, რა დღეში მაგდებენ, რას მიპირებენ.
- ე ლ ი ო ზ ი — ვინც სხვისთვის ორმოს თხრის, იმ ორმოში თვეთაგან ერთი უნდა გაგიგონიათ?
- შ ა ლ ვ ა — (დაინტერესდება. მაგიდას, რომელსაც ემჩნევა, რომ აქ წუხელ დღინოს სკამდნენ, ასუფთავებს) ეს ჭიქები ავალაგო, ჩვენ ახლები დავიდგათ.
- ე ლ ი ო ზ ი — მე ამისთვის არ მოვსულვარ, ყური მიგდევ: მე როდესაც მანქანა გამიტალახიანდება, მდინარეში შემყავს, ფრონეში ვაჩერებ, რომ წყალმა ტალახი ჩამოარეცხოს... (მთელი ხმით) მეც მსურს პატიოსნების მდინარეში ჩავდგე, რომ იქნებ ტალახი მომამოროს!..
- შ ა ლ ვ ა — (უკვე შემფოთებული) ბიჭო, რა მოგდის? ხომ არაფერი შეგემთხვა?
- ე ლ ი ო ზ ი — რაც თქვენ შეგემთხვათ, ყველაფერი ჩემი ხელით არის გაკეთებული! (შალვა გაოცებული შეჰყურებს) მან შემაცდინა... მითხრა, გაანადგურეო, დასწვიო და...
- შ ა ლ ვ ა — მერე? დასწვი?
- ე ლ ი ო ზ ი — აქ მაქვს (უბიდან იღებს) მოვიტანე!.. დანარჩენს ლილი გიამბობთ (წასვლას აპირებს).
- შ ა ლ ვ ა — (დაიბნევა) სად მიდისარ?
- ე ლ ი ო ზ ი — კანონის წინაშე პასუხი უნდა ვაგო. (მიდის. შალვა უაზროდ ფუსფუსებს. გათენებულა, ისმის ჩიტების გალობა. შემოდის ლილი).
- ლილი — (შალვას დიდხანს აკვირდება, მორიდებულად ეტყვის) ამ დღით თითქოს კარგ გუნებაზე უნდა იყოთ.
- შ ა ლ ვ ა — შენი მოსვლა გამეხარდა.
- ლილი — დღეს მიდისარ?
- შ ა ლ ვ ა — (აღტაცებით) არც დღეს, არც ხვალ, (ხელს მოხვევს) სულ აქ ვიქნებით, აქ!
- ლილი — (გამოცოცხლებდა) არაფერი მესმის.
- შ ა ლ ვ ა — აქ ვიქნებით, ერთად ვიქნებით, ერთად ვიმუშავებთ! (ლილის გულზე მიიკრავს, შემდეგ აივანზე გაიყვანს. ატმის და ალუბლის ხეებით აყვავებული ვრცელი მთაგორიანი სივრცე მზეს წითლად გაუნათებია, ისმის ჩიტების განუწყვეტელი გალობა) ისეთი დილა გათენებულა, როგორც შენ დახატე! ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ცხოვრებაც მას ჰგავს, ჩვენც ყველანი მისი სისპეტაკის, მისი სიდიადის შესაფერისი უნდა ვიყოთ!

(ფ ა რ დ ა)

ჩემი სამშობლო სამაისო პანგანო ღამღარი



გაზაფხულია, ათასფერად ბრწყინავს ბუნება,
 იასამანი, ყვავილები, ყაყაჩოები.
 ცაღამართულან გიგანტიურ თაიგულებად
 მარად მზიური კომუნისმის ხარაჩოები.

ლალი მერცხალი ლავეარდს არღვევს როგორც შერდული,
 ყველგან დიდების, გამარჯვების ხმები გაისმის.
 ბულდოზერების, სკრეპერების მეღგარ გუგუნში
 გამარჯვებულთა ტრიბუნაზე აღის მაისი.

ჩვენ ყველა მაისს ვეგებებით საესე გულებით,
 მისი ღიმილი მუღამ გულზე გვაქქს დამჩნეული.
 განახლებებში,
 მიღწევებში,
 სასწაულებში

და სიყვარულში იბადება ეს დღე რჩეული.

ყანა ბურღება, ხე იშლება, ქურა ჩაღღება,
 კვლავ წინ გვიხმობებს საჭმეები უზარმაზარი.
 გერგვინავს საყვირი და დღითიდღე უფრო მაღღდება
 ჩემი სამშობლო სამაისო ვახტზე დამღგარი.

ხალხი მშრომელი ტრიბუნისკენ მოემართება.
 დიდო პარტიავ, კვლავ მზათა ვართ, შენს გზას მიეყვებით.
 ასე მგონია, ეს ქუჩები მიღის არხებად,
 და მზის დროშები მიღელავენ როგორც ზეირთები.

ზედავთ, რამდენი დოელათია დახევეებული ,
 აღიმართება მწვერვალივით კიდევ რამდენი.
 ქვეყნის წინაშე ფრთაშესხმული, გახარებული
 დგას პირნათელი თბილისელი. სტალინგრადელი.

დიდი სტალინი ხალხში დაღის მზედ ანთებული,
 ისიც აქ არის, აქ არ იყოს, როგორ იქნება!
 ამ ბედნიერ დღეს ასე მწყობრად, ასე ერთგულად
 ხალხი დარაზმა მისმა სიტყვამ, მისმა ფიქრებმა.



ერთი ღლე გყიგულში

ნარკვევი



I.

თითქმის ნახევარი ღლე სჭირდებოდა მატარებელს ქუთაისიდან ტყიბულამდე. საოცარი ხმაურით და ქშენით ძლივს მიჰყავდათ ვაგონები ორმილიან "ფერლის" სისტემის ორთქლმავლებს, რომლებიც ორთქლსა და კვამლში იყვნენ გახვეული.

მხოლოდ საათნახევარი სჭირდება ახლა მატარებელს, ეს მანძილი რომ დაფაროს.

რკინიგზის ხაზი შუაზე ქრის ოკრიბის მხარეს, ეგზომ თავისებურს და შემოდგომის მუქი ფერებით აელვარებულს. წაბლის ტყეებით დაფარული მთები და გორაკები ეალერსებიან მოგზაურის თვალებს და მასში მშვიდ განწყობილებას ბადებენ.

გელათამდე რკინიგზის ხაზს მიჰყვება ღრმა ხეობაში მომწყვდეული და გველივით დაკლაკნილი წყალწითელა, რომლის ხმაური თითქმის არ ისმის. აქ, ამ ზურმუხტოვან მიდამოებში, წყალწითელას კლდოვან ნაპირებთან, ჩვენი ხალხის თავდადებული გმირები, ძმები მხეიძეები, ოდესღაც წინ მიუძღოდნენ ამხედრებულ ხალხს და პარტიზანულ ომს აწარმოებდნენ შემოსეული არაბების ურდოებთან...

ამჟამად აქ, კოლექტიურ მეურნეობებში, მშვიდობიან შრომას ეწევიან მშვიდობისა და კომუნისმისთვის მებრ-

ძოლი კოლმეურნეები, რომელთა ვაჟაკური სიმღერა მხნედ გაისმის ვენახებით, ჩაის ბუჩქებით და ხეხილით ამწვანებულ გორაკებზე და მინდვრებზე.

თვით ტყიბულის ბუნება რბილი ხაზებით არის შეზავებული. ამ საერთო კოლორიტს არ ცვლის და არ არღვევს ნაქერალას მედიდურად ამართული და უღრანი ტყით დაფარული ქედიც, რომელიც გიგანტურ კედელივით არის ატყორცნილი და რომლის იქით ოცნება ხედავს თითქმის ჩასატრებულს და გადმოსახედავად გამზადებულს „ხარისთვალას“ — პატარა ტბას, ლურჯსა და მოკამკამეს, კალმახებით საესეს და ლაქაშების წამწამებით შემოგარსულს.

II

შევივართ ტყიბულში. ერთი შეხედვით ვერც კი წარმოიდგენთ, რომ აქ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრია. მზის შუქს არ აბნელებს ქარხნებისა და ფაბრიკების კვამლი. მორტოებისა და ძრავების ხმაური არ არღვევს ბუნების მყუდროებას. არის წუთები, როცა გეგონებათ, რომ აქ საავარაკო ადგილია, სადაც მშრომელები ისვენებენ და ღროს მყუდროებაში ატარებენ. ზურმუხტოვან წაბლის ტყეებს არც კი შეხებიდა ადამიანის ხელი, თითქოს ადამიანს არც კი გაუვლია აქ. სუფთა, მზის სხივებით გამთზარი ჰაერი, მყუდროება და ბუ-

ნების დიადი სილამაზე სულში ჰარმონიულ წონასწორობას ბადებენ.

ნათელი და საესეებით გასაგები ხდება საბჭოთა ხელისუფლების მისწრაფება, რომ ჩვენი ქვეყნის ქარხნები და ფაბრიკები გარშემორტყმული იყვნენ ბალებითა და ტყეებით, რათა მცენარეთა სურნელება და სიგრილე საამურ ნიაველ ეფინებოდეს გულზე თვითველ შრომელს და მასში სიცოცხლისა და შრომის უნარს აორკეცებდეს.

ტყიბულის ბუნების სიმდიდრე ნაწილობრივ გასაგებად ხდის იმ დაუცხრომელ ენერჯიას, რომელსაც შრომის დროს ამჟღავნებენ როგორც მეშახტეებში, ისე ტყიბულის მშენებლობაში ჩაბმული ინჟინერ-ტექნიკოსები.

ტყიბულში ჩქეფს ნამდვილი შემოქმედებითი სიცოცხლე და შემოქმედებითი შრომა. სწორედ აქ თვალსაჩინო ხდება ადამიანის დაუცხრომელი ნებისყოფა და მისი ბრძოლის უნარი. აქ, ამ ბუნების წიაღში, სცემს მაჯა ჩვენი დიადი ეპოქისა, რომელსაც სტალინური ეპოქა ეწოდება.

მხოლოდ რამდენიმე წუთია საჭირო, რომ ქალაქ ტყიბულიდან მანქანით ზედა ტყიბულში მოხვდეთ, სადაც მაღაროებია და მუშები ცხოვრობენ.

უკვე ქალაქში ნათლად ამჩნევთ, რომ აქ ყველაფერი შეიცვალა და გარდაიქმნა. ასფალტით მოგებული გზა, ახალი ხიდები და ახლად გაშენებული მრავალსართულიანი სახლები ახარებენ ადამიანის თვალს. მაგრამ განახლებისა და გარდაქმნის სურათი კიდევ უფრო ნათელი ხდება, როდესაც ზედა ტყიბულში ახვალთ... თქვენ თვალწინ გადაიშლება ის სინამდვილე, რომელზედაც ოცნებობდა არა ერთი ათეული და ასეული, მონური შრომით წელში მოხრილი მუშა.

მე კარგად მახსოვს ძველი, მეფისდროინდელი, უსინათლო, მოუწყვრისგებელი და მიყრუებული ტყიბული. მახსოვს, თუ როგორ პირობებში უხდებ-

ბოდათ მუშაობა და ცხოვრება ტყიბულის მეშახტეებს. აუწერებელი სიღატაკე და შრომის ჯოჯოხეთები... მისი მუშაობის იყო აქ გამეფებული — საშინელი სინამდვილე, რომლის შესახებ, საბედნიეროდ ჩვენს ახალგაზრდობას წარმოდგენაც კი არა აქვს.

1935 წელს, ჩემი ტყიბულში ყოფნის დროს, მე გავეცანი ტყიბულის ორ მუშა-ვეტერანს — მიხა არსენისძეს და მეთოდე კულაშვილს. უმხიარულოდ და უხალისოდ მომიტხოვდნენ ისინი: თავიანთ წარსულს, რომელიც მძიმე სიზმარს უფრო ჩამოგავდა, ვიდრე ოდესღაც არსებულ სინამდვილეს. როგორი გაჭირვება დამცირება და სიმწარე არ განუცდიათ მათ, რამდენი სუსხიანი ზამთრის ღამე გაუტარებიათ ნესტთან ფაცხებში. ტყვიასავით მძიმე იყო აუტანელი შრომით მოპოებული პურის თვითველი ლუკმა. გულში კი უიმედობა მკვიდრობდა...

მტარვალ ნოვოსელსკის, რომელმაც თავად დასწვა წინასწარ დაზღვეული ნახშირის ქარხანა, მოჰყვა კიდევ უფრო უღმობელი წოიანოვი. მხოლოდ 1905 — 1906 წლის რევოლუციის პირველმა ქართველმა ბრწყინვალეებით მოჰფინა ტყიბულის მემაღაროელებს დიადი და ნათელი მომავლის პირველი სხივი. შემდეგ თვითმპყრობელობის დამბობა და მენშევიკების ხანმოკლე, მაგრამ შავნელი ბატონობა, რომელიც მტერად აქცია ოქტომბრის რევოლუციის ძლევა მოსილმა ამობრწყინებამ.

III.

ადამიანისათვის, რომელსაც ტყიბული 30 წელიწადი არ უნახავს, დაუჯერებელია ის ცვლილება, რომელიც აქ საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა.

ლენინისა და სტალინის რაიონში მყოფ მოსახლეობას აქვს როგორც შრომის, ისე სიცოცხლის მაქსიმალური პოტენცია. ყოველ ცოლშვილიან მუ-



შას აქვს კეთილმოწყობილი ბინა, სუფთა და ნათელი, სადაც ის მუშაობის შემდეგ ისვენებს და ტუბება ოჯახური ბედნიერებით. თვითიული ახალგაზრდა უცოლშვილო მუშა ცხოვრობს საუცხოოდ მოწყობილ ინტერნატში, სადაც მას უზრუნველყოფენ სუფთა ლოგინით, წიგნებით, კულტურული გართობით, რადიოთი. ტყიბულში მომუშავე არც ერთ მუშაბატონს არ აწევა მძიმე უღელივით ფიქრი იმაზე, თუ როგორ ასწავლოს თავის შვილებს, რადგან, როგორც თავად მისი, ისე მისი შთამომავლობისათვის, სწავლა-განათლება სავსებით უზრუნველყოფილია სკოლებით. ასევე უზრუნველყოფილი არიან მუშები და მათი ოჯახის წევრები საექიმო მომსახურებით. ორივე რაიონის მუშებისათვის არსებობს კეთილმოწყობილი პოლიკლინიკა სტაციონარით და ტუბდისპანსერი. რაც შეეხება მუშებისათვის ჰაგიენტურ პირობებს, ამ მხრივ ტყიბული შეიძლება სამაგალითო ქალაქად ვაღიაროთ. აბანოების სიმრავლე უზრუნველყოფს თვითიულ მუშაბატონს, რომ მან შახტიდან ამოსვლისთანავე მიიღოს თბილი აბაზანა და სუფთად გამოვიდეს გარეთ.

მე კარგად მახსოვს ის დრო, როდესაც ტყიბულის მატარებლიდან ქუთაისის სადგურზე გადმოდიოდნენ ჩახშირით გამურვილი მუშება, რომელთა დანახვა გვაფრთხობდა ჩვენ, ბავშვებს. მხოლოდ ქუთაისში შეეძლოთ მაშინ ტყიბულის მუშებს თბილი წყლით დაებანათ ტანი და ჩამოეშორებინათ მთელი კვირის განმავლობაში კანში ჩამჯდარი ქვანახშირის მტვერი. ზაფხულში ისინი ცივ მდინარეში აბერხებდნენ ბანაობას, მაგრამ აღვიღად წარმოსადგენია, თუ როგორ მდგომარეობაში იყვნენ მუშები ზამთრის პერიოდში, როდესაც ცივ მდინარეში ბანაობა არ შეეძლოთ.

IV.

ვეცნობი ლენინის სახელობის შახტის პარტიურის მდივანს, რომელიც მიწვევს თავის კაბინეტში და ახსნა-განმარტებას მაძლევს შეკითხვებზე შახტის მუშებისა და მუშაბატონთა მდგომარეობის შესახებ.

წამდაუწმ შემოდინ მუშები სხვადასხვა საქმისათვის. სიამოვნებით ვაზინევ, თუ როგორი ამხანაგური და საოცრად უბრალო დამოკიდებულება არსებობს მათსა და პარტიურის მდივნის შორის. ეს ახალგაზრდა ადამიანები, ერთი ბედნიერი თაობის წარმომადგენელი, სტალინის ეპოქაში დაბადებულნი და გაზრდილნი, სიყვარულით და მეგობრული გრძნობით უცქერიან ერთმანეთს თვალეზში: ისინი უსიტყვოდ გრძნობენ ერთმანეთს. მათი სულისკვეთება ერთია; ერთი მხრით, შახტში მომუშავენი, ხოლო, მეორე მხრით, პარტიურის მდივანი — ერთსულოვნად და თავდადებულად ემსახურებიან ერთ გრანდიოზულ საქმეს, რომელსაც კომუნისტების მშენებლობის საქმე ეწოდება.

— ჩვენი შახტის პირველმა უბანმა შეათეჯერ მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია, — მეუბნება პარტიურის მდივანი და მიწედის გაზეთ „ზარია ვოსტოკას“, სადაც ეს ცნობა იყო მოთავსებული.

შემოდის ლენინის სახელობის შახტის უფროსი — საშუალო ტანის ადამიანი, მეტად სიმპათიური და სერიოზული სახის გამომეტყველებით. საუბრის დროს იგი სხვათაშორის ამბობს:

— ტყიბული მომავალი უდიდესი პერსპექტივის მქონეა, ტყიბული ახლო მომავალში საბჭოთა კავშირის მეორე დონბასი გახდება.

— სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ჩვენსა და „ეროშილოვუგოლის“ № 63 შახტის შორის არის გამოცხადებული, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გამარჯვებული გამოვალთ, — რაღაც დამაჯერებელი ტონით ამბობს იგი, და მეც მჯერა, რომ ეს ასეც მოხდება.

პირადად ვეცნობი ტყიბულის სახელოვანი და წარჩინებულ მუშებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ისევე ვხედედი ჩემს ძველ ნაცნობ მუშას, ერთ-ერთ უძველეს მეშახტეს — მინდიაშვილს, რომელიც 1935 წელს გავიცანი. ერთხანს მან დაანება თავი აქ მუშაობას, მაგრამ ახლა ისევე დაუბრუნდა მშობლიურ ტყიბულს და კვლავ შეუდგა ნაცადი ხელით თავის ოსტატობის გამოვლინებას. ორივეს გვახარებს ასეთი ხანგრძლივი დროის, 17 წლის შემდეგ, ერთმანეთის ნახვა. დრომ საგრძნობლად შევერცხლა ჩვენი თმები და სახეს ნაოჭები მიუმატა, მაგრამ... არაუშავს, — მეუბნება მინდიაშვილი, — ჯერ კიდევ საკმაო დრო გვაქვს, რომ ვიცოცხლოთ და ვემსახუროთ ჩვენს ხალხს... გულს ნუ გავიტეხთ!..

აი ძველი მეშახტე ალექსანდრე დარსაძე, დინჯი და თავაზიანი; იგი 1914 წლიდან მუშაობს აქ. მისი მამაც ტყიბულის მეშახტე იყო. ალექსანდრე გვერდში ამოუდგა თავის მშობელს, შემდეგ შექმნა საკუთარი ოჯახი და ახლა თავმოაპრონედ უცქერის თავის მოწიფულ ვაჟს, რომელიც უკვე მეშახტეა; და მტკიცედ აგრძელებს თავისი ბაბუის და მამის სახელოვანსა და საპატიო ტრადიციას.

წამდაუწყემ მესმის ძველი მუშის, შრომის გმირის ამხ. ა. ქარსაძის სახელი, რომელიც 42 წელიწადი მუშაობს ტყიბულში და რომლითაც ამაყოვენ

მუშები და ტყიბულის ინჟინერ-ტექნიკოსები, სამუშაოდ, ყველგანვე აქ არ არის და ვერ ვახეხებ — მისი ნახვას.

შახტის დათვალიერების შემდეგ, შახტისა, სადაც ახლა ყველაფერი მექანიზებულია, ვათვალიერებთ მუშების ბინებს და ინტერნატებს.

ყოველგან საოცარი წესრიგი და სისუფთავეა. სიძინათ შახტიდან ამოსულ ახალგაზრდა მუშებს. ისინი ისე ენებენ, რომ შემდეგ გაორკეცებული ენერჯით შეუდგნენ თავიანთი გეგმის შესრულებას.

სამკითხველოში და კლუბში თავი მოუყრიათ მუშებს. ზოგი ერთობა ჰადრაკისა და შაშის თამაშით, ზოგი უსმენს რადიოს, ზოგი ათვალიერებს ეურნალ-გაზეთებს, ზოგიც გართულია წიგნის კითხვით.

დიდი მუშაობა ჩაუტარებია აქ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტს. იქ, სადაც რამდენიმე წლის წინათ ხრიოკი და უდაბური ადგილები იყო, ამჟამად გაშენებულია საუცხოო შენობები — მეშახტეთა საცხოვრებელი სახლები.

— ჩვენი უმთავრესი მიზანია ავეშენოთ მუშებს საცხები კომფორტაბული და თანამედროვე ტექნიკისა და კულტურის მიხედვით მოწყობილი სახლები. ეს დიდი და სერიოზული ამოცანაა და იგი მჭიდროდ დაკავშირებულია მთელი ჩვენი ქვეყნის გრანდიოზულ მშენებლობასთან! მეუბნება მშენებლობის უფროსი, რომელიც ამჟამად გასცქერის ახლად აგებულ სახლებს და დამილით დასძენს:

— მშვიდობისათვის მებრძოლ ადამიანებს მოსვენებისა და ცხოვრების საშუალებაც უნდა ჰქონდეთ...

რა ადამიანური და ღრმა შინაარსისაა ეს უბრალოთ ნათქვამი ფრაზა!

სულამოვდება. ვემშვიდობები ჩემს ახლად გაცნობილ მეშახტეებს და ხელმძღვანელ ამხანაგებს, თითქოს ისინი ჩემი ძველი ნაცნობები და მეგობრები

იყენენ. მე გულწრფელად ეხსურებ მათ შემდგომ წარმატებებს და გამარჯვებას იმ დიად საქმეში, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

ტყიბულის სკოლებში სწავლობენ და იზრდებიან ტყიბულის მუშებისა და მშრომელთა ბავშვები. ვინ იცის, რამდენი სახელოვანი და წარჩინებულ ადამიანი გამოვა მათი წრიდან, რამდენი მათგანი ასახელებს თავის მშობლებს და ჩვენს სამშობლოს თავისი ნიჭითა და

უნარიით და თავის წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში!

საცაა მატარებელი დაფიქრის უნაღეს ხელმეორედ ვინახავ ტყიბულს, ღრმად მჯერა, რომ თუნდაც ერთი წლის შემდეგ რომ ვინახულო იგი, ჩემს გულსა და თვალებს კიდევ უფრო მეტად გაახარებენ ის ახალი მიღწევები და გამარჯვებები, რომლებზედაც ოცნებობს და რომლისთვისაც თავდადებულად იბრძვის ყველა პატიოსანი და კეთილშობილი საბჭოთა მოქალაქე.

გიორგი სანიკიძე

გოხუხის თხოვნა



ეს მოხდა შარშან, — შავი ზღვის პირას,
პლანტაციისში,
იქ ვიყავ მაშინ,
პოლონელ სტუმრებს გლეხებთან ერთად
ზღვაც აცილებდა ტალღების ტაშით.
გზას ულოცავდნენ აქარის მთები,
ხავერდოვანი ჩაის ბუჩქნარი,
მზე ჩადიოდა... უხილავ ქნარით
ხის ტოტებს შორის მღეროდა ქარი.
უცებ ხალხის წრე ჯმუხმა მოხუცმა
გამოარღვია მითრთოლვარე მკერდით,
მიუახლოვდა სტუმრებს და უთხრა:
— სათხოვარი მაქვს თქვენთანო ერთი.
გაოცებულნი შედგნენ სტუმრები,
წამით მიყუჩდა შრიალი ხეთა,
თითქოს ქარმაც კი დაკეცა ფრთები
და ზღვამ შესწყვიტა ტალღების რხევა-
წელში გასწორდა მოხუცი მხნედა,
ხელი გადისვა დათრთვილულ თმაზე,
მერე გარშემო მიმოიხედა
და მღელვარე ხმით დაიწყო ასე:
— ამ ნანატრ წუთებს ველოდი დიდხანს
და ახლა მინდა გთხოვოთ პირობა,
მოხუცის თხოვნას, სახლში რომ მიხვალთ

ნუ დაივიწყებთ მამაშვილობას.
მე მყავდა შვილი, მებრძოლი მტერთან
და ვერ დაბრუნდა ომიდან შინა,
ვარშავის ახლოს, რუს ძმასთან ერთად
მას თქვენი მიწის კალთაში სძინავს.
სანამ სიცოცხლით იყო აღსავსე
სამშობლოსათვის იბრძოდა მედგრად,
დაეცა? ახლა ძმათა საფლავზე
მსურს გაიხაროს ამ ვარდის ნერგმაც.
წაიღეთ თქვენში, შორეულ მხარეს,
სადაც არ არის ახლა ზამთარი,
მე მწამს, ეს ნერგი, იქაც იხარებს
თავისუფლების მზისგან გამთბარი,
იმათ საფლავზე, ვისი სახელი
მარად იბრწყინებებს, როგორც

ვაჟკაცთა! —

სთქვა და ერთ სტუმარს მითრთოლვარე
ხელით

ქართული ვარდის ნერგი გადასცა...
ჩაფიქრდა...

ერემლით ავესო თვალი,
საყვარელ შვილზე ფიქრებით სავსეს,
და, როცა მძიმედ ასწია თავი,
მანჭანა უკვე მიჰქროდა გზაზე.



არ ვიცი, ილიშანის გარდა უნგრეთში თუ მოიქმნება ისეთი ადგილი, სადაც ასე მძვინვარებდეს გვალვა და ცხელი ქარები ასე აყენებდეს მტერის კორიანტელს? აქ გვალვა მუდმივი უბედურებაა. სარწყავ არხებს, ამ ლეთისა და ეშმაკისაგან მივიწყებულ თხრილებს, ადრიან გაზაფხულიდანვე მდინარისაკენ მიაჭეთ გამდნარი თოვლის მცირეოდენი ნარჩენები და მერე მთელი ზაფხულის განმავლობაში უწყლობით ისრჩობიან. ამ არხებში ბაყაყებიც კი ილუპებიან. აყვავებული ბაღებისა და საქონლის დიდი ჯოგების მაცდური მირაჟები შემოდგომამდე არა ქრებიან და თითქოს დასცინიან ადამიანს.

წვრილ ნაკრებად — პარცელებად დაქუცმაცებულ ყანებში დგას სიცხის ბული, და გლეხები, რომლებიც ყანებში ცოდვილობენ, და ფორნებიც, რომლებიც სოფლის გზებზე ზღაპრით მიჰრიალებენ, მტერის ნაცრისფერ ბურში არიან გახვეულნი.

— აქ თვით მამაზეციერიც ვერას გიშველის, — ბუტბუტებს იშტვან ხაიდუ და გადასცქერის კარტოფილის მინდვრებს, სადაც ცხელი ქარი-გადამზმარ ფოთლებს აშრიალებს.

— ძველი ფორანი ნელა მირახრახებს დანგრეული შარავზის კოლბოხებზე და ასევე ნელა ტრიალებენ ბუნდოვანი ფიქრები, იშტვან ხაიდუს დიდ თავში, რომელსაც ძველი გაქონილი ქუდი ამშვენებს. მართალია, ყველა ეს

ფიქრი ერთი და იმავე ამბის გარშემო ტრიალებს და აი, ამისათვის წავიდა ყანაში იშტვანი, მაგრამ მას არ უნდა გამოუტყდეს თავის თავს ამაში. შეიძლება ისა სჯობდეს, რომ ჩათვლიოს, წუხელ ხომ ავადმყოფი ცოლის მოვლაში თვალი არ მოუხუტავს. მაგრამ რა დაგაძინებს, როდესაც რამე გაუუხებს?

— ტპრუ... ტალშოტ!

ცხენი ნაბიჯს ანელებს, ფართოდ ჩაჩახვს თავის დაღლილ ფეხებს და ჩერდება. ცალუღით გადატყავებული მისი კისერი გზის პირას ამოსული აკაციის ბუჩქისაკენ მიიწევს. ტალტოში ფოთლებს წიწკნის და ზანტად ლეჭავს თავისი მეჩხერი, ნახევრად გაცვეთილი კბილებით. ეტყობა, აკაციას ფოთლები არ მოსწონს, ფოთლების წიწკნას თავს ანებებს და ირინდება. ლაშებიდან მომწვანო ღუფი ჩამოსდის. ტალტოშს, ოდესღაც ღონიერ სამხედრო ცხენს, ბევრი რამ გადახდენია თავისი ცხოვრების გზაზე. თავდაპირველად ის პრაგოდან კურსკამდე გერმანულ სამხედრო ორთვალებს მიათრევდა, შემდეგ დაოთხილი მიაქროლებდა გერმანელებს უკან ტისამდე, სანამ საბჭოთა ყუმბარა ორთვალას არ დაეცა და ესესელებთან და მათ ფოლადის მუზარადებთან ერთად ნაკუწ-ნაკუწად არ აქცია თავზარდაცემულმა ტალტოშმა, რომელსაც მაშინ, ალბათ, სხვაგვარი — გერმანული — საბელი, ერქვა; დაწყვიტა ჭკანები და შეუჩერებლად მიბოდა, ვიდრე შემოხვევა არ მიეცა თავისი ნებით ტყვედ ჩავარდნოდა რუს ჯარისკაცებს.

ორმოცდახუთ წელს ტალტოში საბჭოთა არმიის რომელიღაც სერჟანტმა

მანდორ ნალი თანამედროვე უნგრელი წერალია. ამ მოთხრობისათვის მას 1952 წელს მიენიჭა სტალინური პრემია.

აჩუქა იშტვან ხაიდუს. იშტვანმა მოუჩინა მას წერილი ნამსხვრევებისაგან მაყენებული კრილობები და დიდხანს ეხვევდა წამოთხრილ მარცხენა თვალს, რომელიც ადრე რომელიღაც ბრძოლაში ჰქონდა დაკარგული. ცხენი ცალთვალა იყო, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა ხაიდუს? რეფორმის შემდეგ მიწა მიიღო და დიდად ესაჭიროებოდა გამწევი საქონელი, ამიტომ ეს უფასოდ მიღებული ცხენიც ახარებდა, თუმცა ტალტონს არაერთაზრ შემთხვევაში არ სურდა თავი მიენებებინა ზოგერთი უცნაური ჩვევისათვის, რომლებიც მას იმის დროს შეეთვისებინა. ხანდახან სევდა შეიპყრობდა და გარემოსადმი ზიზღით აღვისილი, გაჯიუტდებოდა, მიწაზე გაგორდებოდა და მთელი დღეების განმავლობაში ფეხზე აღარ დგებოდა. ამ დროს ის ყველაფრისადმი უგუნებობას იჩენდა. ხანდახან კი მცირეოდენი ფაჩუნიც აშინებდა, მაშინ აიწყებდა და ისე მიჭროდა, რომ მისი შეაკება შეუძლებელი ხდებოდა. ხუთი წელიწადი ემსახურებოდა ტალტონში ხაიდუს, მაგრამ, სამწუხაროდ, პატრონი ახლაც არ იცნობდა მის ხასიათს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ხაიდუ ცხენს ისე ემუდარებოდა, როგორც ქირვეულ ქალს.

იშტვანმა თეთუნის ქისის ამოსაღებად ხავერდის ვაცვეთილი შარვლის ჯიბეში ჩაიყო ხელი. მან თამბაქო გაახვია და ნერვულად გააბოლა. ის ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ფიჭრები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ. ცოტა ხნის შემდეგ სადავე მოსჭიმა და ისევ ააჩქარა თავისი ცხენი. ახლა ტალტონშია თოხარკით გასწია წინ. მალე ხაიდუმ იმ ბუჩქნარს მიაღწია, რომელიც მის ნაკვეთს გრაფის ყოფილი მიწების ძირითად მასივიდან ჰყოფდა. რეფორმის დროს აქ მასაც გამოუყვეს რვა ხოლდი. იშტვანმა გზას აუხვია, გაიარა ათიოდე მეტრი და სიმანდებში შევიდა. ფორანიდან გადმოხ-

ტა და ტალტონში გამოუშვა. სიმინდის დანახვამ ააღუღა პირუტყვიც. ხაჩბად გაიწია მწვანე ლეროვებისაგან, მთავრამ მისი ბებერი კბილება ვერ მოერია მათ.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, ახლაც მიიღებ, — ამშვიდებდა ცხენს ხაიდუ და რამდენიმე უძლური ყლორტი დაუგდო წინ.

თუმცა ხაიდუ, როგორც ის თავის თავს არწმუნებდა, მხოლოდ იმისათვის მოვიდა ყანაში, რომ შეემოწმებინა მომავალ კვირაში შეიძლებოდა თუ არა კარტოფილის ამოღება, — მისი აქ წამოსვლის ნამდვილი მიზანი სულ სხვა იყო და ეს აზრი არ ასვენებდა.

ხაიდუს უბედურება დაატყდა თავს. რამდენიმე კვირის განმავლობაში ერთი წუთითაც არ შეეძლო სახლიდან გამოსვლა. მისი ცოლი ილონკა მოსალოცნებელი იყო, მშობიარობამ ცუდად ჩაიარა. ქალი ძალიან იტანჯებოდა. მათმა ბავშვმა ვერ იხილა მზის სინათლე. პატარა ფერიკა, — ეს სახელი ადრევე, ჯერ კიდევ დაბადებამდე, დაარქვეს, ისე მოკვდა, რომ დაბადებაც ვერ მოასწრო. კიდევ ბედი, რომ თვით ილონკა გადარჩა. გაფითრებული იქნა ის ოფლისაგან დასველებულ საწოლში. გასაგებია, რომ იშტვანიც მძიმე მღვდომარეობაში იყო. ამ უკანასკნელმა კვირებმა უცვალოდ გაფანტა მისი წარმტაცი ოცნებები ახალ ცხოვრებაზე, — ცხოვრებაზე, რომელმაც თითქოს გამოსწორება დაიწყო უფრო მეტიც. მათ წარმოშვეს იშტვანში რაღაც სისუსტე, რომელსაც ჯერჯერობით თვითონაც კი ვერ გრძნობდა.

ხაიდუმ კოფოდან თოხი გადმოიღო და კარტოფილის ნაკვეთისაკენ გასწია. პირველივე ბუჩქთან თოხი ისე გულმოდგინედ დაჰკრა მიწას, თითქოს განზრახული ჰქონდა ძირი გამოეთხარა იმ ბოძებისათვის, რომლებზეც ცის კამარა იყო დაყრდნობილი. მოგლეჯილ ბუჩქს თან ამოჰყვა მიწის ნაჭერი და მრავალი დაფეთებული ჭიან-

შველა, რომლებიც აქეთ-იქით გაიქცნენ, რომ თავიანთი კვერცხები გადაერჩინათ.

— ეს ბუჩქი ჭიანჭველებს რგებიათ!.. ახ, წყეულები! — შეიგინა ხაიდუმ და თოხის დაკვრით მეორე ბუჩქიც გადააბრუნა. გაყვითლებული ღერო მიწაზე დაეცა, მისი ფესვები რაღაც მწერს შეეჭამა. მესამე ბუჩქის ფესვებზე მოჩანდა პაწაწინა ბოლქვები, რომლებიც იმ პატარა ბურთულებს წააგავდნენ, რომლითაც სოფლის ბიჭები თავს ირთობენ ხოლმე.

— ცუდადაა საქმე... მოსავალსაც უღალატნია, — იშტვანმა ცხელი მიწით ამოავსო ორმოები და თოხს ნაგლესი მოაყალა. გულდამწვარი მისჩერებოდა ის თავის ყანას, რომელსაც დასავლეთისაკენ დახრილი მზე ანათებდა.

გზაზე მიმავალი ფორანების ბორბლების რახუნმა და ჭრიალმა გამოაფხიზლა ის სევდიანი ფიქრებისაგან. შარაგზის მოსახვევში რუხმწვანე აკაციებს შორის გამოჩნდა გრძელი ფორანები; იქ ისხდნენ შავებში ჩაცმული გლეხი მამაკაცები და რამდენიმე ქალი, რომელთა აბრეშუმის თავსაფრების ბოლოებს ქარა სხვადასხვა ფერის ალმებივით აფრიალებდა. პირველ ფორანში ილიმანეველები ისხდნენ, პეტეფის სახელობის სამიწათმოქმედო კოოპერატივის წევრები, მეორეში კოოპერატივის მუშაობის გასაცნობად ჩამოსულ სტუმრებს მოეკალათებინათ; ისინი აქეთ-იქით აბრუნებდნენ თავს და ყოველი მხრისაკენ იშვერდნენ ხელებს.

პირველი ფორანი იოშკა ბარს მოჰყავდა. მის გვერდით იჯდა კოოპერატივის თავმჯდომარე, ლურსმანივით სწორი კალმან იუხასი, რომელსაც თავისი მოკაცული ცხვირი ასეთსავე მოკაცულ ყალიონში ჩაერგო.

— დახე, გრაფივით არ წამოსკუბულა, — ჩაიბუზღუნა ხაიდუმ, რომელიც

თავმჯდომარეს მისჩერებოდა. კალმან იუხასი მისი ქვისლი იყო, მაგრამ უკვე ერთი წელია, რაც ერთმანეთს არ ულაპარაკებოან. ისინი კოოპერატივის გამზო წაიჩხუბნენ. იმ ხანებში, როდესაც პეტეფის სახელობის კოოპერატივი ყალიბდებოდა, ახალ მეპატრონეთა შორის იუხასი მისი ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო, ხაიდუმ კი — დაუძინებელი მტერი. ის დაჰკანკალებდა თავისი მიწის ნაკვეთს და ამიტომ განზე ედგა ახალ მოძრაობას, რომლის ტალღამ აქაც, ილიმანშიც მოაღწია.

ხაიდუმ დარწმუნებული იყო, რომ გაუქირვებლად შეძლებდა საკუთარ ფეხზე მაგრად დგომას, — მას ხომ ტალღაში ჰყავდა, და როგორმე ორივე ერთად მოხნავდნენ მიწას. მას არ სჭირდება მანქანა-ტრაქტორთა სადგური. კოოპერატივისა მას არა სჯეროდა და დარწმუნებული იყო, რომ ამ წამოწყებისაგან, აქ ილიმანში, ხეირიანი არაფერი გამოვიდოდა, მითუმეტეს, ვერაფრით წარმოედგინა, რომ იუხასი, მისი ქვისლი, ჰაბუკობიდანვე მისი გულითადი მეგობარი, რომელთანაც ერთად ოდესღაც დებს ვირაგებს ვარშიყებოდა და არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ყმაწვილურ ცელქობაში, ასეთ საქმეს ჩაუღვებოდა სათაგიში. იუხასი კი, დაბრუნდა თუ არა რუსების ტყვეობიდან, მაშინვე შეუდგა აგრიაციას კოოპერატივის ჩამოსაყალიბებლად და მანამ არ მოისვენა სანამ კოოპერატივი მართლაც არ ჩამოყალიბდა პირველად, თუმცა მხოლოდ იმ მიწაზე, რომელიც ნამეტების სახით ჩამოერთვა ბობოლა მოიჯარადრეებს.

ახლა კოფოზე მჯდომი იუხასი არც კი იყურებოდა ქვისლისაკენ. მას დემონსტრაციულად შეგბრუნებინა თავისი ჯიჯოტი თავი, რომილსაც ამაყად წამოიამული სადღესასწაულო ქოლი ამშვენებოდა, თუმცა ამაყა იყო, რომ მას არ შეეძლო არ შეეგზნია ხაიდუმსამაგიეროდ, პალა ბოტომ, რომელიც

ფორანში ზურგით იჯდა იუხასისაკენ, სიცილით მიადახა ხაილუს:

— ეი, მებატრონე! როგორია მოსავლი? მოწვეულია?

— თუ მოწვეულია კიდევ, ჩემთვისაა მოწვეული! — მოუჭრა ხაილუმ, რომელმაც განგებ გაუსვა ხაზი უკანასკნელ სიტყვებს. — ყველას ისე ზომ არ ელოლიავენბა მანქანა-ტრაქტორთა სადგური, როგორც თქვენ...

— რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მათ, ვინც მულამ მის გინებაშია! ასეთები ტრაქტორსაც არ უყვარს... მეჩედა, ცოდვაც კია შენს ყანაში მანქანის შეშვება. შეხედე, რამდენი სამკურნალო ბალახი ამოსულა, იქნებ მოგითელოს კიდევ და ზარალი მოგაყენოს...

ბოგოს სურდა ამგვარადვე განეგრძო ლაპარაკი, მაგრამ კალმან იუხასმა მხარი გაკრა — თავი დაანებო.

— მოდი ჩვენთან, პიშტა! ჩვენ გასწავლით მეურნეობის მოვლას! ზომ გაგიგონია, სწავლა სიბერემდისო, — უთხრა ბოგომ.

ხაილუმ სიძულელით გადახედა მას. კოპერატივის თავმჯდომარემ ისევ უკმაყოფილოდ აიჩეჩა თავისი ვიწრო მხრები. მას აჯაგრებდა ბოგოს უადგილო ლაპარაკი და გულმოსულად უთხრა:

— არა, ეგ არ მოზღება! ვანა ოდესმე დამავიწყდება ის სიბინძურე, რომელსაც კულაკების ეგ დამქაში თავზე გეასხამდა? არასოდეს, — იუხასმა კბილი მოუჭირა ყალიონის ტარს, მისი ზიზღით მოკუმული ტუჩების კუთხეები ორმა მკვეთრმა ნაოკმა გადასერა.

ხაილუს არ შეეძლო იუხასის ნათქვამის გაგონება: მხიარულად მოფრუტუნე ცხენებმა — ასეთი კარგი ცხენები თვით გრადსაც კი არ ჰყოლია თავის დროზე — შორს გაიტაცეს მორახრაზე ფორნები. მან გულმოსულად გაიღო

მხარზე თავისი თოხი და ყანას გაჰყვა. მთელი მისი გარეგნობა შეტყვევებდა: „მე ვმუშაობ და არაფერია მომჭრატორებთან საქმე არა მაქვს“.

იმისათვის, რომ დრო მოეკლა, ხაილუმ რამდენიმე გოგრა მოგლიჯა, გამარგლა ცოლის ბოსტანი, რომელსაც ყანის კიდეზე პატარა ნაკვეთი ეკავა და ისე ავისილიყო სარეველა ბალახით, რომ მის ჭარბ სიმწვანეში მხოლოდ რამდენიმე დაღმეკილი პამიდორი მოჩანდა. მან გადაწყვიტა, მოეკრიფა და აეღო ყველაფერი, რაც შეიძლებოდა დაღუპულიყო.

სალამომღე ჩიჩქნიდა ხაილუ ყანას. მას არაფრით არ სურდა გამომტყდარიყო თავის თავის წინაშეც, რომ სახლიდან მხოლოდ იმისათვის გამოვიდა, რომ კოპერატიული ყანებისათვის თვალი გადაეელო. როგორადაც არ ცდილობდა ყურთასმენის დახშობას, ამბები მაინც აღწევდა მის ყურამდე, განსაკუთრებით ამის ცდაში იყო მისი მეზობელი პალა ბოგო. პალას გაუთავებელი დაციწვა აცოფებდა ხაილუს და მასთან ერთად მის ცნობისმოყვარეობასაც აღიზიანებდა.

„ნეტავი რა სასწაული უნდა ჰქონდეთ ისეთი, რომ სხვა რაიონებიდანაც კი მოდიან მის სანახავად? — ფიქრობდა ის. მაგამ ქედის მოხრა არ სურდა, მითუმეტეს ახლა, როდესაც ქვისლმა იუხასმა ასე ქედმადლურად გვერდით ჩაუარა.

მათი დანახვაც არ მინდა, უმეორებდა ის თავის თავს, — ბოლოსდაბოლოს არც ისე კარგად აქვთ საქმე, და თუ ცოტაოდნავ მაინც წელში გაიმართნენ, ეს დოვლათი ზომ მათი არ არის, — საერთოა...

მეტვანი ყოველნაირად ცდილობდა გაეშავებინა კოპერატივი თავის თვალში და თავის დასამწვიდებლად სულ ახალ-ახალი საბუთები მოჰყავდა.

მაგრამ აი გზაზე ისევ ნაცნობი ფორნები გამოჩნდა. ისინი კიდევ

¹ პიშტა — ენინობითი ფორმა სიტყვისა იშტანი.

უფრო მეტი ხმაურით ბრუნდებოდნენ უკან. იმ ხუტორზე, საიდანაც ისინი ბრუნდებოდნენ, როგორც ჩანდა, ყელის გასასველებელიც მოეპოვებოდა — ფორნებზე მჯდომი სტუმრებიცა და მასპინძლებიც დროგამოშვებით ტუნჩზე ბოთლს იყულებდნენ, ფორნები ახლა უფრო მეტი იყო, აქეთობას ახალგაზრდობის ბრიგადაც წამოეყვანათ. ამ საღამოს საანგარიშო კრება უნდა შემდგარიყო. გამგეობას ყველაფერი მომზადებული ჰქონდა, მხოლოდ კოოპერატივის წევრებისათვის ფული უნდა დაერიგებინათ.

ახალგაზრდობა მღეროდა:

ივუფუნეთ, ტრაქტორებო,
მომკეთ პერი, მანქანებო...

— იმღერეთ, იმღერეთ, ბიჭებო, — სიცილით გაჰკიოდა პირველი ფორნიდან ბოცო, — ეგ სიმღერა ჩვენი ხაიდუსათვის ზედ გამოკჭრილია.

კალმან იუხასმა, რომელიც მედიდურად იჯდა თავის ადგილზე, უკმაყოფილოდ გადახედა ბოცოს. ბოცომ ისევ დაიყვირა:

— ეი, ხაიდუ, ზეალ აუცილებლად შოდი დღესასწაულზე! ძალიან გაგვეხარდება, თუ კოოპერატივის ახლად მიღებულ წევრთა შორის შენც დაგინახავთ.

ხაიდუმ წაუყრტა.

ვარდისფერ საბურში გახვეულმა მზიარულმა ქარავანმა გრილით ჩაიქროლა სოფლისაკენ და ჩამავალ მზის სხივებში აბრკვევილდა მის მიერ დაყენებული მტვერი.

იშტვანმა ხელი წამოავლო მიწაზე დაგდებულ ცხენის აკანშულობას და ნედლი სიმინდის ქამით გამხიარულბულ ტალტოშს ფორანში შებმა დაუწყო.

სოფელს რომ უახლოვდებოდნენ, იუხასმა პალ ბოცოს უთხრა:

— ვერ ეღირსება ეგ მამაძალი კოოპერატივის! — ჯერ კიდევ ვნახავთ, ვის მივიღებთ წევრად!

— მაგრამ ხაიდუ ნამდვილად ამირებს კოოპერატივში შემსუკვლას... კითხვითზე ვატყობ, — იცინოდა ბოცო, — მელსაც ნაყვავილარი სახე გასწითლებოდა და იმ საზამთროს დამსგავსებოდა, რომელიც მუხლებზე ედო და ჰრიადა. — ჩემი მეზობელი სულელი არ გეგონოს — საითაც სარგებელს დაინახავს, იქით გასწევს.

— ეგ ვიცო, — ჩაიდუდუნა კოოპერატივის თავმჯდომარემ, — ის მზადაა თავის მოყვასს ტყავი გააძროს... ვერ მიათვებს, ახლა თავის წვეწმივე მოიხარშოს...

— აბა, რად ჯავრობთ აგრე, — გაიღიმა ბოცომ, — თუ პიშტა კოოპერატივისაკენ პირს იბრუნებს ის, როგორც ფლუგერი მიმართულებას მისცემს ყველა თავის მოყვარეს. მათი მიწები ხომ ერთიმეორის გვერდითაა. თითქოს არ იცი, რომ ხაიდუს გვარში პიშტაა მოთავე. გრად ხალვის ტყუილად ხომ არ ჰყავდა ის მეეტლედ. ასეთ მაღალ თანამდებობამდე ხაიდუს გვარეულობიდან არავის მიუღწევია!

აქ ბოცომ თავი უკან გადასწია, წინ წამოაგდო ყანყრატო, რომელიც ხალათის საყელში არ ეტეოდა, და ისეთი სიცილი აუტყდა, რომ რომელიღაც კოლბოხზე კინალამ ბრავანი არ მოაღინა მიწაზე.

— ერთი სიტყვით, — განაგრძო მან და თან თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, — თუ კოოპერატივში ყველა ხაიდუ შემოვა, — და რომ შემოვლენ, ეს ცხადია, — მაშინ საჭირო აღარ იქნება გრადის ნაკვეთის დაქუცმაცება, რადგან კოოპერატივში მათ შემოჰყვება ამ ნაკვეთის დანარჩენი ოცი ახალი მეპატრონეც. — გესმის? მოელი სიძნელე იშტვან ხაიდუშია, ამიტომაც, ჩავაცივდი და მოსვენებას არ ვაძლევ, იმიტომ დაცვინი, რომ დაცინვა მისთვის საუკეთესო აგრიტაციაა. სხვანაირად ვერ მიუღებო, მეტისმეტად ჯიუტია. მისი მიღება კი აუცი-

ლებელია, — ამით კოოპერატივი ერთ-ბაშად სამასი ხოლდით გამდიდრდება.

— მგონი კული მესხიერება გაქვს, — იუხასის თვალებმა სამართებლის პირივით გაიღვეს ნახევრად მოხუჭული ქუთუთოებიდან. — იქნებ დაგაიწყდა, რომ შარშან კინაღამ არ ჩაფუშა ჩვენი საქმე?.. როგორ დასცილნოდა კულაკების ეგ დამქაში ჩვენს კოოპერატივს ყოველ ნაბიჯზე!

— აი, სწორედ ამიტომ არის ის ჩვენთვის საჭირო. — ბოჟომ დანის ტარი ჰკრა გვერდში კალმანს და საზამთროს ქერქი ფორნიდან გადააგდო. — სწორედ ეს არის საქმე, რომ კოოპერატივის მოწინააღმდეგე ხაილუ მთელი სოფლის თვალწინ ჩაეწერება კოოპერატივში მტრებისთვის თავლაფის დასახსმელად და ჩვენდა სადიდებლად.

— რაკი აგრეა, ან მე, ან ის, — გადაწყვეტით განაცხადა კალმანმა და ჩიბუხის ტარს დაუწყო ღრუნა. — მე არაფერს არ ვიციწყებ!... ტყვეობიდან რომ დავბრუნდი, კულის ძირამდე ტყავის გამძრობა დამიპირა. ის არ იყო, რომ ჩემს ცოლს კუთვნილი მემკვიდრეობის წილი წაართვა, როგორც კი საწყალ ქალს გაუჭირდა და ყველაფერი ჩალის ფასად შეისყიდა. მერე კი როცა ჩემმა ცოლმა ბოსტნის მოსახნავად მიანი დაეარღნილი ცხენი სთხოვა...

— ვიცო, ყველაფერი ვიცო, ჩემი თვლით ვნახე. — შეაწყვეტინა ბოჟომ. მას არაგზით არ უნდოდა უარი ეთქვა თავის განზრახვებზე — ხაილუ კოოპერატივში ჩაეწერა. ბოჟომ გრძნობდა, რომ მას, როგორც კოოპერატივის პარტიკულს მტერივე უნდა გაეტარებინა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხაზი ნიუმიტკეს, რომ კოოპერატივში ჯერჯერობით პარტიის წევრთა რიცხვი მცირე იყო და უჯრეთი არ იყო ჩამოყალიბებული. გარდა ამისა, მშვენივრად იცნობდა თავის თავმჯდომარეს და არ სჯეროდა, რომ ხაილუსადმი მტრობა

ასე ღრმად ჩასჯდომოდა იუხასს გულში. როგორც ჩანდა, ამ ორმოცი წლის პირქუშმა მამაკაცმა გზისკა გრძნობებს, რომლებიც აღძრულიყო მის გულში მთელი ამ მძიმე წლების განმავლობაში.

— რამდენს გვიყვებდნენ კულაკების ფინიები... ჩვენ კი ხმაამოულებლად ვშრომობდით, კბილს კბილზე ვაპურდით და ვმუშაობდით. და აი, როგორც იქნა, ვძლიეთ გვალვას და აყუავდა ჩვენი მიწები. მთელ სოფელს დავანახეთ, როგორ უნდა სინესტის შენარჩუნება მიწაში. დაეუმტკიცეთ კულაკების მესუფრიებს, თუ რა დიდი ძალაა სოციალისტური მეურნეობა! ამოდ არ ჩაიარა ჩვენმა შრომამ. შენ კი, პიშტა ხაილუ, მოითმინე, ჩაგიტყდება ყინული, რომელზედაც დგახარ!

— ყინული უკვე ტყაცანებს, — ჩაურთო სიტყვა ალაის ბრიგადირმა და უფროსმა მეჯინებმე ლოცებლაფ-ლაჟა იოშკა ბარმა. მისი ჯაგლაგი დიდხანს ველარ გაძლებს. ამას წინათ ვნახე, როგორ წვალობდა. სახნისსაც კი ძლივს მიათრევდა. ერთ დღეს მუშაობს და მთელ კვირას ისვენებს. დაასნეულა პიშტამ გაზაფხულზე. საყვები არ ჰქონდა და მეწისქვილის ტვირთს აზიდინებდა.

— დიკეულიც გაყიდა, ფული კი წამლებში დაეხარჯა, მეხუთე კვირაა, ცოლი უძრავად უწევს ლოჯინში.

— ეხ, ძალიან ცუდ დღეშია საბრალო, ილონკა. თვალები ჩაუცივდა, ხელისგულის ოდენა ტალეები დააჯდა, ველარ იცნობ საცოდავს. კიდევ კარგი, რომ არ მოკვდა, — დაუდასტურა ბოჟომ. ის მტკიცედ აღგა ერთხილვე აღებულ გეზს და ცდილობდა მეზობლისადმი სიბრალული გამოეწვია.

— რა ქმარი, რა ცოლი, ორივენი ჯოჯობის მამშალები არიან, — ჯიუტად მოუჭრა სიტყვა იუხასმა, რომლის გულის მოღობობა არც ისე ადვილი იყო.

— ეგ კი აგრეა, — ამოიხრა ბოკომ და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა — რა არ შეემთხვევა ადამიანს ცხოვრებაში. აი, თუ გიხდ ჩვენი კოოპერატივი ავილოთ, რამდენჯერ შევებით ერთმანეთს, სანამ შევთანხმდებოდით. თითქმის ნახევარმა წელიწადმა გაიარა, სანამ ყველა დარწმუნდა, რომ მისი მეზობელი გაიძვერა კი არ არის, არამედ ისეთივე პატიოსანი კაცია, როგორც თვითონ ის. გახსოვს, იუხას, შენზედაც რომ მოიტანეს ეკვი იმ ერთი ტომარა ხორბლის გამო? ერთბაშად როგორი მეურნეობა ღვიძლ მძასაც კი მტრად გადაგვიკიდებს... ადამიანის შეგნება განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობით, — წარმოთქვა ცოტა ხნის დუმისის შემდეგ ბოკომ შემშარბტება, რომელიც მას პარტიულ სკოლაში ჰქონდა შეთვისებული. კარგად რომ გაერკვეს კაცი, პიშტა ხაილუ არც კია დამნაშავე. განა თვითონ შენ, კალმან, არ ცდილობდი საყუთარი ჯიბე გაგესქლებინა?.. აი, ახლაც კი, რითი სჯობიხარ მას? უწინ ის გიფუქებდა საქმეს, ახლა შენ უფუქებ. მის ავადმყოფ ცოლზე კი არ ფიქრობ? სადილის გამკეთებელიც არავინა ჰყავს, შენმა ცოლმა კი ერთხელაც არ მოინახულა თავისი და.

— არც მინდა, რომ მოინახულოს, — უპასუხა კობეშვიტულმა იუხასმა და ნიბუხი ტუჩებში ბრაზიანად შეათამაშა.

— აი, ხომ ხედავ! აბა რით განსხვავდებით ერთმანეთისაგან? არაფრით. შენ კი უარესიცა ხარ, რადგან კოოპერატივმაც ვერ მოგარჯულა. კაცმა რომ თქვას, ბოდი გეწია. ტყვიდ რომ ჩაერღი და ბამბის საბუთთა მეორენობაში მოხაოი, თორემ, ჩემი აზრით, არც შენ იქნებოდი კოოპერატივში.

— მე კი აგრე არ მგონია, — ჯიუტობდა იუხასი. — მერე-და, ვინ არის ეგ პიშტა ხაილო, რომ მასზე ამდენი ლაპარაკი ღორღის? მე ჩემი სიტყვა ვთქვი, მორჩა და გათავდა!

ბოკომ ისევე გაიცინა.

ბევრს ექნება შენი სიტყვისათვის რაიმე დასამატებელი! ჩაერთ — შენი გულისათვის განა შეიძლება სოციალისტურებაში ჩამოვრჩეთ? კოოპერატივში ახალი წევრები უნდა მოვიზიდოთ...

ბოკომ ჯიბიდან გაზეთი „საბად ნები“¹ ამოიღო და იუხასის თავზე ააფრიალა. ამასობაში პიშტა ხაილუმ შეაბა თავისი ცხენი და ელოდა, როდის მოეფარებოდნენ თვალს კოოპერატორების ფორნები. არა თუ მათთან სიარული, მათი შორიდან დანახვაც კი არ სურდა. ვინ იცის, სოფელში იფიქრონ, რომ ისიც მათი ყანების სანახავად იყო წასული. ხაილუს ნაკვეთი რაღაც ოთხასიოდე მეტრის დაშორებით იყო კოოპერატივის ნათესებიდან, მაგრამ პიშტას არასოდეს არ გადაულახავს ეს მიჯნა. კოოპერატივი მისი საქმე არაა... „დაე, მთასავით ამალდნენ, — მე მათთან არაფერი მესაქმება“, — ერთთავად იმეორებდა ის.

ამჯერად ტალტოშმა, რატომღაც, სოფლის საწინააღმდეგო მხარისაკენ გაუხვია.

— ტბრუ-უ-! — ცდილობდა შეეჩერებინა ცხენი პიშტას. მაგრამ შემობრუნება უკვე აღარ შეიძლებოდა, გზა ვიწრო იყო და მის ორივე მხარეს დარაჯიბივით ჩამწკრივებულიყენენ ვერცხლისფერი ალვის ხეები. ის იძულებული იყო გზა განეგრძო. ცოტა რომ გაიარეს, ხაილუმ სადავე ცხენის გამხლარ წურგზე მიავლო.

— რა გაეწიობა, ტალტოშ, ჩვენც ვნახოთ, რითი მოაქვთ თაფი ასე ღიდად ჩაიხს კოოპერატორებს, — ზვიდად მიმართა მან ცხენს, რათა დაეფარა ცნობისმოყვარეობა, რომელიც ხელახლა ალოქრა. სრულიად შოუმიწნივალად გაიარა მან ის ოთხასი მეტრი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ვერ გადაელახა თავისი სიჯიუტის გამო.

¹ „საბად ნები“ — უნარალ მშრომელთა პარტიის ცენტრალური ორგანო.

ბინდდებოდა, გარშემო ადამიანის უკანება არ იყო და ხაილეს უცხო თვალის არ ეშინოდა.

სოფელ ილიმანის დანარჩენი ყანების ფონზე პეტეფის სახელობის კოოპერატივის ოთხას ორმოცდაათი ხოლდი ოაზისივით გამოიყურებოდა დედა მიწის მკერდი აქ ოდნავ ამოზურკულიყო და წარმოეშვა დაქანებული ბორცვი, რომელსაც ზურმუხტის ყელსაბამებზეთ ამშვენებდა მუქი ლურჯი ფერის სიმინდის ორი განიერი ზოლი. ბორცვის მწვერვალთან მოჩანდა ხაიდუსათვის უცნობი კულტურა. ეს ბამბა იყო.

იქ, სადაც ხაიდუმ თავისი რაბრახა ეტლი შეაჩერა, სიმინდი ისეთი კარგი იყო, რომ კაცს მისი ხელით შეხება მოუნდებოდა. ხაიდუ ჩამოხტა კოფოდან და აკანკალებული ხელით დაუწყო სინჯვა სიმინდის სწორ და მაგარ მუქლურჯ ღეროებს, საესე ტაროებს და ზორკლიან ფოთლებს. ფეხის ცერით მიწა ამოჩიჩქნა, სურდა დარწმუნებულიყო, აქ ზომ არ იყო დამარბული ის ჯადოსნური საშუალება, რომელიც ასეთ ძალას აძლევს მცენარეებს. რაც მართალია-მართალია, ყველაზე დაეინებული თვალიც კი ვერსად იპოვიდა ვერც ერთ სარეველას, მიწა კი, — და ყველაზე უფრო ამან გააცვიფრა ხაიდუ — ისე გამოიყურებოდა, თითქოს ეს-ეს არის გათოხნესო.

— ხუთჯერ მაინც იქნება გათოხნილი. — ბუტბუტებდა ის და თან მიწის გორახებს ფშენიდა. — საინტერესოა, როგორ ასწრებენ?

ხაიდუმ გზა განაგრძო. გვერდით ჩაუარა ტურნეპისის ზოლს, რომელიც მწვანე წინსაფარავით ეკრა ბორცვის ბორცვის მწვერვალს თავს ადგა ოქროსფერი შხისუმზირების გვირგვინი.

ქვემოთ, ფერდობზე, ხუტორისაკენ რომელიც ნახევარი კილომეტრის დაშორებით იყო, მოჩანდა შაქრის ქარხლის ზოლი, რომელსაც კოოპერატივი

თესავდა სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით. ყველა ნათესი საუცხოოდ იყო მოვლილი. და დიდი ხნის შემდეგ თობებიც ეკავა, ეს ბრმისთვისაც კი ნათელი იყო. დიდი მინდორი, რომელიც თავისი მოხაზულობით ვარსკვლავებსა ჰგავდა, უკვე მოხსული იყო საშემოდგომო ნათესისათვის.

ხაიდუს გულში შური აღიძრა. მან დაიწყო გამოანგარიშება იმ შემოსავლისა, რომელსაც კოოპერატივი ამ დოვლათისაგან მიიღებდა.

წინ მოჩანდა ფოლვარკი. გრაფ ხალმაის დროს ეს იყო ყველაზე უზადარუკი ხუტორი — მუშები და მუშაქალები, რომლებიც აქ სამუშაოდ მოდიოდნენ სხვა ხუტორებიდან, ღამეს საქონელთან ერთად ათევდნენ, რადგან საცხოვრებელი სახლი მათთვის არ იყო. ახლა კი ხუტორი ისე გამოცვლილიყო, რომ ხაიდუმ ძლივს იცნო ის. მის წინ მთელი დაბა იყო გადაშლილი. ოთხკუთხტრიად აღვიღზე, ბაყებსა და საბლს შორის, შენობები მოჩანდა, შუაში კი დიდი ფარდული აღმართულიყო. წითელსახურავს ქვეშ ძლივს ეტეოდა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ერთ ღია ცისფერ მანქანას, რომელშიაც მწყობრად ჩამწყობებული სათესი მანქანების წიბოვანი ბორბლები გამოჩრილიყო, ადგილიც არ ყოფნოდა. ფარდულის ახლოს ბრჭყვიანებდა თეთრი თუნუქით გადახურული სამჭედლოს სახურავი. სამჭედლოს რკინის განიერი კიშკარი დაკეტილი იყო და მის წინ ხის დიდ მორზე ობოლივით იდგა გრდემლი. მინდვრისაკენ მიმართული ბაყების კედლებთან ჩამწყობებულიყო ახალი სალორეები. ახლად გაშალაშინებულ ფიცრის კედლებზე მზის სხივები ციაგობდა, მათი ყვითელი ელვარება უერთდებოდა ნამჯის ზეინების ოქროსფერ ანაბზინს. იქვე ახლო მოხუცი ბარი მუშაობდა თავისი შვილიშვილებით. ისინი დიდ ორთითებით მიათრევდნენ თივას თავ-

ლაში. მიუხედავად კარგა სიშორისა, ხაილუმ მაშინვე იცნო ისინი.

კოოპერატივში შესვლისას ბარის ოჯახმა იკისრა საქონლის მოვლა, თვითონ მოხუცი მელორეობის ფერმის გამგედ იყო, შვილიშვილები კი ძროხებსა და ცხენებს უვლიდნენ. აქედან, გზიდან, ისე მოჩანდა, თითქოს ისინი თავის ორთოებით თივას კი არა, შზის გავრვარებულ ბურთს იღებდნენ, ბურთს, რომელიც ზვინების თავზე ნელა მიგორავდა. მაგრამ ხაილუს გულს სრულიადაც არ ხედებოდა პეიზაჟის სიმშვენიერე. ის პრაქტიკული კაცი იყო, და ამიტომ უფრო მეტად პროზაული საგნები აინტერესებდა.

მიალწია რა ქვის ხიდს, რომელიც იმ პატარა თბრილზე იყო გადებული, ხუტორს რომ გარს უვლიდა, პიშტამ სადავეს მოსწია.

— ტპრუ-უ, სდექ! — პიშტა ფორანიდნ გადმოხტა და მოაჯირს გადაეყუდა.

— მაშ ეს არის მათი სახელგანთქმული სარწყავი სისტემა? ნაგებობა კალმან იუხასის გამონაგონი იყო და მის მიერ ნახულ ერთ-ერთ საბჭოთა კოლმეურნეობის სარწყავ სისტემას ასახეობდა. მართალია, ასლი მეტისმეტად პრიმიტიული გამოვიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ნაგებობამ საშუალება მისცა კოოპერატივის გვალვის დროს მოერწყვა ბრინჯის საცდელი მიწოდარი.

— დიახ, დიახ. მამსადაამე, სხვებს წყალს ართმევთ, — ამ ხერხით შორს წასვლა შეიძლება! — ბუზუნებდა ხაილუ, გახარებული იმით, რომ ხელახლა იპოვა მიზეზი — გაჯაერებულყო.

ის ისევ კოფოზე აძვრა. განიზრახა ხუტორისათვის გარს შემოეგლო და შორს მოვლით შარაგზაზე გასულიყო. ტალტოშს შეუძახა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. მიუხედავად იმისა, რომ სიცხე უკვე დიდი ხანია დამცხრა-

ლიყო, ოფლი ღვარად ჩნმოსდიოდა, და ისევ ხუტორისაკენ ვაიხედა. მოურავის სახლის ფანჯარაზე, სადაც ეხლა შემინდვრეობის ბრიგადის საერთო საცხოვრებელი იყო მოწყობილი, წითელი დროშა ფრიალებდა, ამ შენობის ფასალზე კი მოჩანდა ვილაციის მიერ დაწერილი: „გაუმარჯოს მშრომელთა პარტიას!“.

ხაილუს თივის სუნი ეცა, იგი ისე მძაფრი იყო, რომ ცხვირის დაცემინება მოუწინა. ბარის ბიჭებს ორთოთებზე წამოეცვათ თივის უზარმაზარი გროვა და თავლისაკენ მიათრევედნენ. ოდნავ დამკუნარი იონჯის სუნი ისე ძლიერი იყო, რომ სუსტ ნიავსაც კი მიჰქონდა ხაილუმდე.

ხაილუმ სადავეს მოსწია, რომ ცხენი მოებრუნებინა და უკან გამობრუნებულყო, მაგრამ ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რასაც არ მოელოდა: ტალტოში, რომელსაც თითქოს რაღაცა გაახსენდაო, ერთბაშად შეხტა და ისე გააქნია თავი, რომ გაოცებულმა ხაილუმ მაგრად დაჭიმულ სადავეს ხელი გაუშვა და ცხენი ქენებ-ქენებით პირდაპირ ხუტორისაკენ გაექანა.

— ტპრუ! სდექ, წყეულო! — აღრიალდა ხაილუ. მან მათარახს წამოაელო ხელი. ფეხზე წამოდგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუშინა ცხენს. მაგრამ ტალტოშმა ქენებას უმატა, მისი გამხდარი ფერდები უზარმაზარი გარმონის საბერველებივით მოძრაობდნენ. ცხენის დამსკდარ ფლოქვებს უკვე ფერმის ეზოში გაჰქონდა თქარათქური. ის უგზო-უკვლოდ გარბოდა და სადავეს მიწაზე მიათრედა.

— ტპრუ! ტპრუ! — ღრიალებდა ხაილუ, რომელსაც ქუდი გადმოუვარდა და მტვერში გაგორდა, ქოჩორს კი ქარი უწეწავდა.

— ფორანს დამიმტვრეე, წყეულო! — ძლივს მოასწრო ამის თქმა ხაილუმ, რომ მარჯვენა წინათვალს რკინის სალტე მოვარდა. სალტე ხმაურით გაგორდა ეზო-

ში და თავლის ქვის კედელს მიენარცხა.

— ტარუ, სდექ, შე ფეხებმოსატეხო. — სწყევლიდა ცხენს ხაიდუ და ორივე ხელით უწყალოდ ურტყამდა მათრახს. მაგრამ ბედმა ისევ ტალტროშისაკენ იბრუნა პირი: მათრახი ცხენის კედელში გაიხლართა. ხაიდუმ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოსწია ტარი, მაგრამ ტალტროშმა ისეთი ნახტომი გააქეთა, რომ საბრალო ხაიდუ გადაყირავდა და ფორანის ფსკერზე ბრაგვანი მოადინა.

ერთ-ერთმა უმცროსმა ბარიმ დაინახა, თუ რა დღეში ჩავარდა პიშტა. ხელიდან გააგდო ლიუცერნიანი ორთითა და გაშმაგებულ ჯაგლაგისაკენ გაქანდა, რათა მისთვის გზა გადაეჭრა. ველურ მუსტანგად გადაქცეულმა ტალტროშმა კი გეზი არ შეიცვალა, და ყმაწვილი იძულებული გახდა უკან დაეხია.

და აი აქ ისევ უცნაური რამ მოხდა... ტალტროშმა დაიფრტუტუნა, დაიქიჩინა, ფეხები გაჩაჩხა და ბარის მიერ დაყრილ იონჯასთან დაერტო. მისი ღრუნში იმავ წამს ჩაეფლო თივაში, ერთადერთი თვალი გადმოეკარკლა, და რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც თავი ასწია, ლაშების ორივე მხარეს ღრაქუნა იონჯის გრძელი მწვანე უღვაშები ჩამოეკიდა.

— ეხ-ხე-ხე-ხე! — გაისმა ფარდულის ქვეშ მდგომი მოხუცი ბარის ბოხი სიცილი.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე, იონჯა არ ჰქონია საყმარისი! დახე, როგორ სანსლავს, სული შეეხუთა. — იკრიჭებოდა ბრგე ტანის უმცროსი ბარი. მას თავი გოგრას მიუგავდა, ნაკეღით გასვრილი, გაუღილი პერანგიდან მაგარკუნთებიანი მკერდი მოუჩანდა.

ბრანზორეული და მოლუშელი ხაიდუ ფეხზე წამოდგა და ფორანიდან მიწაზე გადმოხტა. ის მზად იყო, გაეგლიჯა ურჩი პირუტყვი, რომელმაც ასეთი სირცხელი აქამა. მოკუმული მუშტებით

სცემდა ის ტალტროშს ფერდებში, მაგრამ ეს ცხენზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა. ხაიდუმ მჭიდროდ უმჯობესობა აღწია, რომ ხელები იტყინა. სიბრაზისაგან გაცოფებული გაიქცა მათრახის მოსატანად, მაგრამ უფროსი ბარი წინ აეფარა ცხენს და ხელში სწუდა იშტანს.

— ე, ნუ სულელობ, პიშტა! ღმერთმა შეარგოს, ჭამოს, მაგით ზარალი არ მოგვივა, თივა ბლომად გვაქვს.

— რაო? თქვენს თივას მივეკარები? სჯობს ამქუწონ. ხელი გამიშვი! — ხაიდუმ ხელი ჰკრა მოხუცს, მივიარდა ცხენს და კისერზე მათრახი გადაუქიარა.

— ახ, შე უნამოსო პირუტყვო! კოპერატევის თივა მოგინდა? საკეთარი სიმინდი არ გეყო? — ჩაილაპარაკა მან და უწყალოდ დაუწყო ცემა საბრალო ცხენს.

მაგრამ ტალტროში არაფრად აგდებდა ცემას. წარსულში მას ბევრსა სცემდნენ შიშისაგან დაფეთებული გერმანელი შვიდავები, რომლებსაც რუსები დასავლეთისაკენ მიერეკებოდნენ ასე რომ მცირეოდენი გაჯორვა მსუბუქ მასაყად ეჩვენებოდა მისი დანაოქებული ტყავი არც კი შენძრეულა. ეტყობოდა, ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა მოინდომა, ამიტომ გემრიელ თივაში ცხვირჩაყოფილი არც კი აპირებდა ადგილიდან დაძვრას.

ხაიდუ რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იგინებოდა, უწყალოდ სცემდა ცხენს მათრახის ტარით და ქუსლებით, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

ბოლოს გადააფურთხა და ქუდის მოსატანად წავიდა; უმცროსმა ბარიმ სალტე მოაგორა.

— ახლა დილაშდე იგორაეებს, შეიძლება მომავალ კვირამდისაც, — გულღვარძლიანად ჩაბუზღუნა ხაიდუმ. — ვიცნობ მე ამ ეშმაკის კერძს, მაგრამ ასეთი სირცხელი ჯერ არ მიქამია...

პიშტას ბრახი აღრჩობდა, მაგრამ ცდილობდა სხეებისათვის არ შეემჩნევი-

ნებია. მან გამოხსნა ჰაპნები დაიხვია სადავე და ფორანში ჩააგდო ფერსო.

— ამ დანჯღრეული ფორნით ადგილიდან ვერ დავიძრები, შეიძლება გზაში დაიშალოს.

— ე-ე, არა უშავს-რა, პიშტა!—დაამშვიდა ის მოხუცმა ბარიმ!—ფორანი ჩვენთან დატოვე, ხვალ მაინც უქმეა, არსად არა ხარ წასასვლელი, ორშაბათს კი სამუშაოდ მოვლენ ჩვენი მკედლები და თვალის დახამხამებაში შეაკეთებენ. ტყუილ უბრალოდ ნუ იწუხებ თავს.

— შეგვიძლია ცხენსაც მოუაროთ, — დაუმატა ბარის უფროსმა შვილიშვილმა. — თავლაში დავაბამთ, მორჩა და გათავდა. ვაჰმევეთ, ვასმევეთ. სულ ერთია, ვინმემ ხომ უნდა ვიმორიგეთ ხვალ.

— მთელ ღამესაც რომ თავზე დაადგე, ფეხს ვერ მოაცვლევიან, — გაჯავრებთ ჩაიბუზღუნა ჩაიდუმ და მწოლიარე ცხენს ფეხი წააკრა.

— როგორ არა, მთელ ღამეს, — სიცლით უპასუხა უმცროსმა ბარიმ, — განა მაგისათვის გავათავე მეჯინიბეობის კურსები, ასეა ხომ, ბებრუხანა? — ამ სიტყვებზე ცხენს ყურს უქან მოჰფხანა. ტალტოში დამშვიდებით განაგრძობდა თივის ცოხნას.

ეს გულთბილი მიღება კიდევ უფრო მეტად აჯავრებდა იშტვანს. წინათ მას მუდამ სძულდა ბარის ოჯახი. ისინი ყველანი მოჯამაგირეები იყვნენ, მაგრამ არ ყოფილა, ბატონი, რომელთანაც ერთ წელზე მეტს გაეძლოთ; ექვსნი იყვნენ, ამიტომ ყოველთვის აღმხედრდებოდნენ ხოლმე მებატრონეს და საქმე ჩხუბით თავდებოდა.

ახლა? ახლა კი ბატონებივით ტრიალებენ აქ და მამა აბრამის ბატკნებად მოაქვთ თავი.

მოხუცმა ბარიმ დაათვალიერებინა მეურნეობა — ასი ღორი, რომლებსაც მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებით ასუქებოდნენ, ჯიშაანი ძროხები, მათ შორის ღამაში შევიცარული ძროხა

გერტრუდა, დღეში რომ ოცდახუთ ლიტრ რძეს იწველიდა, და ლითონის ბადით შემოღობილი მეფრთხეულფრთხეს დიდი ფერმა. ამ დოვლათის დიდი ნაწილი, ისევე როგორც ორმოცდაათი საკრაველე ცხვარი, კოოპერატივს სესხად ჰქონდა მიღებული სახელმწიფოსაგან.

იშტვანის გულში ისევე შურმა იფეთქა.

ღამდებოდა, როდესაც ჩაიდუმ და ბარიმ ყველაფერი დაათვალიერეს და ფორანთან დაბრუნდნენ, ტალტოში უკვე თავლაში ება. იშტვანმა გულჯავრიანად ჩაიქნია ხელი, მაგრამ წინააღმდეგობა აღარ გასწია.

— ცხენისათვის ურიგო არ იქნებოდა, სამუდამოდ აქ დარჩენილიყო, — მზიარულად წარმოთქვა უმცროსმა ბარმა, — ძალიან გვესაჭიროება ცხენი რძის საზიდად, ჩვენი ცხენები აფსუსია ასეთი სამუშაოსათვის. როგორ ფიქრომ, ბებრუხანავ, ჰა? — მიუბრუნდა ის ცხენს, ალერსიანად გადაუსვა კისერზე ხელი და ფრჩხილი დაუსვა მის ჯერ კიდევ გაოფლიანებულ გვერდებს.

ტალტოში არ ეწინააღმდეგებოდა ასეთ მოქცევას და თითქოს იმის დასადასტურებლად, რომ აქ დარჩენაზე თანახმა იყო, ახლად დაგებულ ნამჯაზე გაგორდა.

— ეგვე მართალია, — თვალი ჩაუკრა უფროსმა ბარმა, — ხვალ ბევრი ხალხი შემოვა ჩვენს კოოპერატივში... ეხ-ხე-ხე... ვიღებთ ყველას, ცხენებით და ფორნებით...

ჩაიდუმ ხელი ჩაიქნია, უღვაში ჩამოიწია და გამოთხოვობისას თქვა:

— მამ ასე, ორშაბათს მოვალ. ჯერ-ჯერობით კი გმადლობთ.

ის სახლში ჩვეითად წავიდა. როდესაც სოფელს მიუახლოვდა, უკვე ბნელოდა.

მას შემდეგ, რაც ილიმანში ილოქტრონი გაიყვანეს. ქოჩაში ყველგან სანათლე ერთო რა შორიოან კაცს ეგონებოდა, სოფელში ჩანძარიაო.

როგორც კი ხაიდუმ სოფელს მიად-
წია; პირველ ფორანთანვე ძალთა კაპო-
რის ხმა შემოესმა, — ის თავის სახლის
წინ ხის ქვეშ იჯდა.

— ეს შენა ხარ, პიშტა?... ჩქარა გა-
იქეც სახლში, შენი ცოლი ისევ ცუდად
გახდა. ექიმის ცოლთან ვიყავი—პილპი-
ლი მიუტანე, სწორედ ჩემი იქ ყოფნის
დროს მოიბრინეს ექიმის წასაყვანად.

ხაიდუ შეკრთა.

— მართლა? — თქვა მან და სახლი-
საკენ გამოიქცა.

ჭიშკარი კინალამ არ შეამტვრია, ისე
შეგარდა ეზოში, გაიბრინა ბოძებშუა,
რომლებიც მის მიერ დაგრძელებულ აი-
ვნის ფარდულს ჰქონდა შეყუდებული
და ოთახში შევიდა.

— სსუ, — ხელის ქნევით შეაჩერა ის
ექიმმა, რომელიც შუა ოთახში იდგა
და ტაშტში ხელს იბანდა, — ჩაეძინა.

ხაიდუ გაშეშდა, შემდეგ შეშინებული
სახით ფრთხილად მიუახლოვდა ავად-
მყოფის საწოლს.

ლოგინის ნაპირზე იჯდა ნამტირა-
ლევი იულიში, ილონა ხაიდუს ღვიძლი
და, კალმან იუხასის ცოლი. როდესაც
შემამფოთებული ამბავი გაიგო, — ქა-
ლებმა მთელი სოფლის გასაგონად ატე-
ხეს ყვირილი, ილონა კედებო, — იუ-
ლიშმა ვერ მოითმინა, თავიანთი უსიამო-
ვნება დაივიწყა და დისაკენ გამოეშურა.

ექიმმა ხელი დაიბანა, ხელსაწყოები
პატარა ჩემოდანში ჩაალაგა და ჩუმიად
გავიდა. ხაიდუ ხმაამოუღებლად მივიდა
დაბალ ფანჯრებთან და ყურთამდე გა-
მოაღო ისინი. ფანჯრის რაფებზე შემო-
წყობილი ყვავილებიანი ქოთნები ხელს
უშლიდნენ ჰაერს ოთახში შემოსუ-
ლიყო. მან ეს ქოთნები იატაკზე ჩამოდ-
გა და შავიდას მიუჯდა.

იულიშიც დიდხანს არ იღებდა ხმას,
შემდეგ ასლუკუნდა და გულამომჯდა-
რი ატირდა:

— აი, აი, საბრალო ჩემი დაიყო, ილ-
ონკა, ეს რა დაგემართა...

მან წინსაფრის კუთხით მოიწმინდა

თვალები და გაასწორა საბანი, რომე-
ლიც ავადმყოფს გაოფლდებულ უტრ-
გიდან ჩამოუცურდა. *გინგლირთეკა*

ილონას პატარა თავი დიდ ბალიშში
ჩაეფლო, მძიმედ სუნთქავდა ძილში, მა-
გრამ ახლა ეს სუნთქვა უფრო მშვიდი
იყო. ოთახში სიჩუმე იდგა. იულიში
კვლავ მოთქვამდა:

— და ეს ყველაფერი იმის გამო, ჩე-
მო ძვირფასო დაიყო, რომ შენ ქმარს
ოდნავადაც არ ეცოდები, მაგ უსულ-
გულო იროდმა მუშაობით სული ამოგ-
ხადა. ვის გაუგონია, რომ მეცხრე თვე-
ში მყოფი ქალი ბოსტანს მარგლავდეს,
ანდა ძნებს კრავდეს? არ ვიცი, აქამდე
როგორ გასძელი, შე საცოდავო!..

— არც თქვენთან იჯდებოდა გულ-
ხელდაკრეფილი, — შეუტია მას მაგი-
დის მეორე მხრიდან ხაიდუმ, — ჩვენ მა-
გიერ ვინ იმუშავებს!

— ეს ჩვენს კოოპერატივში? განა
ჩვენ არ დავადგინეთ, რომ გალენასა-
თვის ორი თვის შევებულება მიგვეცა?
და განა მარტო იმას, სეკერშნასაც
ლაიკონესა, ანუშ გაბიჩსა და იუცი კი-
რალს — ყველა ჩვენს პატარძლებს.
ნახე, როგორი ბავშვები ეყოლათ ხუთ-
ხუთ კილოს იწონის თითო, ვარდები-
ვით ჰყავიან. გარდა ამისა, გადაეწყვი-
ტეთ, საერთო შემოსავლიდან გადავირი-
ცხოთ პროცენტი და ყველა დედას აუ-
ნაზღაუროთ შევებულებაში ყოფნის
დრო.

ხაიდუ სდუმდა, ის მხოლოდ გაბორო-
ტებით იფხევდა თავის დიდი ხნის მოუ-
პარსნავ სახეზე ამოსულ შავ ჯაგარს,
თითქოს ცდილობდა კორძიანი თითებით
ჩაეხშო ის ფაქრები, რომლებიც თავში
უტრიალებდნენ.

იულიშმა ვერ გაუძლო დიდი ხნის სი-
ჩუმეს და გვერდით მიუჯდა მას.

— აი სადამდის მიხვდი? დავათვა-
ლიერე თქვენი საკუწნაოც და თავ-
ლაც — ყველგან სიცარიელეა, მე კი მი-
თხრეს; რომ საკმაო სესხი მიგილია ბან-
კიდან.

— ეგ რა შენი საქმეა!..

— როგორ თუ რა ჩემი საქმეა? — ასისინდა იულაში. — განა იღონა ჩემი და არ არის? შენ გგონია, ნებას მოგცემ, რომ მაგის ინტერესებს მიაფურთხო? მეურნეობა, ისევე როგორც შენ, იმასაც ეკუთვნის. გეყოფა ამდენი დაცინვა. განა შენ არ მიგვესიე ერთმანეთს, განა შენ გამო არ ვეჩხუბებოდით და ვლანძღავდით ერთმანეთს? როგორ ვცხოვრობდით გათხოვებამდე? როგორც ორი მტრედი. თუმცა ღარიბები ვიყავით, მაგრამ ერთმანეთისადმი შური გულშიც არ გავგიტარებია. ახლა კი, რადგან კულაკების სტირის აპყევი, უკანასკნელი ქუეც დაჰკარგე... აი ახლაც... მითხარი სად არის შენი ჯაგლაგი?

— კოპკერატივში შევიდა, — პირქუშად ჩაიციხა ხაიდუმ. მისი სიცილი გოგრის გასკდომის ხმას ჰგავდა. — მე არ მკითხა, აიღო და შევიდა. გაცოფდა წყეული, ჰენებით მიმიყვანა თქვენ ხეტორამდე და ფეხი აღარ მოიცივალა; ხომ იცი მისი სიჯიუტე. იძულებული ვიყავი იქ დამეტოვებინა...

— აი, ხედავ, ცხენსაც კი მეტი ქუეა აქვს, ვიდრე შენ. შენ კი ქუე ააგდე და თავი შეუშვირე. რაღა თქმა უნდა, ღმერთო ჩემო! სახალხო ხელისუფლებამ ახალ მეპატრონედ აქცია და მას ჰგონია, რომ...

— გეყოფა! იკმარე ლაქლაქი! — მაგიდაზე მუშტი დაჰკრა ხაიდუმ. — არა მჭირდება თქვენი აგიტაცია, ამხანაგო იუხანსე! თქვა და თვითონ გაუკვირდა, თუ რა არაღამაჯერებლად გაისმა მისი ნათქვამი.

მოუსვენარ ფიქრებს, ამ უკანასკნელ დროს რომ აწუხებდნენ პიშტას, როგორც ეტყობება, მოედუნებინა მისი ნებისყოფა.

მისმა სიტყვებმა კიდევ უფრო გააცეცხლა იულიში — საჩხუბრად გამზადებული ინდაურივით გაიფხორა, მაგრამ ამ დროს ქუჩიდან ბავშვმა შემოსძახა:

— დეიდა, იულიშ, ძია კალმანი და-

ბრუნდა და გეძახის ჯავრობს, რომ სახლში არდაუხედი, ამბობს სკაღვიდან სტუმარს ვლიო. გიგლინიოთქა

— ახლაც მოგა! გასძახა ფანჯრიდან იულიში. — მაგრამ დამაცადე, მე კიდევ დაგბრუნდები, — მიუბრუნდა ის პიშტას. — ჩემს დას ფეხზე დაეყენებ. შენი ჯაგრი კი არა მაქვს, ჯანდაბას შენი თავი... შენი მოგვარებების არც ერთი დედაცაი არ მოსულა და თავი არ შეუწუხებია, რომ საბრალოსათვის შექამადი გაეკეთებინა. ვერც ჩამოვთული იმდენი არიან, ავადმყოფთან მოსასვლელად კი სადა სცალიათ, ეშინიათ, სადმე ზედმეტი გროში არ დააკლდეთ.

იღონას საწოლზე მან რაღაც გაასწორა, თავისი უამრავი ქვედაკაბა შეარჩია და დიდი, გაჯავრებული ფრინველივით გავიდა გარეთ.

ხაიდუმ ღორებს სიმინდი დაუყარა, საღორე დახურა, საეუქნაოს კარი გამოუკეტა, ისევე მაგიდას მოუჯდა და თეთრ სუფრას დაეყრდნო. ცოლი უფრო შშვიდალ და თანაბრად სუნთქავდა. პაშტასაც ძილი მოეკიდა. მისი თავი სულ უფრო და უფრო დაბლა იხრებოდა... მაგრამ, როგორც ჩანს, იშტვან ხაიდუსათვის ეს დღე გაუთავებელ წამებად უნდა გადაქცეულიყო. კარზე ვილაცამ დააკაკუნა და ოთახში გერგე შოვანმა შემოყო თავი. ის დაახლოებით ორმოცი წლის თუ იქნებოდა, მაგრამ მთლად მელოტი იყო. ცუდი კვების გამო დიდი ხანია, რაც თმა გაუცვივდა და კბილები დასძვრა. თავის თვრამეტი ხოლდისათვის რომ თავი მოეყარა, მრავალი წლის განმავლობაში შიმშილობდა, შიმშილობდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კუჭის წყლულმა ელფერი დაუკარგა მის ისედაც გასავათებულ სახეს, თავი ქრონიკული ძირმაგარების გამო მუდამ წაკრული ჰქონდა სქელი, ყვითელი ხელსახოცით, რომლის შემოდანაც ქული ჰქონდა წამოდებული. მეორე სტუმარი იყო პიშტას ძმისწული გაბორ ხაიდუ.

ის იმავე საქმეზე მოსულიყო ბიძასთან, რაზედაც შოვანი.

— სალამო მშვიდობისა, — ჩაიღუღუნა შოვანმა.

სახლში გამეფებულმა სიჩუმემ და ავადმყოფი ილონას საწოლის დანახვამ შეაქროს ის.

— ვხედავ, რომ აქ ჩემად ყოფნაა საკურო...

ის თითის წვერებზე დადიოდა და ცდილობდა, მისი ფეხსაცმელის ხის ძირებს არ ეხმალა.

— არა უშავს—რა, დაჯექით, — მიუთითა სკამზე მასპინძელმა — მითხარათ, რაშია საქმე?

— თვითონაც ხომ იცი, უთხრა ძმისწულმა, რომელმაც მისკენ მიიწია და ახლოს მიუტანა თავისი მრგვალი სახე რომელზედაც კუპრისფერ შავბარდნალს შორის როგორც ყველა ხაილუს ახასიათებდა, ასეთივე ფერის პატარა თვალები უბრწყინავდა.

— ჩვენთან ხომ კოოპერატივის აგენტატორები იყვნენ. ჩვენი ნაკვეთები კი, როგორც თავად იცი, გვერდი—გვერდს არიან. აი, ძია გერგეც იმავე საქმეზეა მოსული...

— როგორ მოვიქცე? — ჰკითხა თავის მხრივ შოვანმა. — შენ, როგორც სახალხო ფრონტის კომიტეტის წევრს, პოლიტიკურ კაცს, უკეთ უნდა გესმოდეს, რა შეიძლება და რა არა.

საკითხი პირდაპირ იყო დასმული და პირდაპირი პასუხისათვის გვერდის ახვევა შეუძლებელი იყო. ორი წყვილი თვალი ხარბად მისჩერებოდა პიშტას. რა ჰქნას? უთხრას, რომ შევა კოოპერატივში? — ეს ხომ სირცხვილი და თავის მოჭრაა! ის მაშინვე დაკარგავს ყოველგვარ ავტორიტეტს. უთხრას, რომ არა? ეს ხომ შეიძლება სიცრუე გამოდგეს...

— ჰხ... დაახ... ჩაიბურტყუნა დაიღუღუნა. — თქვენ, კი როგორ ფიქრობთ? ორივე სტუმარი ისეთივე გასაკვირში იყო, როგორც პაშტა — არც ერთს არ

ჰქონდა გადაწყვეტილი, როგორ მოქცეულიყო. ფაფა ცხელი იყო და შეიძლება პირი დაეწვა კაცს.

— არ იცი როგორ მოიქცე — თავი დაიძვინა გერგე შოვანმა. — ასეც კარგია და არც ისეა ცუდი. ტყუილუმბრალოდ არ იკვებნიან ყველაფერი მართალია. — ჩემი ნაკვეთი იმათ მეზობლადაა — თვითონაც ვხედავთ, რომ საქმე კარგად აქვთ... მაგრამ ყოველთვის ასე იქნება?..

— გავომ—გასინჯავს, დაიწყებ ეშმაკობდა გაბორ ხაილუ — და გამოდის, რომ შესვლისაც გეშინია, ვაითუ შემდეგ ვინანო, არ შეხვიდე და ისეც იმაზე ფიქრობ, იქნებ გულდასაწყვეტი საქმე გამოვიდეს, ვაითუ მათ ჩვენზე მეტი გააკეთონ. წელს ცუდად არ წასვლიათ საქმე, გაისად კი შეიძლება უფრო მოლონიერდნენ...

ხაილუს დაქანცულ თავში მხსნელმა აზრმა გაიღვია.

— აი რას გეტყვი, ხალხო; ყველა ისე მოიქცეს, როგორც მისთვის სჯობდეს, როგორც თვითონ სურდეს, რომ მერე სხვებს არ უსაყვედუროს... — მან ამაყი გამომეტყველება მიიღო — თავის ხალხის წინაშე საკუთარი ავტორიტეტი ხომ არ უნდა შეეღახა, — და დაუმატა: — მეც საკუთარი ჰკულით განვსჯი და ჩემი გზით წავალ!

— ეგ კი აგრეა, ჩაიღუღუნა შოვანმა, — მაგრამ საით გაუხვევს ეგ გზა?.. შენი ნაკვეთი ხომ ყველაზე განაპირაა...

— თქვენ ჩემ მაგიერ ნუ შეუუხდებით. როგორც გადამიწყვეტია, ისე მოვიქცევი, ჩემს გადაწყვეტილებას არ გადაუხვევ და სირცხვილს არ შევეუშინდები. თქვენც გირჩევთ, თქვენს აზრზე მაგრად იდგეთ. გასაგებია?

— გასაგებია!.. რაკი აგრეა, მაშინ რაღა თქმა უნდა — ერთხმად უპასუხა ორივე სტუმარმა. — გასაგებია... დაინახეს რა, რომ ხაილუს ეჩქარება მათი თავიდან მოშორება, სტუმრები სწრაფად გამოეთხოვნენ მას.

ქუჩაში, რამდენიმე ეზოს რომ გასცდნენ, გერგე შოვანი ფრთხილად შეეგო — გაბორ ზაიდუს მხარს.

— გამოდის, რომ პიშტას არ სურს შესვლა?

— რაო? არ სურსო? — ფიცხად უპასუხა გაბორმა. — როგორც დაგიბარებია, ისე შევა, ეს ისე ცხადია, როგორც ის, რომ მე ახლა აი, ამ ადგილას ვდავარ. კარგად დაუშუშავებით, რალა თქმა უნდა.

— სტრუობ, ყმაწვილო. მას ხომ ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

— დაგენადლევები, რომ შევა, — გაუწოდა ხელი გაბორმა. გაცხარდა კამათი. ბოლოსდაბოლოს მოწინააღმდეგეები შეთანხმდნენ, რომ არც ერთმა არაფერი იცოდა. ყოჩაღად კი გააცურა ისინი პიშტა ზაიდუმ! მათ გადაწყვიტეს, რომ ხვალ ყველა ნათესავებთან ერთად აუცილებლად დაესწრებოდნენ კრებას. იქ გამოჩნდებან...

სანამ ისინი მსჯელობდნენ, პიშტა ზაიდუმ სინათლე ჩააქრო, ხელები თეთრ სუფრაზე დააწყო, ზედ თავისი დამძიმებული თავი ჩამოდო და მაშინვე დაიძინა. მისი გოლიათური ხვრინვა ქუჩაშიც კი ისმოდა.

იულიში კი ამ დროს სახლში ქმარს ეომებოდა.

სტუმრებთან ერთად სოფელში დაბრუნებული კალმან იუხასი მალი გამოეთხოვა მათ: სტუმრები გაეშურნენ, რომ მთელ ოლქში მოეფინათ პეტეფის სახელობის ილიმანის კოოპერატივის ქება-დიდება. კალმანმა ნახევარი საათით შეირბინა სოფლის პარტუჯრედის მდივან პუშკაშთან და მას შემდეგ, რაც მასთან ერთად განიხილა ზვალინდელი სადღესასწაულო დღის გეგმა, აჩქარებული ნაბიჯით გასწია სახლისკენ, რომ საღამოსათვის დანიშნულ კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამდე დანაყრება მოეწყო. მაგრამ ეერ მიართვეს: თურმე ქალბატონი იულიში თავის დასთან წასულიყო და ვახშამი არ მოემზა-

დებინა. უკანასკნელმა გარემოებამ, უფრო კი იმან, რომ იულიშს მსემალე მოლობობოდა გული და ხაილქებში დასახმარებლად წასულიყო, იუხასს მოთმინების ფილა აუესო. მან ცოლს არ მოუცადა და სახლიდან გაეარდა.

კოოპერატივის გამგეობა მოთავსებული იყო სოფლის საბჭოს შენობის გვერდით მდებარე უზარმაზარ, ციხეკოშყის მსგავს სახლში, რომელიც წინათ სახალხო ტრიბუნალის მიერ პურის დაწვისათვის გასამართლებელ კულაკს ბერცი დოროს ეკუთვნოდა. მაგრამ გაზრდილი და გამდიდრებული კოოპერატივი ამ დიდ შენობაშიც კი ვერ ეტეოდა. სახლი პატარ-პატარა ოთახებად იყო დაყოფილი. კულაკის ქედმაღლობა მოითხოვდა, მისი ოთახები, თუნდაც პატარა ზომისა, ოღონდ ბევრი ყოფილიყო, კრებებისათვის რომ საკმარად ფართო დარბაზი მოეწყოთ საჭირო შეიქნა ორი კედლის დაშლა. დღეს ეს დარბაზი გაქედილი იყო. კოოპერატივის წევრებს ცოლ-შვილიც თან წამოეყვანათ.

დარბაზის მთელ სიგრძეზე, თვალისმომკრელი პლაკატებით მორთული კედლების გაყოლებით, ყვავილწუნულები იყო გადაქიმული, დარბაზში სოფლის მშრომელთა ორი თაობის — მოხუცებისა და ახალგაზრდების ძრიამული იდგა. მსხვილძვლიანი, გაჭალარაკებული მოხუცები ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ მათთვის გაუგებარ ახალ ცხოვრებას და თვალმოკუტული ათვალეირებდნენ ამ დარბაზში თავშეყრილ დიდ ოჯახს: რამდენიმე ათეულ ახალგაზრდა ქალს ბავშვებით ხელში და თვითმოქმედი წრის მონაწილე ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ, რომლებიც ერთსულეონად მღეროდნენ ძველსა და ახალ სიმღერებს.

მაგრამ, აი, გაიხსნა კრება და გამგეობის თავმჯდომარემ დაიწყო კოოპერატივის წევრებისათვის ფულის დარიგება.

ფულით საცეს კონვერტებზე, წარწერილმა საცქაოდ დიდმა ციფრებმა ცოტა არ იყოს დაამშვიდეს იგი. მის მოღუშულ სახეს ღიმილის მსგავსი რაღაც დაეტყო. ასე იყო თუ ისე, შრომადღეზე 25 ფორინტი რიგდებოდა. კოოპერატივის წევრთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც გარდა სხვადასხვა პროდუქტების, მარცვლეულისა და საქონლის საკვებისა, ნახევარი წლის ნამუშევარში იღებდნენ ოთხი ათას ფორინტს. მოხუც ბარისა და მის შვილშვილებსაც საცქაოდ დიდი თანხა ერგოთ. მოხუცმა თითებზე დაიფურთხა, კონვერტი გახია და ახალ-ახალ, ტყეცინა ფულებს ამოლაგება დაუწყო. ის კონვერტიდან იღებდა ფულს და თან ამბობდა:

— აბა, დიდო და პატარა თევზო, მომყევი ხელში!..

ღარბაზში მზიარული სიცილი ატყდა. როდესაც იუხასმა უკანასკნელი კონვერტი ჩააბარა პატრონს, მოკლე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად და დაულაგებლად ლაპარაკობდა, მაგრამ სიტყვები, რომლებსაც ძლივძლივობით წარმოთქვამდა. იყო მკვახე და მტკიცე.

— ამხანაგებო! ჩვენ მთელ სოფელს დავანახვეთ ჩვენი ძალა. ამას ხედავს ყველა, ვინც კი ბრმა არაა... ბევრი მოვიდა ჩვენთან, მაგრამ საჭიროა უფრო გავმრავლდეთ... დაე, ხვალინდელ კრებაზე რაც შეიძლება მეტი იყოს ჩვენს ოჯახში შემოსვლის მსურველი. რაც მეტი ვიქნებით, ის აჯობებს! ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მივიღებთ განურჩევლად ყველას. არავითარ შემთხვევაში! კულაკებსა და მათ დამქაშებს, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ცილს სწამებდნენ ჩვენს კოოპერატივს, ჩვენ შორის ადგილი არა აქვთ. — ეცხიან ცხვირწამოდგმულ იუხასის გაყვითლებულ სახეს ჭარხლის ფერი გადაეკრა. — დაე, ის იყოს ლატაკი, თუგინდ მათხოვარი, რომელსაც არაფერი გააჩნია... მაგრამ თუ ის კულა-

კებს კერს უკრავდა, ჩვენთან მოსასულელი გზა მისთვის დასშვლილია! ამ სიტყვებმა დამსწრეთა წამყვალად მოწონება გამოიწვია.

— სწორია! ისინი მასხრად გვივდებდნენ. მათი მუშაობა დედაკაციები იფურთხებოდნენ ჩვენს დანახვაზე! საცქაოდ ბევრი მტერი გვყავდა! ისინი კულაკებზე უარესები არიან! — გაისმოდა ყოველი მხრიდან.

პალ ბოყო, რომელმაც დაინახა, რომ კრების მსვლელობამ ასეთი მოულოდნელი მიმართულება მიიღო, მოუსვენრად ატოკდა თავის ადგილზე. მას ხომ, როგორც კოოპერატივის პარტოგს, უნდა უზრუნველყო პარტიული ხაზის სწორი გატარება, კალმან იუხასი კი წამდაუწუმ ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ იხრებოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა ბოყო, რომ ტყუილებრალოდ მოექცა ასე ზერელედ იუხასის ლაპარაკს, როდესაც ხეტორიდან ბრუნდებოდნენ. საქმე, როგორც ჩანდა, სერიოზულ ხასიათს იღებდა.

ღარბაზში ხმაური ატყდა. კოოპერატივის ზოგიერთი წევრი ყვიროდა:

— მიხაი ფურუ! იმრე კიშ!

ეს იყო სახელები იმ ღარიბ-ლატაკებისა, რომლებიც თავისი შეუგნებლობით ერთი წლის წინათ წინააღმდეგი იყვნენ კოოპერატივის შექმნისა.

კატი შუროკმა, პატარა ტანის, პაჭუა დედაკაცმა გაილაშქრა თავისი ძმის პეტერის წინააღმდეგ, რომელიც ქალის სიტყვით, ახლა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ კოოპერატივში ჩაუერილიყო.

— გააგდეთ ის, ძია კალმან, არ მიიღოთ მისი განცხადება, თუგინდ დაგიჩოქოთ. — ყვიროდა ქალი და თავის პატარა ხელებს ასავსავებდა. ბოლოს წამოხტა, პრეზიდენტის მაგიდასთან მიიჩინა და დაიწყო ჩამოთვლა იმ შეურაცხყოფისა, რომელიც ძმისაგან ჰქონდა მიყენებული.

კალმან იუხასი, რომელმაც ნახა, თუ რა გავლენა იქონია დამსწრეებზე ქალის

სიტყვებმა, თვითონაც, ცოტა არ იყოს, დაიბნა. პალ ბოეოს სუნთქვა შეეკრა, მას რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა. ბოლოს იუხასმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და დაამთავრა:

— ყველამ უნდა იცოდეს, ვინ რა უნდა გააკეთოს. ეს გამგებობამაც უნდა იცოდეს... თუ ჩვენთან მოსვლის სურვილს განაცხადებენ შეუფერებელი ადამიანები, ჩვენ ვეტყვიით მათ — გაეთრიეთ აქედან! დანარჩენებს კი ყველას სიზარულით გაეუღებთ კარს. დაე, გაიზარდოს ჩვენი სოციალისტური ოჯახი, და მას შემდეგ, რაც ჩვენ ღირსეულად ვიცხოვრეთ ამ ნახევარი წლის განმავლობაში, მხოლოდ ეს შემიძლია ვთქვა: გაუმარჯოს ჩვენს მშრომელთა პარტიას, გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, ამხანაგ რაკოვის? გაუმარჯოს მშვიდობის დამცველს მთელ მსოფლიოში — დიდ სტალინს!

— ელიენ! — ელიენ! — ივრილა დარბაზმა.

თვალეგაბარწყინებულმა ახალგაზრდობამ ინტერნაციონალი წამოიწყა მის მძლავრ, მოგუგუნე მელოდიას დანარჩენებიც აჰყვენ.

ამით დამთავრდა კრება. როდესაც ხალხი იშლებოდა, პალ ბოეო იუხასთან მივიდა.

— ამხანაგო იუხას, შენი გამოსვლით დიდი ზიანი მიაყენე ჩვენს საქმეს. ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვუთხრათ კოოპერატივში მიღებაზე არც ერთ მშრომელ გლეხს, იმათაც კი, ვინც შარშან თავისი შეუგნებლობით ეწინააღმდეგებოდა მის ჩამოყალიბებას, — ის ოფიციალური ტონით ლაპარაკობდა.

— რაღა თქმა უნდა, არ შეგვიძლია, — გაჯავრებით უპასუხა იუხასმა, — ჩვენ მხოლოდ აშკარა მტრებს არ ვიღებთ.

— მშრომელი გლეხი ჩვენი მტერი არ არის...

— ამას ყველანი ვეთანხმებით, — უპასუხა იუხასმა. მისი მოგარბნილტვირიანი სახე ისევ წამოწოდებდა, მაგრამ ჩვენ ვიცნობთ ყველას, ვინც შეგნებულად ილაშქრებდა ჩვენს წინააღმდეგ. აქ ლაპარაკია ცალკეულ პიროვნებებზე. მოღალატე ფერედ ნაღსაც თავისი თავი გლეხად მიაჩნდა!

— მტერი არ მოიშლის მტრობას, მაგრამ მათში ვისაც შენ გულისხმობ, უკვე იღვიძებს შეგნება! — ბოეომ ფეხი დააბაკუნა, — თუკი ჩვენ ასე მოვექცევით მათ, მთელი სოფელი შეგვიძულებს...

ამის საპასუხოდ იუხასმა ხელი გაშალა და პირქუშად ჩაილაპარაკა:

— იქნებ გგონია, რომ პიშტა ხაილუსთან, რომელიც მთელი წლის განმავლობაში დამცინოდა, ერთი ჯამიდან შეეკვამ ბალს? რამდენი უძილო ღამე გაგვიტარებია, რამდენჯერ თავი გვიმტვრევია ჩვენ, კოოპერატივის გამგებობას, რომ უკეთესად მოგვეწყო საქმე? ჩვენი ხალხი უკანასკნელ ძალღონეს არ ზოგავდა ამ საქმისათვის, და ახლა, ეს მამაძაღლები მზამზარეულზე უნდა მოვიდნენ... რომ გულში ისევ ჩუმად დაგვეცინონ?... არა, ეს არ მოხდება!...

იუხასმა შუბლზე ჩამოიფხატა თავისი შავი ქელი, სინათლე ჩააქრო, თითქმის ძალით გამოაგდო ოთახიდან ბოეო და კარები კლიტით ჩაეკეტა. პარტორგი, რომელმაც მის წინააღმდეგ ვერაფერი სხვა საბუთი ვეღარ მოძებნა, შეეცადა მშრომელთა პარტიის ავტორიტეტს დაყრდნობოდა, მაგრამ კოოპერატივის თავმჯდომარეს თითქოს ყველაფერზე ჰქონდა პასუხი მომზადებული.

ინდივიდუალური მიდგომა საჭირო, ამხანაგო. ამას ხშირად წერს „საბადნები“, მე ხომ ვკითხულობ პარტიული მშენებლობის განყოფილებას. პარტიამ არ შეიძლება იცოდეს კლასობრივ ბრძოლაში მომხდარი ყველა ცვლილება, რომელიც აქ ილიმანში გვხვდება.

¹ „ელიენ“ — გაუმარჯოს!

შენ და პუშკაში კი, როგორც ჩანს, დაიბენით.

გამგეობის შენობიდან გაიჩრდილდებულ მთავარ ქუჩაზე გამოსულნი ისევ განაგრძობდნენ კამათს. ბოლო გრძნობდა, რომ საფრთხე თანდათან ძლიერდებოდა და ხვალინდელი კრება შიშსა გვრიდა. ახლა მან იგრძნო, თუ რა ძლიერად იყო გამყდარი იუხასის გულში მისთვის საქულველი ხაიდუსადმი შეურისძიების გრძნობა.

მაგრამ აქვე აღეძრა ფიქრი საკუთარი პასუხისმგებლობის შესახებ. იმის მაგიერ, რომ ჯერ კიდევ დღისით, პიშტასთან შეხვედრის დროს, სწორი გეზი აეღო, ყველაფერი თვალსა და ხელს შუა გაეპარა, კრებაზე კი მხოლოდ თვალბს აფახურებდა და თავი აარიდა კამათს, რომ საერთო მხიარულება არ ჩაეშალა. ახლა კი გვიანაა... „დიდი ამბავი მოხდება ხვალ“ — ამ ფიქრზე ტანში ერთანტულმა დაუბრა, და სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილა უკანასკნელ ხერხს მიჰმართა.

— კალმან, ნებას არ მოგცემ, რომ აგრე მოიქციე! ეგ გადახვევია! მეც ბევრი რამ გადავიტანე ჩვენი კოოპერატივის გამო და მისი დანგრევის უფლებას ვერ მოგცემ. გასაგებია?

იუხასმა ერთბაშად გამოსტაცა ბოყოს ხელი. მეორე ხელით კი მასში ჩაბლუჯული ჩიბუხი პირში იტაცა.

— მიბრძანებ? — შეეკითხა ის და გაიცინა. ეს სიცილი ჭის გამხმარი ოწინარის ჭრიალსა ჰგავდა. — შერე-და, რა შეგიძლია შენ, პალ ბოყო, თუკი ასეთია ხალხის ნება? — და დაცინვით დაუმატა: — ნეტავი რითი მოგისყიდა შენმა მუზობელმა, რომ ასე თავსა სდებ მისთვის? ახლა, როდესაც გაკოტრდა, რალა თქმა უნდა, სიამოვნებით გადმოვა ჩვენს მხარეზე? კარგი, გვეყოფა, ღამე ნებისა, ხვალ ვნახავ, ვინ უფრო ძლიერი აღმოჩნდება — პალ ბოყოს ბრძანებები თუ ხალხის ნება-სურვილი? —

კალმანმა ნერველად გაიცინა და ხეების ბნელ ჩრდილში მიიმაღა.

— აი წყუელი! ყველაფერი მზადაა, ოღონდ თავისი ძვირფასი ნათესავი წაახდინოს. ეხ, ნეტავი რუმუნებული მაინც მალე ჩამოვიდოდეს ქალაქიდან.

ბოყომ ბარძაყებზე შემოირტყა ხელი და უჯრედის მდივან პუშკაშთან გასწია. მაგრამ პარტუჯრედის ოთახის ფანჯრები ჩაბნელებული იყო.

„თუშკა დილაშდის მაინც ვერაფერს გავაწყობ“, — გაიფიქრა ბოყომ და სახლისაკენ გასწია. ის გუნებაზე არ იყო.

ხაიდუს სახლის გალებული ფანჯრიდან ხერხევა მოისმოდა.

— ნეტავ რა მოგივა ხვალ, პიშტა? — ჩაიბუტბუტა ბოყომ და თავისი ეზოს ჭიშკარს ხელი ჰკრა. მისმა პატარა, ჩამრგვალებულმა ცოლმაც კი, რომელიც მას ძალიან ჰგავდა, ვერ გაჰფანტა სახლში დაბრუნებული ბოყოს დარდიანი ფიქრები.

არც იუხასის ოჯახში იყო უკეთესი მდგომარეობა.

ავადმყოფი დისგან დაბრუნებულმა აუღოშმა დედალი მოხარშა, კარტოფილი შეწუა და ტკბილი პილილით შეაზავა. მაგრამ მისი გარჯა ამაო გამოდგა. ოჯახის მეთაურმა სახლში შემოსვლისას ჩვეულებრივი საღამოც კი არ გაიმეტა მისთვის, ის მაგიდას მიუჯდა და შუბლშეკრული დროდადრო რალაცას ბუტბუტებდა.

იულიშიც არ აწუხებდა მას თავისი შეკითხვებით და ჭმრის დანაყრებას ელოდა, რის შემდეგაც, ჩვეულებრივად, გამოიდარებდა ხოლმე. ვის-ვის და მას კი კარგად ჰქონდა შესწავლილი თავისი ჭმრის ხასიათი.

მაგრამ ვახშმის შემდეგაც კალმანი სულ უფროდაუფრო იმუხნებოდა. მან მაგიდიდან თამბაქო და ჩიბუხი აიღო, ლემელის გვარდზე დაკიდებული ცხერის ტყაპუკი ჩამოხსნა და კარისაკენ გასწია. როგორც ჩანდა, ფარდულის ქვეშ აპირებდა ძილს.

პროტესტის გამოხატვის ამგვარი წესი მათი ჯვრისწერის პირველივე დღეებიდან იყო იულიანისათვის ცნობილი, ეტყობოდა, კალმანს ბრაზი აღჩნებდა — ცხვირთან შეყრილი ნაოქები დაღმეკობდა, თამბაქოს ფოთლის მსგავს ყურებთან საფეთქელზე კანი მოუსვენრად უთამაშებდა, თვალები ექუტებოდა და გესლიანად უკრთოდა.

— რა მოგივიდა, კალმან? — შეაჩერა ქმარი იულიშმა, რომელიც მის ქურქს ჩაეჭიდა. — ისევ ეშმაკი შეგიჯდა? არ მოგწონს, რომ დის სანახავად ვიყავი? მაშ ვინ უნდა იზრუნოს მისთვის? სულს ძლივს ლაფავს საბრალო!

— მან კი გნახა, როდესაც შენ თვითონ კინალამ ფეხები გაფშივე? თვალითაც არ დაგვინახავს! — მოუჭრა ცოლს სიტყვა კალმანმა და პირიდან ჩიბუხი გამოიღო.

— იმასაც აი, ასევე არ უშვებდა ქმარი — არ გაბედო ძვირფასი დროის ტყუილგზარდოდ გაცდენაო, — უპასუხა იულიშმა. — ერთმანეთს გავხართ გულქვევობაში.

კალმანმა იულიშს ხელში წააგლო ხელი.

— თუ ერთხელ კიდევ გავიგე, რომ ხაიდუსთან ყოფილხარ, მიფრთხილდი! — მან ცივად მოიშორა ცოლი და ცაუმატა: ფეხების საკონცენტრაციოდ ვიაროთ მათთან? — ამის შესახებ ჩვენ არ შევთანხმებულვართ.

— რაო?! ასეთმა აშკარა ძალდატანებამ გააცოფა იულიში.

— მაშ, შენ მასწავლი, როგორ უნდა მოვექცე ჩემს ღვიძლ დას? წავადა ებდრო. განა იმისათვის შევადი კოოპერატივისა და მდნს¹-ის რიგებში, რომ შენ ჰკუთხე ვიხტუნო? მორჩა! გაიხსენე, კრებებზე ვინ გვექიკვიებოდა ქალთა თანასწორობაზე, განა შენ არა?... ახლა

კი გინდა ვუღალატო, ჩემს სეტყარ დას, საბრალო ობოლ ქალს, იულიში სეტყვასავით გაურიდოქსევედურებს ქმარს. შემდეგ მწარედ ატირდა.

— ეშმაკიც კი ვერ მოიგონებდა ამზე უარესს...

იულიში ხელით კმუქნიდა წინსაფარს, რომლითაც თვალებს იშენდდა.

— ჩხუბმა გააღვიძა ორივე ბავშვი. რომლებსაც ტიხრის იქით ეძინათ.

— მომწყუდი თავიდან! — შეუძახა ცოლს კალმანმა, კარი გაიბრაზუნა და გარეთ გავიდა.

ამაო იყო იულიშის ყვირილი: — ეგ-ლა გვაკლია, რომ გაცივდე! შემოდი შინ!

იუხასმა პასუხი არ გასცა.

ჩიბუხის გულჯავრიანი პლაკუნით ჩამოჯდა ის კარის ზღურბლზე და მიაშტერდა ვერცხლისფერ მთვარეს, რომელსაც თავისი ცივი სხივები სახლის ფარდულის ქვეშ გაემა. მხოლოდ განთიადისას ჩაეძინა. იულიშს კი სულაც არ მოუხტუკავს თვალი, მის ფანჯარაში მთელ ღამეს ენთო სინათლე.

უკვე მშვენიერი, ვარდისფერი, ცვარნამიანი დიღან იყო, როდესაც კალმან იუხასმა იგრძნო, რომ ვიღაც ანჯღრევდა.

ეი, მწყემსო, ² წამოდექი! წამოდექი, ნუ გძინავს, ცხვარი სადღაც დაკარგულა და ველარ იპოვნი, — ზედ იუხასის ყურთან აგუგუნებდა ხალხურ სიმღერას პალ ბოფო. — შენც გოგოები მოგიტაცებენ, რადგანაც ძალი არა გყოლია. აღექი, მეგობარო, ხედავ პარტიის რაიკომის მდივანი გეწვია, მან შორეული ქალაქიდან მოასწრო მოსვლა, შენ კი აქამდე გძინავს. ხედავ, როგორი პატივი დაგვდეს? ასეა თუ ისე, ჩვენი კოოპერატივი მოწინავეა მთელს რაიონში. მხოლოდ ერთს გვეუბნებიან, იცოდეთ, თავს არ გაგივიდეთო! შენ კი ტყაბუქში

¹ მდნს — უნგრეთის დემოკრატიულ ქალთა კავშირი.

² იუხასი — უნგრულად მწყემსია.

გამოხვეულხარ და მოკლული ტახივით გდინხარ. სხვა თავმჯდომარე ახლა რამდენი ხნის ამდგარი იქნებოდა, ხუმრობა ხომ არ არის დღევანდელი დღესასწაული!

ბოეოს ხმაში გუშინდელი შელაპარაკების კვალიც არ ჩანდა.

პალ ბოეოს უკან მოჩანდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ღია ფერის მოსასხამი ეცვა. ცხვირქვეშ პატარა უღვაშები მოუჩანდა. „უეჭველად სიდარბაისლისათვის იზრდის“, გაუელვა კალმანს თავში. ეს ზოლტან საბო, რაიკომის ახალი მდივანი იყო, ის სულ ორი კვირაა, რაც ჩამოვიდა სამხრეთ უნგრეთიდან — სადაც ერთ-ერთ შახტში მუშაობდა მდივნად პროპაგანდის დარგში.

იუხასი სწრაფად წამოდგა და ახალგაზრდა კაცს ხელი ჩამოართვა.

— საბალდშაგ! — უბრალოდ თქვა მან და გადახედა თავისი მოუხევენარი ცისფერი თვალებით, რომლებიც მზიარულ ნაპერწკლებს აფრქვევდნენ.

მას გაეღიმა, როდესაც დილის სიცივისაგან მობუზულ იუხასს შეხედა, იუხასი ზამთრის ძილისაგან გამოფხიზლებულ დათვივით ერთ ადგილას ხტოდა.

„კარგი ბიჭია ალბათ“, — გაიფიქრა ისევ კალმანმა. მდივანმა ქუდი უკან გადაიწია; შუბლზე წაბლისფერი თმა ჩამოეშალა და მისმა მოგრძო სახემ ჩაფიქრებული გამომეტყველება მიიღო.

სამზარეულოს კარებში იულიშის კაბის ბოლომ გაიფრიალა, შემდეგ ერთი წუთით გამოჩნდა მისი ცნობისმოყვარე ცხვირი, რომელიც მაშინვე გაჰქრა — ვაითუ სტუმრები ოთახში შევიდნენ, ოთახი კი დაუღაგებელია.

— მობრძანდით, თითო ჭიქა დაელიოთ. — მიიპატივა სტუმრები იუხასმა.

ის, ცოტა არ იყოს, შემკრთალი იყო. ამ სისხამ დილას რამ მოიყვანა მასთან

ბოეო, ისიც რაიკომის მდივანთან ერთად?

— გესმის, სად არის ვარაუდი გაჯეკებული ხმით დაუძახა მან ცოლს.

— მარჯვნივ, საწოლს უკან, განათვითონ არ იცი? — იმავე ხმით უპასუხა იულიშმა.

მაგრამ პირველყოვლისა თავაზიანობა იყო საჭირო. ის წკრიალა „საბალდშაგით“ მიესალმა სტუმრებს და სკამები მიართვა.

— დაბრძანდით, საუზმე ახლავ მზად იქნება, — გულთბილად თქვა ქალმა, სანამ იუხასი პატარა ჭიქებში არაყს ასხამდა.

— გაუმარჯოს პეტეფის სახელობის კოოპერატივის! — შესძახა ამხანაგმა საბომ, ჭიქა ასწია და მასპინძლებს მიუჭიხუნა.

— ელიენ! — დააქნია თავი ორივე გლეხმა.

ამოიოხეს და დალიეს. იუხასმა კიდევ დაასხა.

— გაუმარჯოს ჩვენ პარტიას! — მხამალა წარმოთქვა მან საპასუხო სადღეგრძელო.

— გაუმარჯოს რაიკოს! — დაუმატა ბოეომ.

ისევ გამოსცალეს. იუხასს მაგარმა არაყმა ისეთი ხველება აუტეხა, რომ გულზე ხელდაკრეფილმა იულიშმა ვეღარ მოითმინა.

— არა, ადამიანურად ძილი არ შეუძლია, ქუჩაში უნდა გავარდეს. ბოეო მაშინვე მიხვდა, რომ ცოლქმარს შორის კატას გაერბინა და საბოს თვალი ჩაუკრა. იუხასმა წინდადება წამოაყენა, ამხანაგ სტალინის სადღეგრძელო დაელიათ. თითოც დალიეს.

გვეყოფა, — თქვა მზიარულად მდივანმა და ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა, — თორემ აქ თქვენ იმდენი სტუმართმოყვარე მეგობრები გყავთ, რომ ჩვენ თუ ამას მივეყვით, ახალწლამდე ფორთხვით ვივლით...

¹ საბალდშაგ (თავისუფლება) — უნგრელი კომუნისტების მისალმება.

არაყმა ენა ამოადგმევეინა იუხასს, გა-
უთბო დაბუეებული ხელ-ფეხი. ჩვეუ-
ლებრივად მოღუშული სახე გაუბრწ-
ყინდა, კეხიანი ცხვირი, ტუჩები და ყბე-
ში შეუჩერებლად მოძრაობდნენ. რაი-
კომის ახალი მდივანი მოეწონა.

— დიდი ხანია გელით, ამხანაგო მდი-
ვანო, კარგი იყო, გუშინ ჩამოსულიყა-
ვით, ისეთი მშფოთვარე კრება გვქონ-
და, თითქოს ქვესკნელის დედოფალს
ვიჩაქევიოთ.

— სამწუხაროდ, არ შემეძლო ჩამოს-
ვლა. არ მინდოდა უინსტრუქტაჟოდ
გამეშვა რწმუნებულები. არა უშავს-რა,
დღეს ავანაზღაურებთ. თქვენი კოოპე-
რაცივის სახელი ხომ მთელ კომიტატ-
შია¹ განთქმული.

საუშმე გრძელდებოდა. სადღეგრძე-
ლოებს ბოლო არ უჩანდა. იუხასი საგო-
ნებელში იყო ჩაეარდნილი, ვერ მიმხვ-
დარიყო, რატომ არაფერს ამბობდა
აქამდე ეს ორი პარტიული ამხანაგი
მათი აქ მოსვლის მიზეზის შესახებ?
ბოგოს ისე ეჭირა თავი, თითქოს მათ
შორის გუშინ არავითარ უსიამოვნებას
ადგილი არ ჰქონოდა.

და მაინც ეს მიზეზი უეცრად ამო-
ტიტივდა და ისევე იულიშის წყალო-
ბით. როდესაც მან სუფრა ააღაგა, თავ-
საფრით წაიკრა თავი და კარისაკენ წა-
ვიდა.

— სად მიდიხარ? იჯექი სახლში! —
დაუყვირა მას იუხასმა.

— რომ ჩემმა დამ სული განუტევოს?
როგორ არა, ელოდე! — შეუტია ქალმა
ქმარს, გარეთ გავიდა და გულმოსულად
კარი მიაჯახუნა.

ბოგომ, რომელიც მიხვდა, რაში იყო
საქმე, თვალი ჩაუკრა ამხანაგ საბოს.
აქ მოსვლამდე მან ორი სიტყვით უამბო
რაიკომის მდივანს იუხასის მთელი ის-
ტორია. მდივანი სეროიზულად ჩაფიქრ-
და იმ საკითხზე, როგორ აეხსნა კოოპე-
რაცივის ჯიუტი თავმჯდომარისთვის

პარტიის პოლიტიკა ამ საკითხში, მან
უცბათ შუბლზე ხელი შემოიჭრეტყა და
გაოცებულ ბოგოს შანდულა ბეტეჟის
ახლახან გამოცემული პროზის კრებუ-
ლი მოსთხოვა.

თავისდა სამარცხვინოდ ბოგომ ვერ
ნახა ეს კრებული კოოპერაცივის ბიბ-
ლიოთეკაში. ის იძულებული გახდა,
დილაადრიან გაეღვიძებინა სამომხმ-
არებულო საზოგადოების ბიბლიოთეკა-
რი.

ბოგო დიდხანს იმტვრევდა თავს, თუ
რისთვის უნდა დასჭირებოდა რაიკომის
მდივანს ბეტეჟის წიგნი? მაგრამ უკვე
მისმა აქ ყოფნამ ჩაუნერგა თავისი თა-
ვის რწმენა, და ახლა, როდესაც საქმე
მათი კალმანთან მოსვლის მიზეზის ახს-
ნაზე მიდგა, გადაწყვიტა, პირდაპირ
ემოქმედა:

— შენი ცოლი მართალია, იუხას,
შენ და პიშტას შორის ჩამოვარდნილ
ძულვარებას ბოლო უნდა მოეღოს,
პიშტა კი აუცილებლად უნდა მივიღოთ
კოოპერაციეში. გუშინ მან უკვე ჩვენს
თავლაში დააბა თავისი ცხენი, ეს მე
მოხუცმა ბარიმ მითხრა. იუხასი მოი-
ლუშა.

— ვინც გინდა, მხოლოდ ის არა, მე
უკვე გითხარი ჩემი სიტყვა, არასოდეს!

— მაგრამ რა ბრალსა სდებ მას? მხო-
ლოდ იმას, რომ შარშან კოოპერაცივის
წინააღმდეგი იყო? განა მარტო ის იყო
წინააღმდეგი? გარდა ამისა, ახლა საქმე
იმდენად პიშტას კი არ ეხება, რამდენა-
დაც შენს გუშინდელ საქციელს. შენ
არასწორი მიმართულება მიეცი ხალხის
განწყობილებას კრებაზე.

ისინი ერთმანეთს შეებნენ და ისეთი
დავა ბუყდა, რომ კაცს ეგონებოდა ერთი
წუთიც და კოოპერაცივის ორივე ხელ-
მძღვეანელი ერთმანეთს ეძგერებოა. თუ-
მცა როგორც ერთის, ისე მეორის მო-
საზრებები უცვლელი რჩებოდა. საბო
განგებ არ ერეოდა კამათში. მას სურდა,
ბოლომდე გაეჩკვია ორივე მოწინააღ-
მდეგის თვალსაზრისი. შემდეგ ჯიბიდან

¹ კომიტატი — ოლქი.

წიგნი ამოიღო და გულგრილი გამომეტყველებით ფურცელა დაუწყო. მან იბოვა პეტეფის დღიურის ფურცელი, სადაც აღწერილი იყო, თუ როგორ გააშავეს ის პარლამენტში არჩევისას ქალაქ საბადსალაშიდან. მაშინ შემამულეებმა დაათვრეს გლეხები, რომლებმაც ათიოდე მოსყიდული დემაგოგის ხელმძღვანელობით ქალაქიდან გააძევეს პოეტი. პეტეფის საშუალებაც კი არ ჰქონდა, შეხედროდა პატროსან ამომრჩეველებს და თავს გაქცევით უშველა. რაიკომის მდივანმა წიგნი მაგიდაზე დადო, ხელის აწევით გააჩუმა წრეს გადასული მოკამათენი და უცბად ხმამაღალი კითხვა დაიწყო.

შემკრთალი იუხასი და ბოქო ერთ ადგილას გაშეშდნენ. ისინი დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ აღგზნებულ, გულის ტკივილით სავსე სიტყვებს საყვარელი პოეტი — მებრძოლისა, რომლის სახელსაც ატარებდა მათი კოოპერატივი.

როდესაც კითხვა დაამთავრა, ამხანაგმა საბომ, პოეტის აზრები საკუთარი სიტყვებით განაგრძო:

— თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, თუ როგორ მოექცა პეტეფი საბადსალაშელ გლეხებს... მათ ის გააძევეს, მაგრამ განა პეტეფიმ შეიძულა ისინი? არა... ყოველ მის სიტყვაში ჩვენ გვესმის მხოლოდ გულის ტკივილი, სიბრალული და ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული.

პეტეფიმ თავი არ მიაჩნდა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას, და თავის ლექსებში განაგრძობდა მის სწავლებასა და აღზრდას. მას სჯეროდა, რომ ხალხი მოიშორებდა ბოროტებს და თავისი ბედის ბატონი — პატრონი გახდებოდა. არც შემცდარა... ჩვენმა ხალხმა მოიშორა ბოროტები და წითელი არმიის დახმარებით გარეკა თავისი მჩაგვრელები. და, აი, პეტეფი ისევ ჩვენთანაა, მისი ოცნება ხორცს ისხამს ჩვენი პარტიის დახმარებით, მის სახელს უწო-

დებენ მუშათა ბრიგადებს და გლეხთა კოოპერატივებს. და როდესაც კლასობრივი მტერი ყოველგვარად აღმოჩნდება, მინდსენტები და პეიერები — სიცრუითა და დემაგოგიით ცდილობდნენ, ჩვენს წინააღმდეგ აემხედრებინათ მოსახლეობის ჩამორჩენილი ფენები, ჩვენ, კომუნისტებმა, კი არ შევიძულეთ ეს ჩამორჩენილი ადამიანები, არამედ შევეცადეთ, აგვეხილა მათთვის თვალები. ჩვენ ვზრდიდით მათ, ვალეიქებდით მათ შეგნებას. ასეთია ჩვენი პოლიტიკა დღესაც. მშრომელი ადამიანი, თუგინდ შეცდომებსაც უშვებდეს და თავისი შეუვანებლობით გერჯერობით ზოგიერთ შემთხვევაში არა სწამდეს ახალი ცხოვრება, მაინც არ არის ჩვენი მტერი...

რაიკომის მდივანმა წიგნი დახურა. ძნელი იყო იუხასის ავადმყოფობისათვის უკეთესი წამლის მოძებნა. პეტეფის სიტყვებმა ყოველგვარ რწმუნებაზე უკეთ იმოქმედეს მასზე. ეს ზომ იუხასმა და არა სხვა ვინმემ ურჩია თავის დროზე, კოოპერატივისათვის პეტეფის სახელი მიენიჭებინათ, მიენიჭებინათ სახელი იმ პოეტისა, რომლის შემოქმედებასაც ის სამი წლის წინათ გაეცნო ბიბლიოთეკაში საბჭოთა ტყვეთა ბანაკში ყოფნის დროს. მართალია, ცოტათინი რამ პეტეფის შესახებ აღრეც ჰქონდა გაგონილი, მაგრამ არასოდეს არ წაეკითხა მისი ლექსები. პირველივე წაკითხული სტრიქონები ღრმად ჩაეჭლო გულში. ორმოცდაათ ლექსზე მტტი ისწავლა მან მაშინ ზეპირად.

ახლა, როდესაც უფიქრდებოდა მას, რასაც ამხანაგი საბო უკითხავდა, იუხასი გრძნობდა, რომ მის გულში რაღაც ცხელი ტალღა იძვროდა და თვალზე ცრემლი ადგებოდა. მოულოდნელად ხაიღუ გაახსენდა, გაახსენდა, თუ როგორ უზიარებდნენ ისინი ერთმანეთს სიხარულსა და მწუხარებას მრავალი წლების განმავლობაში. აქ მან მაგრად

მოქანა ჩიბუხი და სქელ კვამლში გაეხვია.

— ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ ხოლმე, როგორც იქცეოდა პეტეფი, — დაარღვია სიჩუმე ბოგოს ხმამ. — ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა, ვინც შარშან კოპერატივის წინააღმდეგი იყო.

დილის სიჩუმე უეცრად მუსიკის ხმამ დაარღვია. მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის მემუსიკენი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, უბერავდნენ თავის საკრავებს და — სოფლის საბჭოდან დაწყებული — კარდაკარ დადიოდნენ, რათა მთელი სოფლის მოსახლეობა საზეიმო კრებაზე მოეწვიათ.

— წასვლის დროა, — თქვა კალმან იუხასმა, — ჩვენც იქ უნდა ვიყოთ... ერთი სიტყვით, გეთანხმებით...

რაიკომის მდივანმა ხელი გაუწოდა იუხას და მაგრად ჩამოართვა. ისინი ქუჩაში გამოვიდნენ. ქუჩა სავსე იყო სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ხალხით. საბო, იუხასმა და ბოგომ მათთან ერთად გასწიეს სოფლის საბჭოსკენ, რომლის წინაც ყვითელი ფიცრებიდან შეკრულ ფიცარნაგზე უკვე ყვავილებით მორთული ტრიბუნა წამოეჭმიათ.

ამ დროს ძალუა იულიშმა მოურიდებლად გააღვიძა პიშტა ხაიდუ.

— ადექი, ძილისგუდავ! ქუჩაში მუსიკა უკრავს, ყველა კრებაზე მიდის, ეს კი მხარეთმოზე წამოწოლილა!

მარშის ხმამ ილონაც გამოაღვიძა. მან ლოგინიდან წამოიწია და სახე ფანჯრისაკენ მიაბრუნა. პიშტამ თავი გააქნია, რათა მოუსვენარი სიზმრები გვეფანტა, ცოლის საწოლს მივარდა, ილონკას ცივ ხელს წაავლო ხელი და რაღაც უცნაუ-

რი ალტაცებით, ჩქარის ხმით ალაპარაკდა:

— შენ, ჩემო ცოლუ, დაუფრე... მე გადავწვიტე — დღეს შეეღვივარ... ამას იქით სულ სხვანაირად ვიცხოვრებთ!

წარმოთქვა რა უცბად ეს სიტყვები, თვითონვე გაუკვირდა, როგორ მოხდა ეს ასე ერთბაშად და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე?

— კარგი, კარგი, — უბასუხა მისუტებული ხმით ილონამ, რომელიც მელანქოლიურად აფახურებდა ღია ცისფერ თვალებს.

— გასწი, გასწი, ჩემო სიძევ, — სახელოში ჩამოსწია იულიშმა ხაიდუს. სადაცაა ექიმი მოვა, მანამდე კი ილონა უნდა მოვამზადო... უწინ, მდნს-ის კრებებზედაც კი არ უშვებდი, ახლა კი პოლიტიკას ატენი.

ხაიდუმ გადაკოცნა ცოლი, თავის ქურთუქს ხელი წამოაღო და მჭიმე ფეხსაცმელების ბრაგაბრუგით ღორები-სათვის საკმლის დასაყრელად გაიქცა. იქიდან დაბრუნებულმა ძირამდე გაცეთილ სამართებელს მოჰკიდა ხელი და თავისი ჯაგარის მსგავსი წვერის პარსვა დაიწყო. სიჩქარეში სახე გაიჭრა და შაბის მოსმა დასჭირდა.

გამზდარ ტანზე გაქათათებული პერანგი ჩაიცვა და ტლანქი ფეხსაცმელების ნაცვლად სარკესავით გაპრიანებული სადღესასწაულო ჩექმები ჩაიცვა, თავზე მუხარადივით მაღალი ქუდი წამოიდგა და ოთახიდან გავარდა.

მთავარ ქუჩაზე რომ გაუხვია, კინალამ არ გაიქცა. სოფლის საბჭოს წინ გამართული კრება უკვე დაწყებულიყო. პარტუჯრედის მდივანს პეშკაშს, რომელმაც ჩქარი ლაპარაკი იცოდა, უკვე

მოესწრო თავისი სიტყვის დამთავრება და, როდესაც პიშტა უკანა რიგებთან მივიდა, პრეზიდენტის მაგიდასთან მჯდომი მისი ქვისლი წამოდგომას აპირებდა, მის გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა კაცმა, რომლის ღია ფერის თმები მზის სხივებზე დროდადრო ბრწყინებდა, რაღაც ჩასჩურჩულა იუხასს. კოოპერატივის თავმჯდომარემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ფეხზე წამოდგა. მან ლაპარაკი დაიწყო. მისი სიტყვა, როგორც ყოველთვის, ძუნწი იყო, მაგრამ დამაჯერებელი და გლეხი კაცის გულს ხვდებოდა.

— ძვირფასო ამხანაგებო, გლეხებო! დღეს ჩვენ ვლენსასწაულობთ კონსტიტუციის დღეს. ჩვენმა კონსტიტუციამ დიდი უფლებები მიანიჭა ხალხს, მაგრამ ამ უფლებებს გამოყენება უნდა და ჩვენ, კოოპერატივის წევრებმა, პარტიის ახსნა-განმარტებითი მუშაობის შემწეობით მივაღწიეთ ამას.

იუხასმა უამბო დამსწრეთ მათი კოოპერატივის წარმატებანი. კოოპერატივის წევრებმა შეძლეს, ილიმანის გვალვიან მიწებზე შეეჩერებინათ სინესტრე და მიეღოთ კარგი მოსავალი. უამბო აგრეთვე ყოველი წევრის შემოსავლის შესახებ.

— მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, — ამბობდა ის. — თქვენ შემეკითხებით — შემდეგ კი რაღა იქნებაო? აი რა: ჩვენ დაეთესავე ბრინჯსა და ბამბას. აი როდის გაიზრდება ჩვენი შემოსავალი! მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ ამ ურმის მარტო თრევას, ჩვენ ვსრომობდით და ვაშენებდით არა მარტო იმ სამოცი ოჯახისათვის, რომლებიც ახლა გაერთიანებული არიან კოოპერატივში, არამედ მთელი სოფლისათვის, მათ შორის იმათ-

თვისაც, ვინც უწინ დაგვიცინოდა. ყველასათვის, ვისაც კი პატროსნად სურს მუშაობა, ჩვენთან მისამუშაო სტაზსანილია.

იუხასის უკანასკნელი სიტყვები გლეხების ერთსულოვანმა ტაშმა დაჰფარა. შემდეგ წამოდგა ბოჟო. მან კოოპერატივში ახლად შემსვლელთა სია წაიკითხა და მოუწოდა დამსწრეთ, განცხადებები შემოეტანათ.

სინამდვილე ჩამოვარდა. ამ დროს უკანა რიგებიდან პრეზიდენტის ფიცარნაგისაკენ პიშტა ხაილუ დაიძრა. მისი ჩექმები ყოველ ფეხის გადადგმაზე კრიკინებდნენ, თითქოს სურდათ, ხალხის ყურადღება მიეპყროთ. როდესაც ტრიბუნაზე მიადგნენ, სახე წამოუწითლდა, განიერ შუბლზე ძარღვები დაეჭიმა და წითელი კისერი გაქათათებული პერანგის საყელოში აღარ ეტეოდა.

ხალხი გაჩუმდა. პიშტასა და კალმან იუხასის დამოკიდებულება მთელმა სოფელმა იცოდა, ერთპიროვნულ მეურნეთა შორის ის კოოპერატივის ყველაზე უფრო დიდ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. კოოპერატივის წევრები ცნობისმოყვარეობით სწევდნენ წინ კისერს: რა მოხდება, — ფიქრობდნენ ისინი? ხაილუ ფიცარნაგზე ავიდა და ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვა:

— აბა, ბოჟო, მოიტა ქალაღი, მე შემოვდივარ!..

ბოჟოს სახე გაეხადრა.

— ინებე მეზობელო, — თქვა მან და სუფთა ბლანკი გაუწოდა.

იმის მოლოდინში, რომ აი ახლა რაღაც უნდა მომხდარიყო, ყველა ერთადგილას გაშეშდა. მაგრამ კალმან იუხასის სახე უეცრად თამბაქოს ისეთმა ბოლმა დაჰფარა, რომ მხოლოდ მისი

ჩიბუხის ბოლო მოჩანდა. მაღალმა პიშტე ხაილუმ კალამი უხერხულად ჩაბლუჯა ხელში, კის ოწინარეით დაიხარა და ბლანკზე დაბლაჯნა: „შემოვდივარ და რვა ხოლდი მიწა შემომაქვს ხაილუ იშტვანი“.

ახლა მხოლოდ ისღა რჩებოდა, რომ კოოპერატივის თავმჯდომარისათვის ხელი ჩამოერთმია. ხაილუმ ნაბიჯი გადადგა, თავისი თათები ძველი შეგობრის ვიწრო ბეჭებს შემოხვია და უეცრად ბავშვივით ასლუკუნდა:

— ასე გამოდის, რომ შენ მართალი ყოფილხარ, მეგობარო!

გულაჩუყებული თავმჯდომარეც სიყვარულით უთათუნებდა ხელს ზურგზე

ქვისლს. პირიდან ჩიბუხი გამოვარდნოდა და ძირს მიწაზე ბოლავედა, — არა უშავს-რა, ქვისლს! ჩვეულებრივია! ყველაფერი მოგვარდება...

ბოლო ერთხანს გაჩუმებული მისჩერებოდა მათ, შემდეგ ერთბაშად გადაიხარხარა. ერთი წუთის შემდეგ ამ უეცარი ამბით გახარებული ხალხი სიცილისაგან იხოცებოდა.

ეს იყო დღე, როდესაც ხაილუსა და გერგე შოვანის ყველა ნათესავების შემდეგ პეტეფის სახელობის კოოპერატივის წევრად ჩაეწერა სოფელ ილიმანის ნახევარი.

თარგმანი პავუნა შვირთლინა

საყვარელ სურათთან



გორკა...

ხეივანი...

ცისფერი სკამი...

ბელადის შუბლივით ნათელი დილა...
ლენინი ღიმილით უცქერის სტალინს,
სტალინიც უღიმის მთის არწივს თბილად.

მიყვარს ეს სურათი, სიბნელის მფანტველი,
რომ მოაქვს სითბო და სინათლე უცვლელი.
ცოცხლდება, ცოცხლდება სამშობლოს ნათელი,
დიადი ცხოვრების ყოველი ფურცელი.

ცოცხლდება მოსკოვის მრისხანე ზამთარი:
მუშები ილიჩის ცხედართან მიდიან...
სტალინი მეგობრის კუბოსთან დამდგარა
და ცრემლი წამწამზე მძივივით ჰკიდია.

ო, წუთით შეჩერდა თვით ბრუნვა მიწისა,
ათასი საყვირი ერთბაშად აგმინდა...
გაისმა სიტყვები უწმინდეს ფიცისა
უღრეკი ვაჟაკის ძვირფასი ბაგიდან.

სტალინი დამდგარა მეგობრის წინაშე,
ჩვენ ვისი სიმტკიცეც კვლავ ჯავშნად გვარტყია.
— ქაროშლის გრგვინვაშიც, ტყეების წვიმაშიც
ლენინის დიდ დროშას არ დახრის პარტია!

ასრულდა! დაეძლიეთ მტარვალი მგესლავი,
შრომაშიც, ბრძოლაშიც ბადალი არა გვეყავს.
ლენინის დროშის ქვეშ დაემდგარეართ კლდესკეო.
პარტიას მაღლა რომ უჭირავს ამაყად.

გორკა...

ხეივანი...

ცისფერი სკამი...

ბელადის შუბლივით ხათული დილა...
ლენინი ღიმილით უცქერის სტალინს,
სტალინიც უღიმის მთის არწივს თბილად.

ფ ა უ ს ტ ი *

ბრაგედია



ვ ა გ ნ ე რ ი

ბოდიში, თქვენი შემომესმა დეკლამაცია,
ბერძნულ დრამიდან კითხულობდი, ეგონებ, ადგილებს.
ამ ხელოვნების არაფერი მე არ მაცხია,
თუმცა დღეს იგი გზის გაკაფვას კაცს უადვილებს.
გამიგონია, რომ უმისოდ ამაოდ ვწვალობთ,
რომ მას მსახიობ-თვალთმაქცისგან პასტორიკ სწავლობს.

ფ ა უ ს ტ ი

ჰო, თუ პასტორი თვითონ არის ტაკიმასხარა,
რაც, უნდა ითქვას, დღესდღეობით ძლიერ გახშირდა.

ვ ა გ ნ ე რ ი

ეხ! მუზეუმში თუ ცხოვრობენ წიგნის ამარა
და ამ ქვეყანას მხოლოდ უკმ დღეს სპერეტენ ფანჯრიდან,
რითი უბრძანებთ, რომ ის ბრძენი წიგნის მცველები
ხალხს არწმუნებდნენ, თუ არ თვისი მქვერმეტყველებით?

ფ ა უ ს ტ ი

მსმენელისათვის რასაც ამბობთ, თუ არ განიცდით,
გულს თუ არ ხედება ამოწვდილი სიტყვის დაწნები,
თუ თქვენი სულის ბობოქარი ცეცხლით არ იწვით, —
მაშინ იცოდეთ, თქვენ ამაოდ მხოლოდ დაშვრებით,
თქვენთვის იყავით, ნამცეცებით გამოიყვებეთ,
ნასუფრალიდან გადარჩენილ კერძებს ხარშედეთ,
უბერეთ ნაცარს, სხვის საცოდავ კერას მიჰხედეთ,
ჩამქრალ ლეულფიდან რომ პაწია ცეცხლი გაჩაღდეს!
თქვენ გააოცებთ მაიმუნებს და მხოლოდ ბავშვებს,
თუ ამით თქვენი ხელოვნება კმაყოფილდება.
მაგრამ გულს გულით ვერ დაიპყრობთ, თუ გრძნობით საცაუ
სიტყვა გულიდან არ ამოგდით და გულს სცილდება.

* ვაგნელები. იხ. „მნათობი“ № 2.

ვ ა გ ნ ე რ ი

მაგრამ ორატორს სახელს უხევეს მკვერმეტყველება.
ამას ვგრძნობ კარგად, თუმცა იგი მე მეძნელება.

ერკონსულნი
გიგლირთეკა

ფ ა უ ს ტ ი

ნამდვილ ორატორს ანგარება როდი სჭირდება.
მძაგს არაკაცი, მძახურა, უგონო, ჩქარი.
ქკუა, გონება თავისთავად გამოვლინდება,
გარეშე ყოველ ოსტატობის, დაფის და ზარის.
თუ მოსაზრება გაქვთ სათქმელი სალი, ნათელი,
რა საჭიროა ყალბ სიტყვათა კორიანტელი?
ხალხის წინაშე როცა აფრქვევთ მის წვრილმან ზრახვებს
და ახვევთ სიტყვის ჭრელ სამოსში, ასე მგონია,
ქარი ნოტიო, შემოდგომის ცივი ბორია
თითქო უმიზნოდ, უსარგებლოდ ხმელ ფოთლებს არხვეს.

ვ ა გ ნ ე რ ი

ო, ღმერთო ჩემო! ხელოვნება უსაზღვრო არის,
ხოლო ხანმოკლე მეტისმეტად სიცოცხლე ჩვენი!
როს ძველ წიგნების შესწავლაში გარბიან დღენი,
ქკუა მერევა და ძლივსა ძგერს ეს გული მკვდარი.
რარიგ ძნელია პოვნა ისეთ საშუალების,
რომ ჩაწედე სრულად საკითხების აზრს და რაობას!
სანამ ნახევარ გზას გაივლი ტანჯვა-წვალებით, —
გელის საცოდავს სიკვდილი და არარაობა.

ფ ა უ ს ტ ი

განა ეტრატში იმალება ის წმინდა წყარო,
რომელიც ცოდნის მარად წყურვილს აქრობდეს უნდა?
ქკუის მაცხოვარ ნაკადს ვერვინ ვერ მიეკაროს,
თუ ის საკეთარ მის სულიდან არ ამოდულდა.

ვ ა გ ნ ე რ ი

თქვენ მაპატიეთ! ნეტარებად კვლავ მესახება
ჭალარა ეამის შუაგულში გადასახლება.
ეკვერტდე ჩვენამდე ვით ფიქრობდა, შრომობდა ბრძენი,
ვით ჩამოვტოვეთ იგი უკან, გზა განველეთ გრძელი.

ფ ა უ ს ტ ი

ჰო, ისე უკან ჩამოვტოვეთ, რომ ვწყვეტთ მნათობებს!
 ის ძველი ეამი, რომლის გახსნას დიდ დროს ვანდომებთ,
 ჩვენთვის წიგნია ცხრაკლიტულში მდებარე მარად...
 რასაც ვუწოდებთ მასში დროის სულს და ფართობებს,
 ის ცალკე პირთა მოსაზრება არის მარტოდენ,
 რომელთა თავში აისახა იმ სულის ძალა.
 ვინც მოისურვებს ამ საკითხის ჩხრეკას, ძიებას, —
 მყის გასცილდება მას შემკრთალი, შეძრწუნებული.
 ეს სანაგვეა, ყუთი, კუბო და მიძინება,
 მაღალ ზნეობით, სენტენციით გაფუებული.
 ეს ძველი ეამის საყუქნაო, ძონძი, მტვერია,
 როგორც ახლა თოჯინების თეატრს სჩვევია.

ვ ა გ ნ ე რ ი

მაგრამ ქვეყანა! სული, გული, ადამიანის!
 ამის შესახებ ზომ ყველას სურს რამე იცოდეს?

ფ ა უ ს ტ ი

რაა „იცოდეს“? დააკვირდი, ბრძენი, ჭკვიანიც
 ისეთი ბრძაა და უმწურო, რომ შეიცოდებ.
 ზოგნი, რომლებიც სიბრძნეს ჩასწვდნენ და იმოღვაწეს,
 იყვნენ ბრიყუები, აღმოჩენებს და თავის გრძნობებს
 უზიარებდნენ ხელგამლილნი ხალხსა და მოძმეთ, —
 ყველა ისინი ჯვარზე აცვეს, კოცონზე დაწვეს.
 მაგრამ, ძმობილო, უკვე არის ღამე გვიანი
 და საუბარი ჩვენ ამჯერად შევწყვიტოთ უნდა.

ვ ა გ ნ ე რ ი

მე კი ეგ თქვენი საუბარი ბრძნული, ჭკვიანი
 მზად ვარ ვისმინო განუწყვეტლად, გათენდეს თუნდაც.
 მომეცით ნება, ზვალ აღდგომის პირველ დღეს კვალად
 თქვენ გესაუბროთ, რომ შეემატო გონებას ძალა.
 სწავლას ბეჯითად მოვეყიდე. არ მიძღვის ცოდვა,
 მე ბევრი ვიცი, მაგრამ მეტის მწყურია ცოდნა.
 (მადის)

ფ ა უ ს ტ ი

(მარტო)

იმედს არ ჭკარგავს ამის თავი უტვინო, ჩია;
 ეინით მიცოცავს ნაგვისაკენ ციებ-ცხელებით,
 რომ ამოთხაროს მიწით განძი ხარბი ხელებით
 და გაიხაროს, თუ იპოვა იქ წვიმის კია.



ჰქონდა უფლება, ხმა გაეღო აქ ამ კაცუნას,
 სად მეხვეოდა სულთა გუნდი ჯადოსნურ ბედად?
 თუმცა გიმაღლი, ქარაფშუტავ და ქალაჩუნავ,
 მიწის შვილთ შორის საცოდავო ყველაზე მეტად,
 რომ სასოების წარკვეთისგან გამოჰიხსენი,
 რომელსაც სწადდა ყველა გრძნობის ჩემში ჩაქრობა.
 ო, ის ჩვენება ბუმბერაზი იყო ისეთი,
 რომ მის წინაშე მე ვიგრძენი ჯუჯაკაცობა.
 მე, ღვთაების ხატს, რომ მეგონა ვიყავ მახლობლად
 ჯადო სარკესთან მარადიულ ქეშმარიტების,
 მწყუროდა ხილვა მისი ციურ ბრწყინვის, დიდების,
 დაძვგმოდ, რაც რამ ბიწიერი ჩემს სულს ახშობდა,
 მწამდა, ვნაგრავდი თავისუფალ თვით ქერუბიმთა,
 რომ ვცან ცხოვრება დიდ ბუნების ძარღვში მავალი,
 შევიმცნე ჩემში შემოქმედი ძალა მაღალი, —
 აწ აქ ვავდივარ უსასოო, მსგავსი უბირთა
 და გამეხილი შენი სიტყვის გრგვინვით, ნალარით,
 არა ვარ შენთან გატოლების სურვილის მქონე.
 თუმც მეყო შენი გამოხმობის ძალა და ღონე, —
 ვერ შეგაჩერე, მამრმავებდა შექმნილვარი.
 რარიგ პატარა და რა დიდიც ვიყავი მაშინ,
 იმ ნეტარ წუთში, შენი ხილვა როს განვიზრახე,
 მაგრამ გამთოვე და მისროლე ისევ მრისხანედ
 კაცთა შეუცნობ ბედისწერის უსაზღვრო ზღვაში.
 აწ ვინ მასწავლის, რა ვაკეთო და რას ვერიდო?
 აღარ მივდიო ძველ, წინანდელ ჩემს მისწრაფებას?
 თუმცა მჩქეფარე შრომას და ღვაწლს რომ მოეკიდო,
 კვლავ წააწყდები დაბრკოლებას, ტანჯვას, წამებას.
 სულის უმაღლეს მისწრაფებას აღმოფხვრის მაინც
 მისდამი მტრულად განწყობილი ბოროტი ძალა.
 რომ მივწვდეთ კიდევ ქვეყნის მცირედ სიკეთეს, მაისს, —
 მას ჩავთვლით მაინც ცრუ ოცნების ამო ღალად.
 მშვენიერია ღალ ცხოვრების განცდა მზიური,
 მაგრამ აქვავებს ზრუნვა, შფოთი ყოველდღიური.
 თუ კაცთ ოცნება მისწრაფის გაბედულ ფრენით,
 რომ ეზიაროს მარადიულს, ღმერთს და განგებას, —
 რა ცოტა უნდა ალტაცებამ დაჰყაროს ფრთები
 და იქცეს ჟამის ჩარხისაგან მხოლოდ ნანგრევად!
 გულში შეჭრილი დიდი ზრუნვა მოუსვენარი
 თავს უფრთხილდება, ხოლო ჩვენ კი გეწამლავს ვერანდ
 და ჩვენს სიმშვიდეს, ალტაცებას სპობსა და ხუთავს.
 ის ახალ ნიღბით გვევლინება ჩვენ ყოველ წუთას,
 მარად შემტევი და მის ხილვას ამოიდ ვლამობთ.
 ის გვევლინება შხამის სახით და ხანაც ხანჯლის,
 ცოლშვილის სახით შენიღბული, წარღვნის და ხანძრის
 და ვტირით მომხდარ და მომავალ ავ კირის გამო.



არა, არა ვარ ღმერთის მსგავსი! ეგ ცოდნა მზარავს!
 ვარ მტვერში მლოლავ კიის მსგავსი, მტვერში ნახული.
 იგი იქ ცხოვრობს, მით საზრდოებს, შიგ ჰპოებს საფლავს,
 გამვლელის ტერფით გასრეხილი და დამარხული.
 განა შალაღი ეს კედლები მტვერი არ არის,
 თავის მრავალი თაროებით თავს რომ მაწვება?
 ათასი ძონძი, ხარახურა ოხერ-ნავარი,
 ჩრჩილთ სამყაროში რომ ჩამტია, ავად დამწყველა?
 განა აქ ეპოვებ, რაც მეძახდა, მას რაც მწყურია?
 განა უამრავ ამ წიგნებში სადმე წერია,
 რომ კაცი ყველგან და ყოველთვის გატანჯულია,
 რომ ბედს ამქვეყნად იშვიათად ვინმე სწვევია?
 რას მეტყვი, ქალავ, ცარიელო, დაღრპენილ კბილით?
 რომ შენი ტვინი, როგორც ჩემი — ეგ ერთი მუქა,
 ღამის წყვდიადში მოქტეული, ხარბი და ფრთხილი
 ჭეშმარიტებას, მზის სინათლეს ეძებდა ფუქვად?
 ხელსაწყოებო, თქვენც დამცინით, გამწირით, მიტევთ,
 თქვენი ბორბლებით, ხრახნილ რკალით და კბილანებით?
 დაჩლუნგდა თქვენი გასალები და ვერ ხსნის კლირეს,
 ჩემ წინ აღმართულ, მარად დახშულ მაღალ კარების.
 მზიან დღისითაც ამ ბუნებას ვერას გაუგებ.
 შეუნიღბავე რომ გჩივენოს, არ სურს თვალები
 და რასაც თვითონ ჩვენს გონებას ის არ გაუღებს,
 მას ვერ შეიცნობ ჩვენი ხერხით და მანქანებით.
 ჩემგან უხმარო ძველმანებო, ხართ უამოდა.
 აქ დგახართ, რადგან მამა იყო თქვენით გართული.
 მას უკან, რა რომ მაგიდაზე ღამეა აბოლდა,
 ზედ დარჩი, მილო, ჩამოცმული და გაქვარტლული.
 სჯობდა მეფლანგა, რაც მეზადა, დღითა და ღამე.
 არ შემიწირა მკირჩოისთვის თავი ზეარაკად.
 თუ მამათაგან სამემკვიდროდ მივიღებთ რამეს,
 უნდა მოჰქონდეს სარგებელი და რამ ბარაქა.
 რაც უსარგებლო და ძველია, უქმი ბარგია,
 ახლად შექმნილი კი ყოველთვის უფრო გვარგია.
 მაგრამ ეს კეთხე რისთვის იპყრობს ნეტავ ჩემს თვალებს,
 რად მეზიდება ანდამანტურ ძალით ეგ შუშა
 და მინათლდება სული ისე, ვით სავსე მთიარე,
 შეჭრილი ტყეში, შავი ღამე რომ ჩაეფუშა!
 მოგისალმები მხოლოდ შინ ერთს, ძვილო თილავე,
 ხელს გავლებ და გთელი ჩემი სულის თანაზიარად!
 შენშია კაცთა ჭკუა, ცოდნა ანდამანტური.
 შენშია ძალა უტკბილესი ძილის მომგვრელი,
 უფაქიზესი, სასიკდილო ძალის ნაყური.
 შენი პატრონი შენგან შველას ახლა მოველი.
 შენი ხილვისას კაეშანი ქრება, მცირდება.
 როს ხელში გიღებ, გიყი სწრაფვაც ჩემი მშვიდდება,



ცხრება წელიწად ბობოქარი მღელვარე სულიც
 და ჩემს წინაშე ფართო ზღვების იშლება გზები.
 ბრწყინავს ზღვის პირი მოსარკული, ვეება, სრული
 და ახალი დღე უცხო მხარეს კვლავ მიხმობს გზნებით.
 ვგრძნობ, რომ ირღვევა ცის და მიწის შორის კედელი.
 ჩემსკენ მოფრინავს ცეცხლის ეტლი მსუბუქფრთიანი.
 მზად ვარ, ახალ გზით რომ გავაპო ახლა ეთერი,
 ეპოვო ახალი სფეროები, საქმე გზიანი.
 ნუთუ ამდენხანს დედამიწის ჭიას ღირსეულს
 აწ მელიოდება ცით ცხოვრება, ღმერთთა სიამე!
 ჰო! მხოლოდ ზურგი შეაქციე მზეს მიწისეულს.
 გაბედე, თუ გსურს დააღწიო თავი სიამეს!
 შეიჭერ კარში მას გაურბის ყველა, ჭკვიანიც
 და სურს ლაჩრულად ჩაუაროს, ზედ არ მიადგეს.
 ხალხს დაევანახვოთ, რომ გაბედე ადამიანის
 არ ჩამორჩება ღმერთთა საქმეს და სიდიადეს!
 რომ არ ვთრთით შავი უფსკრულის წინ, რომელზე ფიქრით
 თავს სჯის ოცნება საწამებლად და ჰგმობს სიამეს!
 მსურს გადავლახო ის თაველია და ვიწრო ტიხრი,
 რომლის ხახაში ჯოჯოხეთის ცეცხლი კიაფობს!
 უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი, მძაგს საპყრობა,
 თუნდაც გაღვიქცეთ ამის გამო არარობად!
 მაშ, მოდი ახლა, გამჭვირვალე ბროლის ფიალავ,
 ძველი ბუდიდან ამოკურდი წმინდა, კრიალავ!
 არ მიფიქრია შენ შესახებ მე რახანია.
 შენ წინათ მამის მეგობრების ხელში ბრწყინავდე,
 ხელიდან ხელში გადასული გვიან დილამდის!
 ბრძენს, გულდინჯ სტუმრებს შენი ხილვით გაუხარიათ.
 შენს მსმელს მართებდა, რა დაგცლიდა ძირამდე ხელად,
 შაირით ექო ნახატები შენი მდიდრული,
 გარედან რომ ჩანს ოსტატურად ამოტვიფრული.
 ის მე მაგონებს ჩემს ჭაბუკურ ღამეებს ყველას.
 აწ არ გადაქცემ ჩემს მეზობელს ეინით დამწველით.
 შენი მშვენება დღეს არ არის ჩემი გამართობი,
 შენში დგას ახლა სულ სხვა წვენი, აუად დამთრობი,
 დაფარულია შენი ფსკერი შავი სასმელით.
 მე შევამზადე ის სასმელი — ჩემი დამხსნელი,
 რომ შეაჩეროს ძარღვში სისხლი, ცემა მაჯისა,
 ეთქვა სადღეგრძელო მთელი გულით უკანასკნელი:
 ამომავალი დილისა და გარიერაჟისა.

(ფილას ხელში იღებს და ბაგეს ადებს.
 გასმის ზარების რეკვისა და ქორის ხმა).

ქორო ან გ ე ლ ო ზ ე ბ ი ს ა

ქრისტე აღდგა! გიხაროდენ
 სიკვდილის ძეთ, დამღუპველი



ვისაც გაწევთ განუყრელი
სამემკვიდრო კირთ უღელი,
შეება გქონდათ არაოდეს!

ფ ა უ ს ტ ი

რა საიდუმლო რამ გუგუნი და წმიდა ხმები
სწყვეტენ ბაგეებს ძალისძალად ამ ჩემს ფილას?
ნუთუ ზარები ჩვენ გვაქცევენ, იღუმალ ქებით,
წმიდა აღდგომის დიად წუთის თანაზიარად?
თუ ეს მშვიდობის სანეტარო ჰანგია ხმათა,
დასაფლავების ღამით ოდეს ისმოდა, რათა
ქეშმარიტებად დაედგინა ახალი აღთქმა!

ქორო მენელსაცხებელთა

ნელსაცხებლით წაეცხეთ გვამი,
არმენაკით წაგრაგნილი.
ასე დავდეთ კლდეში ღამით
საფლავს შინა ნეტარ-ტყბილი.
მაგრამ კლდენი გადავლახეთ,
უღაბნოთა დასადარი
და ვერ ვპოვეთ, ვერსად ვნახეთ,
ქრისტე ჩვენი არსად არი!

ქორო ანგელოზთა

ქრისტე აღდგა! გიხაროდენ,
ნეტარ იყვნენ მოყვარულნი,
კეთილნი მოღალღულნი,
ვინც არ დარჩა დაჩაგრული
საეღურისგან არაოდეს!

ფ ა უ ს ტ ი

რად მივლერთ მტვერში მცოცავ ჭიას ძლიერო, მშვიდო-
ცის სიმღერებო? ამა ქვეყნად რას ეძებთ თქვენა?
ივლერეთ, სადაც ნეტარ სულთა ცხოვრება დიდობს!
მესმის თქვენი ხმა, მაგრამ ჩემში არ არის რწმენა.
ცის სასწაული კაცთა რწმენის შვილია თვითონ!
არა მსურს სწრაფვა შენს სფეროსკენ და ფრენა მაღლა,
სითგანაც მესმის სანეტარო წმიდა ხარება.
ბავშვობიდან რომ შემაყვარეს თავი ზარებმა,
მარად ცხოვრებას მთავაზობენ ისევე ახლა.
ხშირად, შაბათ დღის სიმშვიდეში ჩემსკენ მოჰქროდა
ჰაეროვანი სიყვარულის ციური კოცნა.
ზარების გუგუნს, წანათგარძნობა უცხო მოჰქონდა



და ნეტარებას მანიჭებდა მზურვალე ლოცვა.
 მიუწუდომელი, მშვიდი გრძნობა, გზნება, სურვილი
 მიხზობდა, სადაც მინდორია, ტყე დაბურვილი,
 ცხარე ცრემლს ვღვრიდი და თან ვგრძნობდი გულის კანკალით,
 ჩემში ქვეყანა რომ იშვოდა უცხო, ახალი.
 სიმღერა იგი მაგონებდა ქაბუკურ ხანას,
 გაზაფხულს, ზეიმს, ცეკვა-თამაშს და განვლილ მარხვას.
 ის მოგონება კვლავ მიღვიძებს ბავშვობას, ნანას,
 ხელს მალებინებს, შევასრულო მე მკაცრი ზრახვა.
 იფლერეთ, ზეცის სიმღერებო ტკბილი ბუბუნით!
 ცრემლი ჩამომდის! დედამიწას კვლავ დაევბრუნდი!

ქორო მოციქულთა

მან საფლავი მიატოვა,
 დადი ლოდი, კლდე მაღალი
 და ცხოვრება ცაში ჰპოვა,
 ქეშმარიტი და ახალი,
 ის შეგნებით ნეტარ არის
 შემოქმედთან ახლო არის,
 თუმც მიწის მკერდს ცრემლის ღვარი
 და კაცთ ტანჯვა ისევ აზის.
 მიგვატოვა თვისნი ძენი,
 კვლავ დაბრუნდა ნეტარივით.
 ო, დაგტირით უფალს, შენი
 გვინდა ხილვა, გვენატრები!

ქორო ანგელოზთა

ქრისტე აღდგა! სიყვარული
 და ის დარჩნენ გაუხრწნელი,
 დაამსხვრიეთ სიხარულით
 ბორკილები გაუხსნელი!
 ღეთის წყალობას იმსახურებს,
 ვინც სიყვარულს აქცევს საქმედ,
 მოყვასს პურით ვინც აპურებს
 და მაცხოვარს ვინაც აქებს,
 ვინც მოქმელია ტკბილ ფსალმუნთა
 და უმღერის საგალობელს.
 ქრისტე წყალობს მოგზაურთა,
 ნეტარ დღეთა მახარობელს.
 ჩვენთვის აღდგა ის სამართ, .
 ყველგან სუფევს, ის აქ არის.

ბიშპარის წინ

(მოდინ ყველა წოდების მოსვირნენი)



შ ა გ ი რ დ ი-ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი
 თქვენ სად აპირებთ წასვლას აქედან?

ს ხ ვ ე ბ ი

მონადირეთა სახლში სალაყბოდ.

პ ი რ ვ ე ლ ნ ი

ჩვენ კი წისქვილში. იგი სულ სხვაა!

ე რ თ ი

წყაროს სათავეს ნუთუ დალატობთ?

მ ე ო რ ე

იქეთკენ ცუდი და გონჯი გზაა.

ს ხ ვ ა გ უ ნ დ ი

აქ რას აკეთებ?

მ ე ს ა მ ე

ჩვენც სხვებთან ერთად მივალთ აგრეთვე.

მ ე ო თ ხ ე

წავიდეთ ბურგლორფს. იქ არის მუდამ
 უღამაზესი გოგონები. შევსვამთ კარგ ლუღსაც,
 მუშტ-კრივს გავმართავთ სანაჭებოს, შევუტყუებთ ჯარით.

მ ე ხ უ თ ე

მოდუნენარი რამ ყოფილხარ, შენი კენესამე!
 ხომ არ მოგინდა, რომ გაგაძრონ ტყაუი მესამედ?
 იქ ვერ წამოვალ, ის საშიში ადგილი არის.

მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე გ ო გ ო

არა, ქალაქში მიმეჩქარება.



მეორე

ის ალვის ხის ქვეშ ვნახოთ ეგება!

პირველი

რა ჰირად მინდა! არ მეხარება.
გნახავს და, მყისვე მოგეწებება,
არ მოგეშეება, შენთან იცეკვებს.
მე რა? გიცქიროთ, როგორ იცელქებთ?

მეორე

განა მართოა? დღეს მიჩურჩულა,
რომ წამოიყვანს შენს თმახუჭუჭას.

სტუდენტი

ო, რა წარმტაცად სეირნობენ ლამაზმანები!
წამო, ძმობილო, გაეცილოთ ჩვენ ის ქალები!
მაგარი ლუდი, ზედ თუთუნი, მწველი ჯავრითა
და კოხტა გოგო. არაფერი მე სხვა არ მინდა!

ქალაქელი გოგო

რა კარგებია შესახედად ეგ ყმაწვილები.
და რას სჩადრან? გაულებდნენ თვის ბინის კარებს
ამათ მდიდარი, წესიერი ქალიშვილები,
აქ კი დასდევენ ბატონთ მსახურ უწიგნურ ქალებს!

მეორე სტუდენტი

(პირველს)

ნუ ჩქარობ! აგერ, მოდის კიდევ ორი გოგონა,
კოხტად მორთული. ორნივე შენგან მოწონებულნი
იმათთან ჩემი მეზობელიც არის, ოღონდაც
მათთან მატარა, მათთან ვიყო დაწყვილებული!
თუ მოვიქცევით ხერხიანად, გწამდეს სამთავე
ტყეში გალაღვის, არშიყობის ნებას დაგვრთავენ!

პირველი სტუდენტი

ეს, არა, ძმაო! შეუტიე, მედგრად იარე,
რომ არ დაჰკარგო გარეული, უცხო ფრინველი!
ზელმა, შაბათ დღეს რომ არ ცხრება, ცოცხს ატრიალებს —
კვირა დღეს იცის მოფერება გასაკვირველი.



ქ ა ლ ა ქ ე ლ ი

არა, ახალი ბურგომისტრი მე აღარ მომწონს!
ისიც გაცუღდა, ყოყლოჩინობს და ქარაოცობს.
რა გააკეთა ქალაქისთვის, აბა მითხარით?
რა რომ დღე გადის, ჩვენი საქმე უკულმა მიდის.
ბრძანებებს მოსდევს ბრძანებები და მეტად დიდი
გადასახადი, შეღავათი — არავითარი!

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი

(მღერის)

კეთილო კაცნო, ქალებო ტურფავ,
მინდა თქვენ გულის მონადირება.
გამიკითხევით, გახსენით ჯუბა
და შემოხედეთ ჩემს გაკირვებას!
ნუ გააწბილებთ მუდარას გლაზის.
თქვენკენ მაქვს, მშებო, ხელი გაწვდილი!
დღე, როცა ხარობს, ზეიმობს ხალხი,
მოსავლის დღეა ჩემთვის ნამდვილი!

მ ე ო რ ე ქ ა ლ ა ქ ე ლ ი

არაფერი სჯობს, როს დუქანში უქმ დღეს და კვირას
უსმენ მასლაათს ლაშქრობაზე, ომზე. თუნდ მეტიც:
რომ იქ. შენგან შორს, სადღაც თურქეთში
ხალხი ერთმანეთს ანადგურებს, ხოცავს და სწირავს,
შენ კი სარკმელთან იჯექ წყნარად და ხვრიზე ჭიქა,
უცქირე გემებს, მდინარეზე მავალთ და როცა
შინ დაბრუნდები საღამოს ეამს, ძილის წინ, იქაც, —
ქვეყნის სიმშვიდე და ეგ მშვიდი ეამი დალოცე.

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ა ქ ე ლ ი

მე გეთანხმები, მეზობელო! ვამბობ ნიადაგ:
ვისაც ენებოს, მან იტეხოს თავი თავისი,
აიყირავოს ეს ქვეყანა ძირბუდიანად,
ოღონდ შინ მქონდეს მყუდროება, ძველი ხალისი!

დ ე დ ა ბ ე რ ი

(ქალაქელ გოგონს)

ეხ. ვით მორთულხარით, ასულებო, მზეთუნახავნო!
თაილს ვერვინ მოგწყვეტო! სიამაყე თქვენი არ მომწონს.
მომენოეთ ბებერს, გულჩათხრობით გრძნობის მმარხვენო,
და ისეთ ვაყებს მოგიძებნით, ყველამ დამლოცოთ!

ქალაქელი გოგო

წამო, აგათა! ვერიდები, რომ უთხრა რამე
ხალხის წინაშე ამ კუდიანს. მაშინებს ქორიც.
თუმცა სარკვეში დამანახვა ანდრიას ღამეს
მან ხორცშესხმული მამაკაცი, გულისა სწორი.

მეორე

მან მეც მაჩვენა სატრფო სარკვეში
სამხედრო, მდიდარ სამოსელში გამოწყობილი.
მას ნათლად ვხედავ, ყველგან ვეძებ, ხარბად ნაგეში,
მაგრამ არა სურს გაახაროს შენი ღობილი.

ჯარისკაცები

(მღერთან)

ციხე-კოშკებს, ქონგურებს,
სათოფურიით მორთულებს,
გოგოებსაც თავნებებს,
ამაყსა და ორგულებს,
გესურს ვეკეთოი, დაგვენებდნენ!
ვართ მხნე, ომში მშრომელი,
რადგან ჯილდოს მოველით!..
ვიციტ გმირთა მაგვარად
იერიში ხანმოკლე.
მოგვიწოდებს ნალარა:
გაეიშარჯვოთ, ან მოკვდეთ!
ო, ცხოვრებაც ეს არის,
ბრძოლა, მტკიცე კლდესავეთ,
ჩვენ დაგვრჩება ციხენი,
გოგოებიც ფიცხელი!
ჯარისკაცნი მღერიან,
დასცენ ციხის კარები.
რადგან ჯილდოს ელიან,
წინ მიდიან ჯარები!

(მეზოდან ფაუსტი და ვაგნერი)

ფაუსტი

უბოველმყოფელმა გაზაფხულმა ნეტარი ხელით
წყაროს, ნდინარეს ყინულები უკვე აპყარა
და მწვანე ველმა ხალხს იმედი დიდი ახარა!
დაბერებულნი, დაერდომილი ზამთარი ძველი
ნისლიან მთებში იპარება და სალახანა
გზავნის ყინულის ფიფქს, ნამსხვრევებს, რათა ახალად
გადაათეთროს ეს ველები, მწვანე რომ არი,
და გაგვაგონოს ავ ქარბუქის ისევე ნალარა.



მაგრამ არ უყვარს მზეს სითეთრე ერთფეროვანი.
 ყველგან სიციოცხლე მრავალფერი ჩნდება მჩქეფარე-
 მზე და სხივები უხვ ფერებით მიწას ღებავენ.
 ჯერ არ მოსულა, არ გაშლილა მინდვრად ყვავილი,
 მაგრამ მორთული ხალხის კაბით ხარობს მწევანილი.
 პირი იბრუნე, მალღობიდან გახედე ქალაქს,
 შენ წინ გადაშლილ ამ მშობლიურ და ტურფა ალაგს!
 ძველ კარიბჭიდან ხალხი ზღვაებრ მოედინება,
 მზეზე გამოსვლა და გათბობა ყველამ ინება.
 ველზე იშლება ნახამირევი ხალხის კრებული,
 ქრისტე-მაცხოვრის კვლავ აღდგომით გახარებული.
 გრძნობენ საკუთარ აღდგომასაც. ზეიმობს ყველა,
 დიდი-პატარა გაზაფხულის მოდის ქებითა.
 ზოგი პატარა, ბნელ ბინიდან იჩქარის ველად,
 ზოგი შეხუთულ სახელოსნო და ქარხნებიდან,
 სვენთ, სასურავის ტანჯვისაგან, ზოგი ქუჩების
 ვიწროებიდან, ვინ ტაძრების ბინდბუნდისაგან.
 ყველას სახეზე სიხარული გამოისახა.
 ნეტარობს ხალხი მინდორ-ბაღში შენაქუჩები.
 ვრცელ მდინარეზე მიმოჰქრიან ცელქი ნაევი
 და ნაპირიდან მოზეიმე ხალხი გასცქერის.
 გადატვირთული, ჩქარ ტალღებიან გამოღავეებით,
 შორდება ნაპირს დიდი გემი უკანასკნელი!
 ხალხის ჰრელჰრელი და ფერადი ტანისამოსით
 მორთულა მთების ბილიკებიც და ცელქობს ქარი.
 სოფლის ხმაური აწ ჩემამდიც აღწევს, ამოდის.
 ეს ხალხისათვის ჰეშმარიტი სამოთხე არის!
 ზეიმობს ყველა, დიდ-პატარა, სახეშანიანი!
 აქ თავს ვგრძნობ კაცად. მწამს, ვარ მართლაც აღამიანა.

ვაგნერი

ბატონო დოქტორ! სეირნობა, თქვენთან რონინი
 ზიმითვის ჯილდოა, სასარგებლოც და არ გეშეებით.
 მაგრამ არა მსურს ბრბოში მარტო ვიყო ლტოლვილი,
 რადგან მტერი ვარ სიტლანქისა რა უხეშობის.
 დრიალი, სტეინა, ვიოლინო, მამახურები,
 კეკელბურთების დაგორება, მისი ყურება,
 კოილი-კენესა, შეპყრობილთა ავი სულაობით,
 მართლა ჰგონიათ სიმღერები, მზიარულება!

გლუხები

(ცაიხვის ქვეშ მღერიათ და ცეკვობთ)

ყრმა მეცხვარის ჰრელ ქურთუქში თამაშობა ეწადა,
 გვირგვინით და წითელ ბანტით სოფელს გამოეცხადა.
 ლამაზია ყრმა მეცხვარე, მომზიბველად იცინის.



თამაშობენ ცაცხვის ძირას, აუჩქარეს ნაბიჯებს.
 ღრეობაა გამართული, ლუდი მოაქვთ მამბიჭებს.
 „ხუხე, ხუხე, გადახუხე,
 გადახუხე, ხუხე, ჰე!“ —

ჰაერს აპობს შეძახილი, ვიოლინოს ჭყვიტინი!

წინ მიიწევს ყრმა მეცხვარე, თამაშს იწყებს თავიდან.
 იდაყვი ჰყრა კობტა გოგოს, შუა წრეში გავიდა.
 გოგო შეერთა, შემოუწყრა, იწყო ბრაზით ტიტინი;
 „რას სჩადიხართ, რატომ გინდათ დაემსგავსოთ უზრდელებს!?“
 ქალს ჰაბუკი აღარ უსმენს, ენას იბამს უგრძელესს.

„ხუხე, ხუხე, გადახუხე,
 გადახუხე, ხუხე, ჰე!“ —

ისმის ხალხის შეძახილი, ვიოლინოს ჭყვიტინი!

წრე გადიდა, გაფართოვდა, ყველა წყვილად ტრიალებს.
 მიმოჰქრიან მარჯვნივ, მარცხნივ, ქალთა კაბა ფრიალებს.

გოგოებმა კობტა ფეხი, წინდა გამოაჩინეს.

წამოწითლდნენ, აღაეღაედნენ, მხოლოდ ვაეებს ხედავენ.

ხელი ხელში გაუყარეს და კოცნასაც ბედავენ .

„ხუხე, ხუხე, გადახუხე,
 გადახუხე, ხუხე, ჰე!“ —

ხელი თეძოს მოეკიდა, ქალი ჰაბუკს აშინებს:

„არ გეგონოთ მიამიტი, ბრიყვი, ვიცი საცოლეს
 თვალს უხევედით, ცრულ თაფლავდით, მერმე შხამი აწოვეთ!“

მეცხვარე კი არა ცხრება, ქალს დაუწყო ლიტინი.

მოეხვია, წაიყვანა ტურფა სახემზიანი.

ცაცხვის ქვეშ კი ისევ იდგა გიყთა შმაგი ღრიალი:

„ხუხე, ხუხე გადახუხე,
 გადახუხე, ხუხე, ჰე!“ —

და ისმოდა შეძახილი, ვიოლინოს ჭყვიტინი!

მ ო ხ უ ც ი გ ლ ე ხ ი

ბატონო დოქტორ! საქებარია,
 დიდად სწავლული რომ არ გაურბით
 მდაბიო ხალხსა, გვწყალობთ საუბრით.

ამიტომ მინდა, გახოვით ძალიან

შესვათ ფილა ოქროცურვილი,

ახალი, ტყბილი სასმელით სავსე.

დაე, მან მოკლას თქვენი წყურვილი

და თან შეგმატოთ ცხოვრების გზაზე

იმდენი წელი, რამდენი წვეთიც

მასში ასხია და თუნდაც მეტი!

ფ ა უ ს ტ ი

ვიღებ ამ სასმელს. თქვენად მიგულვეთ.

მეც დღეგრძელობას ყველას გისურვებთ.

(ხალხი მის ირგვლივ იყრივება)

მოხუცი გლეხი



ღიახ! ღირსი ხარო ჩვენი ქებისა,
სასიხარულო დღეს რომ გვეწვიეთ!
თუმცა გლოვის დღეს და დღეს შვებისა
ჩვენთან იყავით, განა გეძიეთ!
გადარჩნენ თქვენი მამის წყალობით
ამ კუთხის მკვიდრნი, ბევრი აქ მყოფნიც.
შმაგი ცხელგება მოსპო წამლობით,
დიდ ზელოვნების ცოდნის ნაყოფით.
თქვენ სულ ჰაბუკი იყავით მაშინ,
როცა მამასთან ერთად ვიდოდით
ჭირით და სენით შეყრილთა სახლში.
გვამთა თვლით კაცი ცოდვით ვიწოდით
და ვით გადარჩით, არკი ვიცოდით!
გადაგარჩინათ დამხსნელმა მხსნელი,
კურთხეულ იყოს მაცხოვრის ხელი!

ყველანი

მრავალგამიერ ჭირთა მძლე კაცსა,
რომ შეძლოს ჩვენი კვლავ შველა, დაცვა!

ფაუსტი

იმის წინაშე თავს ზრიდეთ ყველა,
ვინც ყველას შველის, გვასწავლის შველას!
(მიდის ვაგნერთან ერთად)

თარგმანი ვერმანუელიდან ალექსანდრე კუთათიელისა

ინჟინერის დაბრუნება



მთაკორტოხზეა სოფელი მისი,
გარშემო დგანან მთები მაღლები,
ძირს მცურავ ღრუბლებს, ღამით და
ღლისით,
გადმოჰყურებდნენ ოდა-სახლები.

ჩანჩქერი სოფელს ჰკვეთავს შუაზე
დიდი ხრამი ჰყოფს მოსახლეობას,
მას ბავშვობიდან ჰგვრიდა ერთუანტელს
ეს მოგუგუნე კლდე და ხეობა.

წყალს უნდა თითქო გაბრუნდეს მაღლა,
კამარას შეჰკრავს სწრაფი ტრიალით,
მგარამ ზურგიდან აწელება ტალღა,
ძირს ერეკება შმაგი ღრიალით.

კლდის კალაპოტში ჩაუტეველი
ლეღავს, ბობოქრობს წყალთა სტიქია,
ხეთა მტერეველი, კლდეთა მძლეველი
მუდამ შფოთვარე და სასტიკია.

როდესაც ვაჟი სოფლიდან ქალაქს
ილტვოდა სწავლას დაწაფებული,
სახეში ცინცხლებს აყრიდა მწყურალად
წყალი მიჰინვარე, გამძაფრებული.

ბორგაედა ურჩი და ნებიერი,
ისმოდა რისხვა ტალღების ხმაში,
— ვნახოთ, ვინ არის უფრო ძლიერი! —
კაცმა ნიაღვარს მიუგო მაშინ.

დღენი მიჰქროდნენ... მასთან მრავალი
აზვირთებული წყალიც წავიდა,
მწვანე მთებს შეტრფის გზად მიმავალი,
სტკებმა მშობლიურ სანახავითა.

მას ახლა სოფლად ზალზი მიეღის,
აღსრულდა მისი ნატვრა, სურვილი,
მიღის ჰაბუცი, მკვიდრი მთიელი,
სწავლით და ცოდნით მხნელ
აღჰურვილი.

უწინ ამ კლდეში იყო ბილიცი,
ხრამში დაძრწოდა ნისლის უკენი,
კირდა მიმოსვლა... წყალვარდნილი კი
გზას ანათებდა ელვით, გუგუნით.

ნუთუ ეგ შოსე გზაა ყოფილი?
უწინ ამაზე შეეძლოთ ფიქრი?!
ლალობს შოფერი: ავტომობილიც
მთაზე მესამე სიჩქარით მიჰქრის.

იქ, სადაც უწინ უფსკრულს მდღუღარეს
დაკანკალებდა ძელური ხიდი,
თითქო, წყალს ქედი აქ მოუხარეს,
და რკინის ხიდი დაადგეს დიდი.

ზალის ცხოვრების ერთგულ
შშენებლად
მოდის ამ სოფლის მკვიდრი შობილი,
და, ჰა! — სიჩქარის შეუწელებლად
ხიდზე გადივლის ავტომობილი.

შემოკრებილა მთელი სოფელი,
კილით-კიდემდე ხმაა მქუხარი,
— ზალზო! — სიცილით იტყვის შოფერი,
სად არის ძღვენი და საჩუქარი!?...
ყრმა ინჟინერი და მეზობელი
დაბრუნდა სახე-განაშუქარი.

სახლს შორდებოდა მღელვარე
გრძნობით,
მარტოკა ოჯახს ტოვებდა გუშინ,

დღეს, ვით მშობლიურ შეილსა და
 მობილს,
 მთელი სოფელი იხუტებს გულში.
 ზრამს დაჰყურებდა ჩაფიქრებული,
 ისევ ბრაზობდა წყალი ნაგეში,
 ისევ შმაგი და გაათრებული
 მწვავე ცინცხლებით სცემდა სახეში.

მაგრამ არ შეერთა კაცი ზეიადი,
 წყალი დულს, ის კი — უფრო
 წყნარდება,
 გადაშლის გეგმას, — და შიგ დიადი
 ჰესის შენობა აღიმართება.

და ხალხიც ნათელ სოფელს აშენებენ,
 სინათლე ღამეს გამკლავებენ,
 გათენებამდე რომ კაშკაშებენ
 ცისა და მიწის ვარსკვლავებია.

ისევ მრისხანედ გრგვინავს ჩანჩქერაც,
 ზრამში ვეფხვივით რომ შებოჭილა,
 კაცი ამაყად ჩანჩქერს ჩასცქერის,
 წყალიც მის ნებას დაემორჩილა.

თარგმანი აფხაზურიდან
 ალიო შირაცხულაშვილი.

ქართული საბჭოთა ნოველის განვითარების საკითხისათვის*



განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში იგრძნობა ნოველის — ამ სხარტი, მახვილი, მცირე ფორმის მხატვრული ნაწარმოების ნაკლებობა. ერთი მხრით, ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენს ცხოვრებაში მომხდარმა დიდმა ცვლილებებმა, უჩვეულო წარმატებებმა, ჩვენი საზოგადოების სწრაფმა განვითარებამ მოითხოვა ისეთი მხატვრული ფორმა, რომელსაც ძალუძს სრულყოფილად ასახოს ესა თუ ის მოვლენა, ესა თუ ის ცვლილება საზოგადოებრივ ურთიერთობაში; ცხოვრებამ მოითხოვა დიდი, ეპიკური, უაღრესად ტევადი მხატვრული ფორმა — რომანი, მთელი ყურადღება მიიპყრო ქართული საბჭოთა რომანის განვითარების საკითხებმა და მრავალმხრივის, დიდის, გრანდიოზულის მოთხოვნილებებში ჩაიკარგა ნოველა, როგორც პატარა, მცირე მხატვრული ფორმა.

მეორე მხრით — თითქმის დაიკარგა მხატვრული ფორმის გრძნობა, ამასთანავე, ფორმალისმთან გამწვავებული ბრძოლის დროს როგორც უარყოფილი იქნა ფორმა, როგორც აუცილებელი, გარდაუვალი ყოველგვარი ნაწარმოებისა და, მით უფრო მხატვრული ნაწარმოებისათვის. დაირღვა მთლიანობა ფორმისა და შინაარსისა, გაშიშვლდა შინაარსი ძველი ფორმების უარყოფისა და ყველგან ახლის ძიების მოთხოვნილების ნიადაგზე. ამის დასადასტურებლად ბევრი მაგალითის დასა-

ხელება შეიძლება ჩვენი კრიტიკოსების ნაწერებიდან. ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში კი არ მოიძებნება ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომლებიც გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება და რომელზედაც შეიძლება უყოყმანოდ ითქვას: „ეს ნოველაა, ეს მოთხრობაა, ეს რომანია...“ ამჟამად პროზის ფორმები ხასიათდება მხოლოდ ზომის, სიდიდის მიხედვით, ამიტომ არ გვაოცებს, როდესაც მოსწავლე ახალგაზრდები კითხვაზე, თუ რა არის მოთხრობა, ან რომანი — გვიპასუხებენ: „მოთხრობა არის ნოველაზე დიდი და რომანზე პატარა მხატვრული ნაწარმოები“, ან: „რომანი არის ყველაზე დიდი ნაწარმოები“.

ზოგიერთი ჩვენი მწერალიც ამ „პრინციპით“ აწერს თავის თხზულებას: „ნოველა“, „მოთხრობა“, „რომანი“... ეს ნიშნავს, რომ მხატვრული ფორმა — სახე და სასტამბო ფორმა გატოლიტოლდა.

რა თქმა უნდა, ეს არაა საერთო მოვლენა. ჩვენს ლიტერატურაში მოიპოვება გამოწკლისები, სადაც ნათლად იგრძნობა ბრძოლა მხატვრული ფორმისა და შინაარსის მთლიანობისათვის, სადაც მიღწეულია ფორმისა და შინაარსის მთლიანობა.

მხატვრული ფორმების მრავალგვარობა ხელსაყრელია იდეური ზემოქმედებისათვის.

ფორმალისტები ვერ იცავენენ, ავადმყოფურად ებღაუჭებოდნენ ამ თუ იმ მხატვრულ ფორმას, აშიშვლებდნენ, ამორებდნენ სინამდვილეს, არ გაეგებოდათ მისი ადგილი, დანიშნუ-

* საკითხის განხილვის წესით.

ლება და მიზანი მხატვრულ ლიტერატურაში, მისი როლი ცხოვრებაში. ამიტომ მხატვრულ ფორმას ყველაზე დიდი ზიანი მიაყენეს თვით ფორმალისტებმა, ხოლო შემდეგ ფორმალისტთან გამწვავებულმა ბრძოლამ და იმ შეხედულებაში, რომ ძველი ბაზისის უაჩუყოფის, ძველი იდეებისა და შეხედულებების უაჩუყოფასთან ერთად, გინდა თუ არა, უკუვადებული უნდა ყოფილიყო ძველი მხატვრული ფორმებიც. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პიზღვით, ეკონომიკური საფუძვლების ცვლილება, ბაზისის ცვლილება ადრე თუ გვიან იწვევს ზედნაშენის ძირეულ ცვლილებებს, იდეოლოგიური ფორმების სახელდობრ — იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური, მხატვრული თუ ფილოსოფიური შეხედულებების ძირეულ ცვლილებებს. მარქსიზმ-ლენინიზმი ლიტერატურასა და ხელოვნებას — მხატვრულ აზროვნებას, როგორც იდეოლოგიის ერთერთ ფორმას, მიიჩნევს ზედნაშენად, უკველად ზედნაშენად, და ცხადია, აუცილებლად თვლის მის ცვლილებას ბაზისის ცვლილებასთან ერთად. მაგრამ ეს პირდაპირ და უშუალოდ შეეხება ლიტერატურისა და ხელოვნების — მხატვრული აზროვნების შინაარსობლივ, იდეოლოგიურ მხარეს. ხოლო არსებობს მეორე მხარეც: მხატვრული აზროვნების გამოსახვის ხერხები, გამოხატვის ფორმები. იცვლება თუ არა გამოსახვის ხერხები, გამოხატვის ფორმები სწრაფად, მყისვე ეკონომიკური საფუძვლების ცვლილებებთან ერთად? გამოსახვის ხერხები, გამოხატვის ფორმები არ არსებობს აზრის, შინაარსის გარეშე. ეს ცხადია, მაგრამ ძალუძს თუ არა გამოსახვის რომელიმე ხერხს, ან ხერხებს, გამოხატვის რომელიმე ფორმას, ან ფორმებს, გამოადგეს, სარგებლობა მოუტანოს არა მხოლოდ ერთ რომელიმე საზოგადოებრივ წყობას, არამედ მეორესაც? ან იცის თუ არა ლიტერატურის ისტო-

რიამ მხატვრული ფორმის უკუგდენის, ანდა უბრალოდ — მოძველების შემოხვევები? უნდა ითქვას, რომ იცის ეს ხშირად მართლაც ძველებმა რომელიმე მხატვრული ფორმა, მაგალითად: საგმირო ეპოსი, ტრაგედია, ელეგია, — წარმოიშვება ახალიც, — მაგალითად: დრამა, რომანი, ნოველა, რაც დაკავშირებულია ბაზისისეულ ცვლილებებთან, იდეებისა და შეხედულებების ცვლილებებთან, დრამის, რომანის, ნოველის თავდაპირველი განვითარება უკავშირდება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილების განვითარებას. მაგრამ არ შეიძლება იმის უაჩუყოფაც, რომ ერთი და იგივე მხატვრული ფორმა წარმატებით ემსახურება სხვადასხვა საზოგადოებრივ წყობილებას, ისევე როგორც ერთ რომელიმე საზოგადოებრივ წყობილებას აღმავლობისა და დაქვეითების სხვადასხვა ეტაპზე. დრამას, რომანს, ნოველას ისევე იყენებენ თანამედროვე იმპერიალისტები ხალხთა დაბნევისა და დამონებისათვის, როგორც იყენებდა ბურჟუაზია აღმავლობის, განვითარების დროს ხალხის მოსამზადებლად ფეოდალური მონარქიის დამხობისათვის. ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელი ნაშეიერების დასათარგუნავად უფრო მეტიც, დრამა, რომანი, ნოველა წარმატებით ემსახურება სოციალისტურ საზოგადოებას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევის, იდეური დონის ამაღლების, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, მშვიდობისათვის ბრძოლაში. იგივე ფორმები წარმატებით ეხმარება სახალხო დემოკრატის ქვეყნებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულ მოღვაწეებს — თავიანთი ხალხის გამოსაფხიზლებლად და დაპარზმავად რევოლუციური ბრძოლისათვის. შეიცვალა შინაარსი, გაჩნდა ახალი იდეები და შეხედულებანი, ძველი მხატვრული ფორმები წარმატებით ემსახუ-

რება ახალ იდეებს და შეხედულებებს, ახალ საზოგადოებრივ წყობილებას საბჭოთა კავშირში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ძველი საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნას — კაპიტალისტურ ქვეყნებში. ასე რომ, ყველგან და ყოველთვის აუცილებლად „ახალის“ ძიებამ შეიძლება მიგვიყვანოს მნიშვნელოვანი ქმედითი იარაღის უარყოფამდე.

ამხანაგი ი. სტალინი გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ განმარტავს უაზრობას იმ შეხედულებისა, თითქოს „განსაკუთრებული როლის გამო, რომელიც ისტორიამ საბჭოთა სახელმწიფოს მიაკუთვნა, საბჭოთა სახელმწიფოს, მის ხელმძღვანელებს შეუძლიათ გააუქმონ პოლიტიკური ეკონომიის არსებული კანონები, შეუძლიათ „ჩამოაყალიბონ“ ახალი კანონები, „შექმან ახალი კანონები“. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში, როდესაც აცხადებენ, თითქოს საბჭოთა მწერალს შეუძლია ჩამოაყალიბოს ახალი მხატვრული ფორმები, თითქოს იგი ქმნის რაღაც ახალს, განსხვავებულს. თუმცა ამას აცხადებენ ზოგადად, მაგრამ ნათლად არ განმარტავენ სიახლის თავისებურებას. რა თქმაუნდა, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, სიახლე არსებობს, მაგრამ აქ სიახლე მდგომარეობს არა ყველა ძველი მხატვრული ფორმის უკუგდებაში, სრულ უარყოფაში, არამედ მათს განსაკუთრებულობაში სოციალისტური რეალიზმის დროს. ამხანაგი ი. სტალინი განმარტავს სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის განსაკუთრებულ ხასიათს სოციალიზმის დროს. და თუ უაზრობაა ზოგიერთი ეკონომიკური კანონის მაგალითად, სასაქონლო წარმოების, ღირებულების უარყოფა, რადგან ის მოქმედებს კაპიტალიზმის პერიოდშიც, ცხა-

დია, უაზრობა იქნება აგრეთვე ძველად მოქმედი ყველა მხატვრული ფორმის მოძველებულად გამოცხადება. მაართოდენ თემის აქტუალობაზე ლაპარაკი საკმარისი არ არის.

ჩვენი მწერლები ეხებიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, საწარმოს, თუ საამშენებლო ობიექტს, მაგრამ მაინც სამართლიანად ამბობენ, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა სრულყოფილად ვერ ასახავს ცხოვრებას, ვერ იძლევა წარმოდგენას იმ დიდ საზოგადოებრივ ცვლილებებზე და სამეურნეო წარმატებებზე, რასაც ადგილი აქვს სინამდვილეში. ხოლო თუ ლიტერატურა ვერ იძლევა წარმოდგენას სინამდვილეზე, ვერ ასახავს სინამდვილეს, ცხადია, ვეღარ მოახდენს გავლენას ადამიანებზე, საზოგადოებაზე, დაკარგავს თავის დანიშნულებას.

უსუსური, მახინჯი ფორმა აფერმკრთალებს იდეას, აზრს, გარდაუვალ ჯეზბირად აღიმართება მკითხველისა და იდეას შორის, აბრკოლებს აზრის ათვისებას. ასე რომ, ლიტერატურასა და ხელოვნებას ძალუძს დიდი ზიანი მიყენოს საზოგადოებას, შეასუსტოს ხალხის იდეური აღზრდის ღონისძიებანი, დაამციროს მნიშვნელოვანი იდეები და შეხედულებანი, თუ არ ამაღლებს მხატვრული ფორმა, თუ არ იქნება მიღწეული ფორმისა და შინაარსის შესაბამისობა, მთლიანობა. ხოლო ეს მოითხოვს დაოსტატების, მხატვრული ფორმების სრულყოფილად დაუფლების, კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ღირსშესანიშნავ გამოცდილებათა განზოგადების აუცილებლობას.

აქედან გასაგებია, რომ გარდაუვალი ხდება რთული მხატვრული ფორმების დაუფლება, სტილის, კომპოზიციის, ტიპისა და ტიპური გარემოს, მთავარისა და მეორეულის ადგილის, გმირისა და პერსონაჟის გამოყვანის, პორტრეტის, პეიზაჟის, დიალოგის დროისა და ზომიერების, თხრობისა და ხატვის თა-

ვისებურების და სხვა მნიშვნელოვანი ხერხების ათვისება.

კლასიკოსების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რომანის წერის ხერხების დაუფლებამდე საჭიროა ხანგრძლივი და გულმოდგინე ვარჯიში, დაუფლება მცირე ფორმისა, ნოველის დაუფლება. თითქმის ყველა დიდი რომანისტი იმავე დროს დიდი ნოველისტია. ნოველაზე მუშაობა აუცილებელი წინაპირობაა რომანისტიკათვის. ამ სკოლის გავლის გარეშე კიდევ უფრო ძნელი ხდება ისედაც ძნელი და რთული ფორმის რომანის დამორჩილება. თუნდაც რაღა ღირს, ვთქვათ, ექსპოზიციის აგება, — ამ შემთხვევაში ხომ ზოგ კლასიკურ ნაწარმოებასაც ეტყობა ძალდატანება. მართო ექსპოზიციის ხერხების შესწავლა მოითხოვს დიდ საეტიულო ვარჯიშს. უამისოდ არცთუ იშვიათად წავაწყდებით სავალალო მდგომარეობას. უქსპოზიციობა, ან უმწეობა ექსპოზიციისა, პირველ ყოვლისა, დიდსა და გადამწყვეტ ზიანს აყენებს ნაწარმოების კომპოზიციას, ურომლისოდ არ შეიძლება გამოკვეთილი სახე ჰქონდეს მხატვრულ ნაწარმოებს. არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რით აიხსნება, როცა ამათუიმ აუტორს ვერ მოუხერხებია ერთიმეორეს შეახვედროს პერსონაჟები, როცა მთავარი თემა დაეკარგება და კირის ოფლში გაცურებული ჰყვება, როგორ ამწვანებულა მთა, როგორ ამოდის მთვარე, ან როგორ მოიქცეოდნენ წინაპრები ამა და ამ მდგომარეობაში.

ნოველის სივრცე პატარაა, ნოველა ხელისგულივითაა, სადაც უცებ შეიმჩნევა ყველა ხაზი, დიდი და მცირე, სწორი, გადამკვეთი და ირიბი; ნოველა ირჩევს მოვლენის უმახვილეს მხარეს, საგნის უნათლეს კუთხეს, სულის გადამწყვეტ მოძრაობას და აქცევს მკაცრ მხატვრულ მთლიანობაში. ესევეა საჭირო რომანისთვის, ოღონდ უფრო ფართო მასშტაბით, უფრო დიდი თემის გადაწ-

ყვეტიასა, მეტ მოვლენათა, საგანთა და პერსონაჟთა განლაგების დროს.

ცხადია, აქედან ის არ გამოდის, თუთქოს ნოველა მხოლოდ დაოსტატების საშუალება იყოს. ნოველას აქვს თავისი თემა, თავისი შინაარსი. ნოველა პატარა ამბავია, — როგორც დიდი ილია განსაზღვრავს, პატარა, მაგრამ ბევრის შემცველი ამბავი, — პატარა, მაგრამ არა როგორც ჩამონაკვეთი დიდისა, ჩამონაკვეთი საგნებისა და მოვლენებისა, ნაწილი, რომელიც სადაც და რაღაცაზე მიეყრებას კი არ მოითხოვს, არამედ ის არის თავისთავადი, მთლიანი, გამოშატველი რომელიმე მოვლენის ან საგნის მდგომარეობისა გადამწყვეტ, სასიცოცხლო წუთებში. „არის მოვლენები, არის შემთხვევები, — წერდა ბესარიონ ბელინსკი, — რომელიც, ასე ვთქვათ, არ იქმარებდა დრამისთვის, არ ეღირებოდა რომანისათვის, მაგრამ რომელიც ღრმად და წამიერ მოვლენაში ითავსებს იმდენ სიცოცხლეს, რამდენის განცდაც ეგებ არ შეიძლებოდა მთელს საუკუნეშიც“. ასეთი მოვლენების, ასეთი შემთხვევების გამოსახატავად ბელინსკი მოითხოვდა ახალი, განსაკუთრებული, თავისებური მხატვრული ფორმის გამომუშავებას. მართლაც, ეს ახალი, თავისებური მხატვრული ფორმა — რუსული ნოველა, განვითარდა დიდი სისწრაფით. მან მალე მიადწია ისეთ მხატვრულ სრულყოფას, რომ გადაიქცა ნიმუშად დასავლეთ ევროპის მწერლობისათვის. მაგალითად, შესანიშნავი ფრანგი ნოველისტი მოპასანი ივან ტურგენევის შესახებ წერდა: „ორიგინალობა ამ მწერლისა, დიდოსტატი მოზრობელისა, უპირველეს ყოვლისა, გამომყვანდა მის პატარა ნოველებში. ამ ფსიქოლოგს, ფიზიოლოგს და პირველხარისხოვან მხატვარს შეუძლია მოგვეცეს დასრულებული ნაწარმოები რამდენიმე გვერდზე, საოცრად დააჯგუფოს მდგომარეობანი და შექმნას ცოცხალი, ამაღლებული, მიმზიდ-

ველი სახეები ორიოდ ხაზის მოსმით, ისეთი მსუბუქი და უბრალო ხაზისა, რომ ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს ესოდენი რეალურობა, თითქოს უბრალო საშუალებებით“. აქ ალტაცებასთან ერთად გამოხატულია ის თავისებურება და პირობები, რაც ახასიათებდა რუსულ ნოველას და საერთოდ რაც აუცილებელია ნოველისათვის: სრულყოფილობა განსაზღვრულ ოდენობაში, — „დასრულებული ნაწარმოები რამდენიმე გვერდზე“, თავისებურის, დამახასიათებლის, მოქმედების შემქმნალობა, „დაჯგუფოს მდგომარეობანი“, მკაფიობა და მგრძობიარობა, „ცოცხალი, ამაღლებული, მიმზიდველი სახეები“, და აისადავე, „რამდენიმე ხაზის მოსმით... მსუბუქი, უბრალო ხაზის“. სხვა ადგილას — წერილში მორის ვოკერისადმი მოპასანი შენიშნავს: „ხელოვნება მათემატიკურია. უდიდესი ეფექტების მოხდენა შეიძლება უბრალოდ და კარგად კომბინირებული საშუალებებით“. ამ შემთხვევაში „უბრალო და კარგად კომბინირებული“ მართლაც მოხდენილი დახასიათება იქნება ნოველისათვის, სადაც თემის საკითხის, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოხატვის საშუალებანი დაჯგუფებულია ისე, რომ შესაძლებელი იქნეს მაქსიმალური ეფექტის მიღწევა მცირე ზომაში. ჩვეულებრივ ყველაზე ეფექტურია ნოველის ფინალი, რაც არა მხოლოდ მახვილი მხატვრულ-ლოგიკური დასკვნაა, არამედ შეიცავს, აგრეთვე, ნაწარმოების რომელიმე ათგისის, განსაკუთრებით დასაწყისის, თავისებურ გამოვლენას, ანდა დასაწყისში ერთი მხრით განათებული საგანი, შემთხვევა, თუ მოვლენა დასასრულს გვევლინება ყოველი მხრით შექმოსილად. სწორედ ნოველის ამ თავისებურებას აღნიშნავს დიდი რუსი ნოველისტი ანტონ ჩეხოვი წერილში პლემჩევისადმი. გრძობა მიკარნახებსო, წერს ანტონ ჩეხოვი, ფინალში ხელოვნურად

მოვეყარო თავი ნაწარმოების ყველა შთაბეჭდილებას და ამისათვის ოდნავ მაინც უნდა გავიმეორეო აღრე ნათქვამიო. მართალია, ჩეხოვი იქვე შენიშნავს — ეგებ მე ვცდებიო, მაგრამ ამ შემთხვევაში ანტონ ჩეხოვი გულისხმობს ნოველის განვითარების შესაძლებლობას და ერიდება თავისი გამოცდილება კანონად აქციოს. მაგრამ ეს მხოლოდ თავმდაბლობაა. სწორად მიგნებული ფორმა, ჭეშმარიტი მხატვრული ფორმა როდი იკეტება, გაქვავებას როდი განიცდის, მიისწრაფის სრულყოფისაკენ. ამიტომაც, რომ ნოველის ესოდენ მტკიცედ გამოკვეთილ ფინალში ზოგჯერ მაინც გვხვდება თავისებურება, ახალი, დამატებითი საშუალება მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, სხვანიჩად რომ ვთქვათ, მიზანი იგივეა, ფორმა იგივეა, მხოლოდ ემატება კიდევ ერთი უბრალო ხაზი, სადა ფერი, რაც სულ ბოლოს თითქოს ამოცანასავით გაისმის და განცილიის, ნაფაქრის გამოვლენას იწვევს. ამის შესანიშნავი ნიმუშია XIX სკ. ქართული ნოველის შედევრი — ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“.

აქ პატარა სურათის, — შუაზაფხულის პაპანაქების, — შემდეგ მოქმედება იწყება საიდუმლოებით: ვინ არიან ის ყმაწვილები, მეურმეს რომ შემოეყრებიან? რატომ წყრება უმცროსი, რად არ მოსწონს, ან რა არ მოსწონს უფროსის სიტყვა-პასუხში? რატომ არაფერზე დაეკვდება მეურმე პეტრე? ან რა უნდა იქვეოს? როგორ მიენდობა, ან რა უნდა მოჰყვეს ამ მინდობას? ამის შემდეგ აუცილებელი ხდება ოდნავ მაინც გაიხსნას საიდუმლოება. პარი მოეხსნას ამბავს და მართლაც, ყმაწვილები გაძარცვავენ მეურმე პეტრეს. ამბავი თითქოს გაშუქდა, განათდა უცერად შემოყრილი ყმაწვილების ხასიათი, მაგრამ დასაწყისში შეკრული საიდუმლოება არათუ გაიკვია, უფრო მეტი იდუმალებით აღივსოვინ არიან? — ეს კითხვა უცვლელად

რჩება, და შემდეგ რამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე, რომ არ ინდობენ თვით მეურმე პეტრესაც, მათთვის ესოდენ მზრუნველ ადამიანს? როგორ შეთანხმდნენ ძმები ავი საქმის ჩადენის დროს, როცა უგუნებელ სიტყვა-პასუხშიც ვერ თანხმდებოდნენ? რატომ არ აღაშფოთა მეურმე პეტრე ყმაწვილების ბოროტმოქმედებამ? მაგრამ აქ არ თავდება კითხვები, რა თქმა უნდა, პასუხის დაგვიანებაც არ შეიძლება, კითხვას კითხვაც მოსდევს და პასუხიც. რატომ არ აღაშფოთა მეურმე პეტრე ყმაწვილების ბოროტმოქმედებამ? რა აღაშფოთებდა? მას ხომ უსაზღვროდ უყვარს, უსაზღვროდ სწამს ადამიანი? მას ხომ ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა გაიმეტოს ადამიანი ადამიანი? რა ვუყოთ, რომ გაჭურდეს, — სამი და ათი შაური რა არის, განა შეიძლება სამმა და ათმა შაურმა შეურყიოს სათნოება, პატიოსნება, სიყვარული, რწმენა? სამი და ათი შაური რა არის, როცა მისი დიდი ჰუმანიზმის შერყევა არ ძალუძს ისეთ საშინელ ფაქტსაც როგორცაა ადამიანის ჩამოხრჩობა? — კითხვაცა და პასუხიც. მაგრამ ვინ ჩამოხრჩნის? თითქოს იგრძნობა ერთი იმ ძმთაგანი, სახელდობრ რომელი? სად? რა იქნა მეორე? უმცროსი ძმის ბარათი არკვევს ყოველევს. ბარათი, რაც ამ შემთხვევაში ფინალს წარმოადგენს, ოდნავ იმეორებს აღრე მომზდარს, თავს უყრის, აჯგუფებს მთელ ამბავს, ნათელს ხდის დასაწყისში შეკრულ საიდუმლოებას, ხსნის ამოცანას, თითქოს დამთავრდა. ხოლო მოულოდნელად უკანასკნელ სტრიქონებში ისმის მეორე ამოცანა: „განა შენ კი არ დამირჩე ერთადერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!...“ შეიძლება გავიგოთ, მამას ცივმა ოფლმა დაასხა.

— მე რა შუაში ვარო! — დაიძახა კენესი და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცაბკაბებდა.

მართლა და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“

ესაა შესანიშნავი ხერხი. რაც დიდხანს იპყრობს მკითხველს, ატყვევებს, ალაესებს წარუშლელი შთაბეჭდილებით, მართლაც აღწევს მაქსიმალურ შემოქმედებას. ასე რომ, ნოველას, ამ მტკიცედ შეკრულ, მხატვრულ ფორმას, მოეპოვება შესაძლებლობა სრულყოფისა. ქართულ საბჭოთა ნოველას შეუძლია არა უბრალოდ გაიმეოროს კლასიკური ნოველის ფორმა, არამედ სრულყოფს კიდევაც ხოლო, რა თქმა უნდა, სრულყოფის ცდების დროს არ შეიძლება დაირღვეს ნოველის აგების ძირითადი პრინციპი: პატარა ზომა, მოქმედების ერთნაირობა, მახვილი ლოგიკური დასასრული, — არ შეიძლება, რადგან ამ პრინციპის გარეშე არა მხოლოდ სახე ეკარგება ნოველას, არამედ ვეღარ მიაღწევს მიზანს, ე. ი. ვეღარ მოახდენს შემოქმედებას მკითხველზე.

ეგრეთწოდებული ამერიკული ნოველის მარცხი სწორედ იმის შედეგია, რომ იქ დაირღვა ძირითადი პრინციპი „მახვილი ლოგიკური დასასრული“ შეცვლილ იქნა „ბედნიერი დასასრულით“ — Happy end, — რამაც თავის მხრივ გამოიწვია მოქმედების ერთიანობის დარღვევა. ნაწარმოების დასასრული — „ბედნიერი დასასრული“ ხშირ შემთხვევაში არ ეთანხმება დასაწყისს, ძირითად ამბავს, არ წარმოადგენს მხატვრულ-ლოგიკურ შედეგს, ბუნებრივ დასკვნას; საგანგებოდაა შექმნილი, რა თქმა უნდა, გარკვეულ მოსაზრებათა გამო. მაგრამ არალოგიკური, არაბუნებრივი მიზანს ვერ აღწევს. არ შეიძლება ეს არ ეგრძნოთ ამერიკელ ნოველისტებს, არ შეიძლებოდა არ მოეძებნათ გამოსავალი, საშუალება მიზნის მისაღწევად. ამიტომ მიჰმართეს მთარეკლამურ ეფექტებს, ნოველის დასასრულში, როგორც წესი, შეიტანეს მოულოდნელი და უეცარი, მომხიბლავი და

გამაბრუნებელი, მაგრამ ვისი გაბრუნება, ვისი მოტყუება შეუძლია, ვთქვათ, ისეთ დასასრულს, სადაც გამოხატულია, თუ როგორ დაემხო კაპიტალისტის მშვენიერი ასული უმუშევარი ახალგაზრდის ფერხით, ან როგორ აღელდა კაპიტალისტი, როცა იხილა დამშეული მუშის ოჯახი, ანდა მოძღვრის ერთმა სიტყვამ როგორ მოაქცია განგსტერი და სხვ. ცხოვრებაში ხომ ასე არა ხდება?! კაპიტალისტური სინამდვილე ხომ უფრო მკაცრი და უღმობელია, ვიდრე თუნდაც ის სურათები, რომლებიც გვხვდება ზოგიერთი ამერიკელი ნოველის „ბედნიერ დასასრულამდე“?! ხოლო მაინც მნიშვნელოვანია სინამდვილის თუნდაც ესოდენ მცირე გამოწყობილები; ეს უფრო მნიშვნელოვანი და ზემოქმედია ვიდრე „ბედნიერი დასასრული“, რაც არ უნდა ჯამბაზური ოსტაბობით იყოს შესრულებული არ შეიძლება იყოს ესეც არ ეგრძნოთ ამერიკელ ნოველისტებს, ან საგამომცემლო ორგანოების დიდ მონოპოლისტებს, არ შეიძლება არ დაწყებულიყო ბრძოლა ნოველის თემად რეალური მოვლენებისა და შემთხვევების გამოყენების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგად ამერიკელმა ნოველამ ან წმინდა ანგლოტური ხასიათი მიიღო, ან დაიწყო ფაქტებისა და მოვლენების სრული გადასხეფერება — გადაკეთება კაპიტალისტური სინამდვილის შელამაზების მიზნით. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ნოველისტის ო-ჰენრის ერთერთ ნაწარმოებში გამოყენებულია ნამდვილი ამბავი, რასაც ადგილი ჰქონდა ოჰაიოს შტატში. ეს იყო ტიპური ფინანსური ბიზნესი: ბანკის თანამშრომლებმა მიითვისეს რამდენიმე მილიონი დოლარი, საბუთები ჩაკეტეს სეიფში და გასაღები მოსპეს. აუცილებელი იყო სეიფის გახსნა. მაშინ დაინტერესებულ პირებს მოაგონდათ, რომ ციხეში იჯდა ერთი დამნაშავე, რომელსაც მისჯილი ჰქონდა სამუდამო პატიმრობა სეიფის გახს-

ნის თავისებური მეთოდის გამოგონებისათვის.

გაგრძელება

სთხოვეს ერთხელ კბრუკს (ყველა თანხის ხერხი, დაპირდნენ შეეყნარებას, ჯილდოს. ეს არ იყო იოლი ხერხი, იგი უდიდეს ტანჯვას, სისხლის გაღებას მოითხოვდა. მაგრამ პატიმარმა განთავისუფლებისა და ჯილდოს იმდით გაიმეორა ერთხელ უკვე გადატანილი ტანჯვა (პირველად ხომ შიმშილმა მიიყვანა ამ მდგომარეობამდე!). სეიფი გაიხსნა, საბუთები მიიღეს დაინტერესებულმა პირებმა, ხოლო სეიფის გამხსნელი მყისვე დააბრუნეს საპატიმროში. სადაც სული აღმოხდა. ხოლო ო-ჰენრის ნოველაში მთელი ამ ამბიდან გადაჩენილია მხოლოდ სეიფის ძოღლოდნელი ჩაკეტვა და მისი გახსნა. თანაც სეიფში შემთხვევით ჩაიკეტება ქალიშვილი. კაპიტალისტურ-ფინანსური აფიორა და ადამიანის დაუნდობლობის ამბავი შეცვლილია ადამიანისათვის ზრუნვით, ადამიანისათვის მღელვარებით. ამ გრძობამდეა ამოღებული პოლიციის თანამშრომელიც, რომელიც დიდიხანია დაეძებს ბოროტმოქმედს — სეიფის გახსნის თავისებური ხერხის გამოგონებელს. და აი, ქალიშვილის განთავისუფლების დროს მოულოდნელად წააწყდება დამნაშავეს, მაგრამ იმდენად მოიხიბლება, რომ უარს იტყვის მის დაპატიმრებაზე. ასე იცვლება შინაარსი, ასე სხეფერდება ფაქტი არა მხოლოდ ნოველაში, არამედ საერთოდ ბურჟუაზიულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში; ასეთია ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება ბურჟუაზიული ესთეტიკის მიხედვით. ასეთ პირობებში არ შეიძლება არ დაიშალოს, არ შეიძლება ყალბმა შინაარსმა უსაგნოდ, უმიზნოდ არ აქციოს მხატვრული ფორმა. ცხოვრების სიმართლის გარეშე აზრი არა აქვს არავითარ მხატვრულ ფორმას, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს, გამართლება არა აქვს, რადგან არ შეუძლია მიზანს მიღ-

წიოს, ზემოქმედება მოახდინოს. ზემოქმედება იწყება სიმართლისა და მაღალ-მხატვრული ფორმის მტკიცე ერთიანობის შემდეგ. მხატვრული ფორმის ნებისმიერი ცვლილება, პირდაპირ რომ ითქვას, მხატვრული ფორმის უმწეობა ისევე აქვეითებს მაღალ აზრს, როგორც ყალბი აზრი — მაღალმხატვრულ ფორმას.

ნოველის კლასიკურ ფორმას რომლის სრულყოფის შესაძლებლობა ჯერ კიდევ კლასიკოსებმა დასახეს, შეუძლია ჩასწვდეს და შეითვისოს სოციალისტური სინამდვილე, გამოხატოს ჩვენი საზოგადოებრივი გარდაქმნის ცალკეული მძაფრი მომენტები, ასახოს მოვლენებისა და საგნების მდგომარეობა გადამწყვეტ წუთებში; ნოველას თითქმის ყველაზე უკეთ შეუძლია მოხდენილად გამოიყენოს სატირა-პემორი კაპიტალიზმის გადმონაშთების დასაძლევად ადამიანთა შეგნებაში. ზნეობის განწმენდისა და ამაღლებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, ვერ არის სრულყოფილად გამოყენებული ნოველის შესაძლებლობანი, იწერება ცოტა და იმთავანაც თითოთროლას თუ დაერქმევა ნამდვილი ნოველა, თითოთროლა თუ აღწევს მიზანს. თითოთროლას თუ გააჩნია ზემოქმედების ძალა. ცნობილი მწერლები აღარ, ან იშვიათად უბრუნდებიან ნოველას, ახალგაზრდა მწერლები კი თითქმის გაურბიან ამ მხატვრულ ფორმას. საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ნოველის დიდი მნიშვნელობა, მისი განვითარების აუცილებლობა, როგორც ისეთი მხატვრული ფორმისა, რომელსაც გააჩნია თავისი განსაკუთრებული თემა. მისი გამოხატვა კი სხვა მხატვრულ ფორმას არ შეუძლია.

ისიც უნდა ითქვას, რომ კლასიკური ნოველის პრინციპები უკვე დამკვიდრებულია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და მის საძიებლად განსაკუთრებული ღონისძიებები არ არის საჭირო.

ჩვენმა საუკეთესო ბელეტრისტებმა, რომელთა საკმაო ნაწილმა, ~~სამწუხაროდ,~~ უკვე დაკმაყოფილდა მისწრაფებით, მასწავრეს შეექმნათ ქართული საბჭოთა ნოველის რამდენიმე კარგი ნიმუში, სადაც ღირსშესანიშნავადაა გამოყენებული ნოველის დამახასიათებელი ნიშნები: დასაწყისის საიდუმლოება — მოლოდინი, მოქმედების ერთნაირობა — მთლიანობა და მახვილ-ლოგიკური დასასრული. ნიმუშად შეიძლებოდა დაგვესახელებინა ზოგიერთი იმთავანი, ასეთია, მაგალითად, ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მათა“, სადაც საიდუმლოებასა და მოლოდინის მღელვარებას ქმნის აღწერა შეიარაღებული ვაჟაკისა, უძვირფასეს სამკაულებიანი თავადის ქალისა, რომელსაც განწირულობა და კნობა შეუგრძენია, რომელსაც შურს მოახლის სიახალგაზრდავე — „სისხლი უყვარსო!“ შემდეგ სწრაფად ვითარდება მართლაც სისხლიანი დრამა, რაც საცხებით ამართლებს მოლოდინის შიშს, მაგრამ საიდუმლოს ბოლომდე ვერ არკვევს: „გამიგონია, სისხლი უყვარსო!“ შეიცავს რაღაც სხვასაც, — წარსულს, სისხლიან ისტორიას, რაც ფინალში მართლაც კლასიკური ოსტატობით არის გადმოცემული.

ანდა ავიღოთ სერგო კლდიაშვილის „დაბრუნება“. სადაც თავდაპირველად გოცებას იწვევს ოჯახის წევრების სიმტკიცე ფრონტიდან დაბრუნებულთან შეხვედრისას, იმასთან შეხვედრისას, ვინც მოწმე ყოფილა მათთვის უძვირფასესი ადამიანის სიკვდილისა. ეს სიმტკიცე, ეს თავშეკავება მოითხოვს ამოხსნას და — ნება მიბოძეთ, გოგის შესანდობარი დავლიო...“ — „არა, ოღონდ, ეგ არა... დავლიოთ იმისი, რომ ის მარადის ცოცხალია ჩვენს გულში!“ და არა მხოლოდ გულში, — ის ცოცხალია ვაიშვლით, რომელიც ახალიაგბს, ამხნეებს, აიშვებს, აგულმტკიცებს, მთელს ოჯახს. ანთა გაიხსენოთ აკაკი ბელიაშვილის „მასწავლებელი“, რომ-

ლის დასაწყისი გადმოგვეცემს გორის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ივან ბუტირსკის მოუსვენრობას და მღელვარებას. რა დამართია? სად მივშტრება? როგორ ტოვებს სუფრას, ქეიფს, სმას, — ეს ზომ მის ვნებას წარმოადგენს?! რა ძალამ, რა გრძნობამ ააფორიაქა?!.. თურმე ეს შიში ყოფილა, შიში იმ გონმახვილი მოწაფისადმი, რომელიც შეკითხვებით უმაღვე გამოაბეღავნებს, თუ გაკვეთილზე მოუშვადებელი მივიდა მასწავლებელი. ეს მოწაფე სოსო ჯულაშვილია. აქვე უნდა მოვიხსენოთ გიორგი შატბერაშვილის „მამალხინე“, რომლის დასაწყისში უცნაური დაპირება გაისმის: „ოღონდ ბიჭი დაბრუნდეს — და.. იანვარიც იყოს რთველში დაგპატიეებ, ვენახში შეგაქვან, ჩხებს აგაკრეინებ“. ნატვრა მართლაც ასრულდება, ბიჭი დაბრუნდება ფრონტიდან და აიხსნება დასაწყისის საიდუმლოება. ფინალი ხატავს მოუკრეფა-

ვად დამარხული ვაზების წამოყენებას, რთველს თოვლში, და სხვა. ნოველის ფორმა იქმნება აქუსონდების მტკიცე ურთიერთობით, როცა ისინი ზედმეტად არ ფუსფუსებენ, ტყუილად არ ლაპარაკობენ, ამოდ არ ფიქრობენ, საქმეს უშწყოლად არ მოჰკიდებიან და ამბავი სწრაფად უახლოვდება დასასრულს, სადაც მახვილად იხსნება მართალი აზრი; ნოველა იქმნება მართალი აზრის, ჯანსაღი და მახვილი თემის საფუძველზე. ყარგ ნიფთს ყარგი მასალა უნდა, უხეირო მასალასთან დიდოსტატის ხელოვნებაც ამაოაო.

ჩვენი სინამდვილე, ჩვენი ცხოვრება იძლევა დიდძალ ღირსშესანიშნავ მასალას ნოველისათვის, — ჩვენს ნოველას აქვს საუკეთესო ტრადიციები. საქაროა გაბედულად იქნეს გამოყენებული ეს ტრადიციები, გაბედულად დამუშავდეს ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველაზე უფრო მძაფრი და მახვილი მომენტები.

რევოლუციური იდეები იროდიონ ევლოძის შემოქმედებაში

★

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ისევე როგორც ყოველთვის, თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა მდგომარეობა შიშვე და აუტანელი იყო. სემინარიის სათავეში იდგა შავრაზმული რეაქციული ხელმძღვანელობა.

სწორედ ამ პერიოდში, 1890 წლის სექტემბრიდან, თბილისის სასულიერო სემინარიაში მოეწყო ირ. ხოსიტაშვილი, შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი პოეტი იროდიონ ევლოძე.

ერთი წლის შემდეგ ამავე სემინარიაში ჩაირიცხა გორის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული ლადო კეცხოველი.

ირ. ევლოძე სემინარიაში შესვლისთანავე მოექცა რევოლუციურად განწყობილ მოწინავე მოსწავლეთა შორის. იგი თავიდანვე გატაცებით კითხულობდა აკრძალულ წიგნებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა ფარულ წრეებში. იგი იყო სემინარიელთა იმ ფარული წრის წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი და რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მაშინ სემინარიის მოსწავლე, მომავალი დიდი რევოლუციონერი, ამ-

ხანაგ სტალინის თანამებრძოლი ლადო კეცხოველი.

სემინარიის ინსპექტორი შავრაზმული ბერი ისიდორე, ზედამხედველები: ივანოვი, პოკროვსკი, სოკოლოვი, ბულგაკოვი, — ეს კაცთმოძულე ანაფორიანი ჟანდარმები, მეძებარ ძალებივით დაგეშილნი, საერთო საცხოვრებლებში და კერძო ბინებზე მოსწავლეებს შუალამისას სისტემატურად თავს ესხმოდნენ და ჩხრეკდნენ. განსაკუთრებული სიმკაცრით დევნიდნენ აკრძალული წიგნების კითხვას. და რა არ იყო მაშინ აკრძალული? დიდი რუსი ხალხის გამოჩენილი მოაზროვნეების, მწერლებისა და მოღვაწეების — ტურგენევის, დოსტოვესკის, ბელინსკის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის, პისარევის, ლევ ტოლსტოის და სხვათა ნათელი გონების ყოველგვარი ნააზრების ამსახველი ლიტერატურა. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სემინარიაში ხომ მომაკედინებელ ცოდვად ითვლებოდა, რადგან მეფის მოხელეები ქართულ ენას „ძალღის ენად“ აცხადებდნენ და დედაენაზე მოლაპარაკე ქართველ სემინარიელ მოსწავლეებს მთელი მრისხანებით დევნიდნენ.

ლადო კეცხოველი და იროდიონ ევლოშვილი ამ დევნის განსაკუთრებულ ობიექტს წარმოადგენდნენ. მათი ჭაბუკური სწრაფვა ველარ თავსდებოდა სემინარიის დახმულ „ბურსაკულ“ ცხოვრებაში და გონებრივი განვითარების ფართო თავისუფალ გასაქანს ეძებდა.

1892 წლის 20 ნოემბერს საღამოს სემინარიის ინსპექტორმა ბერმა ისიდორემ და მისმა თანაშემწემ ვ. ივანოვმა მეექვსე კლასის მოწაფე ვლადიმერ დარჩიაშვილის ბინაზე მოახდინეს ბარგისა და წიგნების ჩხრეკა. ჩხრეკის დროს დარჩიაშვილი ბინაზე არ აღმოჩნდა. მის ბალიშს ქვეშ ნახეს სქელი რვეული, რომელშიაც იყო „საეკვო“ ხასიათის ჩანაწერები, სოციალისტური და მატერიალისტური შინაარსის წიგნების, ბროშურების და სტატიებისაგან საკითხავად შედგენილი კატალოგი, მთელი რიგი ლექსები ქართულ ენაზე და აგრეთვე კალიგრაფიულად დაწერილი ქართული ლექსი სათაურით — „ახალგაზრდებს“.¹

იმ დროს ლადო დარჩიაშვილს ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა გოლა ჩიტაძესთან. გოლა ჩიტაძე იყო იმ დროისათვის ცნობილი რევოლუციონერი-მარქსისტი, ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელსაც გასული საუკუნის 90-იან წლებში თბილისში არალეგალური წიგნთსაცავი ჰქონდა. ამ წიგნთსაცავის საშუალებით მუშებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში ავრცელებდა რევოლუციური ხასიათის ლიტერატურას და აწარმოებდა ფართო პროპაგანდას ფარულ წრეებში. გოლა ჩიტაძე ახლო მეგობარი იყო იმ დროს

თბილისში მყოფი დიდი რუსი მწერლის — მაქსიმ გორკისა.

მოსწავლეთა ფარულ მწიფე მარტაშვილიც სემინარიაში არსებობდა, გოლა ჩიტაძე გარედან აწვდიდა რავოლუციურ-მარქსისტულ ლიტერატურას და უწევდა იდეურ-ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას. ამ ფარული წრის არსებობაზე ექვის მიტანისა და მისი მუშაობის გარშემო წამოყენებულ კვლევა-ძიების პერიოდში გოლა ჩიტაძე უკვე ცოცხალი აღარ იყო. იგი გარდაიცვალა 1892 წლის 11 თებერვალს ქ. თბილისში, მიხეილის საავადმყოფოში.²

დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი თავის მოგონებაში წერდა: „გოლა ჩიტაძე იყო ქართველი გლეხის შვილი, ერთი პირველი პროპაგანდისტთაგანი მარქსიზმისა თბილისის ახალგაზრდობაში და მუშებში. იყო მეტად პოპულარული, განსაკუთრებით მუშებს შორის. ნაცნობობა ჰქონდა ხალხოსან-რევოლუციონერებთან: გამყრელიძესთან, ჯაბადაართან, ლუმატოვიჩთან და სხვებთან. დაძაბული მუშაობის, მეცადინეობისა და შიშხილისაგან ჭკუიდან შესცდა... თავდაპირველად მას მორიგეობით სდარაჯობდნენ ამხანაგები... შემომიხდა ზედიზედ ცხრა დღე გამეტარებინა მასთან — ეს მეტად საძნელო საქმე იყო. რამდენჯერმე სცადა ჩემი მოკვლა... ბოლოს ის მაინც მიიღეს საავადმყოფოში... ხუთი დღის შემდეგ საავადმყოფოს მოსამსახურებებმა კიბიდან გადმოაგდეს გოლა ჩიტაძე. ნეკნის

¹ მაქსიმ გორკისა და გოლა ჩიტაძის ურთიერთობის შესახებ იხ. ეტჩ. „მოლოდია გვარდია“, 1927, № 4

² იხ. საქ. ცენტ. სახ. საისტ. არქივი, ფონდი 440, საქმე № 1272, ფურც. 240 — 244.

¹ იხ. საქ. ცენტ. სახ. საისტ. არქივი, ფონდი 440, საქმე № 1272, ფურც. 240, 244

ძელის ნამტვრევმა გაუქრა მას გული და იგი მოკვდა. ის ზემოთ დაასაფლავეს, დაესწრო ახალგაზრდობა და მუშები“¹.

იროდიონ ევდოშვილი ამ დროს სემინარიის ხელმძღვანელობის მიერ უკვე გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამჟამად გრძნობდნენ, რომ იროდიონი მოწაფეთა ფარული წრის წევრი იყო. ლ. დარჩიაშვილის ბინის გაჩხრეკის მეორე დღესვე, 1892 წლის 21 ნოემბერს, შუალამისას სემინარიის ზედამხედველი ირ. ევდოშვილს ბინაზე თავს დაესხა და გაჩხრიკა. ჩხრეკის შედეგად მას საკუთარი ლექსების რვეული აღმოუჩინეს და ჩამოართვეს.

განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო დაყენებული აგრეთვე სემინარიის მოსწავლე ლადო კეცხოველი. ამაზე მეტყველებს სემინარიის მოსწავლეთა სამეთვალყურეო ქურნალში მრავალი ჩანაწერი².

1893 წლის 9 აპრილს სემინარიის მმართველობისადმი დაწერილ მოხსენებით ბარათში ინსპექტორი ბერი იოანიკი მოსწავლეთა ყოფა-ქცევის შესახებ, სხვათაშორის იროდიონის შესახებაც, წერდა, რომ იგი შემჩნეულია აკრძალული წიგნების კითხვაში³. ცარიზმის შავბნელი ეპოქისათვის დამახასიათებელი ფაქტია, რომ თვითგანვითარებას მოწყურებული 20 წლის ქაბუკი ირ. ევდოშვილი ბელისკის თხზულებათა კითხვის გამო დაისაჯა და ყოფა-ქცევაში „ხუთიანის“ მაგიერ „სამი“ დაუწერეს⁴.

თბილისის სასულიერო სემინარიის მესვეურთა მიერ გაბატონებული რეჟიმი ვერ ითმენდა დამოუკიდებლად და საღად მოაზროვნე ახალგაზრდობას. ყოველი მათი გამოჩენა შიშსა და ძრწოლას იწვევდა რეაქციონურ ხელმძღვანელ-ზედამხედველთა შორის.

ბნელეთის ეს მოციქულები ვისაც შენიშნავდნენ საამისოდ, მათ „მოსაქციანებლად“ მაშინვე იღებდნენ ზომებს, ხოლო ქედმოუხრელებს სემინარიიდან ერეკებოდნენ.

1893 წლის შემოდგომიდან ირ. ევდოშვილი სემინარიაში აღარ იმყოფებოდა. იგი იმ დროს არც თბილისში იყო და არც მისი მონაწილეობის კვალი ჩანს სემინარიის მოწაფეთა გაფიცვაში, რომელშიაც მისი კლასის ამხანაგების უმრავლესობას აქტიური მონაწილეობა მიუღია.

ყოფილი სემინარიელი, მგზნებარე რევოლუციონერი, დიდი სტალინის თანამებრძოლი ლადო კეცხოველი სამი წლით უმცროსი და ერთი კლასით უკან იყო იროდიონ ევდოშვილზე. სემინარიაში სწავლის დროიდანვე ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ და მოსწავლეთა ერთ ფარულ წრეშიაც მეცადინეობდნენ. სემინარიის მესამე კლასიდან „თანახმად თავისი თხოვნით“ იროდიონის გარიცხვისა, რამდენიმე თვის შემდეგ ლადო კეცხოველიც მოწაფეთა გაფიცვის ხელმძღვანელობისათვის სემინარიის მესამე კლასიდან „მგლის ბილეთით“ დაითხოვეს.

აი, ასეთი იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების თბილისის სასულიერო სემინარიაში ის პირობები, რომელშიაც უხდებოდათ აღზრდა, სწავლა, ცხოვრება და ბრძოლა მაშინდელ მოწინავე მოსწავლე ახალგაზრდობას და მათ შორის მომავალ დიდ რევოლუციონერს,

¹ იხ. ეურ. „მოლოდინი გვარდია“, 1927, № 4.

² იხ. საქ. ცენტ. სახ. სისტ. არქივი, ფონდი 440, საქმე № 1348, ფურც. 81.

³ იხ. იქვე, საქმე № 1346, ფურც. 139.

⁴ იხ. იქვე, საქმე № 1267, ფურც. 35.

ამხანაგ სტალინის თანამებრძოლს ლადო კეცხოველს და მომავალში გამოჩენილ პოეტს იროდიონ ევდოშვილს.

ი. ევდოშვილი, სემინარიაში თავიდანვე მოწინავე მოწაფეთა ფარულ წრეში ჩაბმული, ფართო თვითგანვითარებასა და შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა. მან სემინარიაში სწავლის პირველ წლებიდანვე დაიწყო ლექსებისა და ვოდვეილების წერა. მისი სატირული ლექსებისა და ვოდვეილების ხელნაწერი რვეულები სემინარიის საიმედო და სანდო მოსწავლეთა ხელიდან ხელში გადადიოდა, მათ კითხულობდნენ, ეცნობოდნენ და საერთო მოწონებასა და ქებას იმსახურებდნენ. განსაკუთრებით მოსწონდათ იროდიონის ის სატირული ლექსები, რომლებიც მიმართული იყო აღმზრდელების ქურქში გახვეული სემინარიის უსულგულო ჩინოვნიკებისა და „სულიერი მამების“ წინააღმდეგ.

როგორც უკვე ცნობილია, ირ. ევდოშვილი აქტიური მონაწილე იყო მოწინავე მოსწავლეთა იმ ფარული წრეებისა, რომლებიც 1893 წლის დასაწყისიდანვე აწარმოებდნენ სემინარიაში გამეფებულ წესების მოსპობისათვის ბრძოლას და სამზადისს დემონსტრაციის მოსაწყობად.

აშკარაა, რომ ამ პერიოდში დაწერილ ლექსებში: „გუბე“ და სხვა სწორედ იმ წინააღმდეგობათა ანარეკლია მოცემული, რომელსაც სემინარიაში ჰქონდა ადგილი. შემდეგში ეს ბრძოლა 1893 წლის 14 დეკემბერს მოსწავლეთა აშკარა „ბუნტით“ დამთავრდა, რასაც შედეგად სემინარიაში დროებით სწავლის შეწყვეტა და მოსწავლეთა მიმართ სასტიკი რეპრესიები მოჰყვა.

ირ. ევდოშვილის ლექსები — „ვნახე ვარდი კინკრებში ამოსული“, „მთვარე“ და „გუბე“ გადარჩენილი უნდა

იყოს სწორედ მისი ადრეული ლექსების იმ რვეულებიდან, რომლებშიც დამწყები პოეტის მიერ სემინარიის შემადგენლობაში დაწერილი თხზულებები იყო შეტანილი და ხშირი ჩხრეკის შედეგად ჩვენამდე ვეღარ მოაღწიეს.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ ირ. ევდოშვილის მხატვრული პროდუქცია სისტემატურად იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ 1895 წლის 7 მარტიდან 1896 წლის 15 მარტამდე. ევდოშვილმა ამის შემდეგ ლიტერატურული თანამშრომლობა „კვალში“ განაგრძო: ამ დროიდან იგი უკვე „მესამე დასის“ შემადგენლობაში იმყოფებოდა, ევდოშვილის ლიტერატურული და საზოგადოებრივ-რევოლუციური მოღვაწეობა „მესამე დასის“ იდეური გავლენის ქვეშ მიმდინარეობდა.

ამ დროს საქართველოში „მესამე დასი“ ერთადერთი პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იყო, რომელმაც 1893-1898 წწ. ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა.

ყოველკვირეული ქართული გაზეთი „კვალი“ ლიბერალურ-ნაციონალისტური მიმართულებისა იყო. იგი თავის ფურცლებს 1893-1897 წლების განმავლობაში უთმობდა „მესამე დასის“ დამწყებ ლიტერატორებს. 1896 წლიდან „კვალში“ „მესამე დასის“ გავლენა უფრო გაძლიერდა, ხოლო 1897 წლიდან გაზეთი მთლიანად მის ხელში გადავიდა.¹

„მესამე დასში“ შესვლით ირ. ევდოშვილის პოეზიას თითქოს ახალმა სიომ დაჰბერა, ახალი იმედებით აღჭურვა. „კვალში“ თანამშრომლობის და-

¹ ამის შესახებ იხ. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 347.

წყებიდან პოეტის შემოქმედება აღმავლობის გზით წარიმართა. საქართველოში მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის დაწყებასთან ერთად ირ. ევდოშვილის მებრძოლი რევოლუციურა ხმაც მკვეთრად გაისმის, უფრო და უფრო მძაფრდება, იდეურად ყალიბდება და მტკიცდება. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1896 წლის გაზაფხულიდან 1899 წლამდე ირ. ევდოშვილი ბაქოში იმყოფებოდა და ნობელის ნავთის საწარმოთა კანტორაში მუშაობდა.

ირ. ევდოშვილის ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა პრაქტიკულ-რევოლუციურ მოღვაწეობას.

სოციალური თავისუფლების ბრძოლის იდეები მის პოეზიაში 1896 წლიდან მკვეთრად გამოჩნდა და შემდეგ მან უფრო ნათელი სახე მიიღო.

უდიდესი გადამწყვეტი, გამარჯვოლუციურებელი როლი შეასრულა ირ. ევდოშვილზე იმ გარემოებამაც, რომ „მესამე დასში“ 1897 წელს შევიდა ლადო კეცხოველი, ხოლო 1898 წელს ამხანაგი ი. სტალინი, რომლებმაც სიახლე, რევოლუციურობა შეიტანეს ჯგუფის ცხოვრებაში.

„მესამე დასის“ შიგნით 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი — ა. წულუკიძე, ლადო კეცხოველი და ი. სტალინი. ეს ჯგუფი წარმოდგენდა „მესამე დასის“ უმცირესობას, რომელიც მთელ რიგ ძირითად საკითხებში არ ეთანხმებოდა „მესამე დასის“ უმრავლესობას.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ირ. ევდოშვილი ლადო კეცხოველს სემინარიიდანვე იცნობდა და მასთან ახლო მეგობრობა ჰქონდა, ხოლო ი. სტალინს

900-იან წლებიდან უახლოვდება დამისი იდეური გავლენის ქვეშემდინარეობდა პოეტის მხატვრულ-შემოქმედებითი და პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობა.

1898-1907 წლების განმავლობაში ირ. ევდოშვილის შემოქმედება რომ ძირითადად „მესამე დასის“ რევოლუციური მარქსისტული ჯგუფის — უმცირესობის იდეური გავლენის ქვეშ მიმდინარეობდა, ამის უტყუარ წყაროს თვით პოეტის ლიტერატურულ-მხატვრული ნიმუშები იძლევიან.

რუსეთში და ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობის აღმავლობასთან ერთად ირ. ევდოშვილის შემოქმედებაშიც მტკიცდება რევოლუციური ბრძოლისადმი რწმენა და მისწრაფება. პოეტი აღარ სჯერდებოდა თავის პოეზიაში მხოლოდ მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრების რეალურად დამაჯერებელი მხატვრული მძიმე სურათების მოცემას. თანდათანობით მის ლექსებში მტკიცედ გაისმოდა ბრძოლისა და რწმენის ურყევი ხმა. მუშათა კლასისათვის სოციალური ჩაგვრიდან თავის დასაღწევ საშუალებად პოეტს მიაჩნდა „ბრძოლა და მარად ბრძოლა“. რევოლუციური ბრძოლით შეიძლებოდა მხოლოდ მამკერალი ხალხისათვის სანეტარო ცხოვრების მოპოვება.

„მესამე დასის“ რევოლუციურ მარქსისტული უმცირესობის მიერ დასახული ამოცანის გადაჭრისათვის ბრძოლაში ქართულმა პოეზიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამ შემთხვევაში პირველობა ირ. ევდოშვილს ეკუთვნის.

1899 წლის შემდეგ დაწერილ ლექსებში ირ. ევდოშვილი მთელი თავისი პოეტური გატაცებით იძლევა მუშათა მასების რევოლუციური აღზევებისა და თვითმპყრობელობის დასამხობად პო-

ლიტიკური ბრძოლის გაჩაღებისათვის მოწოდებას.

თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის გამარჯვების ღრმა რწმენით აღჭურვილი ირ. ევდომვილი თავისუფლებისათვის მებრძოლთ მოუწოდებს:

ოქვენ, შვეარდენო,
ერის წაღუღე
ნამობნო შეილნო,
ჩაქუჩთან ერთად,
ვით ღვიძლ მასთან
ტანჯვით აღზრდილნო,
ხმა, ხმა ერთმანეთს, გავაყეთოთ ძმური
ფარვალი

და მომავალსა, როგორც იმედს,
მივაპყროთ თვლი.
ნაწროთობი მკლავი და ხელები კოფრებით
საყვე,

ძუძუს მაგიერად
მშობლის ოფლით
გამოყვებულნი,

აი საბუთი გამარჯვების, ჩვენი სიმართლის,
მისთვის მივდივართ რაზმდაწყებით

გალომებულნი!

ხმა, ხმა ერთმანეთს, შვეარდენო ჩემის

ჭეხუნისა,

მძიმეა ტვირთი, მსხვერპლს თხოვლობს

გოლგოთის ჯვარი.

აჰა, ინათა, ცის ტატნობზე მახარობელი,

სხვი მადლიანი, ამოცურდა ჩვენი ცისკარი!

(„დაღლილ-დაქანცული“...).

ეს ლექსი 1899 წლის საპირველმანისო მუშათა მოძრაობის აზვირთების უშუალო გავლენით არის დაწერილი.

1900 წლის აგვისტოს ამხანაგ სტალინის ზელმძღვანელობით ჩატარებულმა თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა გრანდიოზულმა გაფიცვამ მუშათა მასების ახალი რევოლუციური აღტყინება გამოიწვია.

ირ. ევდომვილი იმ დროს უკვე თბილისში იმყოფებოდა და ყველაფერი ეს

მის თვალწინ ხდებოდა. ცხადია, იგი უშუალო მოწმე და მონაწილე იყო ამ დიდი პოლიტიკური ამბებისა. პოეტი ამ ამბებს აქტიურად ეხმარებოდა და თავისი მებრძოლი პოეზიით ხელს უწყობდა მუშათა მასების რევოლუციური განწყობილების გაღვივებას.

1900 წელს ამხანაგ სტალინის ზელმძღვანელობით ჩატარებულ საპირველმანისო მიტინგებისა და მუშათა პოლიტიკური აღმავლობის უშუალო გამოძახილი იყო ირ. ევდომვილის მალაქლი ოპტიმისტური ტონით დაწერილი ლექსი „სიმღერა“ („სიმღერა მანისის ლამეს“) ¹.

შემთხვევით არ იყო, რომ ირ. ევდომვილმა ამ ლექსს სათაურად სიმღერა უწოდა. მუშათა მოძრაობის აზვირთებით აღფრთოვანებულმა პოეტმა მართლაც მთელი გულის სიღრმიდან ამოიმღერა:

რაც უნდა ღამე იყოს ბნელი,
ცა ღრუბლებით მოიჭედოს,
არსად სიანდეს ვარსკვლავები,
მთვარემ გზა ვერ გაიკვლიოს:
მინც ველით განთიადსა,
არ შედარება ჩვენი გული,
უკვე აღმა ქარისხალი
განთიადის მოიქცული!

მიუხედავად ბნელი ძალების მძვინვარებისა, პოეტი მინც ელოდებოდა ცხოვრების განთიადს, როცა „ღამე ბნელი“ გაიბნეოდა და მზის სხივებზე აყვავებული მთა და ველი შეიმკობოდა.

თვალწარმტაცი და საამაყო ქართველი პოეტის ცხოვრებაში ის გარემოება, რომ, როცა მეოცე საუკუნის გარიგრაზე პროგრესული კაცობრიობის დიდი

¹ ლექსი ავტოგრაფში დასათაურებულია: „სიმღერა მანისის ლამეს“. დაწერილია 1900 წლის პირველ მანის.

შელადი და მასწავლებელი ი. სტალინი თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ თბილისის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშათა დემონსტრაციას წინ მიუძღოდა, იროდიონ ევლოშვილი პოეზიის მგზნებარე ცეცხლით მუშათა მასებს გულს უნთებდა:

მოახლოებული რევოლუციის ტალღებით გატაცებული პოეტი დასძახოდა:

მისთვის ემდობო ბნელშია.
რომ გვიჩანს ველზე წყლული.
რომ ბანს გვაძლევს ქარიშხალი!
განთიადის მოციქული!

ირ. ევლოშვილის ლექსები აღსაყვანი იყო მებრძოლი რევოლუციური სულის, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში მომავლის გამარჯვების ღრმა რწმენით.

ქართულ მხატვრულ პოეზიაში ირ. ევლოშვილი მუშათა რევოლუციური დღესასწაულის — პირველი მაისის პირველი მომღერალია.

ირ. ევლოშვილის ამ წლების მხატვრულ შემოქმედებაში უმთავრესად აისახა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მუშათა რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი და აღმავლობა.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთი მხრით, ქართველი მშრომელი ხალხის შეგნების ამოღებისა და გათვითნობიერებისათვის, და, მეორე მხრით, ირ. ევლოშვილის პოპულარობის სწრაფი ზრდისათვის მკითხველთა ფართო წრეებში.

ირ. ევლოშვილის რევოლუციურ-ლიტერატურულ ცხოვრებაში საყურადღებო ფაქტია აგრეთვე რომ პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ, როდესაც ბრძოლა პარტიის შიგნით ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა და გაზეთი „კვალი“ ქართველი მენშევიკების ორგანოდ იქცა, მან 1903

წლის აგვისტოდან სრულიად გაწყვეტა კავშირი „მესამე დასის“ უმცირესობასთან, „კვალის“ რედაქციაში მუშაობა მიატოვა და ლიტერატურული თანამშრომლობაც შეწყვიტა.

ამ გარემოებას თავისი ღრმა იდეურ-პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, რაც უფრო ნათელი ხდება მაშინ როდესაც გავითვალისწინებთ პოეტის იმდროინდელ ლიტერატურულ-რევოლუციურ მოღვაწეობას. ეს მოღვაწეობა მიმდინარეობდა მესამე დასის უმცირესობის ლ. კეცხოველისა და ი. სტალინის უშუალო გავლენითა და ხელმძღვანელობით.

900-იან წლების ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში სოციალდემოკრატიული მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას მოჰყვა რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობის სასტიკი რეპრესიები, რამაც რევოლუციონერების საუკეთესო ნაწილი მსხვერპლად შეიწირა, მრავალიც სამშობლოდან განდევნა ციმბირის შორეულ მხარეში.

1903 წლის 17 აგვისტოს ცარიზმის ჯალათებმა მეტეხის ციხეში ვერაგულად მოკლეს რევოლუციონერი ლადო კეცხოველი. იმავე წლის 2 ივნისს პოლიტიკურ პატიმართა გადასახლების გამო, მიუხედავად სასტიკი ზომებისა, კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით თბილისის სადგურზე მოეწყო მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. ამ დიდი პოლიტიკური ამბების შესახებ რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტი 1904 წლის პროკლამაციაში წერდა: „ერთი მსხვერპლი კიდევ შეიწირა რუსეთის მთავრობამ! ერთი ზეარაკი კიდევ დაიკლა თვითმპყრობელობის ისედაც სისხლით შეღებილ საკურთხეველზე! ერთხელ კიდევ გვიწევს შურის საძიებლად თებქვეშ გათელილი გრძნობა ხალხისადმი სიყვარულისა! ჯერ კიდევ თვალწინ გვიდგია ძვირფასი ამხანაგები, რომელნიც შარშან ზაფხულში დაამორჩეს სა-

ყვარელ საქმეს და აღმოსავლეთ ციმბირის ცივსა და მივიარდნილ კუთხეებში მიფანტ-მოფანტეს! ჯერ კიდევ ყურში გვიწივის იმათ მშობელთა და ნათესავთა უსაზღვრო მწუხარება, რომ მათი საიშვ-ლო და სასიქადულო შვილები, თავისუფლებისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მებრძოლნი, შეუბრალებლად მოგლიჯეს გულიდან! ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა მეტეხის ცივი და ნოტიო ოთახები ჩვენ ამხანაგთაგან, რომ თვითმპყრობელმა მთავრობამ მაისობისა და, შეიძლება, კიდევ უფრო მრისხანე ამბების მოლოდინში ერთი მაგარი მუჯ-ლუგუნი კვლავ უძღვნა რუსეთის შეგნებულ პროლეტარიატს¹.

პროკლამაციაში აღნიშნული ვითარების მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენს იმავე პერიოდში დაწერილი ლექსები ირ. ევდოშვილისა: „კავკასიის მთას, ნისლით მიმოცულს“, „გაზაფხულმა შემოგვცინა“, „ტყე გმინავს“, „წერილი მეგობრებთან“, „პირველი სხივი“.

ბრძოლის ცეცხლით ანთებულმა პოეტმა ლექსში „გაზაფხულმა შემოგვცინა“ მხნედ გვამცნო, რომ „მკლავი ისევ გაიშალა, გულს აღიგზნო ცეცხლისლი“. რადგან, როგორც ეს ზემოაღნიშნულ პროკლამაციაში იყო ნათქვამი, „ყოველი წვეთი სისხლი ჩვენ ამხანაგთა, დანთხეული ბრძოლის ველზე, კიდევ უფრო აგვიტოკებს გულს საბრძოლველათ, გვაიძულებს კიდევ უფრო მხნედ შევებრძოლოთ თავისუფლებისათვის! ყოველი ხმალი ხალხის ჯალათთა, ჩვენს ამხანაგთ წინააღმდეგ მიმართული, კიდევ უფრო გაგვასალკლდევენს, კიდევ უფრო მხნედ შეგვაბრძოლებს თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულთ“².

პოეტიც, გაზაფხულის მოახლოებით აღფრთოვანებული, თავის ჩანგზე მხატვრულ-ალეგორიულ ფორმებში შექმნა დამღეროდა:

... იმის მამაც ფერად დროშას
ზამთრის მსხვერპლი უაღერსებს,
თუმც მსხვერპლია, მაგრამ მაინც
იას და ვარდს გულს გვაქვსებს.
თან გვახარებს: სამართადან
მე გახარებთ ალღომასო,
სიმები არ დასწყვეტია
სამარეში გულის ჩანგსო!
ყური უფდეთ იმის წერალს,
ყური უფდეთ იმის პანგსო...
ვაშა, ვაშა გაზაფხულსა,
ვაშა ისევ ალღომასო!

d

ირ. ევდოშვილი უკვე გარკვევით ხედავდა მუშათა მოძრაობის მძლავრ აღმავლობას, 1905 წლის რევოლუციის გარიყარეს. ამის გამო გაბოროტებული ცარიზმის მრისხანებას პოეტი ალეგორიულად ლექსში — „ტყე გმინავს“ ამბობს:

ცა იცემლება, მეღვარი,
მთას დასცემია წვეროზე;
გაბრაზებულა ვეშაპი,
ღვართაფსა გზაენის მღვლოზე.

ხალხის ფართო მასების ნებისყოფაც მტყიცეა და გაუტეხელი. იგი აღარ ებუება „გაბრაზებულ ვეშაპს“ — მეფის მთავრობას, და თვითონ ემუქრება მას:

ტყე გმინავს... ფოთოლს ფოთოლი
ტყემღებს უგზაენის ცურვითა
ტყე გმინავს... ტყე ეგებება;
პარიშხალს სიყვარულითა.

ხალხის რევოლუციურ წინააღმდეგობას მეფის მთავრობა სასტიკად უსწორდება. უთვალავ მსხვერპლთა შორის საგრძნობი იყო სამშობლოდან განდევნილთა რიცხვი, მაგრამ ამით ირ. ევდოშვილი არა დრკებოდა, პირიქით, რაც დრო გადიოდა, მისი მებრძოლი პოეტური ბუნებაც უფრო მეტად იწრთობოდა. მან სრული შეგნებით იცოდა,

¹ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ. წ. 1939, გვ. 12.

² იქვე, გვ. 13.

რომ „გახატულის მოსელა“ არ შეიძლება იყოს მხოლოდ კეთილი სურვილებით. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ შეუპოვარი, რევოლუციური ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ. ლექსში — „პასუხი კეთილის მსურველს“ პოეტი იძლეოდა მებრძოლი ადამიანის განწყობილებას. იგი უკვირებდა მათ, ვისაც ბედის ეშინოდა, ვინც ბედის წინაშე მონურად თავს იხრიადა და შიშით კრთოდა. მისი რწმენით, „ის მხალაია, ვინც რომ შიშით გაინაბა, დაიძინა“. მათ იგი ზიზლით უყურებდა, რადგან ბედისადმი პასიური მორჩილება პოეტისათვის უცხო და მიუღებელი იყო.

„მონა არ ვარ, — ამბობდა პოეტი, — რომ მტარავალსა მოუხარო დაბლა ქედი“. მას სურდა, რომ მომავალი მხოლოდ ბრძოლით გამოეყვება. პოეტი გადაჭრით ამბობდა:

ცხოვრებისა გუგუნ-გრაღს
შეუფრთებ ჩემს გულის მებს;
ზიზლით გავეცმ მე პასუხსა
მედიდურებს, მძლავრ-უკმეხებს.
და ამიტომ ჩანვს დავმღერო:
„არა ვდრკები ბედის წინა.
სირცხვილი მას, ვინც რომ შიშით
გაინაბა, დაიძინა!

დაიწყო 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები. ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აზვირთდა მუშათა კლასი. „მეფის თვითმპყრობელობისათვის დაპყრა მრისხანე საბედისწერო ეპიპო, — წერდა სტალინური პროკლამაცია 1905 წლის 12 იანვარს, — ახლოვდება ჩვენი მონობის, უფლებობის, ურცხვი და თავშეუკავებელი ექსპლოატაციის დასასრული, ინთება ახალი ცხოვრების განთიადი და პროლეტარიატის სისხლიანი დროშა, რომლის გამო თრთის დესპოტებისა და ექსპლოატატორების გული“¹ მუშათა კლასის რევოლუციური ძალები დაიძ-

რა მეფის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ირ. ევროპელი ვც ბრძოლის ქარტეხილში ტრიუმფებდა. მწვენი და სიტყვით იგი ქართველ მშრომელ ხალხს მოუწოდებდა რუსეთის მუშათა კლასთან ერთად მხარდამხარ ებრძოლა ხალხის უბოროტესი მტრის — მეფის წყობილების დასამხობად.

მისი ლექსები: „საფლავიდან“, „ამირანი“, „ციხეში“, „იერუსალიმი“, „ჩემს მტერს“, „ჩონგურს“, „თავისუფლება“, „დუბინუშკას მაგიერ“ და სხვ., ქართველ მშრომელ ხალხში აღვივებდა თვითმპყრობელობისადმი, სიძულვილს, მის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის წყურვილს, თავდადებებს და მომავლის მტკიცე რწმენას.

ლექსი „ამირანი“ მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის მანძილზე ამირანი — სიმბოლო ხალხის თავისუფლებისა, საუკუნეების მანძილზე კლდეზე იყო მიჯაჭვული. გარს წყვილიდი ეხვია, ქვეყნად აღქაჯნი დანავარდობდნენ თავს სვავები დატრიალებდნენ, გულს უკორტნიდნენ და „სისხლის ღვართქაფი დგებოდა“. მაგრამ დადგადრო სანატრელი, როდესაც ხალხი აღდგა. აზვირთდა ცარიზმის გასანადგურებლად:

ყალზე შემდგარა ცისკარი,
ლილით გასცქერს განთიადს.
შექურა ზეწარს აფარებს
მწუხარე ღამის ხეშაილს.
იფეთქა აღმოსავლეთი
წითელი დროშა გაშალა
და თავისუფლს ამირანს
სხივები გადააყარა!

„დიახ. იზრდება ხალხის მოძრაობა. იზრდება რევოლუციური ტალღები, და იმტერევა მეფის ბორკილები — წერდა ამხანაგი სტალინი 1905 წლის 23 მარტის პროკლამაციაში. — ტყუილადღა ცდილობს იმ დაპირებითა და თავზე ხელის გადასმით მოიხზროს მუშა-ხალხი გვიანღა. მუშა ხალხს ეზიზლებ:

სისხლით შესვრილი მეფის მთავრობა და ის მოსპობს მას... შევემსროთ მეფის ტახტი“.¹

მეფის ძალა-უფლების შესამუსრავად მომწოდებელი ამ პროკლამაციის შემდეგ დაიბეჭდა ი. ევდოშვილის ლექსი — „ჩემს მტერს“. შურისძიებით ანთებული პოეტი ამ ლექსით თვითმპყრობელობას ასე მიმართავდა:

აბა, დახედე ამ ჩემს წულუღებსა
შენ, ჩემო მტერო, აწ კი მასხარავ,
შენ მონობაში გაკაუდა მკლავი,
აწ ველარ მოხრი, ვერ გადასძალავ!
დიდი ხანია, შენ ფეხქვეშ ვაგდებ,
არ შეისმინე ცრემლი, მუღარა...
დათვალე დღენი, ჩადის შენი მზე,
სადამო კუბო დაგისუღარა.

რევოლუციური მოძრაობას შეუწყო ირ. ევდოშვილმა თავისი პოეტური ჰანგები; აპყვა მის მაჯისცემას და მთელი გატაცებით გადაეშვა ბრძოლის ქარცეცხლში. რევოლუციის ქარიშხალზე ამღვრებულმა პოეტმა მომართა თავისი ჩანგი და ამ ჩანგის ჰანგები გულაგზნებულ მუშათა მასებს მოუწოდებდა ძველი სამყაროს დანგრევისაკენ (იხ. ლექსი „ჩონგურს“).

ირ. ევდოშვილი ამ პერიოდში უშუალოდ იმყოფებოდა რევოლუციური მოძრაობის ცენტრში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დავალებით, ირ. ევდოშვილი ჯარის ნაწილებში არაღებულ მუშაობას აწარმოებდა. ამასთან ერთად ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა მისი რევოლუციური ბრძოლის წყურვილით გაღვნილი ფელეტონები, რომლებიც უბასუხებდნენ მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებს.

ირ. ევდოშვილი თავის ფელეტონებში უდიდესი მღელვარებით ააშკარავებდა მეფის თვითმპყრობელობის ში-

ნაგანი ძალების გაკოტრებას და უსუსურობას.

ამხანაგ სტალინის მიერ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში დაწერილი პროკლამაციები და პარტიულ-პოლიტიკური სტატიები იყო სახელმძღვანელო და მასაზრდოებელი იდეური წყარო, ირ. ევდოშვილის პოლიტიკურ-რევოლუციური და ლიტერატურული მუშაობისა.

1905 წლის 19 ოქტომბერს ამხანაგი სტალინი პროკლამაციაში — „ყველა მუშას“ წერდა: „რევოლუცია გრგვინავს! რუსეთის რევოლუციური ხალხი ყალუხე შედგა და საიერიშოდ შემოიფრტყა მეფის მთავრობას! ფრიალებს წითელი ღროშები, შენდება ბარიკადები, იარაღს ისხამს ხალხი და იერიშით მიდის სახელმწიფო დაწესებულებებზე. კვლავ გაისმა მამაცი ყვირია, კვლავ ამღვრდა მიყურებელი ცხოვრება. რევოლუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებისაკენ გაეშურა. ამ გემს რუსეთის პროლეტარიატი ხელმძღვანელობს“¹.

ირ. ევდოშვილმა ამ პროკლამაციის იდეურ საფუძველზე იმავე წლის 11 დეკემბერს გაზ. „ივერიამი“ გამოაქვეყნა ფელეტონი „სადღესო ტალღებზე“. პროზის ამ მშვენიერ ნიმუშში ავტორმა მოგვცა მხატვრული სურათი მეფის მთავრობის წინააღმდეგ დაწყებული რევოლუციურ ბრძოლისა.

პოეტი წერდა: „უკვე ყრულ ისმის ზღვის წიაღიდან ზვირთების დუღენი. ისინი აქეთ-იქეთ ერწევიან. ატოკებენ ერთმანეთს, რომ შემდეგ საერთო ხმით დაივრგვიანონ, ამოხეთქონ ზღვის ზედაპირი და მოშლილი გემი, რომელიც ძლივსღა ამუშავებს მანქანას, მიღეწ-მიამტერიონ“.

ირ. ევდოშვილის ღრმა რწმენით, თვითმპყრობელობის მოშლილი გემი-

¹ ი. ევდოშვილი, გვ. 120

¹ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 180.

დასაღებავად არის განწირული და მოახლოებულია ფაში „დიდი ავზაკების“ ჩასაქოლავად.

1905 წლის განმავლობაში მეფის მთავრობამ რევოლუციური მოძრაობის დასუსტების მიზნით რუსეთის იმპერიის ცენტრებში გააღვივა ეროვნული შელლი. მეფის მთავრობამ, ისარგებლა რა ზოგიერთი ბნელი, შეუგნებელი ელემენტის ჩამორჩენილობით, მთელ რიგ ქალაქებში მოაწყო ძმათა მკვლელობი ომი. „გასთიშე და იბატონე — ასეთია მეფის მთავრობის პოლიტიკა. — წერდა ამხანაგი ი. სტალინი. — მოქალაქეთა სისხლითა და ცხედრებით ცდილობს იგი გაამაგროს თავისი საზიზღარი ტახტი! ბაქოში მომავლად სომეხთა და თათართა კენესა; ცოლების, დედების, ბავშვების ცრემლი; სისხლი, უდანაშაულოდ დაღვრილი, სისხლი პატიოსანი, მაგრამ შეუგნებელი მოქალაქეებისა; შეშინებული სახეები უმწეო ადამიანებისა, რომლებიც გარბიან, რომ სიყვდილს გადაურჩნენ; დანგრეული სახლები, გაძარცვული მალაზიები და ტყვიის საშინელი განუწყვეტელი ზუზუნი, — აი რით ამაგრებს თავის ტახტს მეფე — პატიოსან მოქალაქეთა მკვლელი“¹.

ამ დროს სამხედრო სამსახურში, განჯაში, მყოფმა ირ. ევდოშვილმა მეფის მთავრობის მიერ მოწყობილ ძმათა სისხლისმღვრელ ამბებს მიუძღვნა ფელეტონი „თვლით ნანახი“², სადაც პოეტმა მართალი და საზარელი სურათი გადაგვიშალა.

ირ. ევდოშვილის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია პოლიტიკურ სატირას. მისი სატირაც უმთავრესად მიმართული იყო მეფის ბიუროკრატიული წყობილების წინააღმდეგ. პოეტის ხელში სატირა იყო ის მძლავრი იარაღი, რომლითაც დაუნდობლად ებრძოდა

მშრომელი ხალხის მტრებს, მათდამი სიძულვილს ზრდიდა მასტებოყედო „მეფე ხელს უწყობდა რევოლუციური ბრძოლის გაღვივებას.

ირ. ევდოშვილის პოლიტიკურ-სატირული ლექსები — „სააღდგომო სუფრული“, „ვაი ჩვენ თავს“, „გაეასვენოთ ჩემი ბიძა“, „შემოკრბით, ძმებო (ეუძღვნი ბიუროკრატიას)“, „ბიძიას“, „უნებური მოგზაურობა“, „ბიძა ჩემის ქორწინება“ ეხმაურებოდნენ იმ დროისათვის მეტად აქტუალურ საკითხებს.

ირ. ევდოშვილის ლექსი „შემოკრბით, ძმებო“ გამოქვეყნდა 1905 წლის 20 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც „ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ, რომელმაც ცხადყო პროლეტარული მოძრაობის ძალა და ძლიერება, თავზარდაცემული მეფე აიძულა გამოსულიყო 17 ოქტომბრის მანიფესტით“¹. მიუხედავად ამისა, ეს მაინც ხალხის მასების მოტყუება იყო, რადგან შემდეგ მეფემ იგი თვითონვე უარყო. ამის შესახებ ამხანაგი სტალინი წერდა: „მთავრობამ დასთმო მან გამოსცა მანიფესტი, რომლითაც გამოაცხადა სიტყვის, კავშირების, კრების თავისუფლება და პიროვნების ხელუხლებლობა.

მაგრამ, ამხანაგებო, მეფეს ჩვენთვის თავისუფლება არ მოუცია. მან მხოლოდ ქალაღი გვითავაზა. რაც ამქალაღზე ეწერა, აქედან მას არაფერი არ შეუსრულებია“².

ამ პოლიტიკური ვითარების გამო იყო სწორედ, რომ პოეტი მეფის მთავრობის წინააღმდეგ დაწერილ სატირულ ლექსში — „შემოკრბით, ძმებო“ პირდაპირ ამბობდა, რომ მეფემ „დაჰკარგა ტვინის დავთარი“ მეფის მიერ 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შესა-

¹ ი. სტალინი, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე ეტრის, 1948, გვ. 100.

² ამირკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წწ. 1939, გვ. 191.

¹ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 80.

² ვაზ. „ივერია“, 1905, № 222, 223.

ხებ პოეტი წერდა, რომ მას, მეფეს, „გუშინ რაღაცა სიტყვა წამოსცდა“, მაგრამ „დღეს სულ აურია, უკან წაიღო თავისი ნასაზრიო“. აქედან გამომდინარე, პოეტი სატირულ ფორმებში იძლეოდა პოლიტიკურ მოვლენათა ვითარების მიმოხილვას და აკეთებდა გარკვეულ დასკვნას.

როგორც თქვენც ხედავთ, აღარ მენდობა სხანს აღარ ასოვს თვისი ანდერძი და შართალია, რომ ერთნაირად გადუტრიალდა მას ტინის ღერძი! შემოკრბით, ძმებო, და ჩემთან ერთად იტირეთ, მოსთქვით თქვენც გლოვის ზარი ზიძა, რა ზიძა მე გამოვიცდა, მთლად არეგია ტინის დაეთარი!

ცნობილია, რომ მეფის მთავრობამ მეორე სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა 1907 წლის 3 ივნისს და გამოსცა კანონი III სახელმწიფო სათათბიროს არჩევის შესახებ. ეს პოლიტიკური ამბავი გაიხადა პოეტმა თავისი სატირის თემად და 1907 წლის აგვისტოს გამოაქვეყნა ლექსი სათაურით: „ბიძაჩემის ქორწინება“. მესამე სახელმწიფო სათათბიროს, რომელსაც არაერთარი სიკეთის მოტანა არ შეეძლო ხალხისათვის, პოეტმა მესამე ჩარტუზიანა უწოდა. პოეტი წერდა:

გვიჰყვია ზიძა ჩემი,
მით ავირეგებს მთელს ქვეყანას.
დღეს მესამედ ის აპირებს
ქორწილსა და ჩარტუზიანას!

ირ. ევდოშვილი თავის „ბიძას“, რომელსაც „ბედი არ ჰქონია“, უსურვებს, რომ მალე მიწას მიებალოს. „მაგრამ ბიძა გულს არ იტეხს“, და მესამედ „ემზადება საქორწილოდ, პატარაძალი სურს შორაჩილი, სუფთა, ტკბილი, უპირაზილოდ! ენახოთ, რითი გათავდება ეს მესამე ჩარტუზიანი; მე კი მგონია, ბიძას ცხვირზე დააჯდება კვლავ კრანაა“.

სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულების საკითხში ირ. ევდოშვილი მთლიანად იზიარებდა ბოლშევიკურ ტაქტიკას. ეს გარემოება კი ნათელია ამ

თემაზე დაწერილი თხზულებებით, რომლებიც გამოქვეყნებულია ლეგალური ბოლშევიკური პრესის „ფურცლებში“.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში შექმნილი ბოლშევიკური პროკლამაციების იდეურ-პოლიტიკური აზრი და შინაარსი განსაზღვრავდა ირ. ევდოშვილის ლიტერატურულ მუშაობას. განსაკუთრებით ეს იგრძნობა 1901 — 1907 წლებში დაწერილ ლექსებში, ფელეტონებსა და პროზაში.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, შავი რეაქციის გამეფების პირველ წლებში (1906 — 1907 წ.წ.) ევდოშვილმა შეინარჩუნა თვითმპყრობელობაზე საბოლოო გამარჯვების ღრმა რწმენა. იმდროინდელი მისი თხზულებები, რომლებიც ქართულ პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა, გამოხატავდა თუმცა დროებით ბრძოლაში დამარცხებულის, მაგრამ ქედმოუხრელის, მომავალში მტერზე გამარჯვებულის ოპტიმისტურ განწყობილებას. მშრომელი მასების აოხრებისა და რბევის მიძიმე სურათებს. ევდოშვილის ლექსებს მასებში შეჭქონდა სიმხნევე, ვაჟაკური სიმტკიცე, თავისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელების დაუსრულებელი წყურვილი. იგი იმავე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით არსებულ ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში. აქ იბეჭდებოდა ირ. ევდოშვილის ლექსები და პოლიტიკურ-სატირული ხასიათის ვოდვილები, რომლებსაც აქტიური მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელი მასების კლასობრივი შეგნების ამაღლებისა და საბრძოლო განწყობილების გაღვივებისათვის.

ამხანაგ სტალინის პროკლამაციებით შთაგონებულმა ირ. ევდოშვილმა მასების წინაშე რადიკალურად დააყენა თვითმპყრობელობის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამის საუკეთესო! მაგალითს წარმოადგენს ლექსი „ბიუროკრატია“.

ამ ლექსში პოეტი მთელი მრისხანებით თავს ესხმოდა მეფის მთავრობას:

პარისპირ ედგეაო, ჩვენო მტარვალო,
ჩამოგხადა ნიღამ-საფარო,
ან შენ, ან ჩვენა! უნდა გადაწყდეს,
აქ, სხვა გზა-შეელა შენთვის არ არი!
...არა, გათავდა, გეთულება დღენი,
გადაჰყე ღამის სიწყვდიადესა,
დაგვტუნე, ჩვენო სიმღერავ,
ლულო და ბურთი ჩვენია დღესა!
...აჰა, ღრუბლებით კი ივრავნება,
მალე იქეშებს, მამ დავეშალოთ,
განთიადისვენ მამაკი მკლავით
გზა გაიტანოთ, გზა გაიეკაოთ!

ამ ლექსის მეორე ნაწილში პოეტმა სააშკარაოზე გამოიტანა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ყველა ის, ვინც შეიარაღებულ აჯანყებას უარყოფდა.

პოეტმა სასტიკად დასცინა სწორედ იმ „მამულიშვილთ“, რომლებიც „ქოხტად, ღამაზად გამოწყობილნი, გულთ სხვაგანა, სიტყვით კი ჩვენთან, მშისმარა, მხდალნი ხალხის „ძმობილნი“ — იმალებოდნენ დარბაზთა ბჭეში“. ჩვენ არ გვეჩონია მათი იმედი, — ამბობდა პოეტი — რადგან მათ ყოველთვის აკრთობდა ტყვიის ზუზუნი, ხმა ზარბაზნისაო.

ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში უდიდესი ლირიკული სითბოთი და სიყვარულით არის წარმოდგენილი მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთა გმირული სახეები. მათი უკვდავი მაგალითებით პოეტი ამხნევებდა და ასწავლიდა მასებს, თუ როგორ უნდა საერთო საქმისათვის თავდადება და ბრძოლა. მისი ჩანგი უმღეროდა რევოლუციის ერთგულ ჯარისკაცებს, შეუპოვარ უშიშარ გმირ-ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირეს ხალხის საერთო საქმეს.

ასეთ გმირთა შორის პოეტმა უდიდესი სიყვარულითა და ლირიკული სითბოთი დაგვიხატა გამოჩენილი პოლი-

ტიკური მოღვაწისა და დიდი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის შემოღობილური სახე.

გიგლეჩიოთეკა

ირ. ევდოშვილმა ლადო კეცხოველის ნათელ ხსოვნას უძღვნა ლექსი „გმირის საფლავზე“. ეს ლექსი წარმოადგენს მნიშვნელოვან მხატვრულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს პოეტის შემოქმედების იდეურ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას და აქტუალობას პირველ რევოლუციის პერიოდში. მით უმეტეს ეს გასაგები იქნება მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრევე, ჯერ ისევ სემინარიიდან, ირ. ევდოშვილმა ლადო კეცხოველთან ერთად მხურვალე მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა ფარული წრეების მუშაობაში. შემდეგ, 900-იანი წლების დასაწყისიდანვე, მისი უშუალო იდეური გავლენითა და ხელმძღვანელობით აწირობებდა პოეტი პოლიტიკურ და ლიტერატურულ მუშაობას. მის მიერვე დაარსებულ პირველ არალეგალურ ბოლშევიკურ ქართულ გაზეთ „ბრძოლაში“ პოეტმა მიიღო აგრეთვე მხურვალე ლიტერატურული მონაწილეობა.

მეფის მთავრობის მიერ ლადო კეცხოველის ვერაგული სიკვდილი ირ. ევდოშვილმა, მწვავედ განიცადა. კეცხოველის სახით პოეტმა დაკარგა იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელი, ახლო მეგობარი, რომელიც შექურასავით უნათებდა გზას და სიცოცხლეს და აქტუალობას აძლევდა მის პოეზიას.

ლადო კეცხოველის მუხანათური სიკვდილით აღშფოთებული პოეტი წერდა: „აჰამეს, მოკლეს, სხვაც ბევრი არი ჩვენ ამხანაგთა ველზე სამარე“. მისი ფიზიკური სიკვდილით „უგულო მტერმა გაიმარჯვა“, მაგრამ „მისი საქმენი, საღიღებელნი, არა კვდებიან, გმირის ადგილას თავგანწირულნი ისევე გმირნი იბადებიან!“

ირ. ევდოშვილი გმობდა ყველას, ვინც რევოლუციური ბრძოლიდან უკან იხეცს. პოეტს ეს მიაჩნდა სამარცხვი-

ნოდ და ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა საფლავების შემბლალეულად. მისთვის შეუძლებელი იყო უკან დახევა. როდესაც ამას წერდა, პოეტს უთუოდ მხედველობაში ჰქონდა მეტეხის ციხიდან ლადო კეცხოველის მიერ ძმისადმი გაგზავნილი წერილის შინაარსი. ამ წერილში ლადო თავის ძმას სწერდა: „...იცი, რომ აღარა მაქვს უკან გამოსასვლელი გზა, და კიდევაც რომ მქონდეს, დარწმუნებული ვარ, ეხლანდელ დროში შენვე პირველი შემაფურთხებ, თუ გაფიქრებითაც კი გავიფიქრე უკან დახევა და ჩემი აქამომდე წმინდათა-წმინდის გადაქელვა. მამ ბრძოლა! ბრძოლა!.. და თუ ამ ბრძოლაში წავიქცევი, ნუ იღარდებ: ყოველი საქმე და, მით უმეტეს, თავისუფლება მსხვერპლსა თხოულობს“.

ი.რ. ევდოშვილი თვითონაც მთელი სიმტკიცით წერდა:

არა და არა მათშია ძალა,
თავგანწირულად ვინც რომ ცვდებთან,
ჩვენი დროისი ქვეშ, წითელ დროისი ქვეშ
ვინც იბრძოლებენ, არ შედრკებთან!
შურისძიება დაუნდობელი!
აქ სხვა გზა-შველა მეტი არ არი.
ჩქარა, აივსო ტანჯვის ფრალა,
ჩქარა, ბრძოლისა ჩამოვერათ ზარი!

ცხადია, ეს არ იყო მხოლოდ ლიტონის სიტყვები! ეს იყო პოეტის გულის სიღრმიდან ამოძახილი, მისი იდეური მრწამსი, რაც აძლევდა შინაარსს ი.რ. ევდოშვილის შემოქმედებას. წითელ დროშას, რომელსაც თავისი ნათელი, ახალგაზრდული სიცოცხლე შესწირა უპკნობმა რევოლუციონერმა ლადო კეცხოველმა, ი.რ. ევდოშვილიც გატაცებით უმღეროდა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს აგრეთვე ლექსი — „წითელი დროშა გავშალოთ!“ ამ ლექსის მასებისადმი ძლიერი მომწოდებელი საბრძოლო ჰანგები მკვეთრად გაისმოდა:

გავშალოთ წითელი დროშა,
წინ, წინ გავსწიოთ შტორხებს!
მას უყვარს თავისუფლებას
ვინც მიდის ბრძოლის ველზედა.

პოეტი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მშრომელი ხალხის თავისუფლება გაიმარჯვებს, „ძმობა, ერთობა და უმანკო წმინდა სიმართლე“ მალე აღდგება.

ი.რ. ევდოშვილის რევოლუციურ მხატვრულ პროზაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოველა „ციხეში“, რომელიც გამოქვეყნდა 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში.

ნოველის გმირი — თავისუფლებისათვის მებრძოლი, ციხეში გამოშწყვედი — რკინის ფანჯრიდან განთიადისას დაჰყურებდა მის თვალწინ გადაშლილ ქალაქს. ამ დროს ქალაქის „ქუჩებში ხალხი სანთლებით ხელში მიდი-მოდიოდა“ და „ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ აღდგომის დიდებულ დღესასწაულს“. ამ საზეიმო სურათის შემხედვარე ღრმა ფიქრებში წასული ტუტალი ხედავდა ხალხის „მოტყუებულ ოცნებას“. სინამდვილეში კი ხალხს სწყუროდა ნამდვილი ძმობა, ერთობა, სიყვარული, თავისუფლება და არა ყალბი მოჩვენებითი ჭეშმარიტება „ქრისტეს აღდგომისა“.

— ქრისტე აღსდგაო, ძმებო! — შესძახა მან თავის მეზობელ მოძმეებს — ქრისტე აღსდგაო! ვერა ხედავთ, როგორ ლიტანიობს ხალხი!.. მაგრამ დახედეთ თქვენს ბორკილებს, შეხედეთ თქვენს კარებზე აყუდებულ დარაჯს სულმეხუთულ თავისუფლებას, სისხლში ამოსვრილს! დაუგდეთ ყური თქვენს ქეითინს, მოიგონეთ თქვენსკენ გამოწვდილი ხელები დედ-მამისა, შვილისა, სატრფოსი, ძმებისა! გადახედეთ შიმშილს, როგორ იციანის ოცნებით გატაცებულ ხალხის ყრბამულზე. გადახედეთ, როგორ უვლარუნებს ბორკილი ამ წუთით გატაცებულ ხალხზე! გადახედეთ



მძინარე ლომს — თავისუფლებას, — როგორ დასჩხავის მათ თავზე ყვავე-ყორანი. აჰა, ეს ჯარიც, ეს ჩვენი ციხეც, რამდენია ჩვენში ბარაბა, რამდენისათვის აღმართულა ჯვარი და კიდევ რამდენს მოელის! მაშ ალსდგა ჭრისტე? სტყუის ზარი, სტყუის სამრეკლო!.. ოცნებაა ხალხის ლიტანია, სტყუის ზარები! — დაიძახა მან უკანასკნელად და მოხზარა სარკელის რკინები.

— შესდგე! — შეუყვარა დარაჯმა.. და ტყვიით განგმირულმა გულმა მაინც კიდევ ამოიკვნესა: — სტყუიან ზარები! მხოლოდ მჩქეფარე სისხლმა გასცა უბედურს პასუხი“...

ამ ნოველაში ირ. ევდოშვილმა ერთხელ კიდევ დაგვიხატა ლაღო კეცხოველის უკვდავი მხატვრული სახე. ცხოვრების სინამდვილიდან აღებული დიდი რეველუციონერის კეთილშობილური სახე ნოველის მხატვრულ ღირსებას უფრო მეტად ზრდის და განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებს.

ლაღო კეცხოველის ღრმა შემოქმედებითი შთაგონებით აქვს შექმნილი ირ. ევდოშვილის ნოველა „მიცვალებულთა აჩრდილებს (რუსულიდან)“¹ სათაურის ქვეშ ფრჩხილებში მინაწერი, რომ ის თითქოს რუსულიდან იყოს, მხოლოდ ცენზურის თვალის ასახვევად არის მოგონილი. ნამდვილად კი ნოველა ორიგინალურია. მასში მოცემულია 1905 წლის რეველუციის მსხვერპლთა სახეები, იმ ადამიანთა რომლებმაც ციხის ჯურღმულებში დალიეს ნათელი სიცოცხლე. რეველუციის ამ ერთგულ თავდადებულ მებრძოლთა შესახებ მწერალი ყოველთვის უდიდესი სითბოთი და სიყვარულით წერდა. მათ დაუფიწყარ სახეებს მხატვრული ფერებით აკობდა. მათთან იყო აზრით, გრძნობით, მათ სულიერი სამყაროში ახედე-

ბდა და აყვარებდა მკითხველს, რადგან „მათ შესწირეს ყველაფერი — სიცოცხლე, ოჯახი, თავისუფლება, განსწირეს თავი სასიკვდილოდ!“.

ირ. ევდოშვილის ამ ნოველაშიაც მოჩანს ახალგაზრდა ლაღო კეცხოველის ნათელი სახე: „... ის ცოცხლობდა ერთის ოცნებით, ერთის იმედით, ერთის სურვილით, გაიქცეს, დაამარცხოს ეს მაღალი კედლები, მიღწეოს ეს რკინის ჩარჩოები...“

„...მოკვდა ეს ამაყი, თამამი ადამიანი და ციხე უფრო დანაღვლიანდა, დაიღვრიმა. შემდეგ მოდიოდნენ ასობით უცნობი, უსახელო ადამიანები, მოდიოდნენ და იხოცებოდნენ ჩუმად, ხმაამოუღებლად“.

ასეთი იყო მაშინდელი მწარე სინამდვილე. ციხის სილუეტებს მწერალი უაღრესი სიზუსტით ხატავდა. გარდა ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანებისა, ირ. ევდოშვილი ხედავდა ისეთ ჯურის ადამიანებსაც, რომლებიც, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილნი, თავს არიდებდნენ საერთო საქმისათვის ბრძოლას. მწერალი მას ღორის ჯოგს აღარებდა, ღორისა, „რომელსაც თვალები ძირს, ტალახში ჩაუბჯენია!“ იგი მათ ასე მიმართავდა „და თქვენც, ვინც. ცხოვრობდით, ვინც ხედავდით, ვინც იცნობდით ცხოვრებას, გრძნობდით მის სისამაგლეს, სიმკაცრეს შხამს, და არკი იბრძოდით, ვერ ბედავდით... საბრალონო, ცოცხალნო, მაგრამ მკვდრებო სიცოცხლეში, სუსტნო, გრძნობა-შემხმარნო ადამიანებო. ფუჰ, თქვენს სიცოცხლეს!“

როგორც ვხედავთ, დიდი ბელადის — სტალინისა და ლაღო კეცხოველის შთამაგონებელი იდეებით იყო გაცხოველებული ირ. ევდოშვილის 900-იანი წლების შემოქმედების იდეურ პოლიტიკური აზრი და შინაარსი.

¹ იხ. გაზ. „ივერია“, 1905 წ. № 110.

ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიური შეხედულებანი

ბარდგვალეზიდან 25 წლისთამის ბავშვად



1928 წლის პირველ აპრილს გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ლიტერატორი, სახელგანთქმული სამოციანელი, დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. გ. ჩერნიშევსკის მეგობარი, ნიკო იაკობის-ძე ნიკოლაძე, რომლის ნეშტი ქართველმა ხალხმა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალა.

ნ. ნიკოლაძემ ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანგრძლივი გზა განვლო. 80 წლის ასაკს მიღწეული, იგი, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეესწრო და სიცოცხლის აღსასრულამდე ერთგულად მუშაობდა და გატაცებით მონაწილეობდა ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ნ. ნიკოლაძე დაიბადა 1843 წელს, ქუთაისში. ლიტერატურულ სარბიელზე ადრე გამოსულმა ნიკოლაძემ, 1860 წელს „ციცქარში“ დაბეჭდა ქართული ენისა და მწერლობისადმი მიძღვნილი თავისი პირველი წერილი, რომელმაც იმდროინდელი მოწინავე ქართველი მოღვაწეების და, კერძოდ, ისტორიკოს დ. ბაქრაძის ყურადღება მიიქცია.¹)

1860 წელს ნ. ნიკოლაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაი-

რიცხა. რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის, 1861 წლის შემოდგომაზე, იგი სასწავლებლიდან გაიციხეს და დააპატიმრეს.

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობდა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „ნიკრაში“ და ამავე დროს ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა „სოვრჟმენიკის“ რედაქციასთან, ვიღრე მეფის მთავრობამ, ნ. გ. ჩერნიშევსკის დატუსაღებასთან ერთად ამ ჟურნალის გამოცემაც არ აკრძალა.

„სოვრჟმენიკის“ გამოცემის განახლების შემდეგ ნ. ნიკოლაძე მისი თანამშრომელი გახდა და 1864 წელს, ჟურნალის მერვე ნომერში, თავისი მოთხრობა „პროვინციული სურათები“ დაბეჭდა.

1864 — 1868 წ.წ. ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ იმყოფებოდა და რუსეთის ემიგრაციის აქტიური წევრი იყო. 1865 წელს იგი გერციხის „კოლოკოლში“ თანამშრომლობდა. 1866 წელს „რუსულმა თავისუფალმა სტამბამ“ ვენევაში, ნიკიფორე გ... ს ფსევდონიმით გამოსცა ნიკოლაძის ცნობილი ბროშურა „მთავრობა და ახალი თაობა“. მკვლევართა აზრით, სხვა ბროშურებსა და პროკლამაციებთან ერთად ამ წიგნაკის გამოშვებით ხსენებულმა სტამბამ უდიდესი სამსახური გაუწია

¹ ქუთაისის მეტოქე (ნ. ნიკოლაძე). ქუთაისის პროკლამაცია (ახალი ქუთაისის საზოგადოების ქართულ ენაზე და „ციცქარზე“) „ციცქარი“, 1860 წ. ოქტომბერი, გვ. 296 — 300.

რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას¹.

1868 წელს ნიკოლაძემ ლ. შეჩნიკოვთან ერთად ენენევაში გამოსცა თავისი ეურნალი „სოვრემენოსტი“, რომლის გამოჩენას გერცენი „კოლოკოლი“ ასე შეეგება: „ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული ეურნალის „სოვრემენოსტი“ სანიმუშო ნომერი. მიმართულება სავსებით რადიკალური და სოციალისტურია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მივესალმოთ, რუსეთში მოქმედი პარტიის ამ ორგანოსო“².

ემიგრანტობის წლებში ნ. ნიკოლაძე გეცნო კ. მარქსს, რომელმაც წინადადება მისცა მას ამიერ კავკასიაში ინტერნაციონალის წარმომადგენლობა მიეღო თავის თავზე. ამ წინადადებაზე ნ. ნიკოლაძეს სხვადასხვა მიზეზით უარი უთქვამს. პუბლიცისტის ნაამბობით, მას, კ. მარქსის „კაპიტალი“ 1869 წელს რუსული თარგმანის კორექტურაში წაუკითხავს.³

ემიგრაციაში ყოფნისას ნ. ნიკოლაძემ ცალკე წიგნად გამოსცა ნ. ჩერნიშევსკის ცნობილი რომანი „რა ვაკეთოთ?“. ამ წიგნს ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა თბილისში ფარულად ეცნობოდა თვით ნიკოლაძის თაოსნობით შექმნილ ე. წ. „ივანოვის ბიბლიოთეკაში“, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში, ერთგვარად, პოლიტიკური კლუბის დანიშნულებასაც ასრულებდა, რისთვისაც პოლიციამ იგი მალე დახურა⁴.

¹ А. Г. Деметьев. «Очерки по истории русской журналистики. 1840 — 1850 г. г. Гос. изд. худ. лит. М.-л. 1951, стр. 434.

² ს. ი. ბუნდაძე. ნიკო ნიკოლაძე (ნარკვევი მისი აზროვნებიდან). თბილისი, 1931, გვ. 22.

³ ს. ი. ბუნდაძე. ცნობები კ. მარქსის შესახებ 70 — 80 წლების ქართველ საზოგადოებაში. ეურ. „დროში“, 1943 წ. № 14 — 15, გვ. 6 — 7.

⁴ ტ. რ. ბუნდაძე. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951 წ. გვ. 208 და სხვ.

1868 წელს ნიკოლაძე ემიგრანტ ელპიდინთან ერთად ჩერნიშევსკის იხზულებათა სრული კრებული მოცემას შეუდგა. უსასრობის გამო მან შეძლო გამოშვება მხოლოდ პირველი ტომისა, რომელსაც თავისი წინასიტყვაობა წაუძმღვარა.

1868 წელსვე დაამთავრა ნიკოლაძემ საზღვარგარეთ უმაღლესი სასწავლებელი და ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია განიარაღებისა და მისი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხზე.

1869 წლიდან ნ. ი. ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და გატაცებით ჩაება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ფერხულში.

მრავალმხრივ განათლებულმა და ნიჭიერმა ნიკოლაძემ საბრძოლო იარაღად პუბლიცისტის ბასრი კალამი აირჩია და „დროების“, „ტიფლისკი ეესტნიკის“, „კრებულის“ და განსაკუთრებით კი „ობზორის“ ფურცლებზე რადიკალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების პროპაგანდას ეწეოდა. ასე გრძელდებოდა გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, როდესაც ნიკოლაძემ თავისი რადიკალური პოზიცია ლიბერალურ-ბურჟუაზიული შეხედულებების ქადაგებით შესცვალა.

ამიტომ, ცხადია, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ის ღვაწლი, რომელიც ნ. ნიკოლაძემ დასდო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას გასული საუკუნის 60 — 70 წლებში. ამ პერიოდში წერდა ილია ჭავჭავაძე „დროებაში“, რომ „ნიკოლაძის გონიერებისა, მიხვედრილობისა და ყველასაგან ცნობილის ნიჭიერების დიდი პარტიისმცემელი ვარაო“¹, ხოლო ერთს კერძო ბარათში იგი პირდაპირ მიმართავდა „მღელარე ბუნების ფაზი-

¹ ი. ჭავჭავაძე. „უფ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“. გაზ. „დროება“, 1876, № 39.

„ელ მეგობარს“, რომ „შენ ჩვენი რაზმის ფალანგად გვეგულებით“¹.

ქართველი ხალხის თავისუფლების-მოყვარულ ტრადიციებსა და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ნ. ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი და გიორგი წერეთლებთან ერთად, გასული საუკუნის 60-იანი წლების დიდი მოძრაობის ერთ-ერთი იდეური მემკვიდრე იყო.

ცნობილია, რომ ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლუბოვის მოძღვრებამ, რომლის რევოლუციური მხარე ბოლომდე მაინც ვერ შეითვისა ჩვენმა პუბლიცისტმა.

ნიკო ნიკოლაძეს არაერთხელ აღუნიშნავს პუბლიცისტურ წერილებსა, მოგონებებსა და კერძო ბარათებში, თუ რაოდენ დავალებული იყო იგი თავისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდისათვის დიდი რუსი ხალხის ამ ორი გენიალური შვილისაგან.

გასული საუკუნის 80-იან წლებში პატივისცემის მაღალი გრძნობით, ნ. ნიკოლაძე წერდა: „რუსეთის იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ოდესმე ზღაპრში კალამი სჭერიათ, ჩვენის მხრით უდიდესი სიმპათიით, პატივისცემითა და ნდობით ნ. ა. დობროლუბოვი სარგებლობს“².

სიყვარულისა და პატივისცემის ღრმა გრძნობა შეინარჩუნა ნ. ნიკოლაძემ სიცოცხლის დასასრულამდე თავისი მასწავლებლისა და მეგობრის ნ. გ. ჩერნიშევსკისათვის. ეს წმინდა გრძნობა პუბლიცისტმა შესანიშნავად გამოხატა 1884 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ კერძო ბარათში, რომელიც მან გაუგზავნა დიდ რუს რე-

ვოლუციონერს ქ. ასტრახანში, სადაც ნათესავეებისა და ნიკოლაძის მეცადინეობით მეფის კატორღიდან დახსნილი ჩერნიშევსკი იმყოფებოდა ვანდარშეჩის მეთვალყურეობის ქვეშ. „შემიძლია დაგარწმუნოთ, — წერდა ნიკოლაძე ჩერნიშევსკის, — რომ ჩემთვის უსაზღვრო ბედნიერებად ჩავთვლიდი რბთიმე გასიამოვნოთ ან სარგებლობა მოგიტანოთ თქვენ, ყოველივე იმის ნაცვლად, რითაც თქვენგან დავალებული ვარ ჩემი გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისთვის. ყოველ თქვენ დავალებას და ჩემდამი მომართვას ვთვლი და ყოველთვის ჩავთვლი ბედნიერ შემთხვევად, თუნდაც ნაწილობრივ, თუნდაც ოდნავ მაინც შეეკამათებოთ თქვენდამი ჩემი ვალის სიმძიმე“¹.

სიყვარულისა და პატივისცემის ასეთივე გრძნობით უპასუხებდა ნ. გ. ჩერნიშევსკი თავის ქართველ მეგობარს. ეს ჩანს 1885 წლის 28 ოქტომბერს ჩერნიშევსკის მიერ თავისი ვაჟიშვილის — მიხეილისადმი გაგზავნილ იმ ბარათში, რომელშიაც იგი თხოვდა ადრესატს, რომ იმ დროს პეტერბურგში მყოფ ნიკოლაძისათვის გადაეცა მოკითხვა, რადგან „მე ის მიყვარს და მისი მადლობელი ვარ“².

ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის გაელენათ ყალიბდებოდა ნიკოლაძის არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, არამედ ფილოსოფიური შეხედულებანიც.

აღსანიშნავია, რომ ფილოსოფიისადმი ინტერესი ნ. ნიკოლაძეს ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს აღძვრია. ვფიქრობთ, ამაში დიდი წილი უდევს შურნალ „სოკრატემიქს“, რომლის „ახალ-ახალ წიგნებს გატაცებით ვკითხულობდი პირველი ფურცლიდან

¹ ს. ი. მ. ხუნდაძე. მახალები ქართულ ლტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949 წ. გვ. 47.

² Н. Николадзе. Кларина пера. Газ. «Орион», 1978, № 3.

¹ გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1940 წ. 27 VII.

² Н. Г. Чернышевский. Полное собрание сочинений, том XV. Письма (1877 — 1889), ст. 553 — 554. Примечания, ст. 939.

უკანასკნელამდე", — მოგვითხრობს პუბლიცისტი თავის „მოგონებაში“¹.

უფრო ღრმად და საფუძვლიანად ნ. ნიკოლაძე ფილოსოფიის ძირითად საკითხების სტუდენტობის წლებში გაეცნო, როდესაც იგი პეტერბურგში ხარბად დაეწაფა ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიტოვის ხაზარმოებებს და აგრეთვე ლითოგრაფიულად დაბეჭდილ და ფარულად გამოცემულ ბიუხნერისა და ფეიერბახის შრომებს, რომლებსაც იგი არათუ კითხულობდა, არამედ არაღეგალურად აგრცელებდა კიდევ ქართულ სტუდენტთა შორის².

1862 წლის ზაფხულში ნ. ნიკოლაძე საფუძვლიანად გაეცნო გერცენის ცნობილ შრომას „წერილებს ბუნების შესწავლის შესახებ“, რომელსაც ვ. ი. ლენინი ასეთ შეფასებას აძლევდა: „პირველი წერილი“ „წერილებიდან ბუნების შესწავლის შესახებ“, — ემპირია და იდეალიზმი“ — რომელიც დაწერილია 1844 წელს, გეიჩვენებს მიაზროვნეს, რომელიც ახლაც კი მთელი თავით უფრო მაღლა დგას უამრავ თანამედროვე ბუნებისმეტყველ-ემპირიკოსზე და ათრაქტულ ახლანდელ ფილოსოფოსსა, იდეალისტსა და ნახევარ იდეალისტზე. გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე“³.

გერცენის ამ შრომამ, რომელშიაც ფილოსოფიის ძირითადი საკითხები მატერიალისტურადაა გადაჭრილი, გავლენა იქონია ნ. ნიკოლაძის გონებრივ განვითარებაზე. მან გაიზიარა გერცენის მატერიალისტური შეხედულებანი და იცავდა მათ გასული საუკუნის არათუ 60-იან წლებში, არამედ 90-იან

წლებშიაც, როდესაც ამ დროს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ რეპუბლიცისტურ წერილში ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ „ახლა ჩვენს მეცნიერებაში გამარჯვებულია ის მოძღვრება, რომელმაც ასეთი გამოძახილი ჰპოვა გერცენის „წერილებში ბუნების შესწავლის შესახებო“⁴.

ნ. ნიკოლაძეს თავისი ფილოსოფიური შეხედულებანი მარტო მწიგნობრული გზით არ შეუშუშავებია. მისი იდეურ-ფილოსოფიური ზრდა ორგანულად იყო დაკავშირებული იმ ყოველდღიურ ბრძოლებთან, რომლებსაც იგი იმდროინდელ, მოწინავე, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ ქართველ ახალგაზრდობასთან ერთად ეწეოდა დახავსებული მონარქიულ-ბატონყმური წყობილებისა და მის იდეურ მებჯრეთა წინააღმდეგ.

ნ. ნიკოლაძის ფილოსოფიური შეხედულებანი მკიდროდ არის დაკავშირებული მის დემოკრატიულ საზოგადოებრივ იდეალებთან და იმ მატერიალისტურ ათეისტურ მსოფლმხედველობასთან, რომლის შესაბამისად იგი გაბედულად წერდა 70-იან წლებში, რომ „რელიგიური დოგმატები მხოლოდ მოგონებაა“⁵.

ნ. ნიკოლაძე შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო ისეთი ფილოსოფიისა, რომელიც მთელი თავისი არსებით ცხოვრებასთან, საზოგადოების ცოცხალ მოთხოვნილებებთან, ხალხის ინტერესებთან არ იქნებოდა დაკავშირებული. მისი მტკიცე რწმენით, ფილოსოფიის თეორიული საკითხები ქვეყნის ყოველდღიურ, პრაქტიკულ ამოცანებთან დაკავშირებით უნდა შეჭდებოდეს. ამიტომაც, რომ თავისი ფილოსოფიური აზრებიც ნიკოლაძეს სპეციალურ ტრაქტატებში არ გამოუთქ-

¹ ნ. ნიკოლაძე. „მოგონებანი სამოციან წლებზე“. „რ. ნაწ.“ ტ. 1, გვ. 80

² იქვე, გვ. 130.

³ ვ. ი. ლენინი. „გერცენის ხსოვნას“. „ახსენებანი“. ტ. 18, 1951, გვ. 12.

⁴ Николодзе. «На празднике». Газ. «Новое Обозрение», 1890, № 2218.

⁵ ნ. ნიკოლაძე. „რუსეთის ემიგრაცია“. „რ. ნაწ.“ ტ. 1, გვ. 264.

ვამს და ისინი უხვად აქვს გაბნეული იმ პუბლიცისტურ წერილებში, რომლებშიაც ქვეყნის საჭიროებოთა კითხვებზეა პასუხი გაცემული.

მწერალს, პუბლიცისტს უნდა ახსოვდეს, — შენიშნავდა ნიკოლაძე ერთ კერძო ბარათში — რომ, „საზოგადოება კითხულობს და იმასსოვრებს არა ფილოსოფიურ ტრაქტატებს, არამედ სოცხალ, მკვირცხლ სტატებებს. იგი პრესის აგან ბრძოლას მოითხოვს და ვისაც სურს გაგებულ და მოსმენილ იქნას, მან საზოგადოების ინტერესებს უნდა გაუწიოს ანგარიში“¹.

ამრიგად ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ფილოსოფია მტკიცე კავშირში უნდა იმყოფებოდეს პოლიტიკასთან, ვინაიდან ხალხისათვის მხოლოდ ისეთი ფილოსოფიური მოძღვრებაა მისაღები, რომელიც მას მოწინავე საზოგადოებრივი იდეალებისათვის საბრძოლველად შეაიარაღებს და ყოველგვარ ცრურწმენაზე დაფუძნებულ, ძველ, ჩამორჩენილ შეხედულებათა დაძლევაში დაეხმარება.

კაცობრიობის ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთ ასეთ მონაპოვრად ნიკოლაძეს სქოლასტიკისა და ლეთისმეტყველების წინააღმდეგ მიმართულ ბეკონის მატერიალიზმი მიაჩნდა მისი ინტელექტუური მეთოდით, რომელმაც, პუბლიცისტის შეხედულებით, თავის დროზე დიდად შეუწყო ხელი ბუნებისმეტყველების განვითარებასა და აღმაშენობას.

ნიკოლაძეს, როგორც ყველა რუს და ქართველ სამოციანელს, ბუნებისმეტყველება მიაჩნდა ისეთ საბრძოლო იარაღად, რომელიც, მისივე გამოთქმით, „ბევრ ცრუმორწმუნეობას სპობს და მოსპობს ხალხის ტეინში და ღრმად

სცელის მის აზრსა და მოქმედებას“² და თანაც ადამიანს „ხელში ათისნიირიარალს აძლევს ცხოვრების განსაზღვრვების შესახებ“³.

მაგრამ ბუნებისმეტყველებამ რომ მასზე დაკისრებული ამოცანები სწორად გადაკრას, ამიტომ, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის შეხედულებათა შესაბამისად, ნიკოლაძე მოითხოვდა, რომ იგი დაკავშირებოდა მოწინავე ფილოსოფიურ მოძღვრებას და მისი საშუალებით გაეშუქებინა გზა სინამდვილის სწორი შემეცნებისაკენ.

ამიტომ წერდა ჩვენი პუბლიცისტი, რომ „სერიოზული ფილოსოფიური განათლების უქონლობა, უკანასკნელროლს არ თამაშობს თანამედროვე განათლებულ“ საზოგადოების ცხოვრებაში. ეს ნაკლი განსაკუთრებული სიცხადით თავს იჩენს იქ, სადაც... ადამიანები შემთხვევით და განურჩევლად შეითვისებენ რა სხვადასხვა ყაიღის ფილოსოფიური იდეების ნამსვრევებს, სრულებით არ ზრუნავენ იმაზე, რომ მათი აზრები მწყობრი, მთლიანი და სისტემატური იყოს და ამის გამო არც იმ წინააღმდეგობებსა და აბსურდებს ერიდებიან, რომლებიც ასე ხშირია მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებში“⁴.

ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ამა თუ იმ მეცნიერების უმთავრეს ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, როდესაც მას „ზოგადი ხელმძღვანელი იდეა, ფილოსოფიური განზოგადება“⁵ არ გააჩნიათ. ამიტომ, პუბლიცისტის აზრით, ბონობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესწავლა ერთიან

¹ ნ. ნიკოლაძის ბარათი ოლ. გურამიშვილს. 1874 წ. 17. IX. ბარათი ინახება პროფ. რუსულან ნიკოლაძესთან.

² ნ. ნიკოლაძე, ახალი ახალგაზრდობა „ჩ. ნაწ“. ტ. II, გვ. 63.

³ ნ. ნიკოლაძე, „კრებულის“ დანიშნულებაზე „ჩ. ნაწ“. ტ. II, გვ. 42.

⁴ Н. Николадзе. «Капризы пера». Газ. «Тифлисский Вестник». 1875, № 115.

⁵ Н. Николадзе. «Капризы пера». Газ. «Обзор». 1878, № 160.

ფილოსოფიურ თვალსაზრისს უნდა ემყარებოდეს. გერცენის, ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის იდეებზე აღზრდილ ხიკოლაძეს, ადამიანის ასეთი თვალსაზრისით შემაიარალებელ მოძღვრებად მიაჩნდა მატერიალისტური ფილოსოფია, რომელსაც იგი თავის პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში იცავდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნებულ ერთ საბოლემიკო წერილში ნ. ნიკოლაძე შენიშნავდა: „მას შემდეგ, რაც ორმოც წელზე მეტი ხნის წინათ მეცნიერებაში მტკიცედ დამკვიდრდა რეალური ფილოსოფია და რეალური კრიტიკა, დროა გავიგოთ, რომ პატივისცემით უნდა მოვუპყრათ სინამდვილეს და მისი მოვლენების შესწავლას“¹.

მეფის ცენზურით შეზოქილი ნ. ნიკოლაძე „რეალურ ფილოსოფიას“ და „რეალურ კრიტიკას“ უწოდებს იმ მატერიალისტურ ფილოსოფიასა და კრიტიკას, რომლის განვითარება გასული საუკუნის 40—60-იან წლებში ზვინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის სახელებთანაა დაკავშირებული.

XIX საუკუნის რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის სწორედ ეს შესანიშნავი წარმომადგენლები მოითხოვდნენ „სინამდვილისა და მისი მოვლენებისადმი“ პატივისცემით მოპყრობას, მის გულდასმით შესწავლას. ამ აზრს ავითარებდა გერცენი „წერილებში ბუნების შესწავლის შესახებ“, ხოლო ნ. გ. ჩერნიშევსკი კი — ესთეტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში და, განსაკუთრებით, თავის შესანიშნავ შრომაში „ანტროპო-

ლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“, რომლებშიაც იგი ამტკიცებდა, რომ სამყარო ერთიანი მატერიალური სუბსტანციისა და რომ იგი, საკუთარი, ბუნებრივი კანონების მიხედვით ვითარდება.

ამ ფილოსოფიური თვალსაზრისის შესაბამისად, ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ბუნება ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური რეალობაა, რომ იგი „ერთია და ყოველი მისი მოვლინება ერთ და იმავე უშთაერეს ბუნების კანონებს ემონება“¹.

ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი ასეთი კანონთაგანია, ნიკოლაძის შეხედულებით, მოვლენათა შორის არსებული საყოველთაო კავშირი და ურთიერთმოქმედება. ამის გამო წერდა იგი, რომ „როგორც ბუნებაში ერთ მოვლენას ათასნაირ სხვა მოვლენასთან კავშირი და დამოკიდებულება აქვს, ისე საზოგადო ცხოვრების მოვლენები ერთმანეთში ჩართულნი და ერთიმეორეზე დამოკიდებულნი არიან“².

ამ საყოველთაო კანონის რეალობას ნიკოლაძე შემდეგი მაგალითით ნათელყოფდა: „ტყის სრულიად ამოკლება რომელიმე ქვეყანაში მერისმეტად ამშრალებს იქაურ ჰავას და იმ ქვეყნის მდინარეებს წყალს აკლებს. ეს კანონი შეუნიშნავს ბუნების მეცნიერებას. მაგრამ ეს კანონი ამ შენიშვნით როდი თავდება. ჰაერის ნამეტანი სიმშრალე და წყლის ნაკლებობა ქვეყნის მოსავალს ამცირებს, ხალხს აუძლურებს, უმეცრებას ავრცელებს და საზოგადოებაში ათასნაირ ავადმყოფობას და სენს სთესს. სწორედ ამნაირივე გავლენა აქვს საზოგადოების ცხოვრებაზე ყოველ კერძო მოვლინებას, ამნაირადვე დამოკიდებულია ის ბევრ სხვა მოვლე-

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრებულის“ დანიშნულებაზე „რ. ნაწ.“ ტ. II, გვ. 41.

² ნ. ნიკოლაძე „კრებულის“ დანიშნულებაზე „რ. ნაწ.“ ტ. II, გვ. 45.

¹ Н. Николадзе. «Византийские споры». Газ. «Новое Обозрение». 1889, № 2032. 9. «მათობი» № 5.

ნაზე და თავის მხრით მოქმედებს ბევრ სხვაზე“¹.

ცნობილია, რომ ობიექტური სინამდვილის მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთ ფორმას მიზეზობრიობა წარმოადგენს, რომ ბუნებისა და საზოგადოების ერთი მოვლენა მიზეზობრივ კავშირშია სხვა მოვლენებთან.

ნიკოლაძის შეხედულებითაც, „არაფერი ხდება უეცრად და უმიზეზოდ“². ამიტომ, მეცნიერების დანიშნულებას იგი სწორედ იმაში ხედავს, რომ „...მარტივად, რელიეფურად და ყოველთვის სწორად დაგვიხატოს და გვიჩვენოს არა მარტო ფაქტები... არამედ ამ ფაქტების წარმოშობი მიზეზებიც“³.

მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულების ნათელსაყოფად შემომოყვანილი მაგალითიდან როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძე კარგად ითვალისწინებდა იმასაც, რომ თუმცა გარკვეული მიზეზი წარმოშობს თავის შედეგს, მაგრამ არც ეს უკანასკნელი იმყოფება მუდამ პასიურ მდგომარეობაში პირველის მიმართ და თავის მხრივ მოქმედებს მასზე.

გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მოძღვრების შესაბამისად, ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ბუნება და საზოგადოება მოძრაობის კანონების მიხედვით არსებობს და ვითარდება.

„ბუნების კანონები — ეს თვით ბუნებაა, რომელსაც ჩვენ მისი მოქმედების მხრით განვიხილავთ“⁴. წერდა ჩერნიშევსკი.

ნიკოლაძის შეხედულებითაც, უძრავობა ბუნებისათვის სრულყოფილი უცხოა, რადგან „სიცოცხლე წინადაგი ბრძოლა და მოძრაობაა“¹.

ბუნების ამ თვისებას უკავშირებს პუბლიცისტი მუდმივი განახლების იმ საყოველთაო კანონს, რომელიც მას თვით სინამდვილიდან გამოყავს, სინამდვილიდან, რომელიც „იმას არ მოასწავებს, რომ ყოველიფერი უცვლელი რჩებოდეს“².

ამ კანონს ემყარება, ნიკოლაძის აზრით, არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრება, არამედ ბუნებაც, რომელიც „დიდი ხანია დაღუბნობდა და გაქრებოდა, გამაცხოველებელი და გამახლებელი ძალა რომ არ ჰქონდეს“³.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლაძე ზოგჯერ მოძრაობას განიხილავს როგორც დაპირისპირებულ ტენდენციათა ბრძოლას. ერთ პუბლიცისტურ წერილში იგი ამბობდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა სწორი გაგებისათვის საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის „მაცოცხლებელი შინაგანი ბრძოლა, რომელიც ქვეყნის წარმატების, მისი ცხოველუნარიანობის საუკეთესო თავედებს წარმოადგენს“⁴.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ ცალკეული მიხედობა, რომელსაც ნ. ნიკოლაძე არ მიუყვანია დიალექტიკური განვითარების გაგებამდე. იგი იყო და დარჩა ევოლუციონისტად, რაც უფრო მკაფიოდ გამოამჟღავნა თავისი მოღვაწეობის გვიანდელ პერიოდში, როდესაც გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ყოფილ რედაქ-

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრებულის“ დანიშნულებაზე. „არხ. ნაწ.“ ტ. II, გვ. 45.

² იქვე, გვ. 45.

³ ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მომავალი ვეჭვილება. „არხ. ნაწ.“ ტ. I, გვ. 192.

⁴ Н. Г. Чернышевский. «Избранные философ. сочинения». 1938, ст. 491.

¹ ნ. სკანდელი, მიზანტრობის დღიურიდან. გაზ. „დროება“, 1872, № 11.

² ნ. ნიკოლაძე, დიდი და პატარა ერები (ნიკოლაძის არქივი, ფ. № 10/24).

³ ნ. სკანდელი, სახალწლო. ეურ. „კრებული“, 1871, № 1, გვ. 162.

⁴ Н. Н. Николадзе. Мир внутри. Глаз «Обзор», 1878, № 27.

ტორს, მიხ. უსპენსკის, წერდა: „... მე წმინდა წყლის ევოლუციონისტი ვარ“¹.

ბუნების მოვლენების ევოლუციონისტური თვალსაზრისით ახსნის გასამართლებლად მოტანილ ერთ მაგალითში ღვინის კეთების პროცესის შესახებ, ნიკოლაძე პირდაპირ შენიშნავდა, რომ აქ მთავარია „ის ნელი, ჩემი, შეუქმნეველი ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ყურძნის სიტკბოს სპირტად აქცევს“.² იმავე თვალსაზრისს იყენებდა იგი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მიმართ და ამის საფუძველზე ამტკიცებდა, რომ „ცხოვრების გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ თანდათანობით“³ და ამიტომ საბოლოო მიზნისაკენ უნდა მივდიოდეთ „არა „ნახტომებით“, არამედ ნელი და მტკიცე ნაბიჯით“⁴.

მოძრაობის საკითხში ცალმხრივი ევოლუციონისტური თვალსაზრისის დაცვა, ცხადია ნიკოლაძის ფილოსოფიური კონცეფციის დიდ ნაკლს წარმოადგენდა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის „... მოძრაობას ორგვარი ფორმა აქვს: ევოლუციური და რევოლუციური“.

მოძრაობა ევოლუციურია, როცა პროგრესული ელემენტები სტიქიურად განაგრძობენ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობას, როცა მათ წერილ-წერილი რაოდენობრივი ცვლილებები შეაქვთ ძველ წესებში.

მოძრაობა რევოლუციურია, როცა იგივე ელემენტები ერთად ჯგუფდებიან, ერთი იდეით იმსუვლებიან და აჩქარებული ნაბიჯით მიექანებიან მტრის

ბანაკისაკენ, რომ ძირიანად მოსპონ ძველი წესები და ცხოვრებაში რევოლუციური ცვლილებები შეიტანონ.⁵ წესები დაამყარონ.

ევოლუცია ამზადებს და ნიადაგს აძლევს რევოლუციას, ხოლო რევოლუცია აგვირგვინებს ევოლუციას და ხელს უწყობს მის მერმინდელ მუშაობას.⁶

ევოლუციასა და რევოლუციას შორის არსებული ეს კავშირი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა განვითარების სწორი ახსნისათვის, ნიკოლაძისათვის გაუგებარი დარჩა. ამან, ცხადია თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა პუბლიცისტის შეხედულებებზე, განსაკუთრებით მის პოლტიკურ მსოფლმხედველობაზე, რომელმაც როგორც ზემოთ აღინიშნა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ევოლუცია განიცადა მარჯვნივ, ლიბერალურ-ბურჟუაზიული იდეოლოგიისაკენ.

ვინაიდან მოძრაობა მატერიის, ბუნების განუშორებელ თავისებას შეადგენს, ამიტომ, ნიკოლაძის შეხედულებით, აუცილებელია, ყოველი მოვლენა მოძრაობაში, განვითარებაში ყოფილიყო შესწავლილი ყველა მხრით. ამის გამო მას არასრულად მიაჩნდა ისეთი ადამიანის ცოდნა, რომელსაც „შუქლიან რომელიმე საკითხის ან საგნის შესახებ მსჯელობის დროს დაინახოს მხოლოდ რომელიმე ერთი მხარე, მხოლოდ ერთი ნაწილი, ერთი თვისება ამ საგნისა თუ საკითხისა“⁷.

საგნის, მოვლენის ყველა მხრით შესწავლის დროს, ნიკოლაძის აზრით, საჭიროა იმ პირობების გათვალისწინება, რომელთანაც ამ საგნის ან მოვლენის წარმომობაა დაკავშირებული. „ამა თუ იმ მიმართულების ბატონობა, — წერდა იგი — გარემოებათა გადახლართვით

¹ ნ. ნიკოლაძის ბარათი მიხ. უსპენსკისადმი, 1910 წ. 10 ნოემბერი, ნიკოლაძის არქივი.

² ნ. ნიკოლაძე, ზემ პოლიტიკაზე, 1913, გვ. 54 — 55.

³ Н. Николадзе. «Византийские споры». Газ. «Новое Обозрение». 1889, № 2032.

⁴ იქვე.

⁵ ა. სტალინი, ანარქიზმი თუ სოციალიზმი?, საზღვაში, 1949 წ. გვ. 9.

⁶ ნ. ნიკოლაძე, კალმის კაბრიზი. „არწივ“. ტ. II, გვ. 115.

აიხსნება და საზოგადოების ჭკუა-გონებას ამა თუ იმ საგანზე, ამა თუ იმ განსაზღვრული შეხედულების შესათვისებლად ეს გარემოებანი ამზადებენ¹.

ამრიგად, ნიკოლაძის რწმენით, ყველაფერი დროსა და ადგილზეა დამოკიდებული.

სინამდვილის მოვლენათა შესწავლისადმი ასეთი მიდგომა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ადრევე შესანიშნავად გამოხატა თავის ცნობილ ფორმულაში — „არ არსებობს განყენებული ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება კონკრეტულია“. ეს დებულება მან ნათელყო პასუხით კითხვაზე: — „სასარგებლო თუ საზარალოა წვიმა“. პირობების მიხედვით, წერდა იგი, წვიმა ხან სასარგებლოა და ხან საზარალოც არის.

ნიკოლაძისთვისაც ჭეშმარიტება კონკრეტულია. ამ აზრის საილუსტრაციოდ იგი წერდა: „გონიერ ექიმს ჰკითხეთ — ქინაქინას უარყოფთ, თუ თაყვანს ცემთქო? იგი შებრალებით შემოგხედავთ და იმ კილოთი, რომლითაც თითქო ბავშვს რასმე უხსნიან, გიპასუხებთ: ზოგიერთ ავადმყოფს უხდება ხოლმე, ზოგს სხვას სწყენს, ზოგისთვის საწამლაეც არის“².

ნიკოლაძის ზემოხსენებული შეხედულებანი მეტყველებენ იმაზე, რომ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ახსნის საკითხში იგი დეტერმინისტი იყო.

ნიკოლაძე, როგორც დეტერმინისტი, ებრძოდა ბუნების მიზანდასახულობის იდეალისტურ კონცეფციას, რომელიც ხელს უწყობდა ადამიანთა შეგნებაში რელიგიურ წარმოდგენათა გამტკიცებას. თელეოლოგიზმის საწინააღმდეგოდ ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ „ბუნება არც მტერია კაცის, არც მეგობარი, არც

სიკეთე უნდა მისთვის, არც სიძველე ბუნებაში არც ერთი არსებობს. მტერობა, რომელსაც დანაშაულებაც მკონდეს (ხაზი ჩვენია — ვ. ზ.) კაცის მოყვრობა ან მტრობაა“³.

დეტერმინიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებდა ნიკოლაძე „ნებელობის თავისუფლების“ ყალბ ინდეტერმინისტულ შეხედულებას. „ის მოაზროვნეები, — წერდა ნიკოლაძე, — რომლებიც აღნიშნავენ გარემოების გავლენას ადამიანის ქცევაზე... მიზნად ისახავენ დაერღვით წინათ გაბატონებული ფილოსოფიური მოძღვრება „ნებელობის თავისუფლებაზე“⁴, რომლის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ თითქოს „ადამიანის ყოველ მოქმედებაში დამნაშავეა მხოლოდ მისი თავისუფალი ნებელობა, თუმცა ეს უკანასკნელი, მათივე აზრით, საუღრამოდ განსაზღვრულია ადამიანის კეთილი თუ ბოროტი ბუნებით“⁵.

ეს ვოლუნტარისტული ფილოსოფია და მისი ყალბი შეხედულება ადამიანზე „როგორც სამყაროს ცენტრსა და მიზანზე და მის ნებელობაზე, როგორც სამართლის ერთადერთ წყაროზე — ბავშური წარმოდგენაა“⁶, წერდა ნიკოლაძე.

ასეთივე შეცდომად თვლიდა ნიკოლაძე იდეალისტურ შეხედულებას სიკეთისა და ბოროტების თანშობილობაზე, საერთოდ „თერიას“ „თანდაყოლილ ითიებზე“, რომლის „წინააღმდეგე, — შენიშნავდა იგი, — აღსდგენ უახლესი დროის მოაზროვნენი და დიალექტიკური მოსაზრებებით დაზუსტი მეცნიერული დაკვირვებებით (ხაზი ჩვენია ვ. ზ.)

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრებულის“ დანიშნულებაზე. „ჩ. ნაწ.“ ტ. II, გვ. 41.

² Н. Николадзе. Казррыз пера. Газ. «Тифлисский Вестник». 1875, № 115.

³ იქვე.

⁴ Н. Николадзе. Армяно-грузинские отношения. Сборник статей. 1920 г. Предисловие, ст. I, II.

¹ ნ. ნიკოლაძე, ევროპის ცხოვრება „ჩ. ნაწ.“ ტ. I, გვ. 284.

² ნ. ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე. 1913, გვ. 42.

დამტკიცეს, რომ ხასიათი გარემოებათა ზეგავლენით ყალიბდება, რომ ინდივიდუალურ ცხოვრებაში შენიშნულ ცუდ გამოვლინებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა ფიქრი არა იმაზე, თუ როგორ მოვსპოთ „ბოროტი ბუნების ადამიანები და ველოდოთ კეთილ ანგელოზთა გამოჩენას, — არამედ ვიზრუნოთ ცხოვრების იმ არახელსაყრელი პირობების მოსპობაზე, რომლებიც ამ ცუდ მოვლენებს წარმოშობენ“¹.

„ცხოვრების არა ხელსაყრელი პირობების მოსპობისათვის ზრუნვა“, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლა, მისი შემდგომი განვითარება მხოლოდ ადამიანთა აქტიური, შეგნებული მოქმედებითაა შესაძლებელი.

ეს აზრი სრულ თანხმობაშია ნიკოლაძის დეტერმინისტულ შეხედულებებთან, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „დეტერმინიზმის იდეა ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიად არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინიდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას“².

ადამიანის აქტივობის უარყოფილია მხოლოდ მექანიცისტური დეტერმინიზმი, რომელიც ფატალიზმსა და კვიეტიზმში გადადის და რომლის შეურიგებელი მტერი იყო ნ. ნიკოლაძე.

ნ. ნიკოლაძის აზრით, კაცობრიობის წინსვლის ერთი უბოროტესი დაბრკოლება თავიანთი ცხოვრებაზე ფატალისტური შეხედულებაა, რომლის თანახმად „... ბედნიერების მიღწევა თვითონ კაცს და კაცობრიობას კი არ შეუძლია, არამედ ამ სიკეთეს იგი ზეგარდმო უნდა

მოელოდეს“³ და რომელიც იმას ქადაგებს, რომ „ასე უნებებიც ბედს ქაშ დავემორჩილოთ მის წმინდადინჯებულს“⁴.

60-იანი წლების ქართული მებრძოლი პუბლიცისტის წარმომადგენლის სწორი შეხედულებით, ფატალიზმს ადამიანი აუცილებლად იმ პესიმისტურ მსოფლმხედველობამდე მიყავს, რომლის ერთ-ერთ „თეორეტიკოსს“, იდეალისტ შოპენჰაუერს იგი „საცოდაესა და ავადმყოფს“⁵ უწოდებდა.

ნიკოლაძე თავისი მსოფლმხედველობით დიდი ოპტიმისტი იყო და ურყევად სწამდა, რომ „კაცის ბედნიერება ქვეყანაზე შესაძლებელია“. სასოწარკვეთილების ყოველგვარი „ფილოსოფია“ მას გიყის ბოლედად მიაჩნდა, რადგან „კაცის გული, — ამბობდა იგი, — ისეთ რიგად არის გაჩენილი, რომ შიგ, ჩვენდა უნებურად ნიადაგ ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ლევის“⁶, იმ სიცოცხლისა, რომელზედაც „ყველა ადამიანს თანაბარი უფლება აქვს, რანაირიც გნებავთ იყოს მისი ქონებრივი და მემკვიდრეობითი უფლებები“⁷.

„ბედისწერის“ პესიმისტური ფილოსოფიის დაძლევისა და ადამიანთა შეგნებაში ოპტიმისტური შეხედულების გამტკიცების ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებად, ნიკოლაძე, ბუნებასთან, სანამდვილესთან მტკიცე კავშირს თვლიდა, რადგან მისი აზრით, „ადამიანს არაფერი არ ანიჭებს ისეთ დამოუკიდებლობას, როგორც ბუნებასთან კავშირი“⁸.

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრებულის დანიშნულებაზე“. „რ. ნაწ“. ტ. II, გვ. 33.

² იქვე.

³ ნ. ნიკოლაძე. На праздники. Газ. «Новое Обозрение». 1890, № 2218.

⁴ ნ. სკანდელი, სხვათა შორის ერთ. „კრებულის“. 1873, № 4, გვ. 3.

⁵ ნ. ნიკოლაძე, მთავრობა და ახალი თაობა. „რ. ნაწ“. ტ. I, გვ. 238.

⁶ ნ. ნიკოლაძე. На праздники. Газ. «Новое Обозрение». 1883, № 1480.

¹ Н. Николадзе. Капризы пера. Газ. «Тифлисский Вестник». 1875, № 115.

² ვ. ი. ლენინი, მხედველანი, გამოც. 4, 1948 წ., ტ. I, გვ. 176.

თავის ბუნებისმეცნიერულ შეხედულებათა შესაბამისად ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ, როდესაც ადამიანი ბუნებას მჭიდროდ დაუკავშირდება, მის „ხასიათს, ძალას გაეცნობა“¹ ბუნების ცოდნით შეიარაღდება, იგი მალე დარწმუნდება, რომ „ბედის საქმე არა არის რა და არც ზეგარდმო ყოფილა დაწესებული მისი (ე. ი. ადამიანის, ვ. ზ.) მდგომარეობა“².

ნიკოლაძეს სწამდა, რომ ბუნების კანონების ცოდნით შეიარაღებული ადამიანი თავისუფალია. ეს თავისუფლება, მისი აზრით, ოდნავადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ადამიანი ბუნების კანონებისგან დამოუკიდებელი ზღვებოდეს, რადგან თვით ადამიანი „ერთი იმნაირი მოვლენებათაგანი არის, რომელიც ყველაფერში ბუნების კანონს მისდევს“³.

ბუნების კანონთა ცოდნის საფუძველზე ადამიანის მიერ მოპოვებული თავისუფლება, ნიკოლაძის აზრით, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას შეუძლია თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს ამ კანონთა ცოდნა. თვით გახდეს ამით „თავისი ბედის გამწყობი“. ამიტომ წერდა იგი, რომ „ჩვენ უნდა შევისწავლოთ სიცოცხლე, მისი მოვლენები, ძალები, ჩაეწვდეთ მის კანონებს, რადგან მხოლოდ ამ უკანასკნელთა შესწავლის შემდეგ შეიძლება გავლენა მოვახდინოთ მასზე ან ჩვენთვის გამოვიყენოთ მისი ძალები“⁴.

ამრიგად, პუბლიცისტის რწმენით, ბუნების კანონთა ცოდნით შეიარაღებული ადამიანი ადვილად უპირისპირდება ბუნებას, უფრო ადვილად ებრძვის მას და მეტი წარმატებით ახერხებს დაიმორჩილოს იგი, რათა დაიკმაყოფილოს ის

„მოთხოვნილება საზრდოზე, რომელზედაც ბრუნავს მისი სიცოცხლე“¹.

მაგრამ, ნიკოლაძის აზრით, მატერიალური ბუნების კანონთა ცოდნით ადამიანის შეიარაღება არ კმარა იმისათვის, რომ მან სძლიოს „ცხოვრების უხეირობა, საზრდოს და სადგომის უვარგისობა და ნაკულუევანება“², რომელიც უდიდეს დაბრკოლებად ეღობებოდა კაცობრიობას ბედნიერებისათვის ბრძოლის გზაზე. ამისათვის საჭიროა აგრეთვე ადამიანების შეიარაღება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონთა ცოდნით, შათი პრაქტიკულად გამოყენების უნარით. ამის გამო შენიშნავდა პუბლიცისტი, რომ „...ბუნების მეცნიერების გარდა საჭიროა... მეორე ცოდნაც, რომელიც ეკუთვნის „საზოგადოების მეცნიერებას“³ და რომელიც, ნიკოლაძის მცდარი შეხედულებით, „ბუნების მეცნიერებას ავსებს და მის კერძო ნაწილს შეადგენს“⁴.

ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებზე ნიკოლაძე არასოდეს არ მდგარა. ჩერნიშევსკის და ლობროლუბოვის მსგავსად, ჩვენი პუბლიცისტის სოციოლოგიურ შეხედულებებში ნათლად მოჩანს ბრძოლა ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო ტენდენციისა, იდეალისტურის და მატერიალისტურისა, რომელთაგან საბოლოო ანგარიშში მასში პირველი იმარჯვებს.

მიუხედავად ამისა, ნიკოლაძე ზოგჯერ იმასაც აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ისე, როგორც ბუნებისა, „ჩვენს ლოგიკას არ ემორჩილება“⁵ და რომ „საზოგადოებრივი ცხოვრება თავის უნებურად ასრულებს

¹ იქვე.

² ნ. ნიკოლაძე, „კრებულის“ დანიშნულებათაზე „რჩ. ნაწ.“ ტ. II გვ. 36.

³ იქვე, გვ. 42.

⁴ იქვე, გვ. 42.

⁵ ნ. ნიკოლაძე, საფრანგეთის საქმეებზედურა. „მათე“, 1895 წ. № 8, გვ. 152.

¹ ნიკოლაძე „კრებულის“ დანიშნულებათაზე „რჩ. ნაწ.“ ტ. II, გვ. 41.

² იქვე, გვ. 41.

³ იქვე, გვ. 41.

⁴ Н. Николадзе. Византийские споры. Газ. «Новое Обозрение», 1889, № 2032.

საზოგადოების მეცნიერების კანონებს და უსაყვედუროთ, უცილობლად მისდევს მის ნებას“¹.

ამასთან ერთად, ნიკოლაძე, როგორც ზემოთ ითქვა, ისტორიაში ადამიანთა აქტიური როლის მნიშვნელობას არათუ უარყოფდა, არამედ მის საჭიროებას ხაზგასმით აღიარებდა.

სუბიექტის ეს აქტიუობა, ნიკოლაძის შეხედულებით, უპირველეს ყოვლისა მელაუნდება შრომაში, რომელიც „ადამიანის ღირსების ერთადერთი დამცველია“².

ნიკოლაძე, ადამიანის შრომის აპოლოგეტია. იგი წერდა: „რაგინდ დაბრკოლება აიღო კაცის ცხოვრებაში, ყველა თითქმის ისეთნაირი იქნება, რომ კაცის გონებას და შრომას მათი დათრგუნვა და მოგერიება შეუძლია ან შეეძლება“³.

ადამიანის კეთილდღეობის ზრდა, პუბლიცისტის აზრით, შრომაზეა დამოკიდებული, რადგან მისი საშუალებით „შეუძლია იმას (ე. ი. ადამიანს) მთელი მხარის შეცვლა, მისი ბუნებითი მდგომარეობის გადასხვაფერება და თავის სასარგებლოთ მოწყობა“⁴.

ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში ნ. ნიკოლაძე შენიშნავდა, რომ შრომა წარმოადგენს ადამიანის არა მარტო არსებობის, არამედ მის გონებრივ, ფიზიკურ და მორალურ მხარეთა განვითარების ერთ მთავარ პირობას⁵.

ნიკოლაძე წერდა, რომ „ტვინი აზრისათვის მუშაობს“⁶. ამით იგი, ცხადია,

მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ ტვინი აზრის ორგანოა, რომ აზრი ტვინის პროდუქტია, მაგრამ ამასთანავე სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ ადამიანის ტვინი, მისი აზრი, ცნობიერება, შრომითი საქმიანობის საფუძველზე ვითარდებოდა ისტორიულად და ვითარდება ამჟამადაც. „ადამიანის ტვინს, — წერდა ნიკოლაძე, — ბუნებისაგან ის თვისება აქვს დატანებული, რომ, თუ იმას ახალ-ახალი შთაბეჭდილება, მოძრაობა, მღელვარება, შრომა და წერთნა დააკლდა, ის იძინებს და ხავსიანდება, უძლურდება, სუსტდება და თანდათან უფრო და უფრო ჰქრება. ტვინს მარტო ნიადაგი შრომა აძლიერებს და საყვებს აძლევს“¹.

ამავე აზრის დასაცავად წერდა ნიკოლაძე თავის სხვა პუბლიცისტურ სტატიაში, რომ „ცხოველური თუ საზოგადოებრივი ორგანიზმის არსებობის... სრულად შენახვისა და განვითარებისათვის საჭიროა მისი რეგულარულად ვარჯიში და ცხოვრებაში გამოყენება“².

მაგრამ, ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ თვისებათა, კერძოდ მისი ცნობიერების განვითარებაში შრომითი საქმიანობისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭებასთან ერთად, ნ. ნიკოლაძე ყურადღებას იმაზედაც ამახვილებდა, რომ შრომის არა ყოველგვარი ორგანიზაცია შეიძლება ჩაითვალოს ასეთი დადებითი შედეგების მომტანადო. ასე, მაგალითად, წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში, როდესაც მწერლის სიტყვით, „შრომის ნამეტანი განაწილება ხდება“, მას ე. ი. ასე დანაწილებულ შრომას „იმოდენა სარგებლობა არ მოუტანია, რაც ვნება მიუცია ხალხის გონებისათვის“³.

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრებულის დანიშნულებაზე“. „რ. ნაწ.“. ტ. II, გვ. 45.

² ნ. ნიკოლაძე, „მთერობა და ახალი თაობა“. „რ. ნაწ.“. ტ. I, გვ. 235.

³ ნ. ნიკოლაძე, „კრებულის“ დანიშნულებაზე. „რ. ნაწ.“. ტ. II, გვ. 35.

⁴ იქვე, გვ. 35.

⁵ Н. Николадзе. На праздники. Газ. «Новое Обозрение», 1890, № 2103.

⁶ Н. Николадзе. На праздники. Газ. «Новое Обозрение» 1888, № 1500.

¹ ნ. სკანდელი, სხვათა შორის ერთ „კრებულში“, 1873, № 4, გვ. 109.

² Н. Николадзе. Капризы пера. Газ. «Тифлисский Вестник». 1875, № 103.

³ ნ. სკანდელი, „მნათობს“. გაზ. „დროება“. 1870, № 20.

ამის საილუსტრაციოდ ნიკოლაძე მი-
შართავს ისეთ მაგალითს, რომელიც,
როგორც ჩანს, ჩერნიშევსკის „პოლი-
ტიკური ეკონომიის საფუძვლების“ შე-
საფერი მაგალითის მიხედვით მოუფიქ-
რებია. „შრომის განაწილებას იმას ემა-
ხიან, — წერს პუბლიცისტი, — რომ
ერთი წალის შესაკერად, მაგალითად,
ერთი ძაფს გრებს, მეორე ფისს უსვამს,
მესამე ტყავს ალბობს, მეოთხე სკიმავეს,
მეხუთე სკრის, მეექვსე გვირისტს აყო-
ლებს და სხ. ახლა წარმოიდგინეთ იმ
შუშის მდგომარეობა, რომელიც რამდენ-
იმე წლის განმავლობაში ტყავის წყა-
ლში ჩადების და ამოღების მეტს არას
შერება რას, და იფიქრეთ, რა მდგომა-
რეობაში უნდა იყოს მისი გონება, ქუჩა,
ტანი და სხეული, ხელების გარდა? და-
მტკიცებულაა, რომ ამნაირ მდგომარე-
ობაში კაცი ძლიერ მალე სრულიად სუ-
ლელდება და უგონო მაშინათ იქცევა“.¹

კაპიტალისტური წარმოების პირო-
ბებში შრომის ასეთი უკიდურესი და-
ნაწილებისა და ადამიანისათვის მი-
სი საზიანო შედეგების გამო წერდა
ფრ. ენგელსი „ანტი-დიურინგში“, რომ
„შრომის დანაწილებასთან ერთად, ადა-
მიანიც ნაწილდება. ერთი რომელიმე
საქმიანობის განვითარებას მსხვერპლად
ვწირება ყველა დანარჩენი ფიზიკური
და სულიერი უნარი“².

ნიკოლაძის რწმენით, „უგონო მაში-
ნის“ ხედრისაგან ადამიანს მხოლოდ
ის იხსნის, როდესაც მისი შრომა „სხე-
ულის და გონების ძალთა რაც შეიძლე-
და უფრო სრულად გახსნას შეუწყობს
ხელს“. ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც
„იმნაირი დრო დადგება დედამიწაზე,
როცა კაცს შრომის წინ მუხლი და ძა-
ლა აღარ მოეკვეთება“³.

ამ სანეტარო დროის მოახლოებისა-

თვის ბრძოლას უსახავდა ნიკოლაძე
მთავარ ამოცანად იმდროინდელ „მოწო-
ნავე ახალგაზრდობას“⁴

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნიკოლაძის
შეხედულებით, მატერია, ბუნება, სი-
ნამდვილე, ადამიანის ცნობიერებისაგან
დამოუცილებელი ობიექტური რეალო-
ბაა. „რეალური ცხოვრების უარყოფა,
მასზე თვალის დახუჭვა, წერდა ნ. ნი-
კოლაძე, უნაყოფობის, სიცარიელის
მომასწავებელი იქნებოდა“.¹ სინამდ-
ვილე, „არსებული ფაქტია, იგია სი-
ცოცხლე, სამყარო, რომელსაც ჩვენ
შევიგრძნობთ ყოველ წუთს“².

ამრიგად, ნიკოლაძის გნოსეოლოგიუ-
რი შეხედულებით, გარესინამდვილეს-
თან შემეცნებელი სუბიექტის დამა-
კავშირებელი საშუალება მხოლოდ შე-
გრძნებებია.

ნიკოლაძისათვის საეცებით ცხადი
იყო, რომ, თუ გრძნობითი ორგანოები
დამახინჯებულად, არასწორად ასახა-
დნენ ობიექტურ სინამდვილეს, მაშინ
არასწორი, დამახინჯებული აღმოჩნდე-
ბოდა შემეცნებაც ადამიანისა, რომე-
ლიც ამის გამო ვეღარ შეძლებდა ბიო-
ლოგიური თვალსაზრისით მიზანშეუო-
ნილად შეგუებოდა გარესინამდვილეს.

დამახინჯებულ შემეცნებას, რომელ-
შიაც, ნიკოლაძის გამოთქმით, დარღვე-
ულია „ნამდვილთან სისწორე“, არ შე-
უძლია რაიმე „სარგებლობის მოტანა
საზოგადოებისათვის და ადამიანისათ-
ვის“³.

ყველაფერი ეს დამაჯერებლად ამტ-
კიცებს, რომ ნიკოლაძის გნოსეოლოგი-
ური შეხედულებანი მატერიალისტუ-
რია. მაგრამ, რადგანაც ნიკოლაძის მატ-
ერიალიზმი ძირითადად ბუნებისმეც-

¹ ნ. სკანდელი, „მნათობს“, გაზ. „დროე-
ბა“, 1870, № 20.

² ფრ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, 1952
წილი, გვ. 349.

³ ნ. სკანდელი, ჩემი სამახსოვრო წიგ-
ნიდან. გაზ. „დროება“, 1871, № 13.

¹ Н. Николадзе. Византийские спо-
ры. Газ. «Новое Обозрение». 1889, № 2032.

² იქვე.

³ ნ. სკანდელი, „ჩვენი მწერლობა“ ფრ-
კუმული 1872 წ. № 10—11—12, გვ. 117.

ნიერული იყო, ამიტომ იგი დაზღვეული არ აღმოჩნდა პოზიტივისტური შეცდომისაგან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ანარქისტების წინააღმდეგ მიმართული ერთი წერილი სათაურით „ნაროდნოე დელო“, რომელიც ნიკოლაძემ ემიგრაციაში ყოფნის დროს თავის ჟურნალ „სოვრემენოსტში“ დაბეჭდა და რომელშიაც იგი არაკრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს პოზიტივიზმის აგნოსტიკური დებულებებისადმი¹.

ცნობილია, რომ პოზიტივიზმი, როგორც იდეალისტური მეტაფიზიკის ნაირსახეობა, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი გარესინამდვილის არსებობას და მის შეცნობადობას უარყოფს. ნიკოლაძე კი, ამ საკითხში საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას, იგი გარესინამდვილის ობიექტური არსებობისა და შეცნობადობის მომხრეა.

ცნობილია ისიც, რომ პოზიტივიზმი მეცნიერების რელიგიასთან კავშირის საჭიროებას აღიარებდა. ამ აზრს თავგამოდებით იცავდა, კერძოდ, სპენსერი. მატერიალისტი ნიკოლაძე კი შეურიგებელი ათეისტი იყო და იდეალისტურ-რელიგიურ შეხედულებათა გამო სპენსერს მეტაფიზიკოსს უწოდებდა.

ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნიკოლაძის მიერ იმ ხანებში დაშვებული პოზიტივისტური გადახრა, შესაძლებელია მატერიალიზმისა და პოზიტივიზმის გაიგივების იმ ფაქტით იყო გამოწვეული, რომელსაც, ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარის აზრით, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში რუსულ მწერლობაში ჰქონია ადგილი და რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა რუსულ ლიტერატურასთან და აზროვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნიკოლაძეზეც.

საბჭოთა მკვლევარის ბ. კოზმინის ცნობით, 60-იანი წლებიდან დაიწყო რუსული ზაიცევი, რომელიც „კონტის“ პოზიტივიზმის ძლიერ გავლენას განიცდიდა, მატერიალიზმსა და პოზიტივიზმს შორის არსებულ შეურიგებელ წინააღმდეგობას ვერ ამჩნევდა. ამიტომ, ერთ თავის ბროშურაში იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ პოზიტივიზმი წარმოადგენს იმ ერთ-ერთ რეალურ, დადებით კონცეფციას არსებულის შესახებ, რომელსაც ნილილიზმი, მატერიალიზმი, ათეიზმი ემთხვევა¹.

იმავე კოზმინის ცნობით, ამ შეხედულებას იზიარებდა აგრეთვე ცნობილი პისარევი და 60-იან წლების ბევრი სხვა მოწინავე რუსი მწერალი.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენ მიერ ზემოთ წამოყენებულ მოსაზრებებს, მაშინ ცხადი ხდება, რომ ნიკოლაძე პოზიტივიზმის პრინციპული მომხრე არ ყოფილა და, პირიქით, არსებითად ებრძოდა მას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ფილოსოფიურ მოძღვრებაზე აღზრდილ ნიკოლაძეს იერიშები მიჰქონდა ვულგარული მატერიალიზმის დამცველთა წინააღმდეგაც. ნიკოლაძე თუმცა აღნიშნავდა მათ ერთგვარ დამსახურებას რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ, იგი ამასთანავე დაუზოგავად ებრძოდა ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის უარყოფით მხარეებს. ასე, მაგალითად, სპენსერის გვერდით იხსენიებს რა ბიუნერს, ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ორივენი „მეტაფიზიკოსთა რიცხვს ეკუთვნიან და ფილოსოფიის ისტორიაში მხარს უმშვენებენ სენსუალიზმის, ვიტალიზმის, სპირიტუალიზმის, ანიმიზმის, მატერია-

¹ Б. Козьмин. Анонимная брошюра о Герцене, 1870 г., «Литературное исследование», 41 — 42. А. И. Герцен. Издание Акад. Наук СССР, Москва, 1941, ст. 164 — 165.

¹ ნ. ნიკოლაძე, „ნაროდნოე დელო“, „რ. ნაწ.“, ტ. 1, გვ. 299 — 309.

ლიზმის და სხვა ცალმხრივ სისტემათა მომხრეებს და დამაარსებლებსო“.¹

გასაგებია, რომ იდეალისტური ფილოსოფიური სკოლების გვერდით ნიკოლაძის მიერ მოხსენებული მატერიალიზმი — ვულგარული მატერიალიზმია, რომლის სიმახინჯეთა გამო, „ფეიერბახი, რომელიც ძირითადად მატერიალისტი იყო, ილაშქრებდა სახელწოდების — მატერიალიზმის წინააღმდეგ“², ხოლო გერცენი ამავე მიზეზით ვერ ბედავდა თავისი თავი მატერიალისტად გამოეცხადებინა.

ამხანაგ სტალინის განმარტებით, ვულგარული მატერიალისტები იმ ყალბ შეხედულებათა გამაყრცელებელნი იყვნენ, „ეითომ შეგნება თავისი ბუნებით — იგივე მატერიაა“³.

ამ უხეშ, ანტიმეცნიერულ შეხედულებას ზოგიერთი მომხრე გასული საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოშიაც აღმოაჩნდა. ერთი მათგანი იყო ჟურნალ „მნათობს“ ცნობილი თანამშრომელი, პუბლიცისტი მოსე ქიქოძე. რომლის „ფილოსოფიას“ ასე მწარედ დასცინა ნ. ნიკოლაძემ⁴.

როგორც ვთქვით, ნიკოლაძის აზრით, გარესინამდვილეზე ჩვენ ცოდნას ვღებულობთ შეგრძნებების საშუალებით, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ შეგრძნებები ცოდნის პირველი საფეხურია, ხოლო მისი უმაღლესი საფეხური აზროვნებაა, რომელიც ამ შეგრძნებებს გადაამუშავებს ცნებებად, კატეგორიებად, კანონებად.

ნიკოლაძემ კარგად იცოდა ფაქტის განსაკუთრებული ღირებულება მეცნიერებისათვის, მაგრამ მამაჟანქნა ვერაფერი სწორად ითვალისწინებდა მეცნიერული შემეცნებისათვის ამ ფაქტების განზოგადების აუცილებლობასაც. ამიტომ შენიშნავდა პუბლიცისტი რომ „...ფრაზები მოსპო და მოკლა მეცნიერებამ, რომელიც თხოულობს ფაქტს და ამ ფაქტზე დამყარებულ აზრს“¹.

ეხებოდა რა ფაქტებისა და მათი მეცნიერული განზოგადების საჭიროებას, კერძოდ ბუნებისმეცნიერებაში, ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ განზოგადების საშუალებით ადამიანს შეუძლია მიიღოს ისეთი დასკვნები, „...რომელთა გამოყენება შესაძლებელია მთელ ბოტანიკაში, ხოლო ზოგჯერ მთელ ბუნებისმეცნიერებაში“².

ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ნ. ნიკოლაძე მოვლენათა მეცნიერულ ახსნაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თეორიას. მისი ხატოვანი გამოთქმით, თეორია „...ელვასავით გაჰკრავს ცოდნის ნიშლიან ცაზე, ბნელ მხარეებს გაანათებს, გზას ამოაჩენს, მიზანს უჩვენებს“³.

თეორიის სისწორის შემოწმებელ ერთადერთ საშუალებად მას ადამიანთა პრაქტიკა მიაჩნდა. „პრაქტიკით უნდა გაისინჯოს მისი (ე. ი. თეორიის — ე. ზ.) ნამდვილი ღირსებაო“⁴, წერდა ნიკოლაძე.

თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის გაგებაში ნიკოლაძე მთლიანად

¹ ნ. ნიკოლაძე, „ნაროდნოე დელო“, „რჩ. ნაწ.“, ტ. I, გვ. 298.

² საქ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, 1950 გვ. 129.

³ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, 1947, გვ. 298.

⁴ ნ. სკანდელი, „მნათობს“, გაზ. „დროება“, 1870, № 20.

¹ ნ. ნიკოლაძე, „თეორიის“ პირველი ნომერი, „რჩ. ნაწ.“, ტ. II, გვ. 191.

² ნ. ნიკოლაძე, „ნაროდნოე დელო“, „რჩ. ნაწერები“, ტ. I, გვ. 296.

³ ნ. სკანდელი, სხვათა შორის ჟურ. „კრებული“, 1873, № 4, გვ. 176.

⁴ ნ. სკანდელი, სხვათა შორის ჟურ. „კრებული“, 1873, № 4, გვ. 93.

ჩერნიშევსკის თვალსაზრისს იცავდა, რადგან დიდი რუსი მატერიალისტის შეხედულებითაც, „რაც სადავოა თეორიაში, იმას სუფთად სჭრის ნამდვილი ცხოვრების პრაქტიკა“¹.

თვით პრაქტიკის არსის გაგებაშიაც, ნიკოლაძე, ცხადია, ჩერნიშევსკის შეხედულებას იზიარებდა. როგორც ჩერნიშევსკი, ისე მისი მიმდევარი ნიკოლაძე, პრაქტიკის მარქსისტულ გაგებამდე არ ამაღლებულან.

მარქსისტული გაგებით, პრაქტიკა უპირველეს ყოვლისა ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოებითი პრაქტიკაა. ჩერნიშევსკისათვის კი იგი მოიცავს ადამიანის სამეცნიერო-ექსპერიმენტულ საქმიანობას და მის ბრძოლას ბუნებასთან. ასე ესმოდა პრაქტიკა ნიკოლაძესაც.

ნიკოლაძის შეხედულებით, შემეცნების დასაწყისი ადამიანთა პრაქტიკასთანაა დაკავშირებული. მისი აზრით, შემეცნების ფაქტი გაპირობებულია არა მარტო ადამიანის შემეცნებითი უნარით, არამედ შემეცნების საჭიროებითაც. „ასი და ათასი მაგალითი მოხდა ქვეყანაზე იმისა, — წერდა ნიკოლაძე, — რომ ხალხი, რომელიც ნოტიო, ჭენჭყოიან ადგილებში იდგა და მრავალი საუკუნის განმავლობაში უძღური, ავადმყოფი და ღარიბი იყო, თავისი საკუთარი მოხერხებითა და შრომით გამოვიდა ამ უბედურ მდგომარეობიდან. ამ „სასწაულმოქმედებაში“ არც ზეგარდმო მოვლინება გარეულა, არც ბუნების კანონების შეცვლა. მოხდა ეს ცვლილება მარტო იმის გამო, რომ კაცმა გაიგო რა იყო უბედობის ნამდვილი მიზეზი, გაიგო, რა ბუნების კანონების ძალით ხდებდა ეს უბედობა და რა კანო-

ნების ძალას შეუძლია მისი მოსპობა“¹.

სწორად ითვალისწინებდა „რაც საჭიროდ საზოგადოებრივი პრაქტიკის მნიშვნელობას თეორიისათვის, ნიკოლაძე მართებულად მიუთითებდა იმაზედაც, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გარკვეულ მომენტში თეორია თვით იწყებს უკუშემოქმედებას პრაქტიკაზე და მისი შემდგომი განვითარების ძლიერ ფაქტორად იქცევა. ამიტომ ამბობდა იგი, რომ „საზოგადოების ცხოვრებაში ძლიერ შესანიშნავი გავლენა და ძალა აქვს თვით ამ საზოგადოების აზრს“².

როდესაც ნიკოლაძე „საზოგადოების ცხოვრებაში საზოგადოების აზრის შესანიშნავ გავლენაზე“ ლაპარაკობს, ცხადია, მას მხოლოდ ისეთი აზრი აქვს მხედველობაში, რომელიც ისტორიულად პროგრესულია და ობიექტური ჭეშმარიტების ერთგვარ საფუძურს წარმოადგენს.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ნიკოლაძე ადამიანის გონებას, აზრს გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ერთგვარად იზრებოდა რაციონალიზმისაკენ. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მის სოციოლოგიურ შეხედულებებში, რომლებშიაც ნათლად ჩანს იდეალიზმი „ზემოდან“, თუმც ცალკეულ შემთხვევებში, პუბლიცისტის აზროვნების მატერიალისტური ტენდენციები აქაც იგრძნობა.

ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ადამიანს არ ძალუძს ერთბაშად მისწვდეს ობიექტურ ჭეშმარიტებას. პუბლიცისტს უსასრულოდ მიაჩნდა ადამიანის შემეცნება, რადგან, რუს სამოციანელთა შეხედულებების შესაბამისად, მას უსას-

¹ Н. Г. Чернышевский. Избранные философские сочинения, 1938 г. ст. 390 — 391.

¹ ნ. ნიკოლაძე. „კრებულის“ დანიშნულებაზე „არ. ნაწ.“ ტ. II, გვ. 34.

² ნ. ნიკოლაძე. „კრებულის“ დანიშნულებაზე „არ. ნაწ.“ ტ. II, გვ. 34.

რულოდ, ამოუწურავად მიიჩნდა თვით თბიეჭტური სინამდვილე, კაცობრიობის სიცოცხლე, მისი მოძრაობა, განვითარება, პროგრესი. ამიტომ წერდა იგი, რომ „საითაც უნდა გადაავლოს კაცმა თვალი, ყოველგან შეუდარებელ უკეთესობას და უმჯობესობას დაინახავს... ყველაფერში, ყოველგან, რაც კი უნდა ავიღოთ შესადარებლად, დაეინახავთ, რომ ახლანდელი მდგომარეობა, ახლანდელი ტვინი და მოხერხება უწინდელზე შეუდარებლად უფრო მაღლა დგას და უფრო სადიდებელია...“

ეს ყოველიფერი ითქმის და უნდა მიიღებოდეს მხოლოდ წარსულთან შედარებით. ჩვენ ბედნიერ მდგომარეობაში ვართ, თუ ჩვენ ახლანდელ სიცოცხლეს უწინდელს შევადარებთ და უწინდელ ჩვენ უბედობას თუ გავიხსენებთ. მაგრამ, როგორც წარსულს დავიფიქვებთ ან მომავლისაკენ თვალს მივქცევთ, ოპ, რა ბნელი და ნაკლებიანი გვეჩვენება ჩვენ მაშინ ახლანდელი მდგომარეობა, რამდენს უხეირობას დაეინახავთ ჩვენ შიგ, რამდენს უმსგავსობას და რამდენი ცვლილება გამოგვიჩნდება მაშინ აუცილებელ საჭირო¹!

ამგვარად, ნიკოლაძის შეხედულებით, ადამიანი თუმც თანდათანობით მეტი სისრულით ეუფლება ობიექტურ სინამდვილეს, მაგრამ ვერასოდეს იგი იმ წერტილს ვერ მიაღწევს, როდესაც შეეძლება გადაჭრით განაცხადოს, რომ მან საბოლოოდ და ამომწურავად შეიცნო ბუნება, მატერია, მისი კანონები და ამიერიდან ამ მხრით საზრუნავი არაფერი დარჩენია.

ცნობილია, რომ ფრ. ენგელსმა „ანტი-დიურინგში“ მწარედ დასცინა დიუ-

რინგის ცრუმეცნიერულ მსჯელობას მარადიულ, საბოლოო, უკანასკნელ ჭეშმარიტებათა შესახებ².

სწორედ დიურინგის მსგავსი ცრუმეცნიერნი ჰყავდა მხედველობაში ნიკოლაძეს, როდესაც იგი ერთ თავის ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილში ირონიით შენიშნავდა: „სამწუხაროდ, ჩვენ იგივე კიდევ გვჯერა, რომ თითქოს მეცნიერებას მოეპოვებოდეს „უკანასკნელი სიტყვა“, რომ თითქოს ყოველი ეგრეთ წოდებული უკანასკნელი სიტყვა, ორი-სამი წლის შემდეგ წინარეუკანასკნელად არ იქცეოდეს“³.

ამრიგად, ნიკოლაძე, ისე როგორც ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი, ადამიანის ცოდნის რელატივობის მომხრე იყო და სასტიკად ილაშქრებდა დოგმატიზმის წინააღმდეგ მეცნიერებაში. მაგრამ, თავისი დიდი რუსი წინამორბედების მსგავსად, იგი სასტიკად ილაშქრებდა აგრეთვე ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ცოდნის შეფარდებითობის პრინციპი სკეპტიციზმსა და აგნოსტიციზმამდე დაყავდა.

სამყაროს შეცნობადობაში დაჯერებულ მატერიალისტ ნიკოლაძისათვის, შეუცნობელი, ცხადია, არ ნიშნავდა შეუცნობადს, რადგან „...რაც ჩვენ დღეს შეუძლებელად მიგვაჩნია, — წერდა იგი — ათი-თხუთმეტი წლის შემდგომ, ნამდვილი და ძლიერ შესაძლებელი საქმე იქნება. ცოტა რამეა განა ახლა ესეთი ასრულებული, რაც ოცი წლის წინათ კაცს შეუძლებელი ეგონა?“⁴.

¹ ფრ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, 1952 წელი, თავი 9 გვ. 99 — 113.

² Н. Николадзе. Письма к милому другу. Газ. «Тифлисский Вестник», 1875, № 97.

³ ნ. სკანდელი. ქვეითად და რკინის ვაზში. ვაზ. „დროება“, 1869, № 34.

⁴ ნ. ნიკოლაძე, საახალწლო. „რჩ. ნაწერები“. ტ. II, გვ. 28.

ამ სიტყვებით ნიკოლაძე გამოთქვამდა თავის ოპტიმისტურ რწმენას ადამიანის ძალებისადმი, მისი შემეცნებითი უნარისადმი, იმ შეხედულების სისწორისადმი, რომ ისტორიული განვითარების პროცესში კაცობრიობა თანდათან

უფრო და უფრო მიუახლოვდება ობიექტურ კემარობებს. ნიკოლაძის ეს ფილოსოფიური ოპტიმიზმი მტკიცედ დაკავშირებულია მის ოპტიმისტურ საზოგადოებრივ შეხედულებებთან.

სოციალისტური რეალიზმის პრობლემა ლუი არაგონის შემოქმედებაში



„ეს მოხდა მონპარნასის ერთ-ერთ კაფეში. უცერად ვიღამაც მომმართა: პოეტი ელადიმერ მაიაკოესკი გთხოვთ მის მაგიდას ეწვიოთო. მართლაც, ის იქ იყო, — მან ხელი დამიქნია: მაიაკოესკიმ ფრანგული არ იცოდა.

ეს იყო წუთი, რომელმაც შესცვალა მთელი ჩემი ცხოვრება. პოეტი, რომელმაც შეძლო პოეზია იარაღად ექცია, რომელმაც შეძლო რევოლუციაში მონაწილეობის გარეშე არ დარჩენილყო, — ეს პოეტი გახდა კავშირად ჩემსა და მთელ სამყაროს შორის, რომლის უარყოფა მასწავლეს მე მიყვარებულმა ფილოსოფოსებმა. ამ სამყაროში, რომლის გარდაქმნას ჩვენ, მატერიალისტები, შევძლებთ, ამიერიდან მე ვხედავ არა მარტო მტრის საზიზღარ სახეს, არამედ აგრეთვე მილიონ ადამიანთა ელვარე თვალებსაც.

მაიაკოესკიმ მასწავლა მე სულ უბრალოდ, რომ საჭიროა და შეიძლება ამ ჩვეულებრივ ადამიანებს მივუძღვნა ჩემი პოეზია, რომ სწორედ ესენი გარდაქმნიან ამ ქვეყანას, რომ მათ მუქარის ნიშნად უკვე აღმართული აქვთ ძველ ქვეყანაზე ბორკილისაგან განთავისუფლებული ხელები“.

ასე იგონებს მაიაკოესკისთან თავის პირველ შეხვედრას ლუი არაგონი — თანამედროვე საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი-კომუნისტი.

ლუი არაგონი ეკუთვნის ფრანგ ლიტერატორთა იმ პლეადას, რომელიც

30-ანი წლების დასაწყისში, მსოფლიო კრიზისის მიერ გამწვევებული სოციალური ბრძოლის ვითარებაში, შეუერთდა პროგრესისა და დემოკრატიის ბანაკს.

30-ანი წლებიდან იწყება ლუი არაგონის, როგორც პროლეტარული პოეტის, შემოქმედებითი ბიოგრაფია. ამ დრომდე იგი ეკუთვნოდა ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთ ბურჟუაზიულ მიმართულებას, რომელიც საფრანგეთში სტრუქტალიზმის სახელით არის ცნობილი. გადამწყვეტი როლი შეასრულა ლუი არაგონის ცხოვრებაში მაიაკოესკის შემოქმედების გაცნობამ.

იმ გარდატეხაზე, რომელიც ფრანგ მწერლებთან ერთად განიცადა ლუი არაგონმა, დიდი გავლენა იქონია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ.

1930 წ. ლუი არაგონი პირველად ეწვია მოსკოვს.

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ მან კავშირი გააყვიტა სტრუქტალიზმის სკოლასთან. ამავე წელს არაგონმა შექმნა თავისი პირველი რეალისტური პოემა „წითელი ფრონტი“, რომელშიაც სცადა პოეტური ენით გადმოეცა ჩვენს ქვეყანაში მიღებული შთაბეჭდილებები. პროლეტარული რევოლუციის სამშობლოს გაცნობამ პოეტს შესაძლებლობა მისცა ახლებურად დაენახა და გაეაზრებინა თავისი ქვეყნის სინამდვილე. კაპიტალიზმი, რომელიც შიშის ზარს სცემდა პოეტ-სტრუქტალისტს და რომლისგანაც მისტიკურ სამყაროში

გარბოდა, ამ პოემაში ასახულია, როგორც სასიკედილოდ დაჭრილი მტერი. მაგრამ არაგონი თავის სამშობლოში უკვე ხედავს არა მარტო ბურჟუაზიულ საფრანგეთს.

საფრანგეთი მის წინ დგება, როგორც დიდი რევოლუციური ბრძოლების ქვეყანა, როგორც გამართული პარიზის კომუნის სამშობლო. პოეტი გრძნობს იმ დიდ პოტენციურ ენერჯიას, რომელიც ისახება ამ ქვეყნის მოჩვენებითს მყუდროებაში და დალუპვას უქადის ძველ სამყაროს. „პარიზო! შენი ფილაქნის ქვები მზად არიან ასაფეთქებლად. შენი ხეებიც ბარიკადად ქცევას ლამობენ!“ — ასე მიმართავს პოეტი თავისი ქვეყნის დედაქალაქს.

30-ანი წლების დასაწყისშივეა შექმნილი არაგონის ლექსების ციკლი: „ვაშა ურალი“. არაგონი აქ უფრო ფართოდ და ღრმად ასახავს სოციალისტური მშენებლობის თემას. ამ ლექსებში ჩვენ ვხვდებით სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ სურათებს. განსაკუთრებით ძლიერია ის ლექსები, რომლებშიაც პოეტი გვაძლევს საბჭოთა ადამიანების რეალურ სახეებს. მათ შორის გამოირჩევა ბალადა ნადეჟდინსკი დასჯილ წითელ გვარდიელთა შესახებ. თავისი შინაარსით და ოპტიმისტური კონცეფციით, მხატვრული ხერხების უაღრესი სისადავით ეს ლექსები უახლოვდება ხალხურ სიმღერებს.

უნდა აღინიშნოს, რომ არაგონის ეს აღრინდელი პოეტური ნაწარმოებები თავისუფალი არ არიან სუსტი მხარეებისაგანაც. „წითელ ფრონტში“ ფრანგი პოეტი ჯერ კიდევ ვერ პოულობს ადეკვატურ მხატვრულ სახეებს სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბების და ტემპების გამოსახატავად. ვიწრო ესთეტიკური ჩარჩოებიდან გამოსვლის მისწრაფება უფრო ნათლად იგრძნობა ლექსების ციკლში: „ვაშა, ურალი“. მაგრამ აქ არაგონი

ზოგჯერ ვარდება მეორე უკიდურესობაში: პოეტური ენის გადაჭარბებულ ხელოვნური გამართივებამხატვრულუბას უჯარგავს და სქემატურ ელფერს აძლევს მის ზოგიერთ ლექსს. მიუხედავად ამ სუსტი მხარეებისა, რომლებიც უშეტესად შემოქმედებითი ძიების შედეგს წარმოადგენენ, ზემოაღნიშნულ ნაწარმოებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ლეი არაგონის პოეტურ ბიოგრაფიაში. ისინი მოწმობენ იმ კარდინალურ გარდატეხას, რომელიც მოხდა მის პოეტურ მსოფლმხედველობაში. ამიერიდან ლეი არაგონის შემოქმედების საგანი ხდება რეალური სინამდვილე, მისი რევოლუციური განვითარება.

ლეი არაგონის 30-ანი წლების ლიტერატურულ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის პუბლიცისტიკას. ამ დროის პოლემიკური წერილების უმრავლესობა შესულია თვით არაგონის მიერ შედგენილ კრებულში საერთო სახელწოდებით: „სოციალისტური რეალიზმისათვის“. არაგონის სტატიების კრიტიკული მახვილი მიმართულია საფრანგეთის ბურჟუაზიულ ლიტერატორთა წინააღმდეგ. ლეი არაგონი ნიღაბს ხდის დეკადენტების „აპოლიტიკურ“ პოეზიას, ამჟღავნებს მათი შემოქმედების სოციალურ შინაარსს. ბურჟუაზიული ლიტერატურის ვიწრო ესთეტიკურ კანონებს, დეკადენტი პოეტების მხატვრულ პრაქტიკას არაგონი უპირისპირებს ახალი ხელოვნების ცოცხალ დინებას, რომელსაც სულიერი საზრდო მოაქვს მრავალმილიონიანი მასებისათვის. თავისი ქვეყნის პროგრესულ მწერლებს არაგონი მიზნად უსახავს ისწავლონ ბურჟუაზიული საზოგადოების მხილება საფრანგეთის კრიტიკული რეალიზმის სახელოვანი წარმომადგენლებისაგან. განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკაიბალისტური სამყაროს რევოლუციურ უარყოფაში არაგონი აძლევს ევენ პოტიესა და ვალესის ტრადიციების გაცოცხლებას. არაგონი

ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილების მნიშვნელობას საფრანგეთის რევოლუციური პოეტების შემოქმედებითი განვითარებისათვის, იგი თავის პირად მასწავლებლად აღიარებს ვლადიმერ მაიაკოვსკის.

არაგონის პუბლიცისტიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციალისტური რეალიზმის და კერძოდ, საბჭოთა ლიტერატურის პროპაგანდისათვის საფრანგეთის საზოგადოების ფართო წრეებში. რეალისტური ესთეტიკის იმ პრინციპული საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც არაგონის პუბლიცისტურ წერილებშია წამოჭრილი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით მწერლის შემოქმედებითი წინსვლისათვის. ეს წერილები წარმოადგენენ ერთგვარ თეორიულ საფუძველს, აუცილებელს იმ დიდი რეალისტური ნაწარმოებებისათვის, რომელთა შექმნა არაგონმა გადაწყვიტა ამ დროს.

30-ან წლებში არაგონის მიერ შექმნილი „ბაზელის ზარები“ და „მდიდარი უბნები“ წარმოადგენენ ორ პირველ ნაწარმოებს, რომლითაც იხსნება ფრანგი მწერლის მიერ ჩაფიჭრებული რომანების დიდი სერია საერთო სახელწოდებით „რეალური სამყარო“. „ბაზელის ზარებში“ აღწერილია 900-ანი წლები, „მდიდარ უბნებში“ მოქმედება სწარმოებს უშუალოდ იმპერიალისტური ომის წინ. არაგონის მიზანი იყო აესახა ამ რომანებში საფრანგეთის იმპერიალიზმის პირველი საბედისწერო ნაბიჯები. ამასთანავე ის ცდილობდა, მკითხველის ყურადღება შეეჩერებინა იმ მოვლენებზე, რომლებსაც განსაკუთრებული აქტუალობა ჰქონდათ 30-ანი წლებისათვის.

არაგონი კარგად გადმოგვცემს იმპერიალისტური ომის წინა პერიოდის პოლიტიკურ ატმოსფეროს. ის გვიჩვენებს, როგორ იზრდება შოვინიზმი საფრანგეთის კაპიტალისტურ წრეებში. მწერალი ნიღაბს ხდის ბურჟუაზიული საფ-

რანგეთის მესვეურთა ცრუ პატრიოტიზმს. კაპიტალიზმის ერთგულნი... მანტი, ორივე რომანის *მწვემედვე* უფრო ვის ნ ე რ ი თავის კომპანიონთან ინტერმური საუბრის დროს გულახდილად აცხადებს: „როდესაც“ მე ვამბობ — საფრანგეთი, ეს მხოლოდ მოხერხებული სიტყვაა, მე მხედველობაში მყავს ჩვენივე თავი, პატარა ჯგუფი, შეკავშირებული საერთო ინტერესებით“. არაგონი განსაკუთრებულად აჩერებს მკითხველის ყურადღებას იმ დემაგოგიურ ხერხებზე, რომელთა საშუალებათაც ეს ადამიანები ცდილობენ გააჩაღონ ომის ფსიქოზი მოსახლეობაში. არაგონი დიდი რეალისტური სიღრმით გვიჩვენებს, რომ მილიტარიზმი ერთერთი საშუალებაა ფრანგი მშრომელების და, პირველ რიგში, მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლისა. მწერალმა პირველი იმპერიალისტური ომის წინანდელი სოციალური მოვლენებიდან განსაკუთრებით გამოყო პროფაშისტურა მოძრაობა საფრანგეთში. ტიპიურ პროფაშისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს არაგონის მიერ „მდიდარ უბნებში“ აღწერილი ახალგაზრდა ბურჟუეზების შეიარაღებული წრე, რომელსაც აღრიენ არნო მეთაურობს. „მუშების გადმოსაბირებლად საქირთა ტყვიები“, — ასეთია მათი დევიზი.

არაგონის რომანებში დიდი მხატვრული სიცხადით არის დახატული მდიდარი უბნების მობინადრეთა სამყარო, ბურჟუაზიული საფრანგეთი თავისი ანტიკომუნური კანონებით და ზნე-ჩვეულებებით. ამ საზოგადოების კრიტიკულ მხილებაში არაგონი ეყრდნობოდა საფრანგეთის მე-19 საუკუნის სოციალური რომანის ბრწყინვალე ტრადიციებს. გაკოტრებული კომერსანტი ბრიუნელი „ბაზელის ზარებიდან“, რომელიც ერთგვარ რეზუმეს უკეთებს რომანში აღწერილი კაპიტალისტური საზოგადოების მესვეურთა საქმიანობას, თავისი დაუფარავი კლასობრივი ცინიზმით

მოგვაგონებს ბალზაყის რომანების ცნობილ პერსონაჟს ვოტრენს. აი მისი სიტყვები: „მუშების მეთაურებმა, ავტორებმა, გაფიცულთა ხელმძღვანელებმა მოიგონეს მთელი ჩვენი ხროვისათვის, თქვენთვის, გენერალო, და ჩემთვისაც, ისევე როგორც პირველი შემხედლური მედტქნისათვის, საერთო სახელი. ისინი ჩვენ პარაზიტებს გვიწოდებენ და ისინი მართალი არიან. ჩვენ პარაზიტები ვართ. ვერ გამიგია, რა საქირთა ამისი დაფარვა. მე პირადად ეს ამბავი სრულიად არ მეჩოთირება. განა არა სჯობს, პარაზიტი იყო, ვიდრე ის ცხოველი, რომელსაც პარაზიტები აწუხებენ?“.

ბურჟუაზიული სამყაროს წარმომადგენლებიდან ამ რომანებში განსაკუთრებული რეალისტური ოსტატობით გამოირჩევა ორი სახე: ედმონდ ბარბენტანი „მდიდარი უბნებიდან“ და დიანა „ბაზელის ზარებიდან“. ედმონდ ბარბენტანი, როგორც ლიტერატურული ტიპი, წარმოადგენს ახალ საფეხურს იმ შინაგანი ევოლუციისა, რომელიც განიცადა მე-19 საუკუნის ფრანგული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციულმა პერსონაჟმა, ახალგაზრდა ბურჟუამ, რომელსაც გზის გაკაფვა უხდებოდა საზოგადოებაში.

სერიანის მერის ვაჟიშვილი ედმონდ ბარბენტანი წარმოადგენს ამ ლიტერატურული ტიპის სულიერი დაწვრილმანების უმაღლეს საფეხურს. არაგონის რომანში ეს სახე სრულიად უფერულდება და მოსაწყენი ხდება. ეს არის აბსოლუტურად უნიკო ადამიანი. საზოგადოებაში გზის გაკაფვის ერთადერთ საშუალებას მისთვის აღიუტტერი წარმოადგენს. ედმონდ ბარბენტანის სულიერ სილატაყეს, მისი გრძნობების უმნიშვნელობას მწერალი კარგად გვაგრძნობინებს ფინანსთა მაგნატის კენელის ახალგაზრდა მეუღლესთან მისი საიდუმლო შეხვედრისას. ამ ადგილას ავტორი აღწერს არა მათ გრძნობებს და გან-

ცდება, არამედ საწოლი ოთახის მდიდარ მორთულობას, კარლდტან ლაგონს, ძვირფას საცვლებს და ა. შ. არაგონის გმირი კარგავს არა მარტო დადებით თვისებებს, ის არასაინტერესო და მოსაწყენი ხდება მკითხველისათვის. არაგონის დიანა „ბაზელის ზარებიდან“. ტიპიური სახეა ბურჟუაზიული ქალისა, რომელიც თავისი სილამაზით ვაჭრობს საზოგადოებაში. ის ბევრი რამით ჰგავს ანატოლ ფრანსის ქალბატონს სერესს „პინგვინების კუნძულიდან“, რომელიც ასევე ადვილად ყიდის თავის თავს. მაგრამ თუ ფრანსის ევილინას გააჩნია თავის პრეისტორია, რომელიც, თუ არ ამართლებს, ყოველ შემთხვევაში ერთგვარად ხსნის მის საქციელს, თუ მას კიდევ შეუძლია თავისებურად სიყვარული, — არაგონის დიანას საცვებით შეთვისებული აქვს უბრალო გასასყიდი საგნის როლი. გაკვრითაც კი არ ლაპარაკობს არაგონი დიანას გრძნობებს შესახებ, რადგან ისინი ზედმეტი არიან მისთვის. ხოლო მისი გარეგნობა აღწერილია შემდეგნაირად: „დიანა იყო ულამაზესი ქალი, ის წარმოადგენდა შესანიშნავ ილუსტრაციას მოდების ეურნალის ფერადი ყდისათვის“.

არაგონის რომანებში ცენტრალური ადგილი უჭირავს იმ ადამიანების სახეებს, რომელთა შინაგანი განვითარება მიმართულია დიამეტრალურად საწინააღმდეგო მხარისაკენ. ესენი არიან ბურჟუაზიული საზოგადოებიდან გამოსული ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც რთული შინაგანი ბრძოლის შემდეგ უერთდებიან საფრანგეთის მშრომელ ხალხს. სერიანის მერის უმცროს ვაჟიშვილს, ბუნებით ფაქიზ და გულკეთილ არმან ბარბენტანს, ბავშვობიდან სძულს ის ბინძური სინამდვილე, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. მწვავე სულიერი მერყეობის შემდეგ იგი უერთდება ამოხეხულ მუშათა რიგებს და მათთან ერთად ბრძოლაში ხედავს ამიერიდან თავისი სიცოცხლის დანიშნულებას.

უფრო რთული და მძიმეა „ბაზელის ზარების“ მთავარი მოქმედი პირის ქართული ქალის ეკატერინე სიმონიძის ცხოვრების გზა. დიდი სიყვარულით და პოეტური სითბოთი ხატავს ავტორი ამ ახალგაზრდა ქალის შინაგან განცდებს, მის მშვენიერ გარეგნობას: „ლარუსის ლექსიკონში წერია, რომ ქართველი ქალები მსოფლიოში ყველაზე უფრო ლამაზები არიან. ამის ცოცხალ მაგალითს კატრინ სიმონიძე წარმოადგენდა“, — წერს არაგონი. თავისუფლების მოყვარე ქართველ გოგონას ბავშვობიდან აღშფოთებს ქალთა მონური ხვედრი კაბიტალისტურ საზოგადოებაში. ეს აღშფოთება მას თვალებს უხელს საერთოდ სოციალურ უსამართლობაზე. მძიმე მატერიალური გაჭირვება, რომელსაც იგი განიცდის თავის დედასთან ერთად უცნობ პარიზში, იძულებულს ხდის ჯერ კიდევ ნორჩ გოგონას, იბრძოლოს თავისი არსებობისათვის.

პირად ცხოვრებას, რომელიც საეგვა შეცდომებით და შინაგანი წინააღმდეგობით, სასოწარკვეთილებაში მოყავს მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა ქალი. და სწორედ მაშინ, როდესაც კატრინ სიმონიძეს თავის მოკვლა აქვს გადაწყვეტილი, არაგონის რომანში ხდება სიმბოლური ამბავი: მის სასოწარკვეთილ გმირს დალუპვას გადაარჩენს ახალგაზრდა მუშა ვიქტორი. კატრინ სიმონიძისათვის ეს არის არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი გადარჩენაც. ვიქტორი მას უბრუნებს ახალ ცხოვრებას, რომლის შინაარსი ამიერიდან უნდა იყოს თავისუფლებისათვის ბრძოლა საფრანგეთის მშრომელ ხალხთან ერთად.

ლუი არაგონისათვის 30-იან წლებში ჯერ კიდევ ძნელი იყო საფრანგეთის ისტორიის ჰემმარიტი გმირების, მშრომელი ადამიანების მხატვრულად სრულყოფილი სახეების შექმნა. მუშათა კლასის ცხოვრებისა და ბრძოლის აღწერას არაგონის რომანებში შედარებით მცირე ადგილი უჭირავს. მიუხედა-

ვად ამისა, ამ ნაწარმოებებში ნათლად იგრძნობა მშრომელი ადამიანების მორალური ძლიერება და სტლიზირის სიმართლე, რითაც ისინი განსხვავდებიან ბურჟუაზიული სამყაროს წარმომადგენლებისაგან.

მუშათა კლასის დიდ მომავალში ურყევი რწმენით სუნთქავს „ბაზელის ზარების“ უკანასკნელი თავი, სადაც ავტორი ამაღლებელი შტრიხებით ხატავს კლარა ცეტკინის სახეს. „მდიდარი ებნების“ დასასრულს, როდესაც ამბოხებულ მუშები იძულებულნი არიან დროებით უკან დაიხიონ, მათთან მოდის გუშინდელი შტრიკებრეხერი ქაბუკი არმან ბარბენტანი, რომელიც თავის შეცდომას მიხედა და რომანი თავდება ახალი ადამიანის მოსვლით გახარებული მოხუცი მუშის სიტყვებით: „აი, ზომ ხედავთ, ამხანაგებო, არასდროს არ არის საჭირო იმედის დაკარგვა“.

საფრანგეთის მუშათა მოძრაობის შინაგან სიდიადეს ლუი არაგონი შესანიშნავად გვაგრძნობინებს ქალაქ სერიონის მშრომელთა საპროტესტო დემონსტრაციის აღწერისას; მაგრამ ამასთან ერთად მწერალი ნათლად გვიჩვენებს იმ ადამიანთა პოლიტიკურ უმწიფობას, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის წინ ხელმძღვანელობდნენ ფრანგი მუშების ბრძოლას. სოციალისტი ვინმე, რომელიც სიტყვით გამოდის დემონსტრანტთა წინაშე, ფაქტიურად ლაპტობს განთავისუფლებული მუშების ინტერესებს.

არაგონის რომანებში საერთოდ დიდი ემოციური სიძლიერით არის გადმოცემული ფრანგ მშრომელთა მასობრივი გამოსვლები. (ასეთია, მაგალითად, პარიზელ მუშათა მიტინგი, რომელზედაც ომის გამჩაღებელთა საწინააღმდეგო სიტყვით გამოდის ეორესი). მაგრამ მწერალი ჯერ კიდევ ვერ ქმნის თავის ნაწარმოების დადებით გმირს, ფრანგი მუშის მხატვრულად დამაჯერებელ სახეს: გაფიცული ტაქსის შოფერების ახა-

ლგაზრდა ორგანიზატორი ვიქტორი „ბაზელის ზარებიდან“ ავტორს დახასიათებული ჰყავს, როგორც კეთილშობილი, სულიერად მტკიცე ადამიანი, მაგრამ, მიუხედავად ამ დადებითი თვისებებისა, არაგონის გმირი მაინც უფერული და სქემატური რჩება, რადგანაც მწერალი არაფერს გვეუბნება მისი შინაგანი სამყაროს, მისი გრძნობების და კონკრეტული საქმიანობის შესახებ.

არაგონის დადებითი გმირის სულიერი სიმარტივე განსაკუთრებით ცხადლევ ჩანს, როდესაც ჩვენ მას ვაღაგრებთ მის მიერვე გადაჩენილ ეკატერინე სიმონიძის ფსიქოლოგიურად რთულ სახეს. ეს აღხსნება იმით, რომ არაგონი 30-ან წლებში ჯერ კიდევ ყოველმხრივად არ იცნობდა საფრანგეთის მშრომელი ადამიანების ყოფა-ცხოვრებას, მათ მდიდარ სულიერ სამყაროს.

ლუი არაგონის რომანების ამ სუსტ მხარესთან ერთად უნდა აღინიშნოს ის არანაკლებად მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც ფრანგი მწერლის მხატვრული მეთოდისათვის იყო დამახასიათებელი 30-ან წლებში. ფრანგი მწერლის ორივე რომანი ზედმეტად არის გადატვირთული ბურჟუაზიული სამყაროს წარმომადგენელთა პირადი ცხოვრების აღწერით. მოქმედ პირთა მთელი რიგი ამ ნაწარმოებებში ავტორის მიერ დახასიათებულია მხოლოდ მათი ცხოვრების ინტიმური ფაქტებით. მკითხველისთვის ხშირად გაუგებარი რჩება ამ ადამიანთა სოციალური სახე, მათი საქმიანობის საზოგადოებრივი შინაარსი. ობიექტური სინამდვილიდან აღებული ფაქტების შერჩევითა და განზოგადების მეთოდი ამ რომანებში ყოველთვის არ უთავსდება სოციალისტური რეალიზმის იმ შემოქმედებით პრინციპებს, რომლებიც ლუი არაგონს თავის ლიტერატურულ სტატიებში აქვს წამოყენებული.

რომანების საერთო მამხილებელ მიზანდასახულებას ასუსტებს მხატვრული ობიექტივიზმის ელემენტები, რომ-

ლებიც თავს იჩენენ არისტოკრატიული სალონების ყოველდღიური ცხოვრების და ნატურალისტური მტრისებრით მოცემული ეროტიკული სცენების აღწერისას.

„ბაზელის ზარების“ პირველი წიგნი დაწერილია ერთგვარი „სალონური სტილით“. არაგონი შესანიშნავად გადმოგვცემს სპეციფიკური სიტყვიერი მასალის საშუალებით პარიზის არისტოკრატიული წრეების წარმომადგენელთა სულიერი სამყაროს სიფიწროვეს და ერთფეროვნებას. მაგრამ „სალონური სტილით“ ამ წიგნში ლაპარაკობენ არა მარტო მოქმედი პირები. ეს სტილი ახასიათებს თვით ავტორის ენასაც. ხშირად მკითხველი ვერც კი არჩევს, სად თავდება პერსონაჟის სიტყვები და სად იწყება ავტორის რემარკა; ამრიგად, თითქოს საზღვარი იშლება ავტორსა და მოქმედ პირთა შორის. მკითხველის თვალში მწერალი წარმოდგება არა როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების მსჯავრმდებელი, არამედ როგორც ამ საზოგადოების ერთ-ერთი წევრი, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, პასიური მკითხველი.

ლუი არაგონის შემოქმედებითი მეთოდის ზემოაღნიშნული სუსტი მხარეები შესაძლებლობას არ გვაძლევენ სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოებად ჩავთვალოთ მისი 30-ანი წლების რომანები. ეს რომანები წარმოადგენენ ფრანგი კომუნისტი მწერლის პირველ ნაბიჯებს რეალისტური ხელოვნების დიდ გზაზე: მხატვრული მეთოდის შეცდომები და სუსტი მხარეები, რომლებიც განპირობებული იყვნენ შემოქმედებითი ძიების პროცესით, ლუი არაგონმა არსებითად დაძლია თავის შემდგომ პროზაულ ნაწარმოებებში.

ლუი არაგონის, როგორც პროზაიკოსის, შემოქმედებაში ახალ ეტაპს ხსნის მისი მონუმენტური რომანი „კომუნისტები“, რომლის წერა მან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ბელადმა მორის ტორეზმა თავის მოხსენებაში საფრანგეთის კომპარტიის მე-12 ყრილობაზე ასე დაახასიათა ომის შემდგომი ფრანგული ლიტერატურა:

„ჩვენ მოვთხოვეთ ჩვენს მწერლებს, ფილოსოფოსებს, მხატვრებს და მსახიობებს მუშათა კლასის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ პოზიციებზე ბრძოლა. ბურჟუაზიული ესთეტიზის გადაგვარების გზაზე მდგომ ხელოვნებას, ეკონსტენსიალიზმის „ფილოსოფიის“ უნუგეშო პესიმიზმს, იმ მხატვართა ფორმალისმს, რომელთათვის ხელოვნება იწყება იქ, სადაც სურათი. კარგაეს შინაარსს — ჩვენ დაუპირისპირეთ ხელოვნება, რომელიც შთაგონებული იქნება სოციალისტური რეალიზმით, გასაგები იქნება მუშათა კლასისათვის, ხელს შეუწყობს მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლას. ჩვენ განვიცდით სიხარულის და სიამაყის გრძნობას იმის გამო, რომ მწერლებისა და მხატვრების საუკეთესო ნაწილმა, რომელიც მთელ თავის ნიჭს ხალხის სამსახურს სწირავს, გაგვიგო და დაგვეთანხმა ჩვენ. მათი რიცხვი ძალიან დიდია. შეუძლებელია ყველას დასახელება, მაგრამ მაინც ნება მომეცით განსაკუთრებით მივესალმო არაგონს და მის წიგნს „კომუნისტებს“.

ლუი არაგონის ახალ რომანს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საფრანგეთის რეაქციულ ბურჟუაზიას, რომელიც დღეს ისევ ყიდის თავისი ქვეყნის ნაციონალურ დამოუკიდებლობას ოკიანისიქეთელ მბრძანებლებზე, როგორც გუშინ მიჰყიდა იგი გერმანულ ფაშისმს, არ უყვარს, როდესაც მას რეზისტანსის გმირულ მოძრაობას ახსენებენ. ფრანგი ხალხის მოღალატეები, რომლებმაც კვლავ ჩაიგდეს ხელში ქვეყნის მმართველობის საქვე, ცდილობენ დაფარონ თავიანთი გამცემლური საქმიანობის სისხლიანი ნაკვალევი. მაგრამ თუ საფრანგეთის ბურჟუაზიამ

საჭირო დასკვნები ვერ გამოიტანა უკანასკნელი დროის საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენებიდან — ფრანგულ ხალხისათვის, საფრანგეთის მშრომელებისათვის მეორე მსოფლიო ომი იყო დიდი და დაუვიწყარი გაკვეთილი.

საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ ომის გამჩალებელთა მოღალატურ საქმიანობას საფრანგეთის მშრომელები ერთსულოვნად აძლევენ მტკიცე პასუხს: „ფრანგი ხალხი არასოდეს, არასოდეს არ იბრძოლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

იმ სახელოვან ბრძოლაში, რომელსაც დღეს ფრანგი მშრომელები აწარმოებენ სამშობლოს გამყიდველთა და ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ, მათ შთააგონებს და ძალას მატებს რეზისტანსის გმირი მონაწილეების, დახვრეტილი კომუნისტების უკვდავი მაგალითი. საფრანგეთის მშრომელებს უყვართ და სჯერათ მშობლოურ „დახვრეტილთა პარტიისა“, რომელმაც ფრანგი ხალხისადმი ერთგულება დაამტკიცა მთელი თავისი გმირული ისტორიით. გერმანულ ფაშისტთა მიერ დახვრეტილი საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი გაბრიელ პერი და სხვა რიგითი კომუნისტები იქცნენ ფრანგი ხალხის ნაციონალურ გმირებად. ამიტომ ცდილობს საფრანგეთის ბურჟუაზია წინააღმდეგობის მოძრაობის დისკრედიტაციას. რეაქციის მოყიდული ლიტერატორები ჩირქს სცხებენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა ნათელ ხსოვნას.

1947 წელს სორბონის უნივერსიტეტში, საჯარო დისპუტზე ლუი არაგონმა ფრანგი პროგრესული მწერლების სახელით მრისხანე პასუხი გასცა რეაქციის მოციქულებს: „ალეადგინოთ ადამიანი? განა ადამიანი მოკვდა? ეს არ არის ნამდვილი პრობლემა, ეს სინამდვილისაგან გაქცევაა, ეს არის გაქცევა იმ პრობლემებისაგან, რომლებიც ახლადგას ცოცხალი ადამიანების წინაშე-

ღიან, თავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს, ადამიანთა სიცოცხლის და კეთილშობილებებისათვის ბრძოლის დროს ფაშისტური მხეცის წინააღმდეგ, იყო წამი უფსკრულის პირას, როდესაც ჩვენ შეგვეძლო დაგვადებოდა ექვი: „ნუთუ ადამიანი მოკვდება? მაგრამ ამ შეკითხვაზე პასუხი გაცემული იქნა არა „რჩეულთა“ პატარა ჯგუფის მიერ, ასობით ათასმა გმირებმა გაგვეცეს პასუხი საკუთარი სისხლის საფასურად. ადგილი ჰქონდა მასობრივ გმირობას, რომ არ ჰქონოდა ადგილი მასობრივ გმირობას, მაგალითად, როდესაც ფაშისტები შედიოდნენ სტალინგრადის გარეუბნებში, ამ შეკითხვაზე პასუხი არ გაეცა საბჭოთა ხალხს, რომელიც ფილოსოფიისათვის არ მიმართავს გერმანელ შპენგლერს, — ანდრე მალროს არ ექნებოდა საშუალება აქ, სორბონის დიდი ამფითეატრიდან, შეკითხვა მიეცა თავისი თავისათვის — მოკვდება თუ არა ადამიანი, ან ხომ არ მოკვდა იგი უკვე?“.

ომის შემდგომმა ფრანგულმა ლიტერატურამ მოგვცა რეზისტანსის თემაზე დაწერილი რამდენიმე რომანი, რომლებიც არ შეიძლება რეაქციულ ნაწარმოებად ჩაითვალოს. მათი ავტორები მონაწილეობას იღებდნენ წინააღმდეგობის მოძრაობაში. მაგრამ ბერკეუაზიული მსოფლმხედველობის შეზღუდულობა ამ მწერლებისათვის შეუძლებელს ხდის სწორად გაიგონ ფრანგი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიული შინაარსი. მათ არ სჯერათ მშრომელი მასების ძლევამოსილების და ვერ ზედავენ, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა გრძელდება ომის შემდეგაც. ამიტომ რეზისტანსის მონაწილენი მათ მიერ ასახული არიან, როგორც „ტრაგიკული ერთეულები“. მათი ნაწარმოებები გამსჭვალული არიან პესიმიისტური აზრით იმის შესახებ, რომ მალე დაიწყებას მიეცემა იმ ადამიანთა ნათელი სახელები, რომელთაც სულიერი სიდი-

დის მაგალითი აჩვენებს კაცობრიობას, და ცხოვრება კვლავ დაუბრუნდება. ფრანგის ვიწრო, პროზაულ ლიტერატურაში ფრანგი ხალხის განმათავისუფლებელმა ბრძოლამ თავისი სრულყოფილი გამოსახულება პოვა საფრანგეთის კომუნისტი მწერლების — ლაფიტის, ელუარის, კონიოს, არაგონის და სხვათა ნაწარმოებებში.

წინააღმდეგობის გმირული მოძრაობა განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა ლუი არაგონის შემოქმედებაში. არაგონის ლექსმა განიცადა კემპარიტი პოეტური დაეაქცევა იმ მძიმე დღეებში, როდესაც ფრანგი მწერალი არალეგალურად მუშაობდა რეზისტანსის რიგებში, როდესაც იგი იბეჭდებოდა არალეგალურ გაზეთებში, როდესაც მას გადასცემდნენ საიდუმლო რადიოსადგურები, როდესაც ფრანგი პარტიზანები და ფრანტირიერები მას ზეპირად სწავლობდნენ. ფრანგი პოეტის შემოქმედებითი ზრდა განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა ისეთ პოეტურ ნაწარმოებებში, როგორიცაა გაბრიელ პერისადმი მიძღვნილი „ბალადა ადამიანზე, რომელიც ტანჯვის დროს მღეროდა“, „რადიომოსკოვი“, „პოეტი მიმართავს პარტიას“ და სხვ. ლუი არაგონის ნოველები, მისი პუბლიცისტური წერილების კრებული „ადამიანი კომუნისტი“ წარმოადგენს ფრანგი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის შესანიშნავ მხატვრულ ძეგლს.

ახალი რომანი „კომუნისტები“ ავტორის მიერ ჩაფიქრებულია, როგორც დიდი ეპიკური ტილო სამ სერიად, სადაც უნდა აისახოს საფრანგეთის სინამდვილე 1939 წლიდან 1945 წლამდე. ლუი არაგონმა უკვე დაამთავრა პირველი სერია, რომელიც ხუთ ტომს შეიცავს. ამ სერიაში აღწერილია პერიოდი 1939 წლის თებერვლიდან, — როდესაც საფრანგეთის მთავრობამ, ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებთან შეთანხმებით, მუხანათურად უღალატა ესპანელ რესპუბლიკელებს — 1940 წლის ივნისის

დასაწყისამდე, როდესაც იმავე მთავრობამ პარიზში შესასვლელი გზა გაუხსნა პიტლერებს.

არაგონის ახალი რომანი, რომელიც თავისი შინაარსით მოიცავს საფრანგეთის საზოგადოების ყველა ფენის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ პერიოდს, კემმარტიად ნოვატორული ნაწარმოებია თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში. დეგრადირებული ბურჟუაზიული ლიტერატურა დღეს უარს ამბობს საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სურათების შექმნაზე. თანამედროვე ბურჟუაზიულ მწერლებს არ სურთ და არ შეუძლიათ გაიგონ და მხატვრულად ასახონ სოციალური განვითარების ისტორიული პროცესი. მათი მხატვრული ასახვის საგნად გადაიქცა ცალკეული ინდივიდუუმის სუბიექტურ შეგრძნებათა ვიწრო სამყარო. დეკადენტური რომანის გავრცელებულ პერსონაჟს, — „კონკრეტულ ადამიანს“, — საერთო არაფერი აქვს სტენდალისა და ბალზაკის ისტორიულ-კონკრეტულ ტიპებთან.

მე-19 საუკუნის კლასიკური სოციალური რომანის ბრწყინვალე ტრადიციების ერთადერთი ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი საფრანგეთში თანამედროვე პროგრესული ლიტერატურაა. მაგრამ ლუი არაგონის, ისევე როგორც სხვა ფრანგი კომუნისტ მწერლების, შემოქმედება შეიცავს ახალ თვისებებსაც, რომლებიც მათ ასხვავებენ ფრანგული კრიტიკული რეალიზმი-საგან. საფრანგეთის კომუნისტ მწერლებს, პირველად ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში, თავის ნაწარმოების მთავარ გმირად გამოყავთ ფრანგი ხალხი, საფრანგეთის მშრომელი მასები.

არაგონის რომანის კომპოზიცია უაღრესად რთულია. უკვე პირველ სერიის გვხვდება 50-მდე მარტო პირველხარისხოვანი პერსონაჟი, სიუჟეტური განვითარების პარალელური და ურთიერთგადამკვეთი ხაზების დიდი რაოდენობა.

მაგრამ ეს არ უკარგავს არაგონის ნაწარმოებს კომპოზიციურ მთელანობას, რადგან რომანს აქვს *სავერთო* თღვეური სიუჟეტური კვანძი, რაც შესაძლებლობას უქმნის ავტორს გვიჩვენოს ცალკეულ პიროვნებათა ბედი მთელი საზოგადოების ისტორიულ ბედი-იზბალთან ურღვევ ერთიანობაში. ლუი არაგონი ასახავს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრებას მათ ურთიერთმოქმედებაში. ეს ავტორის დიდი შემოქმედებითი მიღწევაა. არაგონის 30-ანი წლების რომანებში ბურჟუაზია და პროლეტარიატი ნაჩვენები იყვნენ ერთმანეთისაგან იზოლირებულად. სოციალური ფენების ასახვა მათ ურთიერთობაში და ბრძოლაში კომუნისტი მწერლის შემოქმედებითი ზრდის მაჩვენებელია.

„კომუნისტების“ პირველი სერია წარმოადგენს შემდგომი სერიების ფართო ექსპოზიციას. ამ წიგნებში ავტორი გვიჩვენებს თუ როგორ უახლოვდება საფრანგეთი ნაციონალურ კატასტროფას, რომლისკენაც იგი მიყავს რეაქციული მთავრობის დანაშაულებრივ პოლიტიკას; ავტორი გვიჩვენებს იმასაც, თუ როგორ ერთიანდებიან ეროვნული საფრთხის წინაშე დამდგარი ფრანგი ხალხის ფართო მასები კომუნისტური პარტიის გარშემო.

„კომუნისტების“ პირველი სერიის პროლოგია რესპუბლიკური ესპანეთის სისხლიანი ტრაგედია. ეს ტრაგედია ლუი არაგონს ნაჩვენები აქვს, როგორც საერთაშორისო ფაშოზმის პირველი სისხლიანი გამარჯვება, რასაც ხელი შეუწყო საფრანგეთის, ისევე, როგორც ინგლისისა და ამერიკის გამცემლურმა პოლიტიკამ. რომანის პირველი სერიის ეპიზოდები ელერენ, როგორც პრელუდია იმ მძიმე დღეებისა, რომელიც ფრანგ მშრომელებს უნდა დასდგომოდათ. მაგრამ ხალხის გმირული სული არ გაუტეხავს ამ საბედისწერო დამარცხებას. ფრანგმა მშრომელებმა ეროვნული განსაცდელის დღეებში უფრო მეტად შეა-

მკიდროვეს თავიანთი რიგები საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გარშემო.

უკვე პირველ წიგნებში იგრძნობა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია მზად არის ულაღატოს თავის ხალხს, რომ იგი სიამოვნებით ითანამშრომლებს გერმანიის ფაშისმთან. მაგრამ ავტორი საბოლოოდ ხდის ნიღაბს მოღალატეთა სახეებს მეოთხე ტომში, სადაც ჩვენთვის ნათელი ხდება საფრანგეთის მსხვილი კაპიტალის საიდუმლო კავშირი ჰიტლერულებთან.

საფრანგეთის მთავრობის ომისწინანდელი პოლიტიკის მხილებას არაგონის რომანებში უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს დღევანდელი დღისათვის, როდესაც რეაქცია, რომელიც საფრანგეთში ფაშისმის აღორძინებას აპირებს, კვლავ ცდილობს ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამხედროს ფრანგი ხალხი. ერთადერთი პოლიტიკური ძალა საფრანგეთში, რომელიც ეროვნულ განსაცდელის დღეებში გრძნობდა თავის სრულ პასუხისმგებლობას ხალხისა და ქვეყნის ბედობისათვის, ძალა, რომელიც პოლიტიკური ტერორის მძიმე პირობებში განუხრელად ამზადებდა სახალხო წინააღმდეგობის არმიას — ეს იყო საფრანგეთის კომუნისტური პარტია.

ღლი არაგონი შესანიშნავად აღწერს ფრანგი კომუნისტების გმირულ მოღვაწეობას „უცნაური ომის“ დღეებში. რაც უფრო აზლოვდება ნაციონალური კატასტროფა, მით უფრო სასტიკ ფორმებს იღებს მთავრობის რეპრესიები კომუნისტთა წინააღმდეგ. იზურება საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „ლ'ჰუმანიტე“, კანონგარეშე ეხადდება კომუნისტური პარტია, დაპატიმრებული არიან კომუნისტი დეპუტატები. რომანის პირველ ტომში ნაჩვენებია იმ სულმოკლე ადამიანთა სახეები, რომლებსაც აბრმავებს ანტიკო-

მუნისტური პროპაგანდა, რომლებიც პოლიტიკური რეპრესიების შემთხვევით პარტიასთან ურთიერთობასში მაგრამ ეს ადამიანები მხოლოდ გამონაკლისს ერთეულებს წარმოადგენენ. კომუნისტური პარტია განაგრძობს თავის სახელოვან საქმეს სასტიკი ტერორის პირობებში. პარტიის რიგითი წევრები „ლ'ჰუმანიტეს“ დახურვის შემდეგ მოკლე ხანში ქმნიან საიდუმლო გამოცემობას. კომუნისტური პარტიის აკრძალვიდან 5 კვირის შემდეგ აღდგენილია კავშირი პარიზის რაიონის ყველა პარტიულ ორგანიზაციას შორის. მობოლიზებული კომუნისტები კავშირს აბამენ ერთმანეთთან და პარტიულ მუშაობას განაგრძობენ სამხედრო ვითარებაში. ისინი ქმნიან არმიაში ერთადერთ მტკიცე ბირთვის, რომელსაც ჰიტლერულებთან ბრძოლის უნარი შესწევს.

კომუნისტების გმირული მაგალითი ცოცხალ ძალებს ჰმატებს და შეუღრეკელი ბრძოლისათვის აღაფრთოვანებს საფრანგეთის მშრომელებს. უბრალო ადამიანები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, ყველა, ვინც კი ფიქრობს სამშობლოს თავისუფლებაზე, მიაშურებს საფრანგეთის მშრომელთა სახელოვან ავანგარდს. ასე იქმნება საფრანგეთში ნაციონალური წინააღმდეგობის არმია, რომელიც თავისი რიგების სიმკიდროვეს და ერთსულოვნებას უპირისპირებს ფრანგი ხალხის მოღალატეთა რეაქციულ ბანაკს.

ახალ რომანში უფრო მეტად ღრმავდება ფრანგი მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება კაპიტალისტური სამყაროსადმი. არაგონი ნაკლებ ყურადღებას აქცევს „მდიდარი უბნების“ მოსახლეთა პირად, ინტიმურ ცხოვრებას. ბურჟუაზიული საფრანგეთის „ორასი ოჯახი“ და მათი ლაქები ავტორს მოცემული აქვს სოციალური მხილების ასპექტში.

დიდი მხატვრული ოსტატობით არის დახატული რომანში საფრანგეთის მრე-

წველობის „ბებერი ლომის“ ვისნერის სახე. პირველი შეხედვით ეს არის თითქოს მხოლოდ სულიერად მხნე და ამასთან ერთად დარბაისელი და გონებაბახვილი მოხუცი ადამიანი, რომელსაც უყვარს თავის მდაბიო წარმომბაზე ლაპარაკი; რომელიც ერთგვარ „მზარუნველობასაც“ კი იჩენს თავისი ქარხნის მუშების მიმართ. ავტორი არ ჩქარობს ნიღაბის ახდას. მაგრამ თანდათანობით ჩვენს წინ იხატება ამ „დარბაისელი“ მოხუცის ქვეშაირი სოციალური სახე. ჩვენ ვიგებთ, რომ ის საფრანგეთის სამხედრო მრეწველობის საბოტაჟის მონაწილეა. ჩვენ ვხედავთ, როგორ მოქმედებს იგი მთავრობაზე, რათა მინისტრად დანიშნონ მისთვის საჭირო პროფესიური პარტიის წარმომადგენელი. ამ ადამიანის დანაშაულებრივ საქმიანობაზე ჩვენ საბოლოოდ გვეხილება თვალები მე-4 წიგნში, როდესაც მისი ქარხნის მიერ გამოშვებული ტანკები უვარგისი აღმოჩნდებიან ბრძოლის ველზე. ეს არის ტიპური სახე მომავალი კოლაბორაციონისტისა, რომელიც ელის ჰიტლერს, ზუსტად იცის მისი მოსვლის საათი და უყვე თანამშრომლობს მის აგენტებთან.

არანაკლებ საინტერესოა არაგონის რომანში „დიდი“ ვისნერის შეილობის ფრედ ვისნერის სახე. იგი წააგავს რომანის გმირს ედმონდ ბარბენტანს. ისიც ცდილობს კარიერის შექმნას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მაგრამ მისი მიზანია არა მარტო გამდიდრება. ფრედ ვისნერი გრძნობს, რომ იმ საზოგადოებას, რომელშიაც მას ვისის გაკავება სურს, დაღუპვის საფრთხე ემუქრება. ამიტომ ის იბრძვის არა მარტო თავისი ინტერესებისათვის, არამედ თავისი კლასის, არსებული წყობილების, კაპიტალის ინტერესებისათვის. და სწორედ ამიტომ, რომ ფრედ ვისნერი ბურჟუაზიის ინტერესებისათვის შეგნებული მებრძოლია, სოციალური ცხოვრების ისტორიულ განვითარებას, კლასო-

ბრივი ბრძოლის ახალ ფორმებს იგი მიყავს ფაშიზმთან. ლუი კრაფტონი თავის რომანში ფრედ ვისნერის უფრო მეტად მაგალითზე გვიჩვენებს ფაშისტური მოძრაობის სოციალურ-პოლიტიკურ ფესვებს საფრანგეთში.

არაგონი თავის რომანში დიდ ადგილს უთმობს ბურჟუაზიული საზოგადოების იმ წარმომადგენელთა სახეებს, რომლებმაც უარყვეს თავისი კლასი და პროგრესული ბანაქისაკენ ისწრაფვიან. გარდატეხა მათ ცხოვრებაში სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული. მოქანდაკე ეან-ბლენის სულიერი გარდატეხა გამოწვეულია აუტანელი სიძულვილის გრძნობით ბურჟუაზიული ვარემოსადმი, ბურჟუაზიული ხელოვნებისადმი, რომელიც გამიზნულია დეგრადირებული კლასის ვარყვნილი გემოვნების დასაკმაყოფილებლად. ფრანგ კომუნისტთა პირადი გმირობის მაგალითი ხანში შესულ მხატვარს თვალებს უხელს მისთვის უცნობ, მშვენიერ სამყაროზე. ეან-ბლენი აღტაცებულია კომუნისტი დებუტატის ფლორიმონ ბონტის უშიშარი საქციელით. ის გრძნობს, რომ ნამდვილი ხელოვნების საგნად უნდა იქცეს ეს გმირობა. „სად არის ის მოქანდაკე, — ეკითხება თავის თავს ეანბლენი, — რომელიც შექმნის წარმომადგენელთა პალატის კულუარებში დაპატიმრებულ ფლორიმონ ბონტის სახეს?!“.

ადვოკატ ვატრენის გამოფხიზლება იწყება „უცნაური ომის“ დღეებში, როდესაც მისთვის ნათელი ხდება, რომ მთავრობა ომს აწარმოებს არა ჰიტლერის, არა ფაშიზმის, არამედ იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც საფრანგეთის დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. რთული გზით უახლოვდება პროგრესის ბანაკს არაგონის რომანის ორი მთავარი გმირი—მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი ეან მოსე და ფრედ ვისნერის ახალგაზრდა მეუღლე სისალი, რომელთაც საიდუმლო სიყვარულის გრძნობა აერთებს. შინაგანი პატიოსნება

და მორალური სიწმინდე მათთვის შეუძლებელს ხდის შეურიგდნენ იმ ბინძურ სინამდვილეს, იმ ბნელ ადამიანებს, რომელთა წრეში უხდებათ მათ ცხოვრება. მათი მისწრაფება პროგრესის ბანაკისაკენ თავიდან ატარებს ინსტიტუტურ ხასიათს. კომუნისტთა პირად თვისებებში, მათ გმირულ მოქმედებაში ისინი ზედავენ თავიანთ იდეალების განხორციელებას. მე-4 წიგნის ბოლოს ჩვენ მათ ეტოვებთ შუა გზაზე. მაგრამ ნაპერწკალი უკვე დანთებულია მათ გულში, ისინი უკვე გაღვივებული არიან ახალი ცხოვრებისათვის და მკითხველი გრძნობს, ვის გვერდით დადგებიან ისინი გადაწყვეტ ქაშს. ამ ადამიანთა სახეები ტიპიური არიან დღევანდელი საფრანგეთის სინამდვილისათვის. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც დღეს, როდესაც იმპერიალისტურ მთავრობას ახალ კატასტროფისაკენ მიყავს ფრანგი ხალხი, პროგრესის ბანაკში მიდიან და მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებს უერთდებიან.

არაგონი ხატავს თავის რომანში საფრანგეთის მშრომელთა ფართო მასების, საფრანგეთის მუშათა კლასის წარმომადგენელთა სახეებს, ეროვნული განსაცდელის მძიმე დღეებში თავგანწირულად რომ იბრძვიან თავისუფლების საქმისათვის, კომუნისტებთან ერთად. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ არაგონის მიერ შექმნილი ფრანგ პატრიოტ ქალთა სახეები, რომ დიუსელიეს, მარგარიტ კორვიზარის, პოლეტ ბლანშარის, მიშელინ ვალიეს, ივონ გაიარის სახეები ავტორს დახატული აქვს რეალისტურად, ყოველგვარი ყალბი რომანტიზმის გარეშე. ესენი არიან უბრალო ფრანგი ქალები, რომელთათვის არ არის უცნობი ყოველდღიური ცხოვრების პროზა და საზრუნავი. მაგრამ ის პატარა წვლილი, რომელიც მათ შეაქვთ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, მთელი ფრანგი ხალხის დიად საქმეში, ის მძიმე სამუშაო, რომელსაც ისინი სინ-

დისიერად და უშიშრად ასრულებენ, გმირობის ნათელი შარავნდებულ კოსაგს ამ უბრალო ქალიშვილებსა.

ლუი არაგონის ახალ რომანში ცენტრალური ადგილი უჭირავს ფრანგ კომუნისტთა სახეებს. ავტორი მათ უწოდებს „ალორძინების ადამიანებს“, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შინაგანი მთლიანობით, სულიერი სიდიადით მოგვაგონებენ ამ ბრწყინვალე ეპოქის წარმომადგენლებს, არამედ იმიტომაც, რომ ფრანგ კომუნისტებს ისტორიამ წილად არგუნა საფრანგეთის ალორძინება. ლუი არაგონის ახალი ნაწარმოების პერსონაჟები—ფრანგი კომუნისტები, — მიდიარი და საინტერესო სულიერი სამყაროს მტარებელნი არიან. რომანის გმირთა შორის ყველაზე უფრო საინტერესონი არიან საფრანგეთის მუშათა კლასის წარმომადგენლები.

ინტერნაციონალური ბრიგადის ყოფილი მებრძოლი ბლანშარი სოციალურ ბრძოლებში გამობრძმედილი საფრანგეთის პროლეტარიატის შესანიშნავი წარმომადგენლებია. ღარიბი მუშის შვილს რაულ ბლანშარს ახასიათებს ძლიერი მისწრაფება თვითგანვითარებისაკენ. ის თავის მოვალეობად თვლის ღრმად ჩასწვდეს და შეისწავლოს ყველა ის საკითხი, რომელთა ცოდნა აუცილებელია პარტიის წევრისათვის. ამ ადამიანში ჩვენ გვხვობავს ბუნებრივი ნიჭი. პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი საქმისადმი, პარტიული ორგანიზატორის დაუშრეტელი ენერჯია. ავტორი ხაზს უსვამს ბლანშარის ნაზ გრძნობას თავისი შესანიშნავი მეუღლისადმი, დიდ სიყვარულს ჯერ კიდევ თოთო ვაიშილისადმი. მაგრამ, როდესაც პოლიტ ბლანშარი გადაწყვეტს თავის ბიჭუნას დატოვებას იატაკ-ქვეშ სამუშაოზე წასასვლელად, ეს ნაზი სიყვარული ხელს არ უშლის რაულს ისევე უსიტყვოდ დაეთანხმოს თავის მეუღლის გადაწყვეტილებას, როგორც უკანასკნელი დაეთანხმა მას, როდესაც იგი ესპანეთის

ომში მიდიოდა. ასე უბრალოდ წყვეტენ რაულ ბლანშარი და მისი მეუღლე პირადისა და საზოგადოებრივის რთულ პრობლემას.

გვიომ ვალიეც ღარიბი მუშის ოჯახიდანაა გამოსული. პარტიაში შესვლა ახალ ფურცელს შლის მის ცხოვრებაში. პარტია იქცევა მისი სიყვარულის ყველაზე უფრო ძვირფას და წმინდა საგნად, კომუნისტები — ყველაზე უფრო ახლობელ ადამიანებად. მობილიზებულ ვალიეს ჯარში წასვლის წინ პარტიულ ორგანიზაციაში მიყავს თავისი ცოლი. პარტია, გვიომის აზრით, არის დიდი ოჯახი, ამიტომ უტოვებს იგი მათ მარტოდ დარჩენილ „პატარა“ მიშელისას, რომელსაც მშობიარობა ელის ახლო მომავალში.

თავის რომანის მე-4 წიგნში არაგონს მოცემული აქვს ფრანგი კომუნისტის ეოზეფ ეიგუას ამაღლევებელი სახე. ეოზეფმა დაკარგა მხედველობა და ორივე ხელი ფრანგი და გერმანელი მესაზღვრეების საბრძოლო შეტაკების დროს. მის საყვარელ ქალიშვილს სიმტიციე არ ეყო, რომ გვერდში ამოსოჯომდა ეოზეფს ამ საშინელ წუთებში. ჰოსპიტალში მარტოდ დარჩენილი, ფიზიკურად უმწეო ადამიანი საკმაო ძალებს პოულობს თავის სულში ამ გამოუსწორებელი კატასტროფის გადასაბრუნად. სულიერი მერყეობის უშიძმეს წუთებში ფრანგ კომუნისტს შინაგან წონასწორობას უბრუნებს საბჭოთა ადამიანის, ეოზეფის საყვარელი გმირის—პავკა კორჩაგინის გმირული მგალობითი.

განსაკუთრებული ორიგინალობით გამოირჩევა რომანში ფრანსუა ლებეკის სახე. „ლებეკი იყო უპირველეს ყოვლისა ბანკის მოსამსახურე“, — წერს ავტორი. ერთი შეხედვით, ეს არის მართლაც შეუმჩნეველი და პედანტიზმამდე კეთილსინდისიერი ბანკის მოხელე. პარტიულ ორგანიზაციაში იგი თავის მოვალეობას ასრულებს ასეთივე სინდისიერებით და სიუხსტით. ამ პატარა და

ფხიზელი გონების ადამიანისათვის თითქოს უცნობია ყოველგვარი დიდდემოცია, ყოველგვარი რომანტიზმი. მანკრამ კომუნისტური პარტიის არაღვალური ბრძოლის დღეებში ფრანსუა ლებეკის სახეში ჩვენ ვხედავთ სხვა მოულოდნელ თვისებებსაც. ეს შეუმჩნეველი ადამიანი იჩენს საოცარ გამბედაობას და ოპერატიულ გამჭირაობას „ლჰუმანიტეს“ საიდუმლო გამოცემლობის ორგანიზაციის დროს; ხოლო როდესაც პოლიციის აგენტთა მიერ დაპატიმრებული ფრანსუა ლებეკი ცდილობს არ იფიქროს თავის ავადმყოფ ცოლზე, მკითხველის წინ დგას პარტიისათვის თავგანწირული მებრძოლის ქეშმარიტად გმირული სახე.

არაგონის მიერ შექმნილი ფრანგი პატრიოტი ქალების შესანიშნავ სახეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა კომუნისტი როზ დიუსელიე. ეს ახალგაზრდა, შესანიშნავი გარეგნობის ქალიშვილი მთელ თავის ახალგაზრდულ ენერჯიას სწირავს კომუნისტურ პარტიის საქმეს. მას უხდება არაღვალურად მოგზაურობა თითქმის მთელს საფრანგეთში, პარტიის აკრძალულ ორგანიზაციების შორის კავშირის აღსადგენად. ახალგაზრდა კონსპირატორი ქალი გამსკვავებულია ნაზი და პოეტური სიყვარულით თავისი სამშობლოსადმი, თავისი მშვენიერი პარიზისადმი; შესანიშნავია სცენა, სადაც როზ დიუსელიე, რომელმაც ახალი დავალება მიიღო, კვლავ ეთხოვება მშობლიურ ქალაქს. „ჩვენ უფრო მეტად გავალამაზებთ პარიზს, — ეუბნება იგი მარგარიტ კორვიზარს, — როდესაც გავიმარჯვებთ“. არაგონის გმირების, კომუნისტების სახეთა მხატვრული დამაჯერებლობა აიხსნება იმით, რომ ავტორის მიერ მათი ხასიათები გახსნილია მოძრაობაში, მრავალფეროვან კონკრეტულ მოქმედებაში. ეპიზოდური პერსონაჟებიდან არაგონის მიერ განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოკვეთილი ორი სახე: ეტიენ ფა-

ქონი, დებუტატთა პალატის სესიანზე გამოსვლის დროს და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი — ბერუა ფრანკონი. უკანასკნელის სახე მკითხველს ხიბლავს თავისი შესანიშნავი პირადი თვისებებით. არაგონს იგი დახატული ჰყავს, როგორც ენერგული, სიცოცხლეში შეყვარებული მხიარული დევეკაცი, რომელიც მოგვაგონებს ფრანგი ხალხის ნაციონალური გმირის კოლა ბრუნინის სახეს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ბელადის მორის ტორეზის სახე ლუი არაგონს უშუალოდ არა ჰყავს გამოყვანილი თავისი რომანის პირველ წიგნებში, მაგრამ მკითხველი გრძნობს მის მონაწილეობას პარტიის ყველა საქმეში. მისი სახელი შთააგონებს ფრანგ კომუნისტებს მათ გმირულ ბრძოლაში. პარტიის რიგითი წევრები განიცდიან ღრმა პატივისცემისა და მხურვალე სიყვარულის გრძნობას თავისი ბელადისადმი, რომელსაც ისინი „ჩვენ მორისს“ უწოდებენ. გიომ ვალიე თავის ახლად დაბადებულ ვაჟიშვილს არქმევს ტორეზის სახელს. კომუნისტი არმან ბარბენტანი თავისი მუშაობის და ბრძოლის ყველაზე უფრო მძიმე წუთებში იგონებს უსაყვარლესი ადამიანის სახეს. რგი ცდილობს წარმოიდგინოს, როგორ მოაქციოდა მის ადგილას მორის ტორეზი.

არაგონის ახალ რომანში შექმნილია მონუმენტური სახე კომუნისტური პარტიისა. პარტია—ეს არის ფრანგი ხალხის საუკეთესო მებრძოლთა ურდვევი კოლექტივი, პარტია—ეს არის დიდი ოჯახი, ეს არის დიადი სკოლა, რომელშიაც იწრთობა მომავლის ადამიანთა ძლევა-მოსილი თაობა. არაგონის კომუნისტები ის ადამიანები არიან, რომლებმაც ფაში-

ზმთან ბრძოლის დროს თავის სიცოცხლე შესწირეს საფრანგეთის სიყვარულს, კაცობრიობისადმი. ეს არის „დახვრეტილთა პარტია“, რომელმაც ყველაზე უფრო დიდი მსხვერპლი გაიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს და, მიუხედავად ამისა, ომიდან გამოვიდა, როგორც უძლიერესი პარტია საფრანგეთში. ეს ის პარტიაა, რომელიც დღეს აგრძელებს თავის ბრძოლას საფრანგეთის ალორ-ინებინათვის, შვედობისათვის.

საერთაშორისო რეაქცია კვლავ ამზადებს „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ კომუნისტებზე, საფრანგეთის ბურჟუაზიული მცველები, რომლებმაც სამშობლო მიჰყიდეს ამერიკელ იმპერიალისტებს, კვლავ სდევნიან ფრანგი მშრომელების პარტიას. ამ პარტიის გამოჩენილ წევრს, ცნობილ კომუნისტ-მწერალს ლუი არაგონს, მაგალითად, ჩამორთმეული აქვს საფრანგეთის მოქალაქეობა, იგი დევნილია პოლიციისა და სასამართლოს მიერ. მაგრამ რეაქცია ვერ შეძლებს „დახვრეტილთა“ უძლეველი პარტიის გატეხვას. საფრანგეთის მშრომელები, რომლებიც თავის ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონპატრონი უნდა გახდნენ, ნებას არ მისცემენ რეაქციას ახალ კატასტროფამდე მიიყვანოს საფრანგეთი.

„საფრანგეთის ზომალდი არ ჩაიძირება, არ დაიმსხვრევა ომისა და დამონების წყალქვეშა კლდეებზე“ (მორის ტორეზი). საფრანგეთის მუშათა კლასს და მის კეთილშობილ იდეალს, რომლის გამომსახველნი კომუნისტები არიან, მიჰყავთ ეს ზომალდი ნათელი მომავლისაკენ, თავისუფლების ელვარე ნაპირებისაკენ.

მირზა შაჟი, მირზა ფაგალი ახუნდოვი და საქართველოს საზოგადოებრიობა

ამას წინათ საბჭოთა აზერბაიჯანში, მოქმედა საბჭოთა ხალხებთან ერთად, ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეების — პოეტ მირზა შაჟის გარდაცვალების 100 წლისთავი და მწერლის, ფილოსოფოს-მათემატიკოსის მირზა ფატალი ახუნდოვის გარდაცვალების 75 წლისთავი.

მათი სახელები განფურცლად არის დაკავშირებული საქართველოსთან, სადაც გაიფრქვინა ორივე შემოქმედის მხატვრული ნიჭი. თბილისში ცხოვრობდნენ ისინი, აქ მოღვაწეობდნენ და აქვე არიან დაკრძალული.

მირზა შაჟისა და მირზა ფატალი ახუნდოვის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა უღარესად მრავალფეროვანია. ბრწყინვალე პოეტურ მოღვაწეობასთან ერთად, როგორც მირზა შაჟი, ისე მირზა ფატალი ახუნდოვი, ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მირზა შაჟიმ შეადგინა ქრესტომატია, ხოლო ახუნდოვმა — ანბანი, რომლის მიზანიც იყო არაბული შრიფტის გამარტივება, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ხალხის ფართო მასას — დასწავებოდა კულტურას. გარდა ამისა, ახუნდოვი იყო ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი, როგორც მატერიალისტმა ფილოსოფოსმა.

მათ მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივმა აზრმა, პროგრესულმა ლიტერატურამ, გამათავისუფლებელმა შოქრათმა.

მირზა შაჟიმ განსაკუთრებით ისახელა თავი „სიმღერებით“. მისი ნაწარმოებნი, თარგმნილი ფ. შოპენის მღერის მიერ გერმანულ ენაზე, სამასჯერ გამოიცა. ისინი თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. ქართულ ენაზე ისინი ნაწილობრივ თარგმნა ვასელი საუკუნის 60-იან წლებში მ. ყორანაშვილმა.

მირზა შაჟი, როგორც პოეტი, პირველად იხსენიება მე-19 საუკუნის 20-იანი წლების მიწერულში.

1832 წლის აშებს მირზა შაჟის ცხოვრებიდან ეხება მირზა ფატალი ახუნდოვის ჩანაწერი. იგი ახასიათებს მირზა შაჟის როგორც აღამიანს, „ფართო ცოდნით შეცნიერების სხვადასხვა დარ-

გში“. ახუნდოვი დიალოგის სახით გადმოგვცემს საუბარს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. „ამის შემდეგ, — წერდა ახუნდოვი, — მეც შევიძლე სამღვდლოება და შევიცვალე განზრახვა გაემხდარიყავი მოლა“.

უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილ საარქივო მასალებით ირკვევა, რომ 1840 წელს თბილისში ჩამოსვლამდე მირზა შაჟი კერძოდ ასწავლიდა არაბულ და სპარსულ ენებს ქალაქ ელისავეტოპოლში (ვანჯაში). თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კი მან თავისი ცოდნის გამოსაყენებლად ფართო ასპარეზი მოიპოვა იმ სასწავლებელში, სადაც „თათრული“ (აზერბაიჯანული) ენის სწავლებას მამინ დიდი ყურადღება ექცეოდა. თბილისის სამაზრო სასწავლებელს, სადაც საშუაოდ მოეწყო მირზა შაჟი, ხელმძღვანელობდა ხანატერ აბოვიანი, ცნობილი სომეხი მწერალი-განმანათლებელი. აქ დაჟყო მან 1846 წლამდე, მისი ერთერთი მოსწავლე იყო ივანე კერესელიძე. ამ პერიოდში შექმნა მან თავისი ნაწარმოებების ძირითადი ნაწილი. მირზა შაჟი თავისი მხატვრული შემოქმედებით სასტიკად ილაშქრებს თეომატურბელობის წინააღმდეგ, სოციალური უკუღმართობის აღმოსაფხვრელად, ხალხი ხედავდა მის სიმღერებში თავის მიწრაფებებს, მისი სახელი დიდებით შემოსა, უწოდა მას „თბილისელი ბრძენი“.

თბილისში გატარებულმა წლებმა გადამწყვეტ როლი შეასრულეს მირზა შაჟის მსოფლმხედველობის შემუშავებაში. იმდროინდელი თბილისის კულტურული ცხოვრება მნიშვნელოვნად გამოცოცხლებული იყო. მამინ მოღვაწეობდნენ ალ. კავკაძე, პ. იოსელიანი, ალ. ორბელიანი, ნ. ბაჩათაშვილი, ხ. აბოვიანი, ა. ბაკიანოვი და სხვ. ბევრ მათგანთან მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა მირზა შაჟის. იმ დროს გამოდიოდა ვახეთი „ზაკავაზსკი ვესტნიკ“, შემოაბდა რუსული თეატრი.

მირზა შაჟი კარგად იცნობდა რუსულ ლიტერატურას. მან თარგმნა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი მწერლის ა. ველტმანის ლექსი „რად მიიღრებლე კამყამა განთაალო“.



იგი ყოველწლიურად განამტკიცებდა აგრეთვე მე-
გობრულ კავშირს, კულტურულ თანამშრომლო-
ბას ქართულ და სომეხ ხალხებთან. თავისუფ-
ალ დროს ეცნობოდა დასავლეთ ევროპის ლი-
ტერატურასაც.

თბილისში მირზა შაფი გაეცნო გერმანულ მას-
წავლებელს ფრ. ბოდენშტედტს. 1850 წელს
ბოდენშტედტმა გერმანულ ენაზე გამოცაა წიგნი
„ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“. მასში მო-
თავსებულია საქართველოს მოგზაურობიდან მი-
ღებული შთაბეჭდილებანი, მოთხრობილია მირ-
ზა შაფისთან ნაცნობობა და აქვე მოთავსებული
ლექსები, რომელთაც უმღეროდა მას შაფი. საყ-
მით ადგილი აქვს დათმობილი წიგნში ფოლკ-
ლორს, ისტორიულ და ენოგრაფიულ მასალებს.
წიგნს დიდი წარმატება ჰქონდა უმთავრესად იმ
მოთავსებულ ლექსების გამო, რომელთა დიდი
ნაწილი მომავალ (1851) წელს ცალკე წიგნად
გამოიცა სახაურით „მირზა შაფის ლექსები
ფ. ბოდენშტედტის პრილოგიით“. რა თქმა უნდა,
მაშინ ბოდენშტედტს არავითარი ვანზრახვა არ
ჰქონდა ამ ლექსების ავტორად გამოცხადებინა
თავი. როცა წიგნი გამოქვეყნდა, მას ისეთი დი-
დი წარმატება ჰქონდა, რომ შალე მსოფლიოს
თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. ამ გარემოებამ
აღიქრებინა ბოდენშტედტს ჩადენილი უხეში მის-
ტიფიკაცია და წიგნის ავტორად საბოლოოდ თა-
ვისი თავი გამოაცხადა. ეს მოხდა 1873 წელს,
როცა ბოდენშტედტმა წიგნის („მირზა შაფის
მემკვიდრეობიდან“) წინასიტყვაობაში განაცხა-
და „თქმცა მირზა შაფი არსებობდა, მაგრამ
„სიმღერების“ არსებობაში დამსახურება მე მე-
კუთვნიის“. 1887 წელს იგი კიდევ უფრო შორს
შიდის, მას მოჰყავს ამონაწერი ორიენტალისტ
ა. ბერეეს სტატიიდან და ცდილობს თავისებურად
განმარტოს როლი, რომელიც შეასრულა მის მი-
მართ მირზა შაფიმ. ბოლოა განაცხადა: „თუ-
თონ მირზა შაფის არაფერა ღაუწყობია. მისი
სახელი ხუმრობით არის ნახმარი, გერმანული
სიტყვიდან „schaf“ (ცხვარი)“.

ამ ცილისწამების შედეგად გავრცელდა ყალ-
ბი აზრი, რომ მირზა შაფი გამოგონილი პიროფ-
ნებაა, „სიმღერების“ ნამდვილი ავტორი თით-
ქმის ბოდენშტედტი იყოს. ამ აზრს მიემხრნენ
ბერეეს მემკვიდრე და ბოდენშტედტის ბიოგრაფი-
ბი. დიდხანს დარჩა ასეთი შეხედულება გაუქარ-
წყლებელი. მაგრამ ამჟამად უკვე აღმოჩენილია
მირზა შაფის ნაწარმოებთა ორიგინალური, აფ-
რეთვე მისი ბიოგრაფიული ცნობები, მასალები
მირზა შაფის მიმართ მისი თანამედროვეობის
შეხედულებათა შესახებ, მის ლიტერატურულ
ურთიერთობათა შესახებ.

მირზა შაფის ბიოგრაფიული ცნობები მის-
განჯამი ყოფნის (1846 — 1850 წ.) პერიოდიდან
შეტად ღირბილია ცნობილია მხოლოდ, რომ იგი
აზერბაიჯანელი ენის მასწავლებლად მსახუ-
რობდა სამაზრა სასწავლებელში. იმ ხანებში
განჯამი მოღვაწეობდა პოეტი მირზა მეტრა (ნად-
ვი), მის მიერ გამოცემულ „ქრებულში“ მო-
თავსებულია მირზა შაფის რამოდენიმე ლექსი.
1850 წლის 1 იანვარს მირზა შაფი დაინიშნა
აზერბაიჯანელი ენის მასწავლებლად თბილისის
ელსიკტორ და კომერციულ გიმნაზიებში. ამ პე-
რიოდში, გარდა ცნობილი „ქრესტომატიისა“, მან
შეადგინა „ათორულ-რუსული ლექსიკონი“.

გარდაიცვალა მირზა შაფი თბილისში 1852
წლის 16 ნოემბერს (მე. სტ.) ყველასაგან მიტო-
ვებული. იმდროინდელმა გახთმა „კავკასია“ სე-
ტროდ არ ჩასთვალა მოკლე ნეკროლოგი მაინც
მოთავსებინა მის შესახებ.

♦♦♦♦

მირზა ფატალი ახენდოვი დაიბადა 1812 წელს
ქალაქ ნუხაში. მას აწხადებდნენ საეცესიო მსა-
ზურის თანამდებობისათვის. ამიტომ შესწავლეს
არაბული, ფრანგული ენები და ყურანში. მაგრამ
ერთმა შემთხვევამ ხელი შეუშალა ან განზრახვის
განხორციელებას. განჯამში, სადაც ახენდოვი
სწავლის დასამთავრებლად გადავიდა, იგი შეხუ-
და მირზა შაფის, რომელმაც ბევრი რამ განუ-
მარტა და შესწავლა მის, აუხილა თვლი ცხოვ-
რების მოვლენებზე და დააყენა სწორ გზაზე.

ამ დროს ნუხაში გაიხსნა მთავრობის სამაზრო-
სასწავლებელი, სადაც შევიდა ახენდოვი, მაგ-
რამ მხოლოდ ერთ წელს დაყო და შემდეგ
თბილისში გადავიდა. აქ მან თხოვნით მიმართა
ამიერკავკასიის მთავარმართველ როზენს —
მიეღო იგი კანცელარიაში როგორც აღმოსავლუ-
რი ენების თარჯიმანი. მისი თხოვნა მასწივე
დაკმაყოფილეს. ამ თანამდებობაზე მან დაყო
მრავალი წლის განმავლობაში. იმ ხანებში თბი-
ლისში იმყოფებოდა ნიკოლოზ პირველის მიერ
ბევრი გადმოსასლენელი. მათ შორის იყვნენ
დეკაბრისტები და 1830 წლის პოლონეთის
აჯანყების მონაწილენი. მათ წრეში მოექცა
ახალგაზრდა მირზა ფატალი ახენდოვი და ბევრ
მითანთან ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა.
განსაკუთრებით დაუფრობრდა იგი დეკაბრისტ
ა. ბესტუევე-შარლისკის, რომლის სახელიც,
როგორც მწერლისა, ჰქუხდა მაშინ რუსეთში.

ბესტუევეს თბილისში ყოფნა მოხუდა 1834
წელს. ამავე წელს შეხვდა ახენდოვი თბილისში
მ. ლერმონტოვს და ა. ოდიესკის. პოლონელი

ემიგრანტებიდან თბილისში იმ დროს იმყოფებოდნენ პოეტო ლადაზაბლოცი და ა. ზოძი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა უკუდავი ვეფხისტყაოსნის და ეპოს „ჭორილის“ პოეტიკური ნაწარმების.

შთავსებით ახუნდოვი მსახურობდა აზერბაიჯანელი ენის მასწავლებლად თბილისის სასწავლებელში, რომელიც თბილისის გიმნაზიის ფილიალს წარმოადგენდა. თბილისის ვაჟთა გიმნაზია გასული საუკუნის 30-ანი წლებისთვის გახდა ქართული კვლევების და განათლების მთავარი კერა. მასწავლებლების ლ. პეტრაშვილის, ივ. ქართველიშვილის, სოლომონ დოდაშვილის ტრადიციებს წინადად იწინადადნენ ამ გიმნაზიაში. ამ გიმნაზიის ბევრი აღზრდილი (წ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვ.) დიდი მადლობითა და სიყვარულით ივარაუდება მოსწავლეობის წლებს, მასწავლებლებს.

1837 წელს გამოქვეყნდა ახუნდოვის ცნობილი პოემა „პეტრინის გარდაცვალებაზე“, რომელიც ფართოდ გავრცელდა მთელს ამიერკავკასიაში. ეს პოემა გამსჭვალულია პეტრინისადმი უდიდესი პატივისცემის გრძნობით, იგი გავლიერება მალაქსაშვილებს. თვითონ ახუნდოვიმ გადათარგმნა იგი რუსულ ენაზე და გაგზავნა ფერნანდ „მოსკოვსკი ნაბილდატელს“ რედაქციაში, სადაც პოემა მაშინვე დაბეჭდეს.

აღნიშნული პოემა თარგმნა აგრეთვე ა. ბესტუვეში. ეს თარგმანი მხოლოდ 1874 წელს გამოქვეყნდა ფერნანდ „რუსსკიაი სტარინაში“ ფურცლებზე ორიენტალისტ ბერტეს მოკლე წინასიტყვაობით.

გარდა ამ პოემისა, მირზა ფატალი ახუნდოვიმ დაწერა მთელი რიგი სხვა პოეტური ნაწარმოებები, აგრეთვე თბილისისადმი მიძღვნილი სიმღერა. მაგრამ ძირითადად იგი მიიწვი დრამატურგაში მოღვაწეობდა. მან შექმნა რამდენიმე სიანტრესო რეალისტური პიესა. მათ შორის აღსანიშნავია „მოლა იბრაჰიმ ხალი — ფილოსოფიური ქვის მფლობელი“. ეს არის აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ანტირელიგიური ნაწარმოები. თეატრალური ნაწარმოებებია აგრეთვე „ლექტორანის სახანოს ვეზირი“, „ყაზალის დამმარცხებელი დათვი“, „მოტანიკოსი მუსიო ეორდან“ და „პაჯი კარა“. ეს უკანასკნელი ამჟამად იღვრება აზერბაიჯანის სცენაზე. „ყაზალის დამმარცხებელი დათვი“ რუსულად გადაკეთა ცნობილმა რუსმა მწერალმა სოლოგუბმა, რომელიც იმ დროს მეფისნაცვალ ვორონცოვთან მსახურობდა ხელოვნების დარბაზში. 1852 წელს ეს პიესა დაიდგა თბილისის ახლად გახსნილ თეატრში.

მირზა ფატალი ახუნდოვი ნაყოფიერად მუშაობდა აგრეთვე მხატვრული პირობის დარგში. ყურადღების ღირსია მისი მოთხრობა „მტკვარ-

ბული ვარსკვლავები“, რომელშიც ავტორმა გვიჩვენა მონარქიული წყობილების სიღრმე და ბოროტება.

1853 წელს მირზა ფატალი ახუნდოვის ბოლო პიესა ცალკე წიგნად გამოიცა. გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისი, როცა ახუნდოვი ქმნიდა თავის კომედიებს, ემთხვევა ამ მიმართულებით გიორგი ერისთავის მოღვაწეობას ერთი და იგივე მიზნები, მშობლიური ხალხს სამსახური აკავშირებდა ამ ორ დიდ მოღვაწეს. ამ ხანებს ეკუთვნის თბილისში რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების შექმნა. თბილისის მთელი მოწინავე საზოგადოება დაინტერესდა ამ საზოგადოების ამოცანებით და უაღრესად ცხოველი მონაწილეობა მიიღო მის მუშაობაში. ეს საზოგადოება გახდა ბაზა მალე გახსნილი მუშევრისა და საჯარო ბიბლიოთეკისათვის.

გეოგრაფიული საზოგადოების შექმნიდანვე ახუნდოვი მისი ნამდვილი წევრია, ხოლო 1864 წლიდან — არქეოგრაფიული კომისიის წევრი, სადაც ისტორიკოს ნ. ბერძენიშვილთან ერთად თარგმნიდა ძალზე ღირსშესანიშნო აქტებ, რომელთაც უშვებდა კომისია.

მეფისნაცვლის კანცელარიაში ახუნდოვს უბეზობა მუშაობა ისეთ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან, როგორც იყვნენ პლ. იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი და მის. თუმანიშვილი, რომლებიც მუშაობდნენ საადგილმამულო კომისიაში. მათთან ურთიერთობამ ახუნდოვს საშუალება მისცა უუფოესად გასცნობოდა საქართველოს წარსულს.



მირზა ფატალი ახუნდოვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძვირფასი ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებია „ინდოეთის პრინცი ჭეშალდოვლეს სამი წერილი სპარსეთის პრინცი ჯალალ-უდდოვლესადმი და ამ უკანასკნელს პასუხი“. ამ ნაწარმოებით მას სურდა ისლამის საფუძვლების შერყევა და აზიის ხალხთა გამოღვივება ახალი ცხოვრების შესაქმნელად. თვითონ ახუნდოვი მოჰყიდა ხელი „წერილებს“ თარგმნას როგორც რუსულ და ფარსულს ეტყობოდა, გერმანულ და სხვა ენებზე. 15 წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა იგათავისი „წერილებს“ გამოეყვანა. მხოლოდ სამკოთა ხელისუფლების პირობებში განხორციელდა ეს ღონისძიება.

ახუნდოვის ფილოსოფიური შეხედულებანი ემყარება შეთავაზუნიების აღმოსავლეთის სკოლასტის კრიტიკას. მისი ფილოსოფიის მთავარი იდეას წარმოადგენს მოთხოვნა თეოლოგიისა და მესწიერების გადაჭრით გამოეყვანისა და მოწოდება ბუნების მოკლენათა შესწავლისაკენ.



მირზა ფატალი ახუნდოვი გარდაიცვალა ვენე-
ლისაგან მიტოვებული. გაზეთმა „კავკასია“,
რომლის თანამშრომლადაც იგი იყო 50-ან წლე-
ბში, შემთხვევების განყოფილებაში მოათავსა
ცნობა 90 წლის ასაკის ფატალი ახუნდოვის
გარდაცვალების შესახებ.

ახუნდოვის პიესები დიდხანს არ იყო გამოყე-
ნებული. პირველად ისინი დაიდგა აზერბაიჯა-
ნის თეატრში. ამიტომ განსაკუთრებით უნდა
აღინიშნოს ის საგულისხმო გარემოება, რომ
ერთ-ერთი მისი პიესა „ლენჯოანის სახანოს
ვეზირი“, ან როგორც აკაკი წერეთელმა უწოდა
მას „ხანის ვეზირი“, დაიდგა აკაკი წერეთლის

ხელმძღვანელობით არსებულ ჭართულ თეატრ-
ში 1898 წლის 31 იანვარს.

1898 წელს კი აკაკი წერეთელმა „რეპრეზენ-
ტაციონი“ (№ 7) დაბეჭდა ეს კომედია და წარუ-
ძღვარა მას მოკლე ცნობები მისი ავტორის
შესახებ.

დიდი მთავროვნე მწერალი, მატერიალისტი
ფილოსოფოსი მირზა ფატალი ახუნდოვი და
მისი მასწავლებელი მირზა შაფი, რომლებიც
სიცოცხლეში ვერ ეღიბნენ დაფასებას და პა-
ტივისცემას, მხოლოდ საბჭოთა ეპოქამ დააყენა
ღირსეულ დონეზე, როგორც აზერბაიჯანული
ლიტერატურის კლასიკოსები.



ბიბლიოგრაფია

რედაქცია ახალი მხარის ლექსები



ახალგაზრდა ოსი პოეტი რევაზ ასავეი საკმაო ხანია, რაც აქვეყნებს სოციალისტური მშენებლობისა და მისი მოწინავე ადამიანების ცხოვრების ამახველ ლექსებს. უკანასკნელ წლებში ის ხშირად იბეჭდებოდა ოსურ მხატვრულ-ფერწერულ-გაზეთებში: „ფილიოზში“, „კომუნისტში“, „საბჭოთა ოსეთში“, მაგრამ ქართული მეოთხედი უფრო ნათელ წარმოდგენას იჭოჭიებს ამ ახალგაზრდა პოეტზე, როცა ის გადაიკითხავს მისი ლექსების წიგნს, რომელიც ახლახან გამოცემა „საბჭოთა მწერალმა“.

პოეტი თითქმის მთელი წიგნის მანძილზე უმღერის კომუნისტებისა და მშვიდობის მებრძოლს, ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ სტალინს:

კაცობრიობის მამა და მხსნელი
კორეულ ხალხის გულისთვის ისმენს,
ბერძენ დედათა ხმა ესმის მწველი:
„ჩვენო იმედო, გვიშველა, გვიხსენა!“

ასოცი წლის ოსი მოხუცის პირით პოეტი ამბობს:

ვცხოვრობ ოსეთში, მყინვართა ახლოს
ასოცი წლის ვარ, კლარა მფარავს,
შე ქვეყნად შენი გაჩენა მახსოვს,
მაგრამ, ბელადო, გვიწოდებ მამა...!

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მთელ ხალხთან ერთად თავგანწირულად იბრძოდნენ პატარა ოსეთის სატყევესო შვილები. პოეტს ახარებს, რომ მისი ერის ბევრმა შვილმა თავი ისახელა სამამულო ომში და დამსახურა საბჭოთა კავშირის გამორის საამაუო საბეღლოდ. ამ ამბით აღფრთოვანებული პოეტი წერს:

კიდევ ერთი ამბავი
მოიტანა ეთერმა:
ისა პლივეს სამშობლომ
მიანიქნა გმირობა;
ისა პლივეს, რომელიც
ომში ცეცხლად ენთება,
და ნიადაგ სჩვევია
სიმშენ, პირდაპირობა.

დაბეჩავებული და ვალატავებული იყო წარსულში პატარა ოსეთი, ცხანვალად წოდებული

მისი ცენტრი სიბინძურის, უფიციბისა და სპეკულაციის ბუნაგს წარმოადგენდა. ვის არ გაუგონია, თუ როგორ გადაბუფეს და გააპარტახეს ეს ეთობე შენშეიყვიების სატარტახებმა. შთაში გადახიზნული და მიმაღული ოსი მოსახლეობა მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნდა თავის გაიციებულ კერას, როცა საქართველოშიაც შემოაშუქა დიდი ოქტომბრის ძლევათა სხივებმა და დაყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ღვინა—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ფეხზე წამოიჭრა გაპარტახებული ოსეთი: აღდგენილი იქნა მისი გაჩანაგებული მურწეობა, ძველი ცხენეალის ნაკვლად გაშენდა ახალი ქალაქი—სტალინირი, რომელსაც ამშვენებს ფართი და გაჩირადნებული ქუჩები, მშვენიერი თეატრი, მთავრობის სასახლე, მრავალსართულიანი სახლები, პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვა საშუალებები და კულტურული დაწესებულებანი, ბალები და პარკები, საიდანაც ოსი ხალხის საამაუო შვილის კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი გადაყურებს სტალინირის წარმტაც წალკოტს. ამ ბალნარ-ქალაქს ასე უმღერის პოეტი:

...რომ ატარებ ღირსეულად დიად სახელს
რომ შენ დგახარ მამათა შორის სასახლეოდ—
შე მიმატებს სიხარულს და სიამავეს

სტალინირი საყვარელი!
შენს გვერდში და შენს ვარშემო ბალებია,
ლაშის არის სიმწვანეში ჩაიპირო,
გაზრდილხარ და მხრები აგვიმალეხია,
მშობლიურ სტალინირი!

სამხრეთ ოსეთის მშრომელები აქტიურად არიან ჩამბული კომუნისტების მშენებლობაში. თითქმის არ დარჩენილა ამ პატარა ეთობის მიწის არც ერთი ნაკვეთი, რომელსაც არ შეხებოდეს მშრომელი ოსის ჭელი. აუარებელი სხვადასხვა სახის მადნეულია აქ აღმოჩენილი, წიწვნარში ჩაფლული ეტრობი ჯაგა მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის ერთ-ერთი საუკეთესო კერაა.

ოსეთის მშრომელებმა გვიმაყ მდინარე ღიბასაც კი ომი გამოუცხადეს. პოეტის სიტყვით, ამ მდინარემ მიიღო „სახალხო ბრძანება“.

ლიახო, მოვედით
და მარშრეტს შევიცვლით.
გვეყოფა რაც დღემდე
გივლია ძველი გზით...
რომ ჩვენი ლიახი
ეთ წყარო ზღაპრული
ესხუროს ვეჯილებს
მხიარულ შხაპუნით.

ამ მიწას მადლიანს
წყალი რომ ვწვევა,
სიმილდი სიახლით
ცას შეველწევა.

აღსრულდა ეს ნატერაც — „მარშრეტ შეც-
ვლილი“ ლიახის წყლით, ვგრეთწოდებულ
ვანათის არხი დღეს ქარბად რწყავს ოსეთის
მშრომელების ყანებსა და ბაღებს, რომელთა
უხეი მოსავლით წლითწილობით იზრდება სა-
კოლმეურნეო დოვლათი.

მაგრამ ლიახი და ოსეთის სხვა მდინარეები
განა მარტო მოსარწყავად არის გამოყენებული?
ამ მდინარეთა წყალობით დღეს სამხრეთ-ოსე-
თის მთელი რიგი სოფლები განიარაღდებულია
ილიჩის ნათურებით, რის შესახებ ისეე მოხუ-
ცის პირით პოეტო ამბობს:

აღსდგა სოფელი, პატარა, დიდიც
— მდინარე უნდა სინათლეთ იქცეს.
შთის წყალს ემბრძოდით, კლდეებსა
ვეჭრდით
შეც სიჭაბუცის ძალ-ღონე ვგრძენ.

ჰო, ბრძოლა იყო, ამა რა იყო?
სინათლისათვის ბრძოლა ვმირღლი,
ახალ ცხოვრების კარი გაიღო,
ცივი სიბნელის გატყდა ღრუბელი.
ჩვენ უფრო მზიან მომავალს ვეტრფით.

კომუნისტს დიადს და საოცნებოს
...ბეღალი როცა გვეწვევა გვეტყვის:
— ყოჩაღ, ცხოვრება გვეძლია შენს,
მაგრამ რევაზ ასაევის წიგნში ზოგიერ ვეხე-
დება იდეურად და მხატვრულად დაბალი დონის,
მშრალი, აბსტრაქტული ლექსები. მაგალითად,
რისი მთქმელია ასეთი სტრიქონები ლექსში
„შეხვედრა ბაღში“.

იდრე დილით სამუშაოდ
იქპაროდა ვაეი,
მას ვასძახა ქალიშვილმა:
— აბა ბიჭო ვაშლი,
ისეთია გაიფიქრო —
ვაშლია თუ ოქრო.

ან

რას მიუფრებ წარბშეკრული,
ტუვილს ვაშობ ვანა?
შე ეს ვაშლი რომ ჩაეცბიხე,
საყვარელი ჩემო,
იმწამშივე მომგონდა
შენი კოცნის ვაშო... და სხვ.

მიუხედავად ზოგიერთი სუსტი და უიდეო
ლექსისა, რევაზ ასაევის ეს წიგნი უღაოდ იმტ-
კიცებს ავტორის ზრდას, მის მხატვრულ აღ-
ლოს, კომუნისტის მშენებლობის ცალკეული
მომენტებისა და მისთვის მებრძოლი აღამა-
ნების რეალურად და მხატვრულად გამოისახვის
უნარს.

წიგნის ქართული თარგმანი კარგად არის
შესრულებული ქართველ პოეტებს იოსებ ნო-
ნეშვილის, კალე ბობოხიძის, სეტა ბერული-
ვას, სტეფანე არღუნელის, ვიორჯი ხუხუაშვი-
ლის და სხვათა მიერ.

ბრ. შავაშვიანიძე

შალვა ფორჩხიძის ლექსების გამოცემა

შალვა ფორჩხიძის ლექსებს ქართველი მკი-
თხველი პირველად 1945 წელს გაეცნო. ახალ-
გაზრდა ავტორმა იმთავითვე მიიხურა ყურად-
ღება, — მისი ზოგიერთი ლექსი გაიპირნეოდა
სინამდვილის ორიგინალური ხილვით და მხატ-
ვრული სიახლის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. ახლა
შ. ფორჩხიძე ლექსების ორი წიგნის ავტორია.
შალვა ფორჩხიძე ბუნებით ლირიკოსი პოეტი.

მას იქვს უნარი დახატოს სხარტი, მკაფიო და
ცოცხალი სურათი, ოსტატურად შეაჩიოს დე-
ტალები და თავისებური კოლორიტი მისცეს
ნახატს, მოტბმოს მოხდენილი და მეტყველი
პოეტური სახე. მაგრამ აქ მთავარი მაინც აღწე-
რადობა კი არ არის, არამედ ის ლირიკული გან-
წეობილება, რომლითაც გაკოცლებულია მთე-
ლი სურათი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

მოდის ცხვარი და სველ
ფოთლებში იღვიძებს ქარი,
ვეცაქერ ბუნებას — ტყის
ხერხული ფიქრებს ანაზებს,

შ. ფორჩხიძე, ჩემო ქვეყანავ, საბჭოთა მწერა-
ლი. 1952.

ო, რა კარგია ეს სიმალღე —
ქელი კლდეკარის,
მინდა ავიდე და ავმალღე
მის ღერჯ თავანზე.
მინდა ავიდე და ავმალღე
ამ მთის თავანზე,
და გადავხელო მწიფე ყანებს,
ატეხილ ჭალებს.
პურის მტის დროა და ბუნების
მწველ სილამაზეს
ველარ ვამორებ სიყვარულით
აღზნებულ თვალებს.

ლექსში „აი, მანგლისი, გრილი ჰავა, ალგეთის
ჩქერი“ ფერებით მდიდარი სურათი გაეკოსლე-
ბულია ღრმად განცდილი ნათელი განწყობილუ-
ბით. პოეტი ლამაზაკობს სამშობლო ქვეყანაზე,
მის სილამაზეზე და, რაც მთავარია, ჰყოფნის
უნარი ისეთი ძალით გამოხატოს თავისი გრძნო-
ბა, რომ შეითხველშიც აღძრას ასეთივე განწყო-
ბილება.

ასევე კარგია ლექსები: „სიციცხლის სიმღე-
რა“, „გამოღვიძება“, „დამშვენებული, დაქალღ-
ბელი“, „წვიმა ქვათხეში“ და სხვები.

პოეტის ბევრი ლექსი ყურადღებას იმპრობს
კონკრეტული შთაბეჭდილების რეალისტური
განზოგადებით, თემის თავისებური მხატვრული
გადაწყვეტით. ამ რაგის ლექსებში იგი ვეაძ-
ლევს საზოგადოებრივი პათოსით აღსავსე ლა-
რიკის კარგ ნიმუშებს.

ამ თვალსაზრისით, მავალითად, საინტერესოა
ლექსები: „ჩექერთმის ოსტატი“, „საენის წყა-
რო“, „წვიმაში“, „ჰადის ხე სამშო საფლავეზე“,
„ქედს ვგდგა ძელქვის უღელი“, „საწინდარი“
და სხვები.

ლექსი „საწინდარი“ იწეება პოეტის მიერ
უშვალად განცდილი კონკრეტული ფაქტის
გადმოცემით. „ჩვენ სახლის წინ ვაზი ვვიდგა,
ძველი ვაზი“, და როცა იგიც მამასავით დამი-
ხერდაო, მოგვითხრობს პოეტი:

მამამ მოხრა: — არ დაგვიბაროს,
შეილო ვინმემ,
მოეფერე, ვაზი ითხოვს ნაწილმარი,
მოღუნე და თბილ მიწაში ჩააწივინე
ხანდაზმული მწიფე ღერწის საწინდარი.

გაზაფხულზე უკვე ტოტი ამოიყარა „მეორე-
ჯერ მოვლენილა“ საწინდარმა. „მის კურ-
ტებში ყვავ სიციცხლე ჩასახელი თმაქალარა
მამაჩემის ნატერა იყო“, ამბობს პოეტი და გა-
ნაგრძობს:

შეც ამ ვაზის სიყვარულში დაბერდები,
დიდ მამულში რადგან ჰაბუცს
გარჯა შეენის,
ცისფერ მტყუნებს მამასავით ვეფერები
და ვარსკვლავებს შეციმციემებს ახალწენი.

საბჭოთა ადამიანის ფიქრები და მისწრაფებე-
ბი, მისი შთავონებული საქმიანობა მიმართულია
ერთი დიდი მიზნისაკენ — დამკვიდრის ზედ-
წიერი სიციცხლე, დაცეას და ვახარაბს სიცი-
ცხლის წერტი, უზრუნველყოს მშრომელი ხალ-
ხის აწევა და მომავალი. ამისთვის იბრძოდნენ
ჩვენი მამები, ამისთვის იბრძვის დღეს მათი საქ-
მის გამგრძელებელი თაობა. ამ სულისკვეთებით
ზრდიდა და ზრდის კომუნისტთა დიდი პარტია
ჩვენს ხალხს, სწორედ ამ დიდ ადამიანურ სუ-
ლისკვეთებას გამოხატავს ლექსი „საწინდარი“.
აქ დეკლარაციული ფრაზიოლოგია და პლაგ-
ტერიობის გარეშე, წრფელი გარდით, მხატვ-
რული დამაჯერებლობითაა გახსნილი პოეტური
ჩანაფიქრი, ლექსის იდეური შინაარსი.

შ. ფორჩხიძეს ეხებრება მეტაფორულად გაი-
აზროს თემა. მეტაფორულადაა გააზრებული
თემა „საწინდარში“, ასევეა ლექსშიც „ჰადის
ხე სამშო საფლავეზე“. სამშობლოსათვის ბრძო-
ლში მშობრულად დავცა ცხრა ძმა, მაგრამ მათ
საფლავეზე ამაყად დგას „ცხრა ვეკიკის თრო-
ლვით ავსილი“ ჰადარი. ძმების საფლავეზე ამო-
სულა და სენთქავს ბალახიც, „ჰყავვის ნარჯიციც
და მის ყვავილზე პეპელა თვრება“. მამულისა-
თვის თვდადებული გმირის სახელი მარად ცო-
ცხლობს. სიციცხლე უყვდავია, — აი რას გვე-
უბნება პოეტი ამ ლექსით.

შ. ფორჩხიძე წრფელი გრძნობით უმღერს სო-
ციცხლეს. მას უყვარს დედის ძებუთი შემოე-
რალი ბავშვის ტრეტიკა, რადგან მისი უნით „ბუ-
ნება დიდი სიციცხლის უყვდავ სიმღერას“ ამ-
ბობს („სიციცხლის სიმღერა“); იგი აღტაცებით
უმღერს ტყემლის ფიქვებში გადათოვლილ ვე-
ლებს, მწვანედ გაშლილ კვირტებსისმენს ჩი-
ტების ვლურტულს, ნაყვალის ბუტბუტს და
გრძნობს როგორ მოდის ვაზაფხული, როგორ
„იღვიძებს დიდი დედაბუნება“ („გამოღვიძება“)
და სხვ.

პოეტმა კარგად იცის, რომ ჩვენი ქვეყანის
აყვავება, საბჭოთა ხალხის ზედწიერება დაკავ-
შირებულია სტალინის სახელთან:

ის ხალხზე ფიქრით გასცქერის სივრცეს,
ის არის ხალხის დიდების წყარო,
იგი მსოფლიოს გულისთქმას ისმენს
და სიციცხლისკენ მიჰყავს სამყარო.

ჩვენმა ხალხმა უკვე დიდიხანაა ღწინ-
სტალინის დიდი პარტიის, საყვარელი ბელადის
ხელმძღვანელობით მოიპოვა ეს სიციცხლე. საბ-
ჭოთა ადამიანმა იცის ამ სიციცხლის სიყვარუ-
ლი, მისით აღტაცება, მაგრამ მისი დაცვა, მი-
სთვის თავგანწირვაც არ გაუჭირდება. ერთ-ერთ
ლექსში, მიმართავს რა სამშობლოს, პოეტი ამ-
ბობს:

შენს მთებს და ზეცას მარად დიდება,
შენთვის ფოტოქენ ჩვენი ვულაბი.

შენთვის მოგვედებით, თუ დაგვირდება, მკერდს დაგვეფრება თავუღლები.

ამ სიტყვებით პოეტი საბჭოთა ადამიანების ფიქრებს და გრძნობებს, ურყევ რწმენას გამოთქვამს.

როგორც ვხედავთ, შ. ფორჩხიძის ლექსებს აქვს თავისი ღირსებები, მაგრამ მის შემოქმედებას ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარეც გააჩნია.

შ. ფორჩხიძემ ახალ კრებულში, ორიოდე გამოანალიზის გარდა, თითქმის მთლიანად შეიტანა თავისი პირველ წიგნში დაბეჭდილი ლექსები. ახალგაზრდა პოეტს, რომელიც მხოლოდ მეორე წიგნის ავტორია, არ უნდა სჭირდებოდეს თავისი წიგნის „შევისება“ ძველ ლექსებით.

იდილური განწყობილების კვალი ამწიგნითაა ზოგიერთ ლექსს ციკლიდან „ოცნება ახალ სამგორზე“ (ლექსები „ახალშენი“, „ბაღადა სამგორის ირემზე“, „მოდი სამგორში“ და სხვ.).

შ. ფორჩხიძე ზოგჯერ ვერ ახერხებს თავისი შთაბეჭდილება თუ გაიცდა, მხატვრულად განაზოგადოს და საზოგადოებრივი ღირებულება მისცეს ლექსს. ასეთ შემთხვევებში პოეტს უსაგნო აღწერაობები გამოუდის, მშრალ ემპირიზმამდე დადის („ღამე შორის პირას“, „ფერების ეზოში“), ზოგჯერ კი მის ლექსში ვიწრო სუბიექტური ღირიკის ინტონაციებიც იგრძნობა (ლექსები „ღამე სოფელში“, „ერთი ღამე წისქვილში“, „ზამთრის გზაზე“ და სხვ.). მაგალითად, ლექსის „ზამთრის გზაზე“ ლირიკული გმირი თავის სატრფოს აფრთხილებს, მართალია გვეკლარადი და შემინდეს დავემსგავსე, მაგრამ ნუ გაიკვირებ, „მოვა დრო და შენც შეიფიქტბიო“ და განაგრძნობს:

რა ვეყოთ თოვლში ვვადე შემინდეს,
შე შენს ღიმილზე არ ვავეჯავრდები,
თუ სიყვარული გსურს არ შეშინდე,
მოდი, ავირწყვავ მინდის ჯამებით.

ავილოთ ლექსი „კაცების სვეტი“. პოეტს ჰქონდა კარგი განზრახვა მხატვრულ სახეებში შეყენება ქართული ხალხის გმირული თვადღეობა თავისი სამშობლოსათვის, მაგრამ მან ეს თემა მხატვრულად ვერ გადაწვავა. პატრიოტული ლექსის მაგერ ავტორს მისდაუნებურად კაცების სვეტის საკმაოდ უცნაური აპოლოგია გამოუვიდა. ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ მკითხველის შესიერებაში რჩება კაცების სვეტი, რომლისთვისაც პოეტი არ იშურებს (და, უნდა ვთქვათ, სრულიად უსაფუძვლოდ) საქებაჩ სიტყვებსა და საშაღლიერო გრძნობებს:

ღგაბარ როგორც ნათლის სვეტი
ზეკასა და მიწას შორის. (?)

შენ ქართველებს უნათებდო,
როგორც თეთრი კლაპტარი. (?)
დაილოცე კაცის სვეტი,
კას რომ თეთრად შეაბერდო.

შ. ფორჩხიძე ზოგჯერ დაუდევრობას იჩენს პოეტური ფორმის მიმართ. ზოგიერთ ლექსში შესხედებით არამხატვრულ სტრიქონებს, მშრალ დეკლარაციას, პრიზაინშებს:

ახლა კი როგორც თქვეს, აქ იმწამსვე
სამგორის გმირი გავლავს შეება,
არ დაქანცულა ჯან-ლონთ ნავსე,
ველზე გათხარა არხი ვეება.

(„სამგორის გმირი“)

ძმად შეფიცილებარ მწვერვალებს
თითქოს,
ღამის ბინდებუნდშიც სინათლეს ნატრობ,
და მუღამ მშალოდ იმაზე ფიქრობ,
ჩვენს დიდ ქვეყანას რა მიუმატო,
(„ინჟინერ გეოლოგი“).

ზოგჯერ პოეტი ხმარობს გაცვეთილ პოეტურ სახეებს:

ვხედავ მთვარეა ბეჭედი ვერცხლის
და ხის ტოტები უწვლიან თითებს.
(„საღამო ორის პირას“),
გულში იკლავდა იღვმალ სევდას,
ლექსის სათქმელად მადამილიო.
(„მ. ლერმონტოვისა და ნ. ბარათაშვილია შეხედვარა“).

პოეტი ხშირად ხმარობს ასეთ რითმებს: ტოტი-ტოლო; კალენბოიკანკალებით; მახობელის-საღიდებელიც; ბარათაშვილი-მადამილიო; ხეე-ბი-ვეხებით; ჩამორჩა-აჯობა; ეიწვი-ყივის; ჩარ-ბი-ჰევევის.

შ. ფორჩხიძე ზოგჯერ იმეორებს თავის თავს. ამ წიგნში არის ლექსები თითქმის ერთნაირი განზრებით, განწყობილებით, კომპოზიციური აღნაგობით, სახეებით. ამ ერთფეროვნების ერთ-ერთი მიზეზი, ეტიკობით, ბუნების თემით ფორჩხიძის ზედმეტი გატაცებაა, რის გამო მას მხედველობის არიდან გამოტოვებული აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მოვლენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფორჩხიძეს ორიოდე ლექსს თუ მოუძებნით, სადაც იგი ქალკის პეიზაჟს გვაძლევდეს. მისი ინტერესის საეკის თითქმის მთლიანად სოფლის სურათებია.

შ. ფორჩხიძე ნაკლებად იბრძვის გამოსახვის ახალ საშუალებათათვის. მის ლექსებში — ალაგ-ალაგ — ჯერ კიდევ ისმის ნაცნობი ინტო-

ნაციები და განწყობილებები. ასე მაგალითად, ფორჩხიხის ლექსი „შვიდობის აღმოსავლეთი“ აღ. საჯიას ერთი ლექსის გადამღერება.

გვი არაა, შ. ფორჩხიხს შექმლია უფრო სრულყოფილი ლექსების წერა, გაცილებით მეტის გაკეთება, ვინემ მან ეს დღემდე შეძლო. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება იოლი საქმე, რა-

დგან თვით ამოცანა ტემპარტი პოეტურებით ასაბო საბჭოთა ქვეყნის მრავალფეროვანი და მჭიდვარე ცხოვრება, იყო მსხტლმმმ სუვლაზე მოწინავე საბჭოთა ადამიანის სუტლის ინტენერო“, რთული და სასასუხისმგებელი ამოცანაა.

შ. სულაბერიძე

ლექსები მშვიდობაზე



ფრიდონ ხალვაში ეკუთვნის იმ ახალგაზრდა მწერალთა რიცხვს, რომლებიც სამწერლო ასპარეზზე დიდი სამამულო ომის შემდეგ გამოვიდნენ. იგი უკვე რამდენიმე წიგნისა და ორი პოემის ავტორია. ფ. ხალვაშის ლექსები ყურადღებას იპყრობენ თემის აქტუალობით და იდეურობით, ისინი დროულად ეხმაურებიან ჩვენი დიადი ცხოვრების მოვლენებს.

მშვიდობისათვის ბრძოლა საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვან თემად იქცა. სიცოცხლის უცანასკნელ წუთებამდე კაცობრიობის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი სათავეში ეღვა მშვიდობის მომხრეთა დიად არმიას და მტკიცედ იკავდა ხალხთა სანუკვარ ოცნებას — მშვიდობას. ახალგაზრდა პოეტა, გამონატავს რა ეთილი ნების ადამიანთა სიყვარულსა და ერთგულებას მშვიდობის დიდი მებროშისადმი, წერს:

ჩვენ მის დრომანე გვიყვარს მინდობა,
ის მსოფლიოზე ბრწყინავს ალიეთ,
დედამიწაზე ნამდვილ მშვიდობას
ყველაზე ენაზე ჰქვია — სტალინი.

კარგადა დაწერილი ლექსი „მოსკოვისაკენ მიღიან გზები“. ყოველი ადამიანი სიხარულით მიეშურება საბჭოთა ქვეყნის გულისაკენ. პოეტი აღტაცებულია მოსკოვის სიხალხოვით და ამბობს: „სარკმლიდან ვხედავ ნამიან ყანებს და დედამიწა ჩემს თვალწინ ბრუნავს“.

თემის მოფიჭებისა და გადაჭრის მხრივ საინტერესოა ლექსი „ბალადა ორ გზაზე“. საბჭოთა ქვეყანა არაერთხელ დახმარებია კოლონიურ და დამონებულ ხალხებს, რომლებიც იმპერიალისტური ქვეყნების ჩექმის ქვეშ გინავენ. ლექსში ნაჩვენებია ორი გემი: ერთი მათგანი საბჭოთა გემია, იგი მიემართება ინდოეთისაკენ არა თოფითა და ყუმბარით, არამედ ყუბანის ხორბლით დატვირთული; მეორე კი მიემართება ამერიკიდან „და მას პუსანში მიაქვს

ტანები“. სამწუხაროდ, ლექსის უცანასკნელი სტროფი პრიმიტიულად არის დაწერილი: სუსტია რითმები, სტილისტიკად არ არის გამართული და მას პროზაულობის ბეჭედი აზის:

ეს ორი გემი ორ გზას ადგია
და ორნაირი დღე ელოდება,
პირველს — მშვიდობის, ძმობის გზა ჰქვია,
მეორეს — ომის გზა ეწოდება.

ასევე პროზაულია სტიქონები მეორე ლექსიდან „დიდი ყრილობის მიმინ“. „კომუნის-მისკენ ნათლად, გარკვევით, წაგვიყვანს ახლა დიდი ყრილობა“.

მშვიდობის თემას შეეხება ლექსები: „რობსონი მღერის“, „გროვალს მოამობს ჯარისკაცივით“ და „დედის სიტყვა“. ეს უცანასკნელი მიძღვნილია საბჭოთა ქვეყნის გმირი ქალიშვილის ზოია კოსმოდეშინასკიას დედისადმი, რომელიც ამაღლევებელი სიტყვით გამოვიდა მშვიდობის მომხრეთა პარიზის კონგრესზე.

სუსტია ლექსი „სტალინგრადის მოედანი“, ხოლო ლექსი „მეისი“ არაფრის მთქმელია.

ლექსში „მათემა“ მრავალფეროვან პოეტურ სახეებში არის ნაჩვენები სოციალისტური აჯარის მზიური დედაქალაქი: სადაც რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა დიდი სტალინი. კარგია ლექსი „მშენებელი“. მასში დახატულია რიგითი საბჭოთა ადამიანი, რომელსაც საკეთარი აგური მიაქვს კომუნისის დიადი შენობის ასაგებად. იგი თავისი ჩაქუჩით ქვასაც აკოცობებს, თავისი ზელით აგებულ სახლებთან ერთად ზეცამდე მადლდება და იქიდან თვალს უწორებს ერემლის სივანამჭკარალი ვარსკვლავის ციმციმს.

ინტერესით იკითხება ლექსები საერთო სათაურით „ახალგაზრდობა“. პირველსავე ლექსში

ფრიდონ ხალვაში, ლექსები, საბჭოთა მწერალი. 1952 წ.



პოეტი სიამაყისა და აღტაცების გრძობით აცხადებს: „მე მზარია, რომ კოშკების და მატროსოვის თაობისა ვარ“.

1943 წლის 8 სექტემბერს გერმანელმა ფაშისტებმა ბერლინში სიკვდილით დასაჯეს ჩუხი კომუნისტი მწერალი იულიუს ფუჩიკი — აგური ცნობილი წიგნისა „რემორტაჟი სასწრაფო-ლიდან“. ფუჩიკის ნაწერები პროგრესულ კაცობრობას დღესაც გზას უნათებენ მშვიდობისათვის ბრძოლაში. მის სახელს გაიგონებთ მშვიდობის მომხრე ხალხთა ყველა კონგრესზე-ფუჩიკის სახელს იშვორებდნენ ახალგაზრდობის მშვიდობის ფესტივალებზე ბერლინში. ამ თემაზეა დაწერილი ფ. ხალვაშის ლექსი „იულიუს ფუჩიკი მშვიდობის ფესტივალებზე“.

ლექსში „კომკავშირს“ პოეტი თანატოლებს მოუწოდებს, ერთად აშენონ სოციალისტური სამშობლო, იყვნენ მუდამ მოწინავეთა რიგებში და დაუღალავად იბრძოლოდ კომუნისტების საქმისათვის:

დღევანდს ნათელი ფერი რომ ედოს,
შრომამ აფრქვიოს სინათლის ჩქერი —
ჩვენი მარჯვენით ჩვენ უნდა ვპედოთ
ბედნიერება შენი და ჩემი...
კომკავშირულად შეე ჩაშვებ ვიტყვო
— შეცა მაქვს ბრძოლის მიზანი ფართო
მსურს ლექსი შევქმნა ფოლადის ტიპის
და კომუნისტების კედელში ჩადო.

აქტუალურ თემაზეა დაწერილი ლექსები საერთო სათაურით: „კოროხის ზეამიადი“. მათგან გამოირჩევა „ბალადა შოფერზე“. სამხრეთ საქართველოს ნაწილი თურქი დამპყრობლების მონურ უღელს ატარებს. სიღარიბესა და გაკირვებაში ცხოვრობენ ჩვენი ძმები — ლაზები, სოფელ სარფს ორად ჰყოფს ამავე სახელწოდების ბატარა მდინარე. აქეთ სოცოცხლე ჰყვავის, ბედნიერად ცხოვრობენ საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე — კოლმურენ გლეხები. სარფსგაღმა კი თანამედროვე თურქეთისათვის დამახასიათებელი სიღატაკე ბატონობს. დამონებული ლაზების განთავისუფლება ქართველი ხალხის სანუჯვარი ოცნებაა. ამ ოცნებას გამოხატავს „ბალადა შოფერზე“. საინტერესოა მისი სიუჟეტი. წყობიან დღეს პოეტი ბათუმიდან სარფსაკენ მიემგზავრება. შოფერი ლაზი აღმოჩნდება. ის პუყება მკვდელი მამის თავგადასავალს, ორივე მოსაუბრეს ემჩნევა ზღლისწებილი ლაზების ბედის გამო, პოეტი ჩაღის სარფში და ოცნებობს დიად მომავალზე:

როცა ლაზეთი მოირთვის
შვის შექმთა და ვარდით,

როცა კმუნვა და ცრემლები
არ დაწვავს იმთ დაწვებს,
და ბათუმიდან შოფერი,
ტრაპიზონისკენ გასწვებს.

ამავე თემას შეეხება ლექსი „თქვენაც, ლაზების ლამაზმანებო!“ და „კოროხის ზეამიადი“.

მოწონებას იმსახურებს სონეტი „სიყვარული“. პოეტს სიყვარული მიანიჩა ამაძიდლებელ გრძნობად, რომელიც ძალას ქმეტებს ახალგაზრდას ცხოვრების წინააღმდეგობათა დაძლევაში და აღატოვანებს მას ახალი გამარჯვებისაკენ. სიყვარულის ასეთი გაგება შექმნა ჩვენმა დიადმა სოციალისტურმა ეპოქამ, რომელსაც ასულდგმულებს დიდი სტალინის უკვდავი იღუპები. მაღლიერების გრძნობით აღატოვანებულ პოეტი მიმართავს სატრფოს:

მე წაეკითხე სიყვარულზე ათასი წიგნი,
მაგრამ არ მინდა მწიგნობრულად
მიყვარდე შენა,
აღამიანურ შეყვარებას მასწავლეს იგი —
შრომა და მიწა სიღამაზით ვინც
დაამშვენა.
გაზაფხულით მიგვიჩინათეს ღიმილი
მისი, —
მოდი ცხოვრება შევქმნათ მისი ღიმილის
ღირსი.

იღუერად არასწორადაა გააზრებული ლექსი „ეარძა“. მისში ნაჩვენებია ვარძია, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი, რომლის ნახეთაც პოეტს თურმე საქართველო ასჯერ მეტად შეუყვარდა. პოეტი წარსულთ იწყებს და წარსულშივე რჩება. ლექსში არა ჩანს თანადროულობა, არ იგრძნობა, რომ იგი დაწერილია საბჭოთა ეპოქის მოქალაქის მიერ. ისტორიული წარსულისადმი ასეთ მიდგომას ფ. ხალვაში შემდეგში უნდა ერიდოს.

წიგნში მოთავსებულია ლექსი „ბათუმის თეატრი“. თორმეტი სტროფიდან თემას მხოლოდ პირველი ოთხი შეეხება. ამ ლექსში პოეტი წერს: „ეს დღღამური კედელი არასდროს გაიზარება, შეხედეთ, მისი მზარბეკი მოხატეს ოპიზარებმა!“ ატორმა უნდა იცოდეს, რომ ბათუმის თეატრი აშენეს საბჭოთა აღამიანებმა და არა ბექა და ბემეენ ოპიზარებმა. ამ ლექსის მეორე და მესამე სტროფი წარმოადგენენ წარტილია გამოყოფილ ორ წინადადებას, რომლებიც აზრს მოკლებულნი არიან:

ჩემი ოცნების საუხუჯე,
ამაღლებული თვანი,
ვარდისფრად აფეთქებული,
მზარგამილილი და თამამი.

ჩვენ მისი აღმშენებლები, ის სიღიადე მართალი, თითო ჩექურთა ქართველი გულიდან ამონათალი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „თამაში თეატრი“ ყოვლად წარმოდგენილია.

წიგნის უცანასკნელი განყოფილებაა „შვიდი ლექსი შუა აზიაზე“. მათგან გამოირჩევა ლექსები „მებაშვე ქალი“ და „წყაროსთან“. საბჭოთა ხალხთა მეგობრობის გრძნობით არის გამთბარი ისტორიულ თემაზე დაწერილი ლექსი „ნავთი და რუსთაველი“.

საერთოდ ფ. ხალაივის ლექსების ეს კრებულ-ი ძირითადად პოეტის წინსვლაზე მიგვითითებს, მაგრამ ავტორმა კიდევ უფრო მეტი უნდა იმეზნოს პოეტური ხელოვნების დაუფ-ლებისათვის, უფრო მეტი უნდა აღემატება უნდა მიაკეთოს ლექსის ტექნიკურ მხარეს. ისეთი მშვენიერი სტრიქონების გვერდით, როგორცაა „უსიყვარულო გული რად მინდა, არც სიყვარული მინდა უგულო“, ან „ჩვენ სამასწლიან ღამეში სამასწლიანად გავცდივით“, ვხვდებით მხატვრულად სუსტ და გაუშართავ სტრიქონებს: „ჯერ არ ყოფილა რთველი ასეთი, მშვი-დობის შტერს რომ გული გაუბოს“, ან „ებღაუ-კება კორცის სხეულს“, ან „გვეგვას ორწილად გადავაკარებთ“. პოეტი ერთგან წერს „შენი

უკვდავი სახელი საუკუნეებს გატანს“ ამასვე იმეორებს მეორე ლექსში: „შორს გატყუარნი-ლი შენი სახელი მუდამ გაიქნის“ „სამიძი-მეს“. ამ სტრიქონებს აზროვნებულ განათვა სჭირდება.

ლექსში „ნერგები“ ვითხოვლობთ: „მოაქვთ ათასი ძირი მიწურიული ნერგის“ უნდა იყოს: „მოაქვთ ათასი ძირი მიწურიული ნერგი“.

უხეიროდ ნაწარმოებია სიტყვა „უბინდური“. არალიტერატურულია, აგრეთვე ზმნის ფორმა: „მოკაყენი“: „და ქაჯეთიდან ტურფა ნესტანი ტარიელსა და ფარხადს მოკაყენი“. უნდა იყოს: „მოკაყენი“. წიგნში არცთუისე იშვიათად გვხვ-დება სუსტი რითმები. მაგალითად: გარკვევით—ტანკები, ელოდება—ეწოდება, მოხვდა—მოკე-და—მოხდა, აფელდება—ბელადს, ალალი—ამხანაგი, გვეურებათ—განადგურება, გაიღუნე-ბა—თავისუფლება, გააღამაზებს—ბუნებაზე, ტანი—აგზო, მეგობრები—ეს ფერი, დანახოს—შემოალი, მწიფობისთვის—ამოავებს, ხე-ლებში—მოხვევებში, სურათი—საუკუნემდი, დაუკონხარ—დამილოცინიარ და სხვ.

საჭიროა ავტორმა ლექსის ფორმაზე იმეზნოს უფრო მონდომებით და საკეთარი პოეტური ლექსიყონი უფრო გააძრავაღუფროვნოს.

ბ. ბაქრაძე

საქურადღებო მოთხრობა საბჭოთა სკოლის შესახებ

★

მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის სასკოლო ცხოვრება, საბავშვო ლიტერატურა მოწოდებულია მხატვრულად განაზოგადოს მოსწავლეთა წარმტაცი და შინაარსიანი ცხოვრება, დაგვიხატოს ახალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრ-დისა და ყოველმხრივ განვითარების უღრესად რთული პროცესი.

მ. პრილევაკის წიგნი „შენთან ამხანაგები არიან“ ამ მხრით მეტად საინტერესო და სა-ყურადღებო ნაწარმოებია. ამ წიგნში უშუალოდ და მხატვრული დამაჯერებლობით ასახულია ჩვენი ბედნიერი მოსწავლე ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება სკოლაში და სკოლის გარეთ. ექაბოდ, წიგნში აღწერილი ამბავი ეხება მოს-კოვის გარეუბნის ერთ-ერთი საშუალო სკოლის

მოსწავლეთა კოლექტივის მეგობრულ ურთიერ-თობას სკოლასა და ოჯახური გარემოცვის პი-რობებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამ სკოლის მოსწავლეები გამსჭვალული არიან კო-ლექტივიზმის ჯანსაღი გრძნობით, საერთო-სა-ზოგადოებრივი საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით, მაგრამ ამ მეგობრულ კოლექტივში გამოჩაქლისის სახით ჯერ კიდევ არსებობს სუსტი ხასიათის, კოლექტივიზ-მის ძლიერ გრძნობას მოკლებული ახალგაზრ-დები. ერთ-ერთი მათგანია საშა ვაშლიანოვი. როდესაც მთელი კლასი მიანდობს მას ვატიხი-ლი ვოლტმეტრის მავიერ ახალი ვოლტმეტრის დამზადებას, იგი სხნარტლით იღებს ამ დავალებას. მაგრამ გამზადებული ვოლტმეტრის მსა-წავლებელზე გადაცემას ამხანაგების უმრავლესობა მოითხოვს მთელი საკლასო კოლექტივის სახელით, ვაშლიანოვი კი

მ. პრილევაკი, „შენთან ამხანაგები არიან“, საბლიტგამი, 1952 წ.

გამოდის ამის წინააღმდეგ. მასში იღებებს ეწი-
რო ევოლუტორი, ინდივიდუალისტური მისწრაფე-
ბა — პირადათ, თავისი სახელით გადასცეს ვოლტ-
მერტი ფიზიკის მასწავლებელს ნადეჟდა დი-
მიტრიენას. ემელიანოვის ამ მოქმედებას ვმო-
ბუნ მისი ამხანაგები, ემელიანოვი კოლექტივზე
მოდლა აყენებს თავის პირად მეს, რის გამოც
იგი სამარტლიანად ამხანაგრებს ამხანაგების ვა-
ციხეასა და შენიშვნებს. შემდეგ თვით ემელია-
ნოვის ფსიქიკაში ხდება საგრძნობი ვარდატება;
იგი ხედება, რომ შეეცდომა ჩიიღინა, რომ იგი
დამანაშევა მთელი კოლექტივის წინაშე. ეს ვა-
რემოება ხდება იმის მიზეზი, რომ იგი ვადრბის
თავის ამხანაგებს და დედასაც კი.

ემელიანოვის დედა აქტურაი საზოგადოებრი-
ვი მუშაკია. იგი გულმხრად ემსახურება
შრომულთა განმარტელობის დაცვის საქმეს, სა-
შედრიწო მეცნიერების განვითარების ინტერეს-
ებს. დედა აგრეთვე შეიღის გულთაღი მეგო-
მარია. იგი თავის ერთადერთ ვაჟს უნერგავს კო-
ლექტივისადმი პატივისცემისა და სიყვარულის
გრძნობას. საშა ემელიანოვის საქციელი კი ეწი-
ნაღმდეგება მისი დედის კეთილშობილურ მოთ-
ხეუბებს. საშა გრძნობს ამას, ამიტომ იგი დედას-
თან დარცხენილი და გულნათხრობილია. საშა
დედას არ უშეუღს თავისი ამხანაგების წინაშე
ჩადენილ დანაშაულს.

მწერალი ქალი მ. პრილევაევა მიშხიდულად
გვიხატავს კოლექტივის შემოქმედების ძალას პი-
როვნებაზე და იძლევა ემელიანოვის ფსიქოლო-
გიურად ვარდატების დამაგრებელ სერათს.
მწეველ ვანიტდის რა თავისი მოქმედების უმარ-
თებულობას, ემელიანოვი დროებით ვანერბდება
ამხანაგების წრეს. მაგრამ ამხანაგები შაინტ მას-
თან არიან, ბეერი მათგანი გულისხმიერად ვეყ-
რობა მას და აყენებს სწორ გზაზე. კონკრეტულად
ამ ფაქტს ადგილი აქვს კომკავშირის ორგა-
ნიზაციის საერთო კრებაზე. სადაც დღის წეს-
რიგში შეტანილი იყო საშა ემელიანოვის კომკავ-
შირის რიგებში მიღების საკითხი. კომკავშირის
კრებაზე აღმზანდებთან მისი გულწრფელი მე-
გობრებები, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებენ რა
მას ჩადენილი საქციელისათვის, იმავე დროს
ხაზს უსვამენ მის დადებით მორალურ თვისე-
ბებს.

ნაწარმოებში გამოვანილი მოსწავლენი მკაფი-
ოდ გამოკვეთილი მხატვრული სახეებია. ესენი
არიან კოსტია და თელკა გლადკოევი, სასკო-
ლო კომიტეტის მდივანი კოლია ბოგატოვი, პი-
ონერხელმძღვანელი ტანია იზმაილოვა და სხვა.
ყველა მათთვის დამახასიათებელია ზრდილობა
და თავაზიანობა, დისციპლინაანობა და თავმდაბ-
ლობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია
კოლია ბოგატოვი. იგი თავის უნარს და შესაძ-
ლებლობას კრიტიკულად უდგება, არ აფასებს

გადაქარბებით. მას ახასიათებს პირდაპირობა და
გულწრფელობა. ამას ნათელყოფს მისი საუბარი
რაციონის მდივან კედრიაციევიანს.

ასეთივე გულმართალი, ნამდვილი საბჭოთა
მოსწავლის განმასახიერებელი დადებითი ტრია
კოსტია გლადკოვი. ყოველი მისი მოქმედება
ტაქტიანია და საზრიაანი. თავის საშინაობაში
მას არ უყვარს მიმხაძეველობა. კოსტია ცდილობს
ყველაფერში დამოუკიდებელი იყოს, მაგრამ იგი
არ უარყოფს დახმარებას ამხანაგისაგან.

ნოვატორობა, ობტუზისტური ვაწყოობილება და
შემოქმედებითი ინიციატოვა ჩვენი მოსწავლე
ახალგაზრდობის ვანერტილო თვისებებია. ყო-
ველგვარი პირობებშია შექმნილი იმისათვის, რა-
თა შათ თავიანთი ნიჭი და ინტელექტუალური
შესაძლებლობანი სრულყოფილად გამოაყენონ
და განავითარონ. მონოლითურად შეკავშირებუ-
ლი მოსწავლეთა კოლექტივი ამის ურყევი საფუ-
ძველია. ნაწარმოებში წარმოდგენილი ითიქვის
ყველა მოსწავლე კომუნისტური მორალით ვამს-
ბეაული იხალგაზრდა, და ეს ბუნებრივიაა.
მათი აღმზრდელი საბჭოთა ადამიანები არიან,
კომუნისმის საქმისათვის თავდადებული მე-
ბრძოლნი. ასეთებია, მკაფილად ფიზიკის მას-
წავლებელი ნადეჟდა დიმიტრიენა, კონსტრუ-
ციის მასწავლებელი მარინა გრიგორიენა, საშა
ემელიანოვის დედა და სხვა.

საბჭოთა სკოლა ზრდის კომუნისტური საზო-
გადოების ყოველმხრივ განვითარებულ მშენებ-
ლებს, ზრდის მხნე და მტკიცე, თავის ძალებში
დარწმუნებულ ადამიანებს, რომლებიც მზად არი-
ან იბრძოლონ თავისი სოციალისტური სამშობ-
ლისათვის, საბჭოთა ქვეყნის აყვავებისა და ვაძ-
ლიერებისათვის.

ამ საერთო მისწინს განხორციელების საქმეში
მათი ვამარჯვების საფუძველს წარმოადგენს
გულწრფელი და მტკიცე მეგობრობა, ერთმანე-
თისადმი ნამდვილი პეშანური დამოკიდებულე-
ბა. აღსანიშნავია აგრეთვე მოსწავლე ქალეეთა
შორის სწორი ზნეობრივი ურთიერთობა, რაც
სწავლისა და შრომის პროცესში ყალიბდება და,
მტკიცდება. ამ მხრით საუკეთესო მაგალითს წარ-
მოადგენს თელკა გლადკოევისა და საშა ემელია-
ნოვის მეგობრული ურთიერთობა, რაც იმის მა-
ჩვენებელია. რომ ჩვენს ქვეყანაში უზრუნველ-
ყოფილია აღზრდისა და სწავლების ერთიანობა
სკოლაში. სწავლობენ რა მეცნიერების სხვადა-
სხვა დარგებს, აფართოებენ თავის კულტურულ
და პოლიტიკურ პირიზონტს, ჩვენს მოსწავლე
ახალგაზრდები, ქაბუეები და ქალიშვილები, ახა-
ლი კომუნისტური მორალის მატარებლები ხდე-
ბიან.

საბჭოთა სკოლის მოსწავლეებში ინერგება კო-
მუნისტური პრინციპები.ეს არის დიდად ვა-
ნათლებული, პატრიანთი, მოწინავე ადამიანი

პრინციპები, ეს არის სიყვარული სოციალისტური საშობლოსადმი, მეგობრობა, ამხანაგობა, პუნანტრობა, პატოსნება, სოციალისტური შრომის სიყვარული... (მ. კალინინი).

საბჭოთა სკოლის მოსწავლეები ღრმად არიან გამსჭვალული მაღალი ინტერნაციონალური გრძნობებით. ისინი თანაგრძნობენ კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვებს, თავიანთ თანატოლებს, რომლებიც ცხოვრების მკაცრ და აუტანელ პირობებში იმყოფებიან. მ. პრილევაევის ისტორიად აქვს ჩართული ნაწარმოებში ამერიკის შვერთბულ შტატებში მცხოვრები პატარა ზანჯი ბიჭის სემის თავგადასავალი. დამირისპირების გზით კონსტრუქციის მსწავლელი თავის ჯაკეითილზე კიდევ უფრო ნათელს ჰფენს საბჭოთა ასალგაზრდობის მზიერ და თავისუფალ ცხოვრებას, მის წარმტაც და მიმზიდველ კომუნისტურ მოძაველს ჩვენს ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ნაწარმოების

იღეფრ შინაარსთან მჭიდროდა დაკავშირებული მისი მხატვრული გაფორმების საკითხი, ვინაიდან პობდენილი მხატვრული ილუსტრაციები უკარდა იმისა, რომ ესმარება მკითხველს ნაწარმოების შინაარსის გაგებაში, ხელს უწყობს ბავშვის ესთეტური გრძნობის განვითარებას, მასში მხატვრული გემოვნების დანერგვას. ეს ღრმად შინაარსიანი წიგნი მხატვრულად სრულებით არაა ილუსტრირებული, რაც, რა თქმა უნდა, გამოცემლობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. დ. დეკანოზიშვილის თარგმანი ძირითადად დამკაყოფლებელია, თარგმანის ენა გამართლია და ბავშვებისათვის გასაგები. მასში იშვითად შევხვდებით ენობრივი ნორმების დარღვევის ფაქტებს.

მ. პრილევაევის წიგნი „შენთან ამხანაგები არიან“ საბჭოთა სკოლის მოსწავლეთა მეგობრობაზე დამწერილი საინტერესო მხატვრული ნაწარმოებია.

მარიამ ხვიდელიძე

საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საჭარბოვლოში

★

სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს საარქივო დოკუმენტების პუბლიკაციას, რომელსაც წამდებარებული აქვს ვრცელი შესავალი წერილი. როგორც წიგნის ქვესათაურიდან ჩანს, ავტორი მიზნად არ ისახავდა მოცუა საგლეხო რეფორმის სრული სურათი და ამომწურავი დახასიათება. იგი შემოიფარგლა ამ დიდი პრობლემის ერთი საკითხით. ეს საკითხია დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა.

ბევრ მტკიცებას არ საკიროებს ის, რომ ბატონყმური ურთიერთობის მოსპობა უოფილ რუსეთის იმპერიაში და, კერძოდ, საქართველოში, მიუხედავად მისი შემამუდღერი ხასიათისა, წარმოადგენდა უარესად მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული ცხოვრების განვითარებაში. ამით აიხსნება ის ცხოველი ინტერესი, რომელსაც მუდამ იწყევდა ეს საკითხი ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში. მგარამქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიას დღემდე არ გააჩნია ისეთი ნაშრომი, რომელიც პარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან აშუქებდეს საგლეხო რეფორმის ისტორიას საქართველოში. საბჭოთა მკითხველი ჯერ კიდევ იბრუნებულია

პროფ. შ. ჩხეტიას, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველის გამოცემა.

მიმართოს ამ საკითხის შესახებ ს. ავალიანის საკმაოდ მოძველებულ და მეთოდოლოგიურად მიუღებელ ნაშრომს.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგლეხო რეფორმის არგვლე არსებული დოკუმენტების გამოქვეყნებას. პროფ. შ. ჩხეტიას ნაშრომი პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით.

გამოქვეყნებული დოკუმენტები პირობით შეიძლება სამ ნაწილად გავყოთ. ერთ ნაწილში, რომელიც წარმოიშვა მე-19 საუკუნის 40-იან წლებში, აღნიშნული დროის საბატონყმო ურთიერთობის ნორმები აისახა. მართალია, ეს დოკუმენტები მეტრისმეტად ფრთხილსა და კრიტიკულ მიდგომას საკიროებენ (მათი ავტორების — ქართველ თავადნაურთა — საკითხით დაინტერესების გამო), მაგრამ მათი გათვალისწინება რეფორმამდელ საქართველოში არსებულ ბატონყმურ ურთიერთობათა შესასწავლად აუცილებელია.

საბუთების მეორე ჯგუფი შეეხება საქართველოში ბატონყმურ ურთიერთობათა „მოწესრიგების“ მიზნით მეფის მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს. ყარგად ჩანს, როგორი მეტყვევი იყო მთავრობის პოლიტიკა ამ საკითხში, როგორ დაუძლეველი აღმოჩნდა მთავრობისათვის ამ ურთიერთობათა „მოწესრიგება“, როგორი

მარცხით დამთავრა მთავრობის ღონისძიებები ამ მიმართულებით.

ღანარჩენი მასალები ასახევენ უშუალოდ საგლეხო რეფორმის ისტორიას იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომელთაც დამოკიდებულება ჰქონდა დ. ყიფიანთან. პუბლიკაციის ბოლოს დასვეჭვილია კანონები საგლეხო რეფორმის შესახებ საქართველოში. უბსლეკია შესრულებულია არქეოგრაფიული წესების სრული დაცვით, საბუთების სათანადო დამუშავება-გაფორმებით.

საბუთების პუბლიკაციის მიმართ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა გვაქვს.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს კორექტურული შეცდომების სიმრავლე, რასაც ზოგჯერ შეიძლება დაწვევა შეუძლია. მაგ. 208 გვ. დ. ყიფიანის მოხსენებაში ვკითხულობთ: „1812-მდის საქართველოში გასაგონადაც არ გაგონილა, რომ თავისუფლება არ ეძიებინოს ვისმე ყმათაგან ბატონისაგან“. ზამგასმული „არ“ დიაგნოტიკურად ცვლის დ. ყიფიანის აზრს. ყიფიანი წერს, რომ „До 1812 года в Грузии не было и слыхано о том, чтобы крестьянин отыскивал свободу от своего господина“. ზოგჯერ ერთი და იგივე მოვლენა სხვა და სხვა თარიღითაა აღნიშნული. მაგ., სახელმწიფო საბჭოს აზრი სადაო საეკლესიო მამულებზე ერთგან 1810 წლის 27 ნოემბრის თარიღითაა დასახელებული. მეორეგან კი 1910 (I) წლის 17 ნოემბრით (სბ № 1.). ასეთივე მდგომარეობა იმერეთიდან ქართლ-კახეთში გადმოსახლებულ გლეხთა შესახებ 1834 წლის უმაღლესი ბრძანებულების მიმართაც (იხ. გვ. 71, 72.)

საბუთი № 33 დასაბუთებელია: „თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობის დადგენილება...“ საბუთში კი ვკითხულობთ: „Дворянство Тифлисского уезда... признало...“ და ა. შ.

პუბლიკაციაში ჯერ წარმოდგენილია საბუთები, რომლებიც ეხებიან დ. ყიფიანის მოღვაწეობას საგლეხო რეფორმისათვის დაკავშირებით. ხოლო შემდეგ, დამატების სახით, დაბეჭდილია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ეხებიან საგლეხო რეფორმის საერთოდ. ორივე განყოფილებაში ავტორი იცავს ქრონოლოგიურ პრინციპს. ეს პრინციპი მხოლოდ ერთგანაა დარღვეული: სახელდობრ, საბუთი № 66, მისი თარიღის მიხედვით, უნდა იყოს მოთავსებული საბ. № 65-ის წინ, ვარდა ამისა, საბ. № 43, რომელიც იმერეთის-ბატონის უფროსის, დამატებაში უნდა იყოს მოთავსებული, ხოლო საბ. № 73, რომელიც დ. ყიფიანს ეხება, ძირითად ნაწილში უნდა ყოფილიყო შეტანილი.

დამოლოს, ერთი საბუთის თარიღის შესახებ. საბ. № 60 დათარიღებულია 1844 წლით კითხვის ნიშნის ქვეშ და ლევენდამი აღნიშნულია,

რომ ეს საბუთი დაწერილი უნდა იყოს თბილისის გუბერნიის მმართველობის ვიცე-დირექტორის ვასილკოვსკის მიერ 1843 წლის 13 დეკემბრის მოხსენებითი ბარათის წარმტყვენის შემდეგ (გვ. 370). მაგრამ ეს მოხსენებითი ბარათი სხვა საკითხს ეხება და ამ საბუთის დასათარიღებლად არ გამოდგება. № 60 საბუთის დასათარიღებლად უნდა მივმართოთ თვით საბუთს, სადაც გადმოცემულია ვასილკოვსკის მიერ შეკრებილი ცნობები რომელნიც საჭიროს წარუდგინეს 1842 წლის 20 ივლისს. მაშასადამე, საბუთიც ამ თარიღის მასლობლიაა შედგენილი.

ასეთია ჩვენი შენიშვნები პუბლიკაციის მიმართ. შეიძლება ადვილად შეამჩნევს, რომ ეს მცირეოდენი ხარვეზები ოდნავაც არ ამცირებენ პუბლიკაციის ღირსებასა და მნიშვნელობას.

ახლა რამდენიმე სიტყვით შევეხებით პროფ. შ. ჩხეტის შესავალ წერილს, რომელიც ფაქტურად სცილდება დამსულ საკითხს და შეეხება უფრო ფართო და საქმიად რთულ პრობლემას: ბატონყმური ურთიერთობისა და საგლეხო საკითხის ისტორიას საქართველოში მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე.

პროფ. შ. ჩხეტია პატრონყმობის ბატონყმური ურთიერთობით შეცვლის ხანად მიიჩნევს 15-16 საუკუნეებს. (გვ. VII). შემდეგ გადმოვეცემას ამ ურთიერთობათა თანდათანობით განვითარებას და, მიმოიხილავს მე-18 საუკუნის ბოლოს არსებულ საბატონყმო ურთიერთობას. ეს მიმოხილვა შესრულებულია იმ ცნობებზე დაყრდნობით, რომელთაც შეიცავს ვახტანგ VII-ის სამართლის წიგნი და „საქართველოს... სჯულნი“.

ბატონყმური ურთიერთობათა გამარჯვების ხანად 15-16 საუკუნეების მიჩნევა სწორად ვერ ჩაითვლება. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღინიშნა, რომ მე-14 საუკუნის საკანონმდებლო ძეგლში (იეჭასა და აღბუღას კანონები) ასახულია გამარჯვებული ბატონყმური ურთიერთობის სურათი. (Н. Вердзенишвили. Очерк из истории феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.) 1938. გვ. 1—2). გლეხი მიჯაჭვულია ფეოდალის მიწაზე. იგი ბატონს ვეღარ წაუვა. ბატონს უფლება აქვს, 30 წლის განმავლობაში ვძიოს გაქცეული გლეხი და დააბრუნოს იგი. ამასთანავე, კანონმდებელი ამ წესს „ადრიღგან დადგენილად“ თვლის. ამის გამო, ბატონყმური ურთიერთობათა გაბატონების ხანად უნდა მივიჩნიოთ 13-14 საუკუნეები.

ავტორი წერს, რომ ბატონყმობის გამარჯვების შემდეგ „საბატონო ბეგარა — სამუშაოს გარდა, გლეხს ახლა მრავალი სხვა გადასახადიც ედო (სამეფო, სამოხელეო, საეკლესიო) (გვ. VIII). გამოდის, თითქოს გლეხს სამეფო, სამოხელეო, საეკლესიო გადასახადები ბატონყმობის გამარჯვების შემდეგ დაედო, რასაც, არა გვერვნია,

ავტორი იზიარებდეს. ასევე არა ზუსტი წერის შემდეგ იდგა: „თავადემა ბოლოს მოახერხეს. ფაქტორად თავი გაენათვისტყვებიათ ერთადერთი სახელმწიფო მოვალეობისაგან (გამოსულიყვენ ოში მეთის მოწოდებაზე შეწერილი ლაშქროთ)“... (გვ. IX). ასეთი რამ არ მომხდარა არც იურიდიულად და არც ფაქტურად, თუმცა თავადებს აქეთვე მისწრაფება კი გააჩნდათ.

მე-18 საუკუნის ბატონყმურ ურთიერთობათა ნორმებზე სატბრისას ავტორი აღნიშნავს: „ყმა მებატონეს ზეგარა-გადასახადს უხდიდა ფულად, ნატრით და შრომით; ამ ზეგარა-გადასახადის მოცულობა არსებითად განსაზღვრული არ იყო, ეს დამოკიდებული იყო მებატონის ნება-სურვილზე და გლეხის შეძლებაზე“ — (გვ. XXIX). შენიშვნაში დამოწმებულია მე-19 საუკუნის 40-იან წლებში შედგენილი ერთი რუსული ოფიციალური დოკუმენტი (იხ. იქვე, საბ. № 2).

საკითხავია, იყო თუ არა განსაზღვრული ყმა-გლეხის ზეგარა-გადასახადის მოცულობა? დამოკიდებული იყო, თუ არა ეს მოცულობა მებატონის ნება-სურვილზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა მივიმართოთ ე. წ. გლეხთა გამოსადების წიგნებს, რომლებიც შეიცავენ ცნობებს იმის შესახებ, თუ რას უხდიდა ასე თუ ისე გლეხი თავის მებატონეს. მოვიტანოთ რამდენიმე ამონაწერი ამ საბუთებიდან.

„ქ. პაპეის პაპაშვილს აქვს კვლეხი და ღალა. ორი თბლოსი მესამედი, ქათამი ერთი, ერბო ქსანი ერთი და ნახევარი კვერცი სანი.“

ქ. ბერა პაპაშვილს აქვს კვლეხი და ღალა. ორის თბლოსა ორი წილი, ქათამი ერთს წელიწადს, შვორეს წელიწადს დედალი, ერბო ქსანი სანი, კვერცი ექვსი“... და ა. შ. (სახ მეზეუში, d Q ფონდი, საბ. 7191). შეადარე იქვე, საბ. № 7190, 7189 და სხ.)

როგორც ვხედავთ, გლეხს მებატონისათვის უნდა გადაეხადა სრულიად განსაზღვრული გადასახადი.

ზემოთმოყვანილ ამონაწერში კვლეხი და ღალა განსაზღვრული არაა. მაგრამ ეს გადასახადიც აიღებოდა სრულიად განსაზღვრული წესით, სახელდობრ, მოსავლის გარკვეული ნაწილი $\frac{1}{5}$, $\frac{1}{7}$, თუ სხვა. აი, მაგალითად, რას გვითხვებით ერთ საბუთში:

„ქ. ახალდაბას ესეტაშვილის ვენახში მურადის-შვილის ტეტისა პურპელი ურემი ა (1) ამისი ღალა კოდი ბ (2).“

ქ. აქავ ვენახში ამისივ ახალი თესლი ურემი ა (1) ამისი ღალა კოდი ბ (2) ც. ი. ერთ ურემზე ორი კოდი-შ. ზ.)

ქ. ბერაკისშვილის ახალთესლი ურემი დ (4),

ამისი ღალა კოდი ც (8), ჰქავ ოჯვე შეფარდება — შ. ზ.) (იხ. სახ. მეზეუში, d Q ფონდი, საბ. 7155).

განსაზღვრული იყო სხვა, საცალა, გადასახადებიც: სააღგომო, საყველიერო თუ სხვა. მებატონეს რომ თავის სურვილისამებრ არ შეეძლო ვლესების გადასახადების გადიდება, ამას მოწმობს ის, რომ საუკუნეების მანძილზე საოცრად გაიზარდა ქართულ საწყაოთა მოცულობა. გლეხისაგან მეტი გადასახადის გამოძღვის მიზნით მებატონე აღიღებდა საწყაოს, ვინაიდან გადასახადის ზომის შეცვლა მას არ შეეძლო. ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია (ხ. ბერაშვილი, ს. კავაძე).

გადასახადის გადიდება, ისევე როგორც საწყაოსი, გლეხის წინააღმდეგობას იწვევდა, გლეხი საჩივარში გარბოდა მეფესთან და მეფე კანონიერად თვლიდა ამ საჩივარს.

მართალია, არ არსებობდა გადასახადის საერთო ნორმა, ადგილებელი ქვეყნის ყველა ნაწილისათვის, ყველა კატეგორიის გლეხისათვის, მაგრამ უკვე ცალკეულ შემთხვევაში ეს გადასახადი ყოველთვის წერილობით არ იყო გაფორმებული, იმის გამო, რომ იგი უცვლელი იყო. საინტერესოა, როგორ განმარტავს ამ მოვლენას ერეკლე მეორე ერთ თავის საბუთში. ვარდის-უბნელები ჩიოდნენ — ალავერდელი სამსახურის გუბოჯის, ჩვენ ქი ეს სამსახური გუჯრებში არ გუჯეროდა. ერეკლე უბასუხებს: „გუჯრებში და სიღლებში ყოველთვის რომ ჩვეულობა არ არის, რომ გამოჩნვეით იწერებოდეს რაც სამსახური გლეხკაცს და მამულს ედვის თავისის გლეხისისა და თავისის მებატონისა. ამისათვის რომ დრო ჩამოდის და ეამი მიდის, ერთისაგან მეორეს დასწავლილი აქვს, რაც მამულსა და გლეხს აქვს და მრავალჯერ ამისთვის აღარ დასწერენ და ამ მიზეზით არის ეს დაწერებლობის ჩვეულება“ (იხ. საქ. ცსს. ფ. 226. საბ. № 599).

ამრიგად, მათელია, რომ გვიანდოდალურ საქართველოში ყმა-გლეხის ზეგარა-გადასახადი განსაზღვრული იყო და მისი შეცვლა არ იყო დამოკიდებული მებატონის სურვილზე. რა თქმა უნდა, ბატონი ცდილობდა, ეს წესი დაერღვია, გადასახადი გაედიდებინა, მაგრამ ეს იყო წესის დარღვევა.

პროფ. შ. ჩხეტიას შესავალი წერილის მეორე და მესამე ნაწილებში ნაჩვენებია საბატონყმო ურთიერთობის ისტორია მე-19 საუკუნის რეფორმამდე ხანაში. აღნიშნულია, რომ რუსეთის მთავრობა იცავდა და ამტკიცებდა ამ ურთიერთობას, თუმცა ზოგჯერ მთავრობა, ზაზნის ინტერესების დასაცავად ადგილობრივ თავდაზნურთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ღო-

ნსიძებებსაც ატარებდა. წერილში ვაგრძედა აღწერილი ის პროცესები, რომელთაც მოაზნადეს ბატონყმობის გადაეარდნა, როგორც ეკონომიკურად, ისე იდეოლოგიურად და, ბოლოს, რევოლუციური სიტუაციის მხრივაც (ვლენტა აჯანყებები).

შემდეგ ავტორი განიხილავს რეფორმის ირგ-

ვლივ მიმდინარე ბრძოლას და ეყრდნობა ლენინის დებულებას იმის შესახებ, რომ ბრძოლა წარმოებდა „მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციურად“ სიდიდისა და ფორმის გულწრფელად საერთოდ ამ ურთიერთობის მოსაზრებისათვის.

შ. ხანთაძე

უპასუხისმგებლოდ გამოსცემული წიგნი



საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ისტორიული ძეგლების დაცვისა და შესწავლის საქმეს. ვარძია, როგორც თავისი ეპოქის უდიდესი ძეგლი, ყოველდღიური მოვლა-პატრონობისა და მეცნიერული შესწავლის ობიექტად გადაიქცა. სწორედ ამ მიზნით იქნა დაარსებული ვარძიის მუზეუმი — ნაყჩაღი, ვარძიასა და მის მიდამოებში არსებული ისტორიული ძეგლების პოპულარიზაციის უფოდ სპეციალური საქმეა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველაფერს, რაც კი ვარძიის შესახებ დაიბეჭდება, მკითხველი დიდი ინტერესით ზღვდება.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“ რუსულ ენაზე გამოსცა გ. ი. ტყეშელაშვილის ნარკვევი ვარძიის შესახებ. წიგნი შეიცავს ავტორის ნარკვევს, რედაქტორის — ნ. ნათენაძის — შესავალ სტატიასა და რჩევას: „როგორ წაეიდეთ ვარძიაში“. ნ. ნათენაძის შესავალ სტატიაში მოცემულია მესხეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, აგრეთვე, ცნობები თვით ვარძიის სამონასტრო კომპლექსის შესახებ და ვარძიის გარშემო არსებული სტატეების კრიტიკული განხილვა.

გ. ტყეშელაშვილის ნარკვევის შესახებ რედაქტორი შემდეგს წერს: „Очерк тов. Г. Ткешелашвили возбуждает интерес к посещению Вардзия и облегчает осмотр и изучение пещерного города. Но этот очерк только частично оправдывает свое название. На всем пути следования к Вардзия и обратно, автор очень мало показывает те коренные изменения, которые произошли в Месхети за последние годы“ (стр. 3).

ამის შემდეგ რედაქტორი გვამცნობს, რომ ამ ნაღს იმდენივე გაუზღია ფე, მოეცა დამატებითი ცნობები, რომლებიც უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ვარძიაზე (გვ. 3). მაგრამ ეს სიტყვები მკითხველის ბუნებრივ გა-

ვირებებს იწვევს: თუკი რედაქტორი ავტორის მხოლოდ უცანასკნელ წლებში მესხეთში მომხდარი გარდაქმნების გაუმეტიებლობას უსაყვედურებს, მაშინ რაღა შეაშია დამატებითი ცნობები ვარძიის შესახებ? იმაზე კი, თუ რა ცვლილებები მოხდა საბჭოთა მესხეთში, რედაქტორის ერთი სიტყვა არა აქვს ნათქვამი.

ვარძიის ქვაბების აღწერასაც რედაქტორი ჩამოთვლის ამ ქვაბების დამახასიათებელ თვისებებს, რომლებითაც განსხვავდებიან ისინი სხვა ქვაბთა კომპლექსებისაგან. მაგრამ რედაქტორის მიერ დასახელებული განმასხვავებელი ნიშნები სხვა ქვაბთა კომპლექსებისაგან აქვთ, ზოგიერთი „თვისება“ კი სრულებით არ შეიძლება დამახასიათებელ ნიშნად ჩითვალას ამა თუ იმ ძეგლისათვის. მაგალითად, რედაქტორი წერს: „Это не маленький пещерный ансамбль, замаскировавшийся где-то в отдаленном ущельи от взоров хищника, а грандиозное сооружение, величаво созидающее на большом пространстве красивейший капишн Куры, ослепляя недругов своей монументальностью. Вот первая особенность Вардзия, отличающая ее от других пещерных городов“ (стр. 12).

განა ეს მხოლოდ ვარძიისთვისაა დამახასიათებელი? ნუთნ ნ. ნათენაძეს არ მოაჩნია, რომ ეს დამახასიათებელი თვისებები გააჩნია, მაგალითად, უფლისციხესაც?

რედაქტორის შესავალში არაერთი ფაქტობრივი შეცდომა მოიპოვება. მაგ., ნათენაძეს ჰგონია, რომ მკვლევარი დ. ყიფშიძე, რომელსაც ვარძიის აღწერა აქვს შესრულებული, იგივე ფორმელია (გვ. 20). სინამდვილეში კი ფორმელი აუო ალ. ყიფშიძე, ავტორი „დღეებელი მესხეთისა“. ეს შეცდომა გამოყენებულია ლიტერატურის სიაშიც მეორედ (გვ. 132).

ნ. ნათენაძეს მოაჩნია, რომ „ანანაური“ ეკლესია გამოკვეთილი და მოხატული XIV — XV საუკუნეებში (გვ. 17). აღნიშნული ეკლესია უკერძოებით შესწავლილი არ არის და ამიტომ მისი ზუსტი თარიღის გამოცხადება შეუძლებ-

Г. И. Ткешелашвили. Вардзия. (Краеведческо — туристический очерк).

ლია მითვლებს, რომ თავისი აზრის დასამტკიცებლად რედაქტორს არავითარი საბუთი არ მოჰყავს.

ნ. ნათენაძე წერს, რომ მას არ შეუძლია დაწერა რიგები გააშუქოს ესა თუ ის ისტორიული თუ არქიტექტურული საკითხი, და რომ ყოველივე ამისათვის მიწოდებული არიან სპეციალისტები: არქიტექტორები, ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვები (გვ. 16) მიუხედავად ამისა, იგი თავისთავს ნებას აძლევს ვადპობთ იმსჯელოს სწორად ხეროთომოდვრები საკითხებზე.

უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ისიც, რომ ნ. ნათენაძე არაობიექტურად აშუქებს სხვა ავტორთა შრომებს. მაგ., იგი აკრიტიკებს ც. ვაბაშვილის წიგნაკს ვარძიის შესახებ. ნ. ნათენაძე არაკვილისინდისიერად იქცევა, და ამავე დროს არღვევს ელემენტარულ ლიტერატურულ ეთიკას, როდესაც აკრიტიკებს ც. ვაბაშვილის წიგნის პირველ გამოცემას და კრიტიკაც არა ძრავს ამ წიგნის მეორე გამოცემაზე (1949 წ.), სადაც თავიდან აცილებია აღნიშნული შეცდომები.

ბ. ტყემალაშვილის ნარკვევის მიხანია ვაყენის მეთხველს ვარძიის ქვაბთა ქალაქი და ბორჯომიდან ვარძიისაყენ მიზავალ გზაზე მდებარე ისტორიული ძეგლები. სამწუხაროდ, წიგნში მრავალი ფაქტი არასწორად არის გაშუქებული. ავტორი თავისი მცდარი მოსაზრებებით ყალბ წარმოდგენას უქმნის მეთხველს მესხეთის მრავალ არქიტექტურულ ძეგლზე და თვით ვარძიის მონასტრზედაც.

ავტორი თავის შრომას იწყებს რუსთაველის ეპოქითა და თვით რუსთაველის პიროვნებით. მისი ცნობები დამყარებულია უმთავრესად ფოლკლორულ მასალაზე. ავტორის მსჯელობა მრავალ შემთხვევაში მოცლებულია სიზუსტეს. მაგალითად, მისი აზრით, რუსთაველის ეპოქა მოიცავს ხან შე-11-12 საუკუნეებს, ხან კი მე-11-13 საუკუნეებს, ე. ი. დავით აღმაშენებლის მეფობით დაწყებული (1089 — 1125) და დამთავრებული თამარის მეფობით (1184 — 1213 წ. წ; 37 გვ.). მაგრამ ზოგჯერ ავტორი ამ ფარგლებსაც სცილდება: მისი მტკიცებით, რუსთაველის ეპოქაშია იგებული 964 წლის ემპერდოს კათედრალი (49 გვ.), მე-13 საუკუნის საფარის ეკლესია, მე-14 საუკუნის ზარზმის ტაძარი და სამარცლო (59 გვ.). ე. ი. მე-10-14 საუკუნის ყველა არქიტექტურული ძეგლი. მეთხველისათვის სრულიად გაურკვეველი რჩება „რუსთაველის ეპოქის“ ფარგლები და ხასიათი.

იხილავს რა დაბის ეკლესიას, ავტორი წერს, რომ აღნიშნული ეკლესია აგებულია გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს — 1318 — 1346 წლებში (53 გვ.). ჯერ ერთი, გიორგი ბრწყინვალე გამეფდა 1314 წელს და არა 1318 წელს,

მეორეც, დაბის ეკლესია ზუსტადაა დათარიღებული მისი წარწერით, იგი აგებულია 1333 წელს.

ავტორს, როგორც ჩანს, ძალიან შეეწინააღმდეგება აქვს ქართულ ხელოვნებაზე, კერძოდ, მის არქიტექტურულ ძეგლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ტიმოთეს უბნის ეკლესია მას ათმაგონებდა თბილისის სიონის, მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარსა და გელათს (54 გვ.). ე. ი. სხვადასხვა საუკუნეში აგებულ ტაძრებს, რომლებიც, როგორც გვევით, ისე ფსადების გადაწყვეტით, სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საფარის წმ. საბას ტაძრის გეგმა ავტორს მიიჩნია გელათის ტაძრის მსგავსად; ამასთანავე წერს, რომ წმ. საბას ტაძარი სამწავიანი ეკლესია არის (58 გვ.). ნამდვილად კი ტაძრების გეგმები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან (საკმარისია გავისხნოთ გელათის შვერილი ფესვები), და თანაც წმ. საბას ტაძარი ეცენტრალურ-გუმბათიანი შენობაა და არა სამწავიანი ბაზილიკა.

ავტორი შემდეგ იხილავს ზარზმის ეკლესიას და სამარცლოს, რომლებიც ავტორსა და რედაქტორსაც (10 გვ.) რატომღაც მიიჩნიათ ბორჯომიდან ვარძიისაყენ მიმავალ გზაზე მდებარედ. ზარზმის განხილვას წიგნის შინაარსი არ მოითხოვდა, მაგრამ ავტორებს აღბნო სურდათ ეკლავთ გაეპოვებინათ თვეე მოძველებული აზარი ზარზმის ეკლესიის თარიღისა და ზარზმაში ხერციკების გვარის გაჩენის შესახებ. იხილავს რა ამ ტაძარს, ავტორი მისი მშენებლობის თარიღად ასახელებს 1045 წელს, ხოლო მშენებლებად ხერციკებებს ასახელებს. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში უკვე ყარვა ხანია გამოითქვა სამართლიანი აზრი, რომ ძეგლის არქიტექტურული მონაცემები, მისი ცალკეული ფორმები და დეკორი სრულიად გამოირიცხავს ძეგლის ასეთ დათარიღებას. თუ 50 წლის წინათ, როცა ქართული ხელოვნების ისტორიული სურათი ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი, შეიძლებოდა ზარზმის ტაძარი მე-11 საუკუნისათვის მიეკთვნებინათ, დღეს, რა თქმა უნდა, ამის გამოკრება შეიძლება აახსნას საბჭოთა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მონაპოვართა სრული უნულებელყოფით. ზარზმის ტაძარი და სამარცლო აგებულია პირველი დამოუკიდებელი ათბაგების დროს, მე-14 საუკუნის დასაწყისში, და იგი არსებითად განსხვავდება მე-11 საუკუნის ძეგლთაგან.

ავტორის ცნობები ვარძიის გზაზე მდებარე ძეგლების შესახებ სრული არ არის. გელსუნდისა და ფიის ქვაბთა კომპლექსებს შორის მას გამოკრებული აქვს მტკერის მარცხენა ნაპირზე ნასოფლარი ჯოღლა, სადაც გამოქვაბულთა არანაკლებ საინტერესო ჯგუფია გამოკვეთილი. ავტორი არ ასახელებს ფიის ქვაბთა ჯგუფის ძირ-

ში არსებულ ორ, წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს, ეკლესიის.

ვაჰანის ქვაბების (თმოგვის ციხესა და ვარძიის მონასტრის შუა) დაარსებას ავტორი მე-6-7 საუკუნეებით საზღვრავს (76 გვ.), რომ აღნიშნული ძველი ვარძიის ქვაბებზე აღიზნულია, ეს უდაოა, მაგრამ უცერჯობით იგი შეუსწავლულია, და არც ისტორიული ცნობები მოგვეპოვება მისი გამოკვეთის შესახებ. ამრიგად, საბოლოო ავტორის თავი შეეკავებინა ამ ძველის დათარიღებისაგან და უფრო მეტი ადგილი დავთმო მისი აღწერისათვის.

სრულიად ვუგებარია, რატომ თარიღებს ავტორი „ვაჰანის ქვაბთა განგებას“ — ძველი ქართული საკორპორაციო სამართლის ამ ძვირფას ძეგლს — მე-12 — 13 საუკუნეებით, მაშინ როდესაც სპეციალური გამოკვლევით დადგენილია, რომ იგი დაწერილია ზუსტად 1204 — 1234 წლებს შორის, ე. ი. მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში. („ვაჰანის ქვაბთა განგება“ ლ. მუსხელიაშვილის მიერ გამოცემული, 1939 წ.). სპეციალური ლიტერატურაში მიღებული თარიღებისადმი ასეთი დამოკიდებულება საერთოდ დამახასიათებელია ავტორისათვის: ცნობილ თარიღებს იგი ან ცულის, ან ორი საუკუნის მიჯნას იძლევა.

ნარკვევის უკანასკნელი თავი, რომელიც ვარძიის ქვაბთა კომპლექსის აღწერას შეიცავს, ნათელ სურათს ვერ გვაძლევს ამ ღირსშესანიშნავ ძეგლზე. ამას გარდა მკითხველს თვალში ხედება, რომ წიგნის ავტორი და რედაქტორი ვარძიის შესახებ უზომავრესად ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამენ (ზან კი ერთნაირ სიყალბეს ამტკიცებენ ძველის მიმართ). ამიტომ ვარძიის მონასტრის განხილვის დროს ჩვენ პარალელურად შევხებით ავტორისა და რედაქტორის მისაზრებებს.

ავტორის ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის კედლის მხატვრობის დათარიღების ყველაზე მტკიცე საფუძვლად მიიჩნია ის, რომ კედლის მხატვრობაში გამოსახელი არ არის ლაშა გიორგის პორტრეტი; ამის გამო, მისი აზრით, კედლის მხატვრობა შესრულებულია 1191 წლამდის, ე. ი. ლაშას დაბადებამდის (გვ. 86). ეს აზრი უკვე მოძველებულია. ამჟამად ვარძიის მუზეუმს აქვს ახალი მასალა, სადაც ვარძიის ტაძრის კედლის მხატვრობა დათარიღებულია უფრო ზუსტად. გამოირკვა, რომ იგი ეჭვგაშთაგონივრული 111-ის ვარდაცვალებასა და ამათ პერიოდს გათხოვებას შორის, ე. ი. 1184 — 1185/6 წლებს შორის, რედაქტორმა — ნ. ნათენაძემ აღნიშნული მასალა გამოიყენა, მაგრამ იგი დამახინჯებულად წარმოვიდგინა.

როგორც ცნობილია, დღემდის მოაღწია თამარ მეფის ოთხმა პორტრეტმა (ვარძიაში, ბეთ-

ნიაში, ყინწყისსა და ბერთუბანში). ტყემალაშვილის მიხედვით «... Кроме Вардзиз, везде Тамара изображается по середине между двумя царями — своим отцом и своим едином Георгием Лаши» (стр. 86).

ეს არ შეეფერება სინამდვილეს. ვარძიაში თამარ მეფე გიორგი მესამესთან ერთად არის გამოსახული, ბეთანიაში და ყინწყისში — გიორგი მესამესა და გიორგი ლაშას შუა, ხოლო ბერთუბანში — მხოლოდ შვილთან — ლაშა გიორგისთან. ამის მიხედვით ირკვევა ამ ძველთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც: — ვარძია — ბეთანია — ყინწყისი — ბერთუბანი. ამ სწორედ ეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა უნდა დაეყვანოს ავტორის თამარ მეფის პორტრეტული გამოსახულების განხილვის დროს. მას კი ცნობები არვედარევიტ აქვს წარმოდგენილი.

ავტორისა და რედაქტორის ზედმეტად ნათელი ეცნობებით მკითხველისათვის ის მეშაობა, რომელიც ჩაატარა ვარძიის მუზეუმის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის კედლის მხატვრობის გასაწმენდად; ნაწილობრივ გაწმენდილი იქნა ჩრდილო კედლის ორი ნიშის მხატვრობა, იქ, სადაც აღმშენებელთა პორტრეტებია გამოსახული; აგრეთვე, ღვთისმშობლის მიძინების სკენის კომპოზიცია დასავლეთ კედლის ჩრდილო ნაწილში, რის შედეგაც გაწმენდილ ნაწილში ფერები სავსებით გაცხოველდა. ამასთანავე გამოჩნდა მეტად საინტერესო ქართული ორნამენტები, რომლებიც გაწმენდამდე მკვარტლით იყო დაფარული.

რატომღაც არაფერია ნათქვამი ჩრდილო კედლის დასავლეთ ნიშში გამოსახული ისტორიული პირის გვერდით არსებული წარწერის ქიმიური წესით აღდგენის შესახებ, როდესაც გაწმენდას მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: მუზეუმის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოარკვია, რომ გამოსახული პიროვნება არის თამარ მეფის თანამედროვე — ქართლის ერთსავე რატი სურამელი, რომელსაც მიუხედავად და შეუმეცია ვარძიის დიდებული ტაძარი.

ავტორის ვარძიის ქვაბთა კომპლექსი სრულიად შეუსწავლელი აქვს. იგი არ იცნობს ვარძიის მუზეუმში არსებულ შრომებს და არქიტექტურულ ანალიზებს, ამიტომ ავტორის სრულიად არა სწორად აქვს გაშუქებული ვარძიის ქვაბთა კომპლექსური და ტოპოლოგიური დაყოფა (94, 96, 98 გვ.). ორსართულიან დამხმარე ქვაბებს, რომლებიც ერთმანეთის თავზეა გამოკვეთილი ვარძიის აღმოსავლეთ ნაწილში, ცალ-ცალკე კარები აქვთ გამოკვეთილი, ავტორი კი აღნიშნავს, თითქოს ამ ორსართულიან ქვაბებს ერთი საერთო კარი ჰქონდეთ (გვ. 98).

ბ. ტყემალაშვილი სრულიად გულბრკევილიად ვადმოგვიყვამს ყველაფერს, რისთვისაც

კი ყური მოუკრავს. მაგალითად, მას სურს დაჯგუროს მკითხველი, თითქოს თამარ მეფეს მრავალი ოთახი ჰქონდა ვარძიაში, რათა მტრებს არ გაეგოთ, რომელ მათგანში იმყოფებოდა იგი. ასეთი მაგალითები მრავალ გვხვდება (გვ. 85). ამასთანავე, ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნეს უარყოფილი „ვარძიის“ ლეგენდური ეტიმოლოგია, დაკავშირებული პატარა თამარის დაქარაგვის ამბავთან. („მე აქა ვარ, ძია“).

აეტიოლოგია აზრით, ვარძიის ქვაბთა ქალაქის აგება-გამოკეთება მტკვრის ნაპირზე გამოწვეული იყო სამხედრო — სტრატეგიული მოსაზრებებით. ძირითადად ეს სწორია, მაგრამ ამის საფუძველზე იგი ვარძიას ანიჭებს უმთავრესად ციხექალაქის როლს (77 — 85). თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ის ასახელებს უფლისციხის ქვაბთა ქალაქს, რომელიც აგებული იყო ქართლის დასააცავად უცხო დამპყრობლებისაგან. ეს უღაო შეეკომა, მით უმეტეს, რომ ვარძია ია უფლისციხე სულ სხვადასხვა დანიშნულებას ძეგლებია.

რედაქტორს კი ვარძია უმთავრესად შიანია, მონატრად, თქმვა ისიც დაბეჯითებით წერს, რომ ვარძიაში არსებობდა საერო დანიშნულების ნაგებობანიც.

არც ერთი ისტორიული საბუთი არ მოგვეპოვება, სადაც გაყვრიტ მაინც იყოს აღნიშნული სამეფო რეზიდენციის არსებობა ვარძიაში გარდა ზეპირი გადმოცემებისა. ისტორიული ცნობის ნაწევებია, რომელიც ტყემელაშვილს მოჰყავს თავისი აზრის დასამტკიცებლად, სრულებით არ ამტკიცებს მის მოსაზრებას.

შემდეგ, არც ისტორიული საბუთები და არც თვით ვარძიის ქვაბთა კომპლექსის განხილვა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვამტკიცოთ, თითქოს ვარძიის ადგილას ჯერ კიდევ მე11-12 საუკუნეებამდე არსებობდა ცალკეული ბუნებ-

რივი ქვაბები, რომელთა გემარტოვნით და გადაკეთებით საუკუნეების მანძილზე მივიღეთ ვარძიის ქვაბთა ქალაქი. დღემდე არსებულ ქვაბებს არავითარი ნიშან-კვალი არაა შეჩინილი ბუნებრივ ქვაბთა გადაკეთებისა. ვარძიის ქვაბთა ცენტრალური ნაწილის, ლეთის-მშობლის ტაძრის ჩათვლით, შექმნა წინასწარ არსებული ვარჯვეული გეგმის გარეშე შექმნილებული იქნებოდა, მაგრამ გეგმა ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იგი უკვე ვარძიის მონასტრის სრულ და დამთავრებულ სახეს იძლეოდა. ე. ი. იგი დეტალურად იყო დამუშავებული, როგორც ნ. ნათენაძეს მიაჩნია. უნდა ვიფიქროთ, რომ ვარძიის არქიტექტურულმა ანსამბლმა თავისი რთული, ქვაბთა ქალაქისათვის დამახასიათებელი არქიტექტურულად დამთავრებული სახე მიიღო მისი ცენტრალური ნაწილის ლეთისმშობლის ტაძრის გარშემო, ქვაბთა თანდათანობით დამატებისა და გადაქმნაების გზით. ქალაქის ამ გვარად წარმოშობა და გაფართოება ბუნებრივია ფეოდალიზმის პერიოდი-სათვის.

წიგნში მოთავსებულია 31 სურათი, აქედან 19 სურათი უეარგისია. ამაში, რა თქმა უნდა, დანაშაუდა როგორც გამოცემლობა, ასევე ავტორი, რომელსაც მდარე ფოტოსურათები შეურჩევია.

ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ წიგნის საერთო რედაქტორი ს. მაკალათია უპასუხისმგებლოდ მოქილდებია საქმეს.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოქილდებოდა ისეთი ნაკვეთის გამოცემას, რომლის მიზანია მრავალ საბჭოთა ტურისტსა და ექსკურსანტს მიაწოდოს სწორი და ნათელი ცნობები ქართული ზელოვნების ძეგლებზე.

გ. ზაფრინდაშვილი

ახალი ნიშნები



★

სახელმწიფო გამომცემლობა

სერგი ქილია — ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა. რედ. გ. ნატრო-შვილი, გვ. 240, ფასი 7 მან. 40 კაბ.

ს. გაინჯილაძე — ლიტერატურის თეორია 9 — 11 კლასებისათვის. რედ. პ. ბებია, გვ. 248, ფასი 2 მან. 70 კაბ.

ფ. რურუა — ქართული ენა (არაქართული სკოლებისათვის) მე-7, მე-8 კლასებისათვის. რედ. ო. გოგია, გვ. 238, ფასი 2 მან. 45 კაბ.

ა. ხაჩაბაძე — არითმეტიკულ ამოცანათა კრებული მე-5, 6 კლასებისათვის. რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 330, ფასი 2 მან. 10 კაბ.

შ. თაბუკაშვილი, ვ. რამიშვილი, თ. ჩერქეზიშვილი — ქართული ენა, მე-4 კლასისათვის. რედ. პ. ბებია, გვ. 330, ფასი 2 მან. 65 კაბ.

ლ. ქობაშვილი, ვ. მუშუდუანი, შ. თაბუკაშვილი — ქართული ენა (არაქართული სკოლების მე-3 კლასისათვის). რედ. ი. გაეშელაშვილი, გვ. 120, ფასი 1 მან.

მ. სკატანი — ბუნებისმეტყველება (თარგმ. მ. ბუაჩიშვილი და მ. ნოზაძის). მე-4 კლასისათვის. რედ. ს. სვანიძე, გვ. 180, ფასი 2 მან. 30 კაბ.

ა. შანიძე — ქართული ენის გრამატიკა. ნაწ. I, მორფოლოგია. მე-5, 6 კლასებისათვის. რედ. ილ. აბულაძე, გვ. 127, ფასი 90 კაბ.

ვ. ლევინკო და სხვ. — ქიმიკა (თარგმანი ნ. ჯუფარიძისა, დ. იმნაძისა და ი. კოსტავასი) მე-9 — 11 კლასებისათვის. რედ. ს. სვანიძე, გვ. 532, ფასი 4 მან. 95 კაბ.

ა. კისელევი — ალგებრა, ნაწ. I. მე-6, 8 კლასებისათვის. რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 140, ფასი 1 მან.

დ. კობიძე, ა. შანიძე — ზოოლოგია. მე-6, 7 კლასებისათვის. რედ. ს. სვანიძე, გვ. 238, ფასი 3 მან. 75 კაბ.

შ. ჩუბინიძე, მ. ნოზაძე — ბოტანიკა. მე-5, 6 კლასებისათვის. რედ. ს. სვანიძე, გვ. 232, ფასი 3 მან. 30 კაბ.

ი. სოკოლოვი — ფიზიკის კურსი. ნაწ. III (თარგ. ვ. ყიფშიძისა), რედ. დ. ბერიძე, გვ. 428, ფასი 4 მან. 10 კაბ.

კ. თევზაძე, ს. ჯაქია — ქართული ენა (აზერბაიჯანული სკოლებისათვის) მე-2 კლასისათვის. რედ. ი. გაეშელაშვილი, გვ. 132, ფასი 70 კაბ.

ნ. რიბკინი — გეომეტრიის ამოცანათა კრებული. ნაწ. II, პლანიმეტრია. მე-7, 10 კლასებისათვის. რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 132, ფასი 1 მან.

ძველი მსოფლიოს ისტორია — ა. მიშელის რედაქციით (თარგმანი დ. დეკანოზიშვილისა) მე-5, 6 კლასებისათვის. გვ. 288, ფასი 3 მან. 85 კაბ.

ა. კისელევი — გეომეტრია, ნაწ. I, პლანიმეტრია. მე-7, 10 კლასებისათვის. რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 228, ფასი 2 მან. 60 კაბ.

ი. გოდუნია, მ. კუზნეცოვი — ინგლისური ენის სახელმძღვანელო, ნაწ. I. მე-5 კლასისათვის. რედ. ვ. ბუთხუჯა, გვ. 136, ფასი 1 მან. 70 კაბ.

ვ. რამიშვილი — ქართული ენა (გრამატიკა და მართლწერა) მე-3, 4 კლასებისათვის. რედ. პ. ბებია, გვ. 88, ფასი 35 კაბ.

ა. კისელევი — ალგებრა, ნაწ. II. მე-9, 11 კლასებისათვის. რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 288, ფასი 2 მან. 75 კაბ.

ფ. რურუა — ქართული ენა (არაქართული სკოლების) მე-5, 6 კლასებისათვის. რედ. ვ. გოგია, გვ. 232, ფასი 2 მან. 20 კაბ.

ი. სოკოლოვი — ფიზიკის კურსი. ნაწ. II (თარგმანი ა. მუჯირისა). მე-10 კლასისათვის. რედ. დ. ბერიძე, გვ. 256, ფასი 2 მან. 80 კაბ.



✓ალექსანდრე აბაშელი — ორი ლექსი	3
✓ვიქტორ ბაბუნიანი — ვახუშტის დღი, პიესა	5
✓ვახტანგ გორგანელი — ზემო სამშობლო სამაისო ვახტანგ დამდგარი. ლექსი	5
✓ნიკოლოზ ნადირაძე — ერთი დღე ტყიბულში, ნარკვევი	51
✓მიხეილ სანიკიძე — მოხუცის თხოვნა, ლექსი	
✓ზანდორ ნადი — შერიგება, მოთხრობა, თარგმანი პაპუნა წერეთლისა	57
✓ალექსანდრე ბიბაშვილი — საყვარელ სურათთან, ლექსი	82
✓იოანე ვოლფგანგ გოეთე — ფაუსტი, ტრაგედია, ვაგარძელება, თარგმანი გერმანულიდან ალ. ქუთათელისა	83
✓ივანე თარბა — იენინერის დაბრუნება, ლექსი. თარგმანი აფხაზურიდან ალიო მირცხულაევისი	96
—	
✓ოტარ ჩხიძე — ქართული საბჭოთა ნოევის განვითარების საკითხისათვის, წერილი	100
✓ზალმა გოგალიშვილი — რევოლუციური იდეები ირადიონ ვედოშვილის შემოქმედებაში, წერილი	109
✓ვლადიმერ ზამზახიძე — ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიური შეხედულებანი, წერილი	124
✓გურამ ასათიანი — სოციალისტური რეალიზმის პრობლემა ლეი არაგონის შემოქმედებაში, წერილი	142
✓ი. ენაკოლოვაშვილი — მირზა შაფი, მირზა ფატალი ახუნდოვი და საქართველოს საზღვადობრიობა, წერილი	156
—	
✓ბრ. მამაზარიანი — რევანს ასავევის ლექსები, ბიბლიოგრაფია	160
✓შ. სულაბერიძე — შალვა ფორჩხიძის ლექსების მეორე წიგნი, ბიბლიოგრაფია	161
✓ბ. ბაქრაძე — ლექსები მშვიდობაზე, ბიბლიოგრაფია	164
✓მარიამ ხვედელიძე — საყურადღებო მოთხრობა საბჭოთა სკოლის შესახებ, ბიბლიოგრაფია	166
✓შ. ხანთაძე — საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, ბიბლიოგრაფია	168
✓ბ. ბაყრინდაშვილი — უპასუხისმგებლოდ გამოცემული წიგნი, ბიბლიოგრაფია	171
ახალი წიგნები	175

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო ყოლეფა:

ნიკოლოზ აბიჯანი (მასხისბეგელი მღვანე), დირექტორი ბინაშვილი, ნიკო კაცხიშვილი, სანდრო ზანდორიანი, ოტარ ჩხიძე, სარბი ბილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-53 წ. ნაბეჭდო ფორმათა რაოდენობა 11. ში 04209. შეკვეთის № 244. ტირაჟი 5250.

საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.



8 8 8 8 8 8

29 11 12
ГОСНИИЧНАЯ ПАЛАТА



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ